

გვერდები ოსტატები
შუა საუკუნეების საქართველოში

GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE
FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

David Khoshtaria
Natia Natsvlishvili
Dimitri Tumanishvili

**MASTER BUILDERS
IN MEDIEVAL GEORGIA**

Tbilisi
2012

გიორგი ნუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტისა და
ქუბლთა ღაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

დიმიტრი თუმანიშვილი
ნათია ნაცვლიშვილი
დავით ხოშტარია

მშენებელი ოსტატები
შუა საუკუნეების საქართველოში

დისაინი და დაკაბადონება: შპს „ბატაშ დისაინი“,
გოგა დემეტრაშვილი, ნატა ყიფიანი, თამარ კოლოტაური

დაიბეჭდა შპს „სესანში“



შოთა რუსთაველის ეროვნული
საზოგადოებრივი ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL
SCIENCE FOUNDATION

აღნიშნული პროექტი (№ B-21-10). განხორციელდა
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის
ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს

This project has been made possible by financial support from
the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant No B-21-10).

All ideas expressed herewith are those of the authors and
may not represent the opinion of the Foundation itself

www.rustaveli.org.ge

© გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

© GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE
FOR GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION

ISBN 978 - 9941 - 0 - 4192 - 1

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
თავი I. მშენებლობის ისტორიის წერილობითი წყაროები	
1. წერილობითი ცნობები დამკვეთთა შესახებ	11
2. მშენებელი ოსტატი წერილობით წყაროებში	55
თავი II. მშენებელი შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში	
1. მშენებელთა სოციალური სტატუსი	61
2. დამკვეთი და მშენებელი	82
თავი III. მშენებელთა გამოსახულებები შუა საუკუნეების საქართველოში	95
თავი IV. მშენებლობის ორგანიზაცია	129
თავი V. სამშენებლო ხერხები და მეთოდები	
1. საძირკველი	153
2. კედლები და თაღ-კამარები	156
3. იატაკი	170
4. კარის და სარკმლის ღიობები	177
5. სახურავი	184
თავი VI. სამშენებლო მასალები	
1. ქვა	203
2. სამშენებლო კერამიკა	210
3. კირი, გაჯი და თაბაშირი	223
4. სპოლია	227
დანართი: შუა საუკუნეების მშენებელ ოსტატთა ანოტირებული ნუსხა	243
შენიშვნები	259
სურათების სია	283
სურათების წყაროები	287

წინასიტყვაობა

2010-2011 წლებში შოთა რუსთაველის ფონდის დაფინანსებით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრში განხორციელდა კვლევითი პროექტი „ხუროთმოძღვრები და მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“. პროექტის განხორციელების შედეგად დაიწერა წინამდებარე წიგნი, რომლის მიზანია პასუხი გაეცეს კითხვებს – ვინ და როგორ ქმნიდა შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურას; რა ადგილი ეკავათ მშენებლებს შუა საუკუნეების ქართულ სასოფლო-სამეურნეო რეალურ ეკონომიკაში და ხუროთმოძღვრის როლები; რა ფარგლებში და რა სახით ვლინდებოდა ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი მიდგომა; რა მეთოდებს იყენებდნენ მშენებლები შენობების დაპროექტებისას და აგებისას, რა მასალებს ხმარობდნენ; როგორ მიმდინარეობდა მშენებლობა.

წიგნი კოლექტიური შრომის ნაყოფია. მისი პირველი და მეორე თავები დაწერა დიმიტრი თუმანიშვილმა, მესამე და მეოთხე – დავით ხოშტარიამ, მეხუთე და მეექვსე – დავით ხოშტარიამ და ნათია ნაცვლიშვილმა. ბოლოს დართული მშენებელთა ნუსხა ნათია ნაცვლიშვილმა შეადგინა. მოსამზადებელ საველე სამუშაოებში და საილუსტრაციო მასალის დაძიებაში, ავტორებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო გიორგი პატაშურმა.

საკვლევი თემა შემთხვევით არ გაჩენილა. შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა, რომელიც ქართული კულტურის ერთ-ერთ უმაღლეს მიღწევათაგანია, ცხადად მოწმობს მის შემქმნელთა მაღალ პროფესიულ ოსტატობას და შემოქმედებით ძალას. ჩვენი წარმოდგენა ამ არქიტექტურაზე არ იქნება სრული, თუ არ გვეცოდინება ვინ და როგორ ქმნიდა მას. მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეების ოსტატები უმეტესწილად ანონიმურები იყვნენ, სოფი მათგანის სახელი მაინც შემოგვჩნდა. მათი სამშენებლო ტექნიკისა და მეთოდების შესახებ ბევრი რამ შეიძლება შევიტყუთ თვით ნაგებობების კვლევით, წერილობითი წყაროების ჯეროვანი შესწავლით კი შეიძლება შევიტყუოთ მოგვიანდელი მშენებელთა სასოფლო-სამეურნეო სტატუსის, დამკვეთებთან ურთიერთობის და თავად მშენებლობის მომზადებისა თუ მიმდინარეობის საკითხთა ფართო წრეს.

ინტერესი შუა საუკუნეების ქართველ ხუროთმოძღვართა და მშენებელთა საქმიანობის მიმართ XIX საუკუნეში გაჩნდა (მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, თედო უორდანი). მაგრამ საკითხის სისტემატურ შესწავლას

საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა დაუდო. მისი გამოკვლევა *სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში* (თბილისი, 1946), რომელშიც გაანალიზებულია იმ დროისთვის ხელმისაწვდომი მასალა მშენებლობის ორგანიზაციის, შენობათა ტიპებისა და სამშენებლო ტექნიკის შესახებ, დღემდე რჩება უმნიშვნელოვანეს ნაშრომად ამ სფეროში. განსაკუთრებით დიდია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი მშენებლობასთან დაკავშირებულ ძველქართულ ტერმინთა მოგროვებისა და განმარტების საქმეში. მშენებლობის პროცესთან და სამშენებლო ტექნიკასთან დაკავშირებული მრავალი საკითხია განხილული გიორგი ჩუბინაშვილის, ვახტანგ ბერიძის, ლევან რჩელიშვილის, ნიკო ჩუბინაშვილის, რუსუდან მეფისაშვილის, ვახტანგ ცინცაძის, ვახტანგ ჯობაძის, პარმენ ზაქარაიას, ალექსანდრე გარაყანიძის, რუსუდან გვერდწითელის, ირაკლი ციციშვილის და სხვა ქართველ არქიტექტურის ისტორიკოსთა ნაშრომებში. ე. ბერძექს ეკუთვნის ასევე წიგნი, რომელშიც თავმოყრილია წერილობითი ცნობები შუა საუკუნეების სურათმოდეარტა და გადატოხთა შესახებ (*ძველი ქართველი სურათმოდეარტა, თბილისი, 1956*). ეს მასალა მთლიანად შევიდა იმავე ავტორის უფრო გვიანდელ წიგნში *ძველი ქართველი ოსტატები*, თბილისი, 1967).

შუა საუკუნეების მშენებლობის თაობაზე მნიშვნელოვანი მონაცემებია შეგროვილი სიძველეთმცოდნეობითი და მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომებში (ეკეთიმე თაყაიშვილი, იოსებ მეგრელიძე, გიორგი ბოჭორიძე და სხვანი). სამშენებლო ტექნიკისა და საშენი მასალების შესასწავლად ძვირფასი წყაროა ათქვლელების მანძილზე მოპოვებული და გაანალიზებული მრავალფეროვანი არქეოლოგიური მონაცემები (ლევან მუსხელიშვილი, ანდრია ავაქიძე, გიორგი ლომთათიძე, იოსებ ზუბელიშვილი, ნინო უგრელიძე, თეარ ტყემელაშვილი, ალექსანდრე ბოხოჩაძე, რამინ რამიშვილი, ლევან ჭილაშვილი, მერი ჩხატარაშვილი, ჯამლეთ ჯღამაია, ვახტანგ ჯავახიძე, თეარ ლანჩავა და სხვანი). სხვადასხვა დარგის მკვლევართა მიერ შესწავლილია შუა საუკუნეების მშენებლობასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა: ამქვები და მშენებლობის ორგანიზაცია (შოთა მესხია), მშენებლობის საინჟინრო-ტექნიკური ასპექტები (შალვა ხიდაშელი, კონსტანტინე მელითაური, ილია ადამია, დომენტი მშენიერაძე), სპეციფიკური ტექნოლოგიები (ზაქარია მისიურაძე), ეთნოგრაფიული მონაცემები (სარა ბედუკაძე). გამოქვეყნდა მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები (ნიკო ბერძენიშვილი, მამისა ბერძენიშვილი, სარა ბარნაველი) და სამშენებლო წარწერები (ნოდარ შოშიაშვილი, ზაზა ალექსიძე, ვალერი სილოგავა).

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს სხვადასხვა სფეროში სადღეისოდ დაგროვილი ცოდნის შეჯამებისა და ხელახლა გააზრების ცდას. ბუნებრივია, მის ფარგლებში ყველა საკითხი ერთნაირად სრულად ვერ გაშუქდებოდა და ვერც ყველა შენობა თუ არტეფაქტი იქნებოდა მოხსენიებული შესაბამის თემებთან დაკავშირებით. წიგნში აქცენტი დასმულია იმ საკითხებზე, რომლებიც ავტორებმა განსაკუთრებით საგულდისხმოდ მივიჩნიეთ.

წიგნზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის გვინდა მადლიერებით მოვიხსენიოთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, თანამშრომლები დარეჯან კატარავა, მინდია ჯღამაძე, შერი ზამთარაძე, ლუიზა გერბიტიშვილი, ნინო სიმონიშვილი, ნინო დათუნაშვილი, გია შარსაგიშვილი, ნინო ცინცაძე; ნიკო ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი ომარ ლანჩავა, თანამშრომლები

ნონა ქარციძე და დავით სულაბერიძე ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები ვია ბერიშვილი და დავით ჯაფარიძე პარმენ საქარაიას სახ. ნოქალაქეის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი დავით ლომიტაშვილი და დირექტორის მოადგილე ნინო ჯოლია; რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნაზი პატიკაშვილი, თანამშრომელი იოსებ ჯაფარიძე; ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ვიოლეტა ბალახაშვილი. ფოტოსურათების მოწოდებისათვის მადლობას ეუხდით ასევე გიორგი ბაგრატიონს, ირმა ბერძენიშვილს, მარკუს ბოგიშს, მარინე ბუღიას, ირინე გივიაშვილს, თამაზ დვალს, მირიან კოლაძეს, ბუბა კუდავას, ომარ ღანწავას, გიორგი პატაშურს, არმენ ღაზარიანს, ციციანო ნანსუნაშვილს, ნატო ნიტეშვილს, ნინო ჭანიშვილს და კახა ხიმშიაშვილს.

თავი I


მშენებლობის ისტორიის წერილობითი წყაროები

1. წერილობითი ცნობები ღამკვეთთა შმსახებ

შუასაუკუნოვანი დასაქვლეთის თუ ბიზანტიის მკელეკვართ ხანგამოშეებით დასცვლბათ ხოლმე, წერილობითი მასალები გეაკლიაო. ქართველ მკითხველს ამგვარი დაჩივლება სევედიან ღიმილს თუ მოგვრის – მით უმეტეს, როდესაც აღმოჩნდება, მათთვის „მცირეოდენი“ რომ ათობით მატინანე და ათასობით საბუთია, თანაც რა საბუთები – XII, XIII, XIV საუკუნეების ხარჯთაღრიცხვები, ხელშეკრულებები, ანდერძები, სადაც რას არ ამოიკითხავთ – მასალების და იარაღების რაობასაც, სხვადასხვა სამუშაოების გასამრჯელოსაც, პირობებსაც. ჩვენ რაღა მოგვეპოვება? რამდენიმე საისტორიო თსსულება და რამდენიმე ათეული სხვადასხვა რიგის დოკუმენტი, ისიც თუ „შუასაუკუნოვანად“, სოგად-მედიევეალური მიდგომის გამომხატველად. XVII-XVIII საუკუნეების ნაწერებიც ჩაეთვალეთ. ეს, რასაკვირველია, პირობითი დაშვებაა – ნათელია, რომ 13-14 საუკუნის განმავლობაში ვითარება არაერთხელ შეცვლილა. მართლაცდა, სად, ეთქვათ, ვახტანგ გორგასლის ხანა, სად – თამარისა, სად კიდევ – როსტომ ხანისა თუ გიორგი XII-ისა. ერთის იმედითღა თუ ვიქნებით – რაკიღა ტექნიკა დიდად არ შეცვლილა და საზოგადოებაც, ასე თუ ისე, ივრარქისუბულ-მონარქიულ-ქრისტიანული იყო, თუობითა და მიახლოებით შეიძლება, ვეგბ, სხვადასხვა დროის ცნობები ერთმანეთს შევაშეელოთ და – თუმც გარდუვალად არაზუსტი, – ერთგვარი „გასაშუალოებული“ სურათი მივიღოთ¹.

პირველ ყოვლისა, ისმის კითხვა – რა ვიცით დამკვეთ-მომგებელთა, რა კიდევ – ოსტატ-ხუროთმოძღვართა შესახებ.

ერთი შეხედვით, ბედის სამღერაეი არ გვეთქმის – მშენებლობის წამომწყებთა სსენებაც მრავლად გვაქვს და მათ მიერ მოწვეული ხურო-გალატოზებისაც. უფრო მრავლად – ასეა ყველგან შუა საუკუნეებშიც და სხვა დროსაც, მანამდევ და მერევ, – თაოსანთა, ხარჯის გამღებთა სახელები გვხვდება ხოლმე. ენახოთ ახლა, რას და რანაირად გვიამბობენ წყაროები და, უპირველესად საგანგებო, საისტორიო ნაწარმოებებს გადავხედოთ. მათგან უადრესი, როგორც ცნობილია, „მოქცევაა ქართლისაჲს“ მატინანეა. თავი დაეანებოთ მისი ზუსტი დათარიღების



სურ. 1.
მცხეთა. ხელი
ჯერის ტაძრიდან

საკითხს – დაეჯერდეთ იმას, რა ზეც აღარავეინ დაობს: იგი საამდროოდ ცნობილი სახით საბოლოოდ IX საუკუნეში გამოინაკეთა და ბევრად ძველ (აღბათ, მათ შორის, წარმართობის ხანის) წერილობით ძეგლებს ემყარება? თხრობა აქ ალექსანდრე მაკედონელით იწყება, რასაც ქართლის მეფეთა სია მოსდევს. საგულისხმოა – ნვენთის ხომ განსაკუთრებით, – რომ ფარნაეაზიდან მოკიდებული („მოქცევაჲს“ ჩამონათვალში იგი მეორეა), ვიდრე მეცხრე მეფის, მირვანის ჩათვლით, ხელმწიფეთა ერთადერთი დეაწლი სწორედაც აღმშენებლობა ჩანს:

„დადგა ფარნაეაზ. ამან აღმართა კერპი დიდი ცხაურსა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი. და მოქმნა ზღუდე წყლით კერძო და პრქუან არმაზ.“

და შემდგომად მისა დადგა მეფედ საურმაგ. ამან აღმართა კერპი ანინა გზასა ზედა და იწყო არმაზს შენებად.

და მისა შემდგომად მეფობდა მირვან. და აღმართა დანინა გზასა ზედა წინარს, და აღაშენა არმაზი.

და მეფობდა ფარნაჯობ და აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა და აღაშენა ციხს.

და მეფობდა არსოკ, ქალაქსა [ძველ მცხეთას, დ. თ.] ზღუდენი მოაქმნნა.

და მეფობდა არიკ, რომელმან შიდა ციხე აღაშენა არმაზსა.

და მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაიწყო.

და მეფობდა მირვან და მან აღაშენა მცხეთად ქალაქი“ (გვ. 11).

ამის შემდეგ (გარდა ორმეფობის – მცხეთელი და არმაზელი ხელისუფალთა

განენის, არსუკ, მეათე მეფის მიერ კასპის „შეპყრობის“ და უფლისციხის „განგებისა“ და მეთორმეტე მეფის, ბრატმანის დროს მცხეთის პურიათა მოსვლისა) ვიდრე ოცდაშვიტყრე, წმ. მირიან მეფემდე, სახელების წამოთვლის მეტს „მოქცევაჲ“ არც რას გვეუბნება. ეს თითქოს მართლაც, გ. მელიქიშვილისა არ იყოს, „სამშენებლო მატრიანე“ არისო.

თხრობა განიერცობა, როდესაც წმ. ნინოს მოსვლა-ქადაგებისა და ქართლის გაქრისტიანების ამბავი იწყება, თუმცა მეფე მირიანისა და წმ. ნინოს დეაწლიც გარკვეულწილად ტიპობრივად აღწერილია – მცხეთის „სუმო“, იგივე „გარეუბნის“, აწ „სამთავროჲ“ წოდებული და „ქუმოჲ“ ანუ სეპტიცხივლის ეკლესიათა აგება. შემდეგ კი კვლავ ქართლის მმართველთა (მათთან ერთად ახლა უკვე – მცხეთელ მღვდელმთავართა) წამოთვლა იწყება და, გარდა უმნიშვნელოფანესი ომებისა (სპარსთა და პურაკლე კეისრის მოსვლა) და აგტოკეფალიის დაფუძნებისა ვახტანგ გორგასლისგან, არსებითად, მხოლოდ მათ მიერ წარმოებულ მშენებლობაჲ გადმოცემული. ოღონდაც, წინა ნაწილისაგან განსხვავებით, შეცვლილია მათი ქედლების „გეოგრაფია“ – თუ წარმართი ხელმწიფენი სულ ციხეთის უტრიალებენ, ახლა მათი ყურადღების არეში შიდა და ქვემო ქართლიც ექცევა და კახეთიც. ასე, ბაკურ მეფემ „დაიწყო წილენისა ეკლესიისა და გაამშორა ოცდამეთერთმეტესა წელსა“; მისმა მომდევნომ, თრდატმა „რუსთაიისა რუც გამოიღო“ და მის დროსეჲ „... ეკლესიისა საძირკუეელი დადეა, კახეთს ნეკრესისა ეკლესიად აღაშენა განსრულებით“ (გვ. 16); ბაკურ თრდატის ქმ „აღაშენა ეკლესიად ბოლნისისა და გააახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“. არჩილ მეფის სეობაში მითითებულია – „დაეცა ქუმოჲ ეკლესიად“-ო, მაგრამ თითქოს იმისთვისდა, რომ ვახტანგ გორგასალსე ითქვას – „აღაშენა ქუმოჲ ეკლესიად“-ო (გვ. 17). იგივე გრძელდება მეფობაგაუქმებული ქართლის ერისმთავრებსე მოყოლისასაც. გუარამ დიდმა „დადეა საძირკუეელი პატიოსნისა ჯუარისად“, მისი ძე – ერისთავი სტეფანოზ I „აქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა“ (გვ. 19), ხოლო სტეფანოზ II-მ, ადარნასეს ქმ „გამშორა ჯუარისა ეკლესიად“ (გვ. 20).

საყურადღებოა, რომ მცირე გამოწაკლისით, „მოქცევაჲ“ მეფეებისა თუ მათი მონაცვლე ერისმთავრების აღმშენებლობასე გვიამბობს. კაცმა რომ თქვას, გასაკვირი აქ არაფერია – ეს გამოკეთილად „ოფიციალური“ ქრონიკაა, მის შემდგენელთათვის საყურადღებო ისაა, რასაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს განსახიერება კი იმხანად, რასაკერძოდა, ხელმწიფეა. საგანგებოდ სამსჯელო – რაც ჩვენს ახლანდელ ამოცანას სცდება, – უფრო გამოწაკლისებია. უიღვდესი, დღევანდელი სიტყვათხმარებით, გეოპოლიტიკური მნიშვნელოვნების გამო ბუნებრივია თქმა იმისა, რომ სპარსელებმა ააგეს პოესეთის და ხაზარეთის კარნი და კლისურის ზღულეჲ. მაგრამ რატომღაა აღნუსხული, რომ ვარაზ-ბაკურის მეფობაში „აღაშენეს ასნაურთა ეკლესიად იგი წმიდა მცხეთას“, მოგვიანებით კი, არჩილ მეფის „სე“, კვლავ „ასნაურთა აღაშენეს სტეფანე-წმიდად არაგვსა სედა“? უტყობა, ეს ტაძრები თანამედროვეთა თუ მათ შემდგომთათვის რაღაცით ფრიად გამორჩეული ყოფილა?

მრავალმხრივ ჰგავს „მოქცევაჲს“ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილები – ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ და ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ისინიც „ხელმწიფეთა ისტორია“, მათი დღწის შთამომავალთათვის შესხენება, აქაც სხეთა ნაამბავარი ძალსე იშვეითად თუ გამოწინდება – ეკრძოდ, ადრეული ხანისთვის, ფრიად საყურადღებო ცნობა არღამ სპარსთა „ერისთავის“ მიერ „ქეთიკირის“, ე. ი. დულაბიანი წყობის ჩვენში შემოტანის



სურ. 2.
არმაზის ციხე-სიმაღლის
ჯვრის ტაძრის აღმოსავლური


შესახებ. წარმართული ქართლის ამბების თხრობისას, ლეონტი მროველიან საგრძნობი სიახლე გვაქვს – შუასაუკუნოვანი მეისტორიოთა წესისამებრ, იგი ნეენი ქვეყნის თაუგადასაუალს ზიბლიურ ისტორიას უკავშირებს და, ამას გარდა, თუალსანიხო „მცხეთოცენტრიზმისას“ მისობას ძველთაძველად ცნობილი სამოხახლეობის ერთიან თხრობაში წართუაც სურს. საამისოდ მას უპირისპირი შემოქმედება (თუ რაღაც წყაროდან გადმოიქვს), მათ კი ძველთაძველთა მამამთავრის, ნოეს პირდაპირ შთამომავლებად მიიხსენებს. აქედან მოდის „მოქცევაას“ ისტორიული სურათის რამდენადმე გადასხვაფერებაც. შესაბამისად, მცხეთას მასთან ქართლის მოახალშენის, ქართლოსის ძე, მცხეთოსი აარსებს: მან „აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკუერისა და არაგვსასა. და ეწოდა სახელი მისი მცხეთა“ (სურ. 1). ამით სწავლული მღვდელთმთავარი, სხვათა შორის, აქარწყლებს „მოქცევაას“ ერთ ბუნდოვანებას: იქ ქართლში მაკედონელთაძველი ეპოქის ოთხი ქალაქი იხსენიება – სარკინე, კასპი, ურბნისი, ორხე, ხილო ახლო კი საიდანდაც გააწინდ „ძველ მცხეთას“ მკვიდრდება⁷ მცხეთოსის ძმა, ომრხოსი, აშენებს ომრხესა და თუხარისს, მეორე ძმა – უფლოსი უფლის-ციხის, თანაცვე ურბნისისა და კასპის დამაარსებელია. კიდევ ორ უძველესად მინეულ ქალაქს მათი მამა, ქართლოსი აგებს – ცხენია „ციხე ორბისა, რომელსა აწ ქვეან სამშულდე. და კუალად აღაშენა მტკუერის ციხე, რომელსა აწ ქვეან ხუნანი“, მისი მუელდე კი აფუძნებს ზოსტან-ქალაქს, „რომელსა აწ ქვეან რუხთაჲ“ ლეონტი მროველი არც ღიხსიქითა საქართველოს ტოვებს უყურადღებოდ: იქ გეროსმა, ქართლოსის ძმამ „აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუხი ეგრისი. აწ მას ადგილსა ქვეან ბელია“⁸.

ამის შემდეგ ლეონტი ეპისკოპოსის მონათხრობი საქმოდ ახლოსაა „მოქცევაას“ მატიანესთან, თუმცა სუდმიწვევით არ მისდევს, ხან განმარტავს და ხანაც აუბებს მას. ასე, რაკი მცხეთა უკვე აშენებულია და გაუგებარი იქნებოდა, რატომღა აშენებენ და განამაგრებენ მას ყარნავას შეყის მეშვედრენი, ამიტომ ახონაზოსის შესახებ, რომელიც ახლა უკვე უცხოტომელად, აღუქსანდრე მაკედონელის ერთ მხედართმთავართაგანად წარმოგვიდგება, ნათქვამია: „მოარღვერა სლუდენი ქალაქსა მცხეთას საფუძელთურთ“ და „დაუტკენა“ ციხენი, უპირველესად – არმაზის ციხე (სურ. 2). შესაბამისად, სხვაგვარად ითქმის ახლა მომდევნო ხელმწიფეთა აღმშენებლობაზეც: „...ყარნავას მოხლუდა ქალაქი

მცხეთა მტკიცედ... „...საურმაგ... უმატა ყოველთა ხმაგრეთა მცხეთისა და ქართლისათა...“ „არდამ... მოხლედა მცხეთის ქალაქი ქვაქართა“ „...მეფემან ბარტომ უმატა ხელეფთა მცხეთისათა... „...ადურკო მეფემან უმატა ხმაგრეთა ქართლისათა, ქალაქთა და ცხეთა, და უმეტეს მოამტკიცა ხელეფნი ქალაქისა მცხეთისანი...“ „გამოკეთილად განხსენებულთა - თუმც; მოქცევას“ ტექსტში; იხიო განცადკვეებულთა, - დღონტი მხოველთანი არმახის თაეგადახავადი, ის, ჯერ ერთი, ქართლისის ნაბნაეპრი ყოფილა: „...ქართლოს შიედა პირველად ადგილს მას, სადა შეერთეს არაგუ მტკეპარსა, და განეიდა მთაჲ მას ზედა, რომელსა ეწოდებთ არმახი, და პირველად შექმნა ხმაგრეთი მას ზედა, და თქუნა მუნ ზედა ხახლი, და ეწოდა მას ხახელი თაეის თვისსა ქართლი, და ედრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმახისი ერქვა მთაჲ მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი...“ (ახადი, აქც; მურმინდელთა მქეკანდებობა ზედმეტი განხა, თუმცა, ისეუ და ისეუ, არდამ ხარხთა ერისთავსეა შიეილილი - „...მოქცედა კირი-ხელეუ ციხესა არმახისხა...“ წერილმან ხეკაობად ნათე-ვლედა, რომ კერპნი აინხა და დაინხა, „მოქცევას“ მხეღეთი საურმაგ მყვის და მირეან მეფის შექმნილნი, დღონტისთანი თრთაე საურმაგის ნაღვაწია.

რაც; შეეხება დამატებებს რეე მეფეზე ნათეკამთა: „...მოიქანა ცილი საბერძნეთით ხახელით ხეველით, და ამან ხეველით მოიტანა თანა კერპი, ხახელით აყროდიტოს, და აღმართა თაეხა ზედა მცხეთისხა“ ვიგებთ აგრეოე-რამ: „...წყო სვანრაჯომ შენებად კახეთს ქალაქსა ნელქართისსა, რომელ არს ნეკრეხი“; შემდგომ „...არმაგ სეს „მოქცევას“ არხიკია განაშენუნა ნელქარ-ქალაქი კახეთისა, რომელ არს ნეკრეხი, და მატა ხმაგრეთსა უელსიცისისხა“ და, პილთს, „...მირეანის მირიან მეფის მამა-მეესემ, მატა ყოველთა ხმაგრეთთა

სურ. 3.
არტანუჯის ციხე





სურ. 4.
მარტულიის
(კლონდიის) ტაძარი

ქართლისათა და უმეტეს ყოველთაჲსა მთაბრტყიანა ზღუდენი ნეკრესისა ქალაქისანი" გვაქვს ცნობა უჯარმახელად, IV საუკუნის დამდეგისთვის: „.....ასფაგურ [მეფემ] აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმაჲ"¹¹

ნვენ თავს ვერ ვიღებთ ამ ორი თხზულების თანადამთხვევა-დაცილებათა მიხედვების რკვევას, თუმცა აღარ გვგონია სათუო, რომ ლეონტი მროველის ხელთ არა მარტო „მოქცეუას“ რომელიღაც სხვა რედაქცია, არამედ სხვა რამ წყაროებიც იქნებოდა – მართლაცდა, რატომ არ შეიძლებოდა, მას ხელთ აქონოდა თუგინდ ის თხზულება, საიდანაც „მოქცეუას“ ტექსტში „გამოკრებულად“ არის შეტანილი. კერაკლე კეისრის დროის მოვლენები. სხვადასხვა პირველწყაროებით სარგებლობა (თუ ერთიდან სხვადასხვა მონაცემის ამოღება) ნათლად ნანს, სხვათაშორის იმითაც, რომ ბოლნისის ტაძარი (რომელსაც ნეველებზე ახლანდელ ბოლნისის სიონთან აიგივებენ, თუმცა – იმის იქით, რომ უკანასკნელი

IV საუკუნისა ვერ იქნება, – სულაც არაა სავალდებულო ის ერთსა და იმავე ადგილზე მდგომი ნაგებობანი იყოს) „მოქცევაჲს“ თანახმად ვარაზ-ბაკურის, ლეონტი მროველით კი მისი ძის, ფარსმანის აშენებულა¹². ამ უცნაურობის ყველაზე რაციონალური ახსნა, ალბათ, იმის ეარაუდი იქნება, რომ პირველმა ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო, მეორემ კი განასრულა. დამატებითი წერილმანები და ცნობები ჯუანშერის ნაწარმოებშიც ჩნდება. ვახტანგ გორგასლის აგებულ სვეტიცხოველზე იგი წერს: „...მცხეთას მეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი, და უაყრა სუეტსა შინა სამხრთთა ადგილსა მას, სადა-იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი“. ცოტა ქვემოთ იმასაც ვიგებთ, რომ ვახტანგ მეფე „...დაეფლა მცხეთას, საკათალიკოსოსა ეკლესიასა შინა სუეტსა თანა, რომელსა შინა არს ღმრთიებაღმართებულისა სუეტისაგან დაპყრობით“. გეაქეს ამ ლეგენდადქცეული ხელშეწყობის სხვა მშენებლობათა ამსახველი ცნობებიც – სპარსელთა შემოსულისას მან ქართლის ერისთავეებს „...შეპედრა ძე თუნი დამი, და უბრძანა აღშენება უჯარმისა...“; მოგივანდით იგი „...თუთ დაჯდა უჯარმის, და ალაშენა იგი ნაშენებითა დიდითა“, მათ შორის, როგორც სხვაგან წერია – „...ეკლესია შინა რაუდენ წმიდისასა... რაბატსა შინა“; წმ. მოწამე რაუდენის პატივსაცემად მას კიდევ ერთი ტაძარი აუგია – „...ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ყველა გუამი წმიდისა რაუდენისი...“; სხვა მის სადამშენებლო წამოწყებებზე შემდეგს ვგებულობთ: „...ნიხლა [ვახტანგ მეფემ] კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი. და მოუწოდა არტაეაზს, ციხე უმეტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა; და უბრძანა, რათა გამონახოს ჳვესა მას შინა ადგილი სამონასტრე და ალაშენოს ეკლესია... ხოლო არტაეაზ ალაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი რომელ არს ოპიზა, და სამნი ეკლესიანი: დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა. და განაახლა ციხე ახიზისა...“; რამდენიმე მისი წარმოებული მშენებლობა საქართველოში საეპისკოპოსოების დაარსების გამო არის ნახსენებია: „დასუა-ო ეპისკოპოსნი „...ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასანდა ადგუშენა; ...ჭერემსა, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე ალაშენა; ...ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა ალაშენა“¹³. ჯუანშერი იხსენიებს ვახტანგ მეფის დედის, საგდუხტის ღვაწლსაც: როცა ქრისტიანობად მოიქცა: „მან ალაშენა სიონი სამშუღლისა“-ო¹⁴. მომდევნო ხანის, ეგრძოდ უკვე VIII საუკუნისთვის, საგულისხმოა კიდევ ერთი წმინდა მეფის, არწილის მშენებლობის ამბავი: კახეთად მან „...ალაშენა ეკლესია სამძროსა... და დაჯდა წუქეთს, და ალაშენა კასრი, და ვეესა ლაკუასტისასა ალაშენა ციხე“¹⁵.

თითქმის ერთმნიშვნელოვნად ბაგრატიონთა ნაშენს აღნუსხავენ „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენი წიგნები¹⁶. მაგალითად, აშოტ I კურაპალატმა „...მოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ ადგუშენა, სახელით არტანუჯი. და აოჭრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და ალაშენა ვერეთვე ციხედ, და წინ-კერძო მისსა ქუეშეთ ალაშენა ქალაქი. და ალაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თუნი, და დაემკედრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“ (სურ. 3. იგი შემდგომ მართლაც ამ ტაძარში დაუკრძალავთ¹⁷). ზოგჯერ მითითება აღმშენებლობაზე სასხვათაშორისა – „...მოკუდა გუარამ ძე აშოტისი, და დამარხეს ოპიზას, მეორედ მიხგან აღშენებულსა“¹⁸; სხვა შემთხვევებში, პირიქით, საგანგებო „ნიფორმაციის“



სურ. 5.
მთქეს ტაძარი

სახე აქვს: „...ადარნახე, ძემან დაეთ მოკლეღისამან, ადაშენა ბანა ჴელთა კურიკ ბანელისათა, რომელი-იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“; ანდა „მოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატიხამან, რომელსა ეწოდა კეჩი, ადაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოელთა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად ხანატრული სტეფანე...“ ან კიდევ: დაეთ III კურაპალატმა „...ადაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია სახელისა“¹⁹. უკანასკნელი ცნობის ამოკითხვისას კიდევ ერთხელ თვალსაჩინოვდება, რაოდენ ჭირს ხილმე სხვათა აზროვნების წესის, სხვისი დოგმის გაგება – დღევანდელი ისტორიკოსისათვის არცთუ ცხადია, რატომ ამოიწინა მემკვიდრე დაეთ მეფის ანაგებთაგან მაინცდამაინც სახელის საფანე, რატომ ამჯობინა ის მასზე ნამდვილად არაფრით უარეს ოთხთა ეკლესიას და ეველა მხრთე უფრო „დიდებულ“ თქმს? იქნებ იმიტომ, რომ ამ ორს სხვა მიმგებულნიც აქავედა (თქმის ხოი ნამდვილად – დაეთთის ძმა, ბავრატ მაკისტროსი)?


უფრო ილი მისახვედრია, როგორ „შემოეპარათ“ „ქართლის მატეანეში“ ორი ასეთი სრულეობით „არაქართლური“ ცნობა: გიორგი აფხაზთა მეფემან „...ადაშენა საყდარი ჴეონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ, და განაშენა იგი ნაწილთა სიმრავლთა წმიდათა მარტულთათა“ (სურ. 4), ხილო მისმა ძემ, აფხაზთა მეფე დეონმა „...ადაშენა ეკლესია მთქესა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოელთა განგებითა“²⁰ (სურ. 5). რა თქმა უნდა, ისინი ქრისტიანთა იმიტომ „მეციწნარეს“, რომ დასავლეთ საქართველოს ეს მკერობელნი

ერთიანი ქართული სახელმწიფოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის პაპა და ბაძა არიან, რომელთაგან ნამემკვიდრეუი გვირგვინის გარეშე „სრულიად საქართველოს“ ტახტს ეერ მოიპოვებდა.

თეთ ბაგრატ მეფის ნაშენებ ორ ტაძარს კი ამავე მატანეში საეხებით განსხვავებული პატივი ერგო: პირველზე წერია: „...დიძან მეფემან [ბაგრატ] ადამუნა საყდარი ბედიისა, და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მიცკვდა მუენ გულაყეხა საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი... განასრულა ყოელთა განგებითა, შუამკო ყოელთა სამკაელთა ეკლესია, აკურთხა და დასვა ეპისკოპოსო. ეკეთე ესმე ენებან განცდად და გულისხმისყოფად სიძაღლისითვს დიდებისა მისისა, პირველად განიკადის სამკაელი ბედიისა ეკლესიისა, და მისგან გულისხმა ყოს, რომელ არაეის ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა“ (სურ. 6). მეორეზე კი შემდეგი ითქმის: ბაგრატ მეფემ „...აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიქაქდომელითა, რამეთუ შემოკრებნა მახლობელნი ყოველნი კვლამწიფენი და კათალიკონნი, მღვდელთ-მომღვარნი და ყოველთა შინაჩკურთა წინამძღვარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მეოფნი, და სხუათა ყოველთა საკვლამწიფითა“²¹ (სურ. 7). ეთელ ზემოქცია იმაზე სიტყვა გაგებრძელთ, რომ ქრონისტის აღფრთოვანება და აქელი კილი ტაძართა ეკლესიურსა და პოლიტიკურ მნიშვნელოვნებას ეკეთვის და შეჯაღობითა – თეთ სურთომიოდერებას. ის, სელ ბეერი, ახეთ დიდების დირხად თუ იგულეება.

ერთიანი საქართველოს ამასეული თხსულებე ამმშენებლობას შედარებით ნაკლები გულისხვებით ეკიდება. მაგრამ ეს რთი იმნავს, რომ

სურ. 6.
ბედიის ტაძარი





სურ. 7.
ქუთაისის ტაძარი


XII-XIV საუკუნეთა მწერალნი მას სხვანაირად უყურებენ მათთვისაც იგი მეფეთა (ეკლავაც იშვიათად თუ სხვათა) დამსახურება და ღვაწლია. ასე, დავით IV აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მან „...ღაღარანი და ხაკრებულონი და მონასტერნი არა თუსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კპრისისა, შავისა მთისა, პაღესტინისანი, აღაგნა კეთილითა... მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ულია, აღაშენა მონასტერი...“²². თამარის მეისტორიე, ბასილი ეზონ-მოძღუარი გიორგი III-სეც ამბობს – „მატა ყოველთა საყდართა, მონასტერთა და ეპისკოპოსთა“ და თავად თამარსეც: „წმიდანი ეკლესიანი შვიმკობოდეს მრავალფერთა მიერ სამკაულითა“-ო²³. ხოლო რათა დაერწმუნდეთ, რომ ამგვარი დამოკიდებულება შემდგომ ხანასაც გასწვდა, შუახაუკუნოვანი ქართული ისტორიოგრაფიის დამაჯამებელს, ვახუშტი ბატონიშვილსაც მოუესპინოთ: „მეფესა დაეთოს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულად ოკერ; ამან განაგნა და აღაშენნა... იყო... ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი განამდიდრნა ეკლესიანი, არა გარნა თუსნი ეკლესიანი, არამედ საბერძნეთისაცა ეკლესია-მონასტერნი დავისნა და განაშუენნა“; და ეკლავ: „...ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ განაგნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწინეა, ეკლესიანი დარღვეულნიცა მოოვრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა“²⁴.

ის, რასაც მშენებლობასუ ამბობენ, ნაწილობრივ მაინც „აწყულ კილოსუ“ წარმოითქმის: აი, გელათზე თქმული: „...მოიგონა [დავით მეფემ] აღშენება

მონასტრის და დაამტკიცა რომელიც გამოირჩია მადლმან საღმრთოსნ ადგილსა ყოელად შეეწიურსა და ყოელიორთ უნაკლელისა, რომელსა შინა ეთარცა მეთრე ცაი გარდაართსა ტაძარი ყოელად წმიდისა და უფროხად კერ-თხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებელი ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, რომელი ზემთა მსგზს შეეწიურებას ყოველთასა, ხიერცათა და ნიეთთა ხიკეთთა და ხიმრავლთა, და მოქმნულთისა შეესწარებლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით სედექს თუელნი ყოველთანი, და ალაქსი ხაწმიდეთა მერ პატრიარხანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და ხაწმიდისა ხამხანურებულთა ყოელად დიდებულთა და სხუთთა ნიეთთა მნიად ხამოქნელ-თა“²⁵ (სურ. 8). ასლა ვარძიასე ნაუბარი ენახით: თამარ მეფემ „აქელ-ყო აღმენე-ბად გამმარჯვებელსა მისსა ზემთა-კერთხეულსა ვარძიისა ღმრთისმწობელსა, ზემო ვარძიის ქუეშო ვარძიით მიეკლდებოთ, რომელი კლდისაგან გამოქცეეთა, თუთ პატრიარხანი ეკლესიასა და მონასტრისა ხამოყოფი ხენაკებ, რომელი მკერთა-განცა შეუკვლ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაქუყო ხანარტელსა მამასა მისსა ვიორგის, ვარნა ვერ სრულ ექმნა და დაეცევა, რომელ დიდმან ამან აღახრულა და შეამყო ყოელიორთ... რომელი ყოელისაგანცა მოთხრობა ძნელ არს. თუ ეისმე ნებავს ამისგანცა, თხილენ ვარძია და ხაქმენი მისნი ქმნელნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილნი, ვინა მეფემან თამარ გულს-თვინა მსახურებად უბიწისა და განხაკროთმელისა ხასწაულთა-მოქმედისა ვარძიისა ღმრთისმწობელისასა, ამისთვის უმეტეს პირველთა იდისა ხამოყო მისი“²⁶ (სურ. 9).

სურ. 8.
კლდის მონასტრის
ღმრთისმწობის
ეკლესიას





სურ. 9.
ვარძის მონასტერი

ამ ორთან შედარებით ფრიად „მკრთალია“ ჯამთაადმწერლად წოდებულს XIV საუკუნის მესტორის მიერ მეფე დემეტრე II თავდადებულის შესახებ დაწერილი: „აღაშენა ქუეყანანი მოსტრებულნი. ამანუე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი იხანთა, საყოფლად მეტეხთა ღმრთისმშობელისსა, და შეამკო განგებითა დიდითა კეთილითა...“²⁷

XVII-XVIII საუკუნეების წყნს ისტორიკოსებს, თითქმის რომ გაბმული რბევა-ლხრების მაცქერალო, იშეითად ედლოდათ საბაბი და მიზეზი აღმშენებლობას ეწერათ, მაგრამ არც ისინი გაუშეებდნენ ხოლმე საამისო შესაძლებლობას. ეახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთაგანი“, ბერი ევანტაშვილი შემდგომს წერს თემურლენგის აკლესიური ქუეყნის ამდორძინებელ ალექსანდრე I-ზე: „...ამა ალექსანდრე მეფემან მატა სხუათა მეფეთა ქართლისათა სიკეთითა, რამეთუ იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღმრთისა, და ელმოდა გული მოსტრებისათვს წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა, და არა პქონდა ღონე აღშენებისა... და დახდვა იმერთა და ამერთა, ზემო ქართლსა და კახთა, კომლსედ ექუსი შაური... და ამით იწყო შენებად მცხეთისა და რუის ღმრთეებისა საყდრისა და დაშურებოდა დიდად და ხანსა რამდენსამე შინა აღასრულა და შეამკო ყოფლითა სამკაულთა“ „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ევრსიაში იგივე კიდევ უფრო ვრცელადაა ნაამბობი – რამდენიმე განსხვავებულ ცნობასა და შეფასებასა მოვიტანთ: „...ამან მეფემან გარდამატა სხუათა მეფეთა საქართველოსათა. და იყო კაცი სხიერი და სწავლული ყოფლისავე საღმრთოსა და საეროსა ზნეობითა აღსახეჲ. და გული უთქმიდა კუალად-გებად პირველსავე სასონსა ზედა მიუქანებად წმიდათა ეკლესიისათვის და საქართველოსა. ...ამა მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავალის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირჯიბის მეუღლე-

ყოფილმან რუსა, ამან იყო მრავლის ღუაწლითა და გულსმოდგინებით აღშენებად წმიდისა სუეტის-ცხოვლისა. პირველად გამოკაშმა და იყო მენებად სუეტთა საყდრისათა და ვერდარა სრულ კყო აღშენება მისი... [ლექსანდრემ] იყო აღშენებად სუეტისა ცხოველისა, და აწ ახლად აღაშენა და განაერცო და გაასრულა, და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშუენა... და ყოველივე საქართველოს უდაბნონი, მონასტერნი და ეკლესიანი [აღაშენა]. და კუალად აღაშენა მცირე ვეუტერი მთაყარანგელოსისა მცხეთას სამარხოლ... და კუალად ინება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა... ასოცდართავე ქორნიკონსე საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი ყოველნივე სრულიად ახლად აღაშენნა და შეამკუნა და კუალად მისგან დადებული მანვე ამოკუეთა...²⁸ (სურ. 10).

ქება როგორც აღმშენებლებს, შეხვდათ როსტომ მეფესა და ვახტანგ VI-საც. როსტომის თანამედროვე ფარსადან გორგოჯანიძე გატეხილ ხილს გამოაქოფს და გვეუბნება: „როსტომ მეფემ განჯის გ'საზე გატეხილს სეთი დებადასუ ვეზირთით ხიდი აავო. სოფელი და ქარაიანსარა აღაშენა, რომ მგ'საერი არ გაისარჯოს, სადგომი და საკმელი მზათ დახედეს“²⁹ (სურ. 11). ერთხელ უკვე დამოწმებული ბერი ეგნატაშვილი როსტომის შესახებ შემდეგს ამბობს: „აღაშენა ტყვიდისს სახლი ყიზილბაშური, კეკლუცად და ტურყად ნაგები... აღაშენა წმიდა კათოლიკე ეკლესია, მცხეთის გუმბათი და სხუანიც, რომელნიმე მოკრებულნი ეკლესიანი აღაშენა. და კუალად აღაშენა გატეხილი-კიდი“³⁰. XVIII საუკუნის მწერალი სენია ჩხვიძე ვახტანგ VI-ის სადიდებლად, სხუასთან ერთად, ამსაც იტყვის: „...ინება საქართველოს სარწმუნოება ხე გაძლიერება, აღაშენა ქალაქს [ე. ი. თბილისს] სიონისა გუმბათი და სამხრო და შეამკო ყოვლითა საპატიოსნითა... აღაშენა ურბნისს სამრეკლო და გალაიანი, განაპატიოსნა შიგნით გარემდი... განიღო რუ ნახიდურითგან ვიდრე ყისყალამდის, აღაშენა ხუნენი, სოფლები უშენსა ადგილებსა და განიღო რუ ნაგებიდამ ბოლოსა ყარაისასა და აღაშენა სოფლები და აღაშენა ქალაქსა [თბილისს] სახლი პატიოსანი მიტურტიდისა და ოქრისა ვარაყითა შეთსსული, მხემან ამისმან, ამის უშეყნიერეხი სახლი არც ვერანს შიგან მინახავს...“³¹.

ამდენი – იქნებ მეტისმეტად ბევრი – ამონარიდი სამი დასკენის შესამტკიცებლად დაგვიტრდა:

- ა. შენება ძველ საქართველოში საპატიო საქმედ მიიხანდათ;
 - ბ. იგი მშენებლობის წამომწყების ღვაწლია;
 - გ. თვით XIX საუკუნის შუა ხანამდე ქართველთათვის უმთავრეს (არსებითად ერთადერთ!) ისტორიაში ეს პატიეი, მცირედი გამოწაკლისით, ჯერ ქართლის ხელმწიფეთ, შემდეგ კი ბაგრატიონთა სახლის წევრებს ეკუთვნის.
- ნახსენები „გამონაკლისები“, სხვა ყველაფრის გარეშე, მიგვახვედრებდა, რომ ეს სურათი ისტორიულ სინამდვილეს მეტისმეტად აღარბობს. მეტი რაღა, 1010-1029 წლებში მცხეთის სვეტიცხოვლის მშენებლობა, მართლაც ახლად აგება საქართველოს ეკლესიათა დედისა და თაყისა, არ შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებაში“ და ვახტანგ VI-ის „სწავლულმა კაცებმაღა“ შემატეს იგი მატიანეს, მასში მცხეთის საკათალიკოსო საყდრის განახლების თაობაზე მუდქისხედექ კათალიკოსის ანდრეიძე „ნააკერეს“ რა თქმა უნდა, ეს რაღაც ბოროტი განზრახვის შედეგი კი არა, ასე ყოქვით, „უანრის თაყისებურებაა“ – როგორც ითქვა, „ქართველის ცხოვრება“ სამეფო სახლის ისტორიაა, სხვათა ნაქმარ-ნაამაგარი კი სხვაგანაა საძიებელი. ეს მით უმეტეს ასე იყო, რომ ნამდვილად არსებულია საოჯახო-



ხერ. 10.
ხუციციხელის
ტაძარი

საგვარეულო მატრიანეები (იხიი ნახსენებიც აქეთ წყენს მესობორიეთ), ერთი მათგანი კი შემოგვრნა კიდევ – ცნობილი „ძეგლი ერისთავთა“, ქსნის ერისთავთა თავგადასავლის და, სხვათა შორის, მათი აღმშენებლობის მომხსრობელი.

მშენებლობას რაც შეეხება, ამ მატრიანეში საუბარი ძირითადად ერისთავთა მაშინდელ საყოფელზე, ქუენიფენეზე და მათ სამარხო ღარგვისზეა (ხერ. 12), ცოტაც იკორთასე. გარდა აშკარად ნახეურადლეგენდარული საწყისი ნაწილისა, რომელიც VI საუკუნეს მიგეანიშნებს და მიგეითხრობს როსტომ ერისთავისთვის იუსტინიანე დიდისგან მამულისა, განსახეუნებლად კი ღარგვისის ტაძარის დამტკიცებაზე (რის მერეც „როსტომ აღაშენა ქალაქი

ლარგუცს და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია“), აქ XIII საუკუნის მიწურულისა და XIV საუკუნის აზმებია თაემოყრილი. ეგებულობთ, მაგალითად, რომ ლარგუელ შალვას ძე ერისთავმა აღაშენა „ტყვილისურისა წესითა დარბაზოვანი ქუენიფნევეს...“; ქუენიფნეველ ვირშელის ძემ „აღაშენა ქუენიფნევეს ეკლესიას და დარბაზოვანი დიდ-დიდი და შუენიერი. ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესიას...“; იოვანე ვირშელის ძის ერისთავობაში „იქმნა წვიმა მსაფრი და ადიდნა ქსანი და მომართა მონასტერსა ამას და წარისხნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამომხარა ძირი ეკლესიისა. მაშინ ერისთავმან იოვანე მასვე კურიასა შინა იწყო შენებად ზემოხსა ამის ეკლესიისა, რომელ სამ წელ აღაშენა და მოქმნა ბჭე და სამრეკლო და იწყო ზღუდესა ხატებად ეკლესიისა...“; ამავე იოვანე ვირშელის ძის ერისთავობაში „მოშლიდიყო დიდი იგი საყდარი იკორთას, მთავარ-ანგელოზისა მიქელისი და იწყეს შენებად...“³².


აქაც, ამ „ეკრძო“ მატანიეში ზუსტად ისეთივე მიდგომაა, როგორც „სახელმწიფოებრივი“, მხოლოდ სამსჯელო არე არის უფრო ვიწროდ მოვარგულული. თუ წარმოვიდგენთ, რომ ამგვარი თხზულებანი წარჩინებულ სახლთა ნაწილს მაინც კჳონდა, ნათელი გახდება, კიდევ რამდენი ქტიტორის ეინაობა გვეცოდინებოდა. ხოლო რადგან ისინი არ მოგვემოვება, სხვა რიგის წყაროები უნდა მოვიშველიოთ. პირველ რიგში კი (რათა ჯერ საერო ნაწერები „მოვიტათ“) სიგელ-გუჯარ-ოქმები, რომელნიც ჩვენ ხან სულ ახალ ცოდნას გვაწოდის, ხანც მატანიეებში ამოკითხულს ავსებს და ამრავალფეროვნებს.

აი, რამდენიმე შეწორულობის საბუთი. მეღქისედექ კათალიკოსის სახელგანთქმულ „დაწერილში“ სვეტიცხოვლისადმი (1029-1033 წლები) ნათქვამია: „...შევაჩქეე ყოვლითავე სამკაულობითა გარეთითა ბჭითა და ვარეშემო სტოთითა მოქმნითა და ზედადაბურეთითა... კოლას... ავაშენე სოფელი დიდი ოროტანი; და ფანაერას ავაშენე სოფელი ა მახარონი და სიკუთს... ავაშენენ სოფელი ბ ნაქალაქევი და ბერდაძირი... და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დაეგვენ ყოველგან სახლნი, და ავაშენე ეკლესიანი რიცხუთ ყოველნივე“³³.

თამარ მეფის მიერ 1201 წელს გაცემულ სიგელში შიომღვიმისადმი საუბარია ანტონი ჭყონდიდელის (გლონისთავისძის) მიერ წყალსადენის მშენებლობის შესახებ. მის ერთ მონაკვეთში თეთ ანტონი მთავარეპისკოპოსი ასე მოგვითხრობს: „ადიდვენ და დაამყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დაეთი და თამარ და ძე მათი გიორგი ლაშა... მე, მიწმან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონ ჭყონდიდელმან ვიხილე სახლი ღმრთისა წმიდაი უდაბნოი მღუემისა და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ჭირსა და იწროებათა შინა ურწყულობისასა და შემწეობითა წმიდისა მამისა შიოისითა ვებნენ და ეპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და ველეყავ მოქმედებად და შეწეენითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა წმიდასა ეკლესიისასა ჟამთა წელიწადისათა სამისათა დიდითა შრომითა და გულსმოდგინებითა, არ მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უშეტეცია წყალი“³⁴.

კახა თორელის 1259 წლის რკონის მონასტრისადმი მიცემულ „დაწერილში“ ნახსენებია „ჩემი ეგუტერი“, რომელიც, საფიქრებელია, ამ დიდებულის აგებულ სამლოცველოს, შესაბამისად კი კახა მეტურჭლეუთუხუცესის აღმშენებლობას მიგვითითებს³⁵.

ქუენიფნეველი ერისთავის შალვას 1470 წლის სიგელი გვაგებინებს (ეს სხვა შალვაა, არა ის, ვინც, „ძეგლი ერისთავთა“ ცნობით ლარგვისს სამსახურებულნი



სურ. 11.
გარეხილი (წითელი)
ხიდი

კედლები სულ დაეხურე; არაგუსად კიდი გავსდევ და გაგაკეთე; ანტიოქიასთან დიდი ჩარდახი დაეღგო; კიდევ მცხეთას გაღაჟის გარეთ ქუოტკირის ხახახლე ავაშენე, კართია და ფანჯრით მიერთე და გაგაღესქინე... ქალაქს საყდარი [ტფილისის ანისხატი, დ. თ.] ღორფინით გარდავსჭედე და შიგნით გაეღესე და დავახატეინე... ქალაქს ხახახლე ავაშენე და გაგაკეთე... კოჟორსად ერთი კარის საყდარი დაეღგო და კაი ხაზაფხული ხახახლე ავაშენე; დარბაზს ერთი კაი ხაწნახელი ავაშენე... ყორნათის თავს ერთი სოფელი ავაშენე და ყორანთას კაი მარანი დაეღგო... ძეგვის ზურის თავს კაი თლიღისა ქვის საყდარი ავაშენე; აგრევე გომს კაი მარანი ავაშენე და ორი ხაწნახელი დაეღგო; ხალხინოს კაი საყდარი ავაშენე, კაი ხახახლე და მარანი დაეღგო და კაი ბაღი ავაშენე; კიდევ მეტეხს ნამეტნავად დაფუძნებული და დაძველებული საყდარი კვალახლად განვაახლე და გაგაკეთე და იქვე ზვარში ხაწნახელი ავაშენე; მეტეხის თავს სოფელი სხერტა ავაშენე... აგრევე აშენდას ერთი საყდარი დაეღგო... კიდევ აღაიანში ხაწნახელი ავაშენეთ; კიდევ წეროანს ქვეერები ნაქსართ და მარანი ავაშენეთ; მოხისის თავს სოფელი ახალშენი ავაშენეთ... თრიალეთსად სოფელი ბარაღეთი ეამთა ვითარებისაგან აოკრებულეთო და ახლად წუენ ავაშენეთ...³⁷

ამ ერეკელ ჩამონათელსუ არანაკლებ ძეირფას მონაცემებს ვნახულობთ - ეი ორმ ძალსე მცირერიცხოვანს - ანდერებში. სოჯიერთი მათობას ძალსე ყართოღაა ცნობილი. პირველ ეოვლისა, ესაა დავით IV აღმაშენებლის ორი ანდერძი - 1123 წლისა შიომღვიმის მონასტრისადმი და 1125 წლის საბოლოო მისი დანაბარები. პირველიდან შემდეგს ვგებულობთ: „...მოეწოდე არსენის ბერსა... და ვარწმუნე აღმენებად ეკლესიას, ხაშუად მონასტრისა, ხახელსა სუდა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად ეხილდ. ...თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობაი მისი ვიხილო, კურთხეულ

შესწირა), ღარგვისს მეო „დავახატეინე კამართა უკანითი წმიდისა თეოდორესი თავი ეკლესია... აღვაშენე ეკლესიას ნათლისმცემლისა, დავახატეინე და შევაძქვე ხატითა, წიგნითა და შესამოსლითა სრულიად... შემოვიკულენ ზღუდენი და აღვაშენენ ტრაპეზნი და მივაწვეენ ზედა ჩარდახნი და შეეხურენ სიპითა; აღვაშენე მარანნი... აღვაშენე ზღუდისა კართა ზედა ხაშრეკლასი, დაეხურე სიპითა და დავასუენე ზედა ჯუარი სპილენძისა... აღვაშენენ სოფელნი... ახალ-უბანი... ივრეთი... მერედა... ქურთას და სხუას...“³⁶

ნიკოლოზ კათალიკოსი (გვარად ამილახორი) ხეტიცხოელისადმი 1687 წლის „სეწირე-ღობის წიგნში“ გვეუბნება: „და მივცაეთო კელი და ძველითგან დაფუძნებული კედლი სუეტის ცხოვლის ტაძრისა მკარსა ხამკრეთისასა ახლად აღვაშენეთ; კიდევ ხუთი ხამხრო გამოეუცვალეთ და კვალახლად აღვაშენეთ; კიდევ ხეგტსად სე. „ცხოველ სეგტსე“, დ. თ., სურ. 13) ხადაფქარის ჩარდახი გაგაკეთეთ... აგრეთვე შიგნით ქუოტკირის


არს სულგორცდობა მისი, თუ არა – არსების ბერისა... კალაპორი გამოეყარონ, მოღვწენ, მოხატონ... (ხერ. 14). ამასუ არანაკლებ მრავლობითქველას, თუძე; ამასაუთ ხიჯკაქანწი, მორუ ანდერძი; ...ღარნა მონასტერი ხამარხავი წემი და ხასუაღუ შეიღოს წემისა [გელათი, დ. თ.] უხრუღად... აწ შეიღოს წემისა მყოველს დიძირი ხრუღაქვის ეფელითური...

ნაკლებად იშველიებენ ხელმე ბერად უვას, უკვე XVI საუკუნის მიწურულის, დორთიეთის კათალიკოსის ანდერძს, ხადაც; იტრისი (თეთი კათალიკოსი „ნიტრისი“ იტყვის) ხიონის პასილიკის მშენებლობის შუიითანი მიმდინარეობაა აღწერილი: „...ტყელიღან ეყოლა წმინდის ეკლესიას თუ დაქველდი, დაძველებული; ემქმსაკ და ავიდე ხაჯიქელითური; ახალი ხაჯიქელი გაეთხარუ აღვამენე მონასტერი ესე კარგი ხასელსა ზედა ხიონისანი, დიდი და პატოხანი... ხაჯიქელი რომ წავსხენ, მოვიდა მამასდის მისხაღუ შაითამს ეფი ...განგრელდა გელასწერის და მქინვარება მისი იც; წელ ხაქართეულიხედა... ასეის დროს ვამენეო მონასტერი ესე დიდი ჭირთის და რუღუნებათა, რომე მოუეჭდებოდეს თარქში აგარანთა და აგუქრედეს წაკარტება კალატოხები და ტემოგ ხაჯიქელებითი ექვლანი. შემდგომად ამის იბრანა დქერთან და დაჯდა მეფედ ბატონი სეიმინ... მოვიდეს კიდე ურქინი... ხეი ეკლესიას დამოწეს და ხოველი ამოტრეს, კიდე ვერ უაჯღუ ბელს ვაჯა წემი ხამროსი; მიეჯე კელი და აღვხრულე ეკლესიას შენობითა“

არსებითად ანდერძის (ამას თაჟადაც; ამბობს) დაეთოგარეუხისადმი XVII საუკუნის დამღვეს მისი ამღობინებლის, წმ. დავით გარეჯელის ღაერის წინამძღვრის, ინიორგის (მსკუტასის) მიერ 1712 წელს მიცემული უკუახიც;

ხერ. 12.
ღარეჯისის
მონასტერი





ის გეამცნობს: „...ადეაშენე: უდაბნოსა შინა საყდარი იოვანე მახარებლისა და კეალად პალატები და სხენი კეთილნი კლდის სახლები, ვაღაენი და კოშკები და საყდრის კანკელი ბეგრის ხარჯ-ვაწვეით მურასად დახატული... ადეაშენე თვალსე საყდარი პეტრე-პაველესი“⁴⁰ (სურ. 15).

რაოდენ უცნაურადაც შეიძლება გაისმას, ამშენებლების ეინაობა შეიძლება სასამართლო საბუთებშიც გამოვიკვიროს. თეიმურაზ II-ის 1752 წლის 2 ივნისის განინებებიდან ჩანს, რომ „სასახლე მტკეერის პირს თიფლისის ანისისხატის ვეგრესე“ XVII საუკუნის ბოლოსა თუ XVIII-ს დამდეგს თამარ ვახტანგ V შაჰნავაზის ასულისა და მისი მეუღლის, გვი ამილახორის აგებულისა (საგულისხმოა, რომ შენობის ანისისხატისკენ გაზაველ „ქარს სვეით ცოლი და ქმარი სწერია, აბელი კალატოსის შეილის დაწერილია და ის მხარეც იმათი დახატული“ – ე. ი. ამილახორის სასახლეს მოხატული ფასადები „ქირია“); 1766 წლის 5 მაისის განინებებაში ამოვიკითხათ, რომ დიმიტრი ციციშვილს თბილისს სასახლე, ხოლო ქარელში კოშკი და სასახლე აუშენებია⁴¹, 1797 წლის 3 ივნისის განინებებაში ე – რომ ფცია ციხე შანშე დაეთაშვილის ნაღვარია⁴². შინდისში წმ. გიორგის ეკლესიის სადავიდარაბო ამბავს გეიამიობს 1789 წლის 5 სექტემბრის სასამართლო ოქმი: „ბერძენიშვილი ბეცია უშიოდა თავის განაყოფს ბერძენიშვილს იოანეს [იგივე ნინია]... თავისის ძღავერებით წავგაროეა ნინიამ სასაფლაო... წმიდის გიორგის ეკლესიაში შენ [ნინიას] წოია არა გაქესო. ...ნინიამ ასე უპასუხა: როდესაც პაპა ჩემი სვიად პაპა შენს გაჰყრია, მოსულა და ...ნინიის ეკლესია გაუკეთებია... უშვილო გაყრილი ძმა პყოლია არდაშელ, იმას უთქვამს: ამაზე კეთილბრის ეკლესიას გაეაკეთებო, მე დავიმარხებუიო და მას უკან საკუთრად შენ დაგრნებო. ...მამა ჩემი როდესაც დაკარგულა, ...მამული არაგვის ერისთავიანთ მირზაშვილებისთვის ...მიუციათ ...მოსულან და სწორე იმ წმინდის გიორგის ეკლესიასთან დამდგარან და ვინ მოჰკომბათ, შიგ დაუმარხათ“⁴⁴ – ეს მოვლენები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ან შუა ხანისა უნდა იყოს და, შესაბამისად, ტაძარი XVIII საუკუნის პირველი ათწლეულებისა გამოდის.

ჩენთვის საგულისხმო ცნობები შეიძლება ნაირგეორ მინაწერება და ჩანაწერებშიც აღმოჩნდეს. ასეთგანია ე. წ. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ (ე. ი. კახეთის დედოფალ ანას მოგებული, ანასეული ნუსხის) გადამწერის ანდერძი: „...დედოფალთა დედოფალი ნესტან-დარეჯან, და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა ...იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა დროწმუნენი, მაშენებელნი ეკლესიათანი. რამეთუ ალექსანდრე წარტყუნულ იყო წარმართთაგან ...ამათ ადაშენეს და განწმინდეს ყოველსაგან ღუარპლისა, ადაშენეს ცაი და გუმბათი და სამკრონი რაბამ რამე აღმატებულად და შემსგავსებულად, ვითარცა ჯჯრე იყო წინანდელთა ქმნულთა ნიეთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებულობისა. ...შემდგომად ამათ თანა რაოდენნიმე ეკლესიანი ადაშენეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებელნი ეკლესიანი განწმინდეს სახლად ღმრთისა...“⁴⁵. შეიძლება ჩვეულებრივი (აგრეთვე ძალიან ნაკლებად შემორჩენილი) საოჯახო ჩანიშნებიც გამოგვადგეს. მაგალითად, 1780-იან წლებში ბეჟან ამილახერიშვილს ჩაუწერია: „...[ქვემო] ჭვლას ...სასახლე და მარანი გაეაკეთე ...ქვლაკს [თბილისს, დ. თ.] დაქცეული სასახლე გაეაკეთე. დაეხარჯე ოცი თუმანი“⁴⁶.

სამწუხაროდ, ჩვენში არ მოიპოვება დასაველეთის შუა საუკუნეების ხელოვნების შესასწავლად აგრეთვეად სარგო სამონასტრო ქრონიკები. მათ რამდენადმე ცვლის ჩენი ეკლესიის წმინდანებად შერაცხილი ბერების



სურ.
შიომღვიმის
მონასტრის
ღმრთისმშობლის
ეკლესია


„ცხოვრებები“ ხადაც მომღვენო ხანების ხდომილებებიც არის ხელმე შეტანილი. პირველად ენახით, როგორ გამოთქერება კავთორაფიის მიხედვით წყენს უადრეს წმიდა მოწესეთა, ცამეტი ასურელი მამის მიერ დაარსებულ საეპიტოა სამშენებლო ისტორია. მათ თაქკაცად აღიარებულმა წმ. თიანე ზედასწელმა, „ცხოვრება“-ს სიტყვით, „...შენება არა იწყება მას ადგილისა, არამედ ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისა, იყოფილად; ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა ქუაბი მცირე, რომელსა შინა აღასრულა მწირობა ხარწმუნისა ამის ცხორებისა... თუმცა მის მოწაფეთაგან ერთმა, თათამ „...ქვეშე ძირხა მის მოსახსა აღაშენა მონასტერი, რომელსა შინა განმრავლდეს მონაწიანნი... წმ. თიანეს გარდაცვალების შემდეგ ის თათის მონასტერში აღესრულა, „...შექმნეს ღუესკუმა პატოსხანი და მუნ შინა დაკრძალნეს წმიდანი იგი ჭორცნი ნეტარისა მამისა წყენისა...“ (სურ. 16). მოგვიანებით კი, „...ადიეყანეს ადგილსაჲე თვისსა და მითყე ღუესკუმითა დაასუენნეს ნაწილნი მისნი. და შემდგომად მისსა აღაშენეს ეკლესია ...ხოლო შედგომად მრავლისა ეამისა წმიდამან კლემენტოს კათალიკოსმან აღმოსავალით ეგრძე ეკლესიისსა სხუაჲ ეკლესია აღაშენა სახელსა ზედა წმიდისა ნათლის-მცემელისასა...“

წინამძღვლისგან განსხვავებით, შენებას თუ არ თავიძს, მისი მონაწილე მათიც ნახს წმ. შიო მღვიმელი. მას შემდეგ, რაც მან რაღაც ხანს დაყო „მცირე ქუაბს“, მას შემოიკურთნენ ჯერ წმ. ევაგრე შემდეგ კი სხვებიც. ერთხელაც წმ. შიომ იხმო ევაგრე და უთხრა: „შვილი ევაგრე, უწყოდე რამეოე ამიერთოგან განმრავლებად არიან მამანი უდაბნოსა ამას შინა. ამისთვისცა ჯერ არს, რათა ეკლესია აღუაშენით, ხადაცა გვბრძანოს წყენს უყავილმან. ხოლო

აღვიდეს ქედსა მას ზედა ...მოცილო ცეცხლი წმიდამან ბერმან და დაიქარა ნებას ზედა თვისსა და დაახსნა ზედა საკემუდელი. ხოლო საკემუდელი იგი... ნადგა ადგილსა ერთსა, ვითარცა სვეტი ჰქცხა მას შინა. ...და ადგილსა მას, სადა უნებნა უფალმან, დასცა სათხარო მამამს სვეტმან წმიდამან შიო და აღაშენეს ეკლესიასი ხაღიდებულად დმროთსა... თუნაჲ განსხეავებულად კვიხატავს მოელენებს, მოგვიანო (ამწამს დამოწმებულს X საუკუნის), მეტაფორასული „ცხოვრება“ აქ ეკლესიის აგება წმ. ევფრემს თხოვნისებრ ხდება. კვლავ არ იწუხებს თავს მშენებლობით შესამე „ასურელი მამა“, ვისი „ცხოვრებაც“ გადავიკურნა წმ. დავით გარეჯელი, თემცა კი ტაძარი მის საყოფელთან მისხავე ცხოვრებაში ნსდება: ახლა „გარეჯად“ წოდებულ „უდაბნო და ურწკელ ადგილთა“ მისვლი წმ. დავით, თავისი მოწაყე წმ. დუკანათურთ დამკვიდრენ „პარეხსა რამე კლდისხა“ აქაც: „მოთმღვიმისებრ, შემოიკრბნენ მისი, და ვითარ ეურ დაარწმუნა [წარსვლად], პრქუა მათ [წმ. დავით]: ...წარუქვით და მოსეუქით სათხარნი და თხარენიო დაკეანი საწყლენი და ქეაბიცა საყოფელად თქუნდა“ უფრო გვიან, წმ. დავითის სასწაულის ძალით მოიქცა ქრისტიანობად ვინმე წარსიებული ბუბაქარი: „...და ვითარცა ნათელს-იღო ბუბაქარ, კვალად მოვიდა წინაჲ წმიდისა დავითისხა... და თანა მიატანნა სათხარნი და შექმნი და შექმნა ეკლესიასი ხაღიდებულად მისთა, რომელი-იგი უკანასკნელ წმიდამან და დამერო-შემოსილმან იღარითი [წმ. იღარითი ქართიელი, დ. თ.] განაჲრცულა და აკურთხა, რომელსა შინა სამხრით კერძო ეკლესიასა მას შექმნა დუხკეჲსი შეუქიერი, რომელსა შინა დაკრძალულ არიან ნაწილნი წმიდისა მამისა

სურ. 15.
დავით გარეჯელის
დავარა





სურ. 16.
სუდახნის
მონასტრის ეკლესია.
წმ. თინათინა
სუდახნელის
ლესიკა

წარმატების მსვლელობა წმ. სერაპიონის „ცხოვრებაში“ ასე იხატება: მიქელ პარსეული წარგ'საენის სერაპიონს, მის ძმას და კიდევ ოთხ ბერს, რათა მის მიერ სიხმრად ნახილვებ ადგილსუ აშენდეს მონასტერი, მათთვისვე წარტანებული უფლის ფერიცვალების ხატის სამკვიდრებლად; მათაც „...სოკის მიშე-ბი და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა ...და უბრძანა წმიდა-მან [სერაპიონ] მან, რათა ...ადუშენოს მცირე ტალავარი...“; ამის მერე სამცხელი დიდებული გიორგი ხორჩანელი უწვევებს მას სხვა ადგილს, სადაც ახლა უკვე წმ. სერაპიონმა „...ხილავა ანგელოზისას იხილა... და შემდგომად ორისა დღისა შექმნა ორი ჯუარნი წმიდამან მან ჰელითა თვისთა და კლდეა მას სუდა აღმართნა სახელსა სუდა წმიდათა მთავარ-ანგელოზისას. ხოლო უკანასკნელ მცირე ეგუტერიცა აღაშენა... ხორჩანელის ბრძანებით „მოიქმნა ადგილი იგი“ სამონასტრო და მისივე რწმევით აირჩა – უფლისგან მოცემული ნიშნით ეკლესიის ადგილი, თანაც წმ. სერაპიონმა იწინასწარმეტყველა, მაღევე მთორეგანაც ეკლესია აშენდებოდა; „...შემდგომად ხამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესია და შეიმკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეკგანდა ეამსა მას“; რამდენიმე ხანში წმ. სერაპიონი მიიცივალა „...და დადევს საყვალესა, რომელი-იგი თუთ შეემზადა მას აღმოსავლით საკურთხევლისა“;

წვევისა დაგითისნა... ამრიგად, სუდახნის შე-
მოხვევაში მონუმენტური მშენებლობის მითა-
ვედ ჯერ მისი მოწაფენი ჩანან, 200 წლის მე-
რე კი, უკვე VIII საუკუნეში – კლემენტის კა-
თალიკოსი⁵⁶, შიომღვიმეში – თვით წმ. შიო ან
წმ. ევაგრე; წმ. დავით გარეჯელის ლავრაში –
ბუბაქარი და წმ. ილარიონ ქართველი.

ერთმანეთის მინაცვლე თაოსნებებსა და ქტი-
ტორებს ვხვდეთ მიმდევრო საუკუნეების დიდ
მამათა „ცხოვრებშიც“ ამათგან პირველად
უმრწამსს⁵⁷, წმ. ილარიონს, საბერძნეთში
„ქართველად“ წოდებულს შევეხებით. გარდა
წმ. დავით გარეჯელის „საყვალეს ეკლესიის“
გამშენებისა, მის სახელს კახეთში ხამი
მონასტრის დაარსება მიეწერება – ორი მამათა
და ერთი დედათა ხელისა. უკანასკნელს
გ. ნუბინაშვილი აკურის „მამა დავითს“ უთგი-
ვებს – რაც აბსოლუტურად უუკუელია, რა თქმა
უნდა, ვერ იქნება, დანარჩენი ორის ადგილ-
მდებარეობა კი სრულიად უცნობია. თაოსანნი
აქ თვით წმ. ილარიონი და მამამისი არიან⁵⁸.

დანარჩენ ორ მამათგან – წმ. სერაპიონს „ზარ-
სხელი და წმ. გრიგოლ ხანძთელი, – პირველის
ცხოვრება-მოსაგრეობის წლები კვლავაც ხა-
ციდლო და VI-VII საუკუნეებიდან X საუკუნე-
მდე მერყეობს, მაგრამ იგი, აღბათ, მანც; IX
საუკუნემდე. წმ. გრიგოლ ხანძთელამდე და
ზაგრატონითა გამეფებამდე არის საკარაუდე-
ბელი. „ზარსმის მონასტრის დაფუძნება-

ესაა და ეს, არსებითად, რაც ჩვენ გაღატოხთა თუ ხეროთმოძღვართა შესახებ ნარატული წყაროებიდან ვიცით. ბუერად მეტი სახელი, ისევ და ისევ, ესაგრაფიკამ შემოგვინახა. საკმაოდ მრავალადაა ისტატ-მშენებელთა სხენებანი (სოხთა, X ს. „საყადარო დაბისხო შეიწყალე თევედორე კალატოხო, სულსა გიორგისა განუსეუნე წმიდათ ეკლესიასო შეიწყალე თეანე კალატოხო“; ხოხე, X ს. – „ქრისტე შეიწყალე კვრიკე გაღატოხო ამენ“; ეადე, X ს. – „იელი ცხოტბისა, მე, ცოდვილი დანგათ სეიმეონ ამის პატოხნისა ჯუერისა გამომხატეული“; საჰე (აწ საჯა), XI ს. – „ქრისტე შეიწყალე გაღატოხნი“; ნახთა, XI ს. – „წმიდათ სემონ შეიწყალე ფოცხევერ გაღატოხო და ჩანგა (?) გაღატოხო“;

სურ. 40.
დიდი კონსტანტინის
ღმრთისმშობლის
ეკლესია,
სამშენებლო
წარწერა

აბული, XI ს. – „ქრისტე, შეიწყალე გუზან გალატოზი“; მცხეთა, სეპტიცხოველი, XI ს. – „ველი მონისა არსუკისძისაჲ შეუნდეთ“; ჭყონდიდი, ტაძრის კარიბჭე, X ს. – „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ გალატოზი, ოპიზარი“; ბედია, X ს. – „წმიდაო ღმრთისმშობელო, მეოხ ექმენ წმიდისა ამის საყდრისა ამშენებელს, გალატოზთაუხუცესს სემონსა“; ჯოისუბანი, X ს. – „წმიდაო გიორგი, შეიწყალე მონაი შენი კალატოზი“, „წმიდაო ეკლესიაო, შეიწყალე ამის მოქანდაკე კალატოზნი“ (სურ. 35); დიხაზურგა, XI ს. – „ქ. გრიგოლს – გალატოზთუხუცესს, შეუნდოს ღმერთმან, ამენ“; ზემო კრიხი, სამხრეთ ეგეტერი, XI ს. – „სახელითა ღმრთისათა, მე, კვრიკე ჩემითა კალატოზობითა შეესწირე ამას ეკლესიასა კე დრაზი“ (სურ. 36); ლაშე, X ს. – „ქრისტე, შეიწყალე ბაგრატი, ამის კარის მოქმედი“; ლუკა, XI-XII სს. – „მიქაელ გალატოზი“; ჯრუჭი, XI ს. – „წმიდაო გიორგი, შეიწყალე მონა შენი გიორგი გალატოზი და შეილნი მისნი – ესე სუეტი უფასოდ ააგეს. ამენ“; „წმიდაო გიორგი, შეიწყალე ფაღღონი გალატოზი და შეილნი მისნი – ესე სუეტი უფასოდ შექმნა“; ილორი, XI ს. – „წმიდაო გიორგი ილორისაო, შეიწყალე გალატოზი...“; ლაბუგინა, XI-XII სს. – „ქრისტე, შეიწყალე იოვანე და გაბრიელ გალატოზნი“; საფარის წმ. საბას ტაძარი, XIII ს. – „სრულე იქნა საყდარი ესე საძირკეთლეთუ ყოვლითა ფერათა ველითა ფარეზას-ძისათა, შეუნდვენ ღმერთმან“ (სურ. 37); შორეთის მონასტერი, ეგეტერი, XIV-XV სს. – „ორბისძეს ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან. ამინ“; რუისის ტაძარი, XV ს. – „გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდვენ ღმერთმან ამინ“; სხალტბის კვირაცხოველი, კარიბჭე, 1667 წელი – „ქ. ამ საყდრისა სარქარი მე ბუენი ვიყავ ცოანძემ“; გორული, ზემო ეკლესია, XVII ს. – „მამანო და ძმანო მოიქსენეთ ოსტატი პაპია“; მცხეთა (ლენსუმი), XVIII ს. – ქ. ხელი ნასყიდას გალატოზის ქართლელის“; წესი, ბარაკონის ტაძარი, 1753 წელი – „ქ. ამისი ოსტატი შულავერელი აეთანდილ. ვინც ნახოთ შენდობა ბრძანეთ“¹⁴³ (სურ. 38, 39).

არის უფრო ვრცელი წარწერებიც. საამისო რამდენიმე მაგალითსაც მოვიტანთ: საეანის წმ. გიორგი, 1046 წელი – „ქ. სახელითა ღმრთისათა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, წმიდისა გიორგისითა, დაძაყენა მე, სულითა საწყალობელი პარაბა, აღსაშენებლად წმიდისა ამის საყდრისა, – აღიდენ ღმერთმან, გიორგი ერისთავთ-ერისთავმან...“; ბაღლაღარი, 1018 წელი – „ქრისტე, შეიწყალენ ნიკოლოზ და ივანე – შეწყენითა ღმრთისათა დაიდვა ბალავერი ესე ქრონიკონსა სკიმ ველითა ცოდვილისა მიქელისათა“; ამავე მიქელის კიდევ უფრო თხრობით-გაერცობილი წარწერაა დიდი გომარეთის ღვთისმშობლის ეკლესიის კარის ზღუდარზე, 1020-იანი წლები – „...სახელითა ღმრთისათა, მას ეამსა ოდენ ძლიერმან და უძლეველმან გიორგი აფხაზთა მეფემან შეიპყრა ზვიად მარუშინი, მაშინ ესე ბალავარი დევა ველითა ცოდვილისა მიქელ ხუც გალატოზისათა“ (სურ. 40); გუდარეხი, XIII საუკუნე – „...აეშენა ესე ეკლესია ველითა ფრიად ცოდვილისა ჭიჭაფორისძისათა ხალოცველად და სადიდებლად დედოფალთ დედოფლისათუს რუსუდან დედოფლისა და შეილთა მისთა...“; ბერთუბანი, XVII საუკუნე – „ქ. მოველი ჩვენ ფრიად ცოდვილი ქვის მჭერელი პაპუა და აფარი-აშა [=აყრიაშ] ახარ დევყავით მარხეასა. დაიდო წელი მ. ვიმშუაეთ გალატოზნი წმინდის დავითისა [ლავრისა, დ. თ.] წინამძღერობასა მაჭუტაძის ონოფრესას“¹⁴⁴.

თუ რა ადგილს აკუთვნებდნენ გალატოზებს ძველი საქართველოს საზოგადოებაში და როგორი იყო მათი მომგებელ-დამკვეთებთან ურთიერთობა, ამაზე ჭეჭემით საგანგებოდ იქნება საუბარი.


თავი II

მშენებელი შუა საუკუნეების ქართულ საზოგადოებაში

1. მშენებელთა სოციალური სტატუსი

შუა საუკუნეების მშენებლობაზე წერისას ერთი უპირველესი საკითხი მშენებლის ეინაობა, მის საქმიანობაზე წინანდელი და ვეროპული რჩენსანის მერმინდელი შეხედულების მსგავსება-განსხვავება, საზოგადოებაში მისი ადგილი და მისთანანია. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ისიც, რა ზომითა იმ დროის „ხუროთმოძღვარი“ თუ „გალატოსუხუცესი“ შემოქმედებითად „თავისუფალი“, არის თუ არა ის საზოგადოდ „შემოქმედი“, „ხელოვანი“ დღევანდელი გაგებით, თუ „უბრალე“ ხელოსანია, დამკვეთის ნებისა თუ ძველთაგან მომავალი ტრადიციის მორჩილი, მხოლოდ „შემსრულებელი“ როგორც ხშირად (მუდამ არა!) ხდება ხოლმე, ამგვარი დაპირისპირებისას ძალზე დიდია გამარტივებისა თუ გაცალმხრივების ხიფათი, მით უმეტეს, რომ ყველა ჩვენთაგანის მსოფლმხედველობა და იდეალებიც, ჩვენი ხშირად სულაც სადღეისო საწუხარი მოვლენებს განსხვავებული კუთხით აღგვაქმევენებს. არადა, არის ხომ სავსებით ობიექტური სირთულეებიც. ერთი მათგანია, მაგალითად, სიტყვათა საზრისის დროისმიერი ცვლილება. ამაში დასაწმენებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება – აქვე ნახსენები „ხელოსანიც“ იკმარებს – შუა საუკუნეებში იგი (ამაზე კელავაც მოგვიწევს საუბარში) „მოხელეს“, „თანამდებობის პირს“, „სა-ჭელოს“, ე. ი. გარკვეული უფლება-მოვალეობის მტვირთველს აღნიშნავდა; XIX საუკუნეში და თვით XX-ს დასაწყისშიც ის შეიძლება დღევანდელი „ხელოვანის“ აზრით მოიხმარონ ან კიდევ განუ-საზღვრელად ხელით რისამე მკეთებლის მიხანიშნებლად. მაგრამ ცნებათა არაერთმნიშვნელოვნება მარტოდენ შორეული წარსულის მახასიათებელი როდია, იგი დღესაც იმნს თავს და კიდევ კარგა, თუ ესა თუ ის ავტორი განგვიმარტავს, რა სიტყვით რას გამოხატავს.

ერთი უთვალსაზიროესი თანაც ჩვენს სამსჯელოსთან პირდაპირ დაკავშირებული, – საამისო ნიმუში გახლავთ კითხვა: ვის შეიძლება ეწოდოს „არქიტექტორი“ და, შესაბამისად, შეიძლება კია შუასაუკუნოვანი გალატოსუხუცესი საერთოდ არქიტექტორად, „ავტორად“ მოიხსენიოთ.



სურ. 41.
ოშკის ტაძარი,
სამშენებლო წარწერა
სამხრეთი კარის
ტიმპანზე

ახე, მაგალითად, რ. ოსტერმონტის მოხაზრებით, „არქიტექტორი“ (ძველებურ-მრელი „მეხანისოს“) მარტო ისაა, ვისაც ფართო განათლებაც აქვს (ე. წ. „თავისუფალ ხელოვნებებსა“ გაცნობილი) და მათემატიკურადაც არის განსწავლული¹⁴⁵ მისგან უნდა განვასხვავოთ შუასაუკუნოვანი – ბიზანტიის იმპერიის სინამდვილეში, VII საუკუნიდან აქეთ, გალატოში (mason, ბერძნულად „ოიკოდომოს“), რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული, სახელოსნოში მიღებული ცოდნა აბადია. მეტიც, მომზადების ამ ორ სახეობას შედეგიც განსხვავებული მოხდევს – „არქიტექტორი“ ახალ-ახალ კონცეფციებს ქმნის, „გალატოში“ არსებულ სტანდარტს მისდევს, რომელშიც ცვლილებები (ნანს, ანგარიშშიუცემლად) ვარირებად დეტალდება ანდა გარეშე პირობების შეგავლენით შემოდის¹⁴⁶. განეყნებულ-თეორიულადაც არც ისე აშკარაა თეორიული განსწავლულობისა და შემოქმედითობა-ორიგინალობის პირდაპირი კავშირი¹⁴⁷ ალბათ, არ იქნება საკამათო, რომ გვერდისგვერდ, გინდაც ერთ დონეზე ნასწავლი ადამიანები როცა არიან აუცილებლად ერთნაირად „კრეატიული“ მათემატიკის დაუფლება არც ერთგვაროვნება-სტანდარტიზების ქმედითი წაბალი ნანს XIX თუ XX საუკუნეში არქიტექტორებს უამრავს რასმე მათემატიკურსა თუ მათემატიკურად დაანგარიშებადს ასწავლიდნენ ახლიც ასწავლიან ხომ! არადა, ძნელად თუ ყოფილა ოდესმე მშენებლობა ახე უნიფიცირებულ-ერთსახეოვანი. მეორე მხრივ, სამართლიანი იქნება „სტანდარტიზებული“ დავარქვათ დასავლეთი ევროპის რომანულსა და გოთურ ტაძრებს, რომელთა მშენებელნი რ. ოსტერმონტის თვალში, ცხადია, „უსწავლულნი“ არიან¹⁴⁸; ან რა „ერთი მოდელი“ შეიძლება ევიარაუდლო სვენი

VIII-XI საუკუნეების ტაძართათვის – ძალიან საეჭვო კია, კახ თუ ტაოვლ ქვით-ხუროებს ხელში დღემოდამ ეკვილიდეს თუ არქიმედეს ტრაქტატები სჭეროდათ.

აღბათ, არ ღირს ხელოვანის, ჩვენს შემოხვევაში – ხუროთმოძღვრის რომელიმე ერთი ტიპის (გინდაც ანტიკურის და ახალდროინდელის – თუმიცადა, ისინი კი არიან იგივეობრივი?) გააბსოლუტურება და უმჯობესია იმ საერთოსე ეიფექტოთ, რაც აუცილებლად უნდა სდევდეს თან რისამე შენებას. შეგვიძლია დაუჯერდეთ, თუნდაც, ასეთ განსასდერებას: „არქიტექტორი... არის ადამიანი, ვისაც ძალუქს წარმოსახოს ნაგებობა, მილიანობაში და დეტალებითურთ, ეივრე ქვას ქვასე დაადებდნენ, ვისაც ძალუქს თავისი ხედვა საკუთრივ მშენებელთ შეაგნებინოს, რომელთაც ძალუქთ ის [ხედვა] სინამდვილედ აქციონ¹⁴⁹“. რასაკერეველია, ასეთი უნარით დაჯილდოებული ადამიანები სხვადასხვა დროსა და გარემოში ეერც პიროვნულად იქნებოდნენ ერთნაირნი და ეერც მათი სხვა ადამიანთა – მშენებლობას კი აუცილებლად თაოსანი და თანხის გამდებოც ჰყავს და სხვადასხვა გაწაფულობის მუშა-განმხორციელებულნიც, – მიმართ დამოკიდებულება შეიძლებოდა იგივეობრივი ყოფილიყო. ერთიცა და მეორეც ყოველ ჯერსე თაეიდან, შესაბამისი მონაცემების მოძიებამოშეველებით უნდა გამოირკვეს, რაც, თავის მხრივ, წყაროების რაგეარობასა და რაოდენობასეა დამოკიდებულნი.

პირველ თავში მოტანილი იყო სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების მონაცემები. რას გუაგებინებს ეს თხრობანი თუ ჩანაწერები? ერთ-ერთი ეველა„სე შინაარსიანი თუთორ ბასილი სარჩმელის მონაცოლია. პირველ ყოვლისა, ის გვამცნობს, რომ მშენებლობას ჰყავდა „ხუროთმოძღვარი და სუდამდგომელი“. მართალია, იგი არ გვისხნის, დასახელებულ პირთა შორის ვინ ვინაა, მაგრამ ცხადია, რომ ეს ორი სხვადასხვა რამაა. ამ ორის გარდა, ეხედავთ კიდევ გალატოზებს თუ კალატოზებს და გალატოზთუხუცესებს (ხუც გალატოზი დიდი გომარეთის წარწერისა აშკარად იგეევა). ამ ტერმინებს ყურადღება, თავის დროსე, იე. ჯავახიშვილმა მიაქცია და ისინი შემდგენაირად განმარტა: „ხუროთმოძღვარი მთავარი ინჟინერია, მთავარი ხელმძღვანელი, ხოლო კალატოზთუხუცესი – ტექნიკური მხარის გამგეა“, სუდამდგომელი – „მუშაკთა“, მუშათა ხელმძღვანელი¹⁵⁰. ჩვენს ხელთ დღეს არსებული მასალით ცოტა არ იყოს ძნელია გავიზიაროთ ან გავებათილოთ დიდი მეცნიერის ვარაუდი „ხუროთმოძღვრისა“ და „გალატოზთ უხუცესის“ სხვაობის თაობასე – წარწერებში, როგორც ვნახეთ, პირველი სიტყვა საერთოდ არ იხმარება და ეერ ვიფიქრებთ ხშირ, თითქოს ეველა ნაგებობას, რაც შემოგვრჩა, მარტოოდენ „ტექნიკური მხარე“ ჰქონიდა.

აი, ხუროთმოძღვრისა და სუდამდგომელის მოვალეობათა სხვაობა კი უღაია. უკანასკნელს რა ეზარა, ცხადლიე გეისურათებს ოშკის ტაძრის სამხრეთი კარის ტიშანის წარწერა (სურ. 41). „სუდამდგომი“ (ასეთია მისი თვითწოდება) გრიგოლ ოშკელი ერთგვარ ანგარიშს წარგვიდგენს ეელესისის შენებისას გაწეული წლიური ხარჯისა, მოგვახსენებს დაკაეებული მუშახელისა და მუშა პირუტყვის რაოდენობასა და სამუშაოთა რაგეარობასაც¹⁵¹. ამდენად, მისი პასუხისმგებლობა მუშაობის გაძლოდა და გასამრჯელოს გაცემა, ასევე მასალეების მომარაგება და არანაირად ჰკეეთს საკუთრივ შენობის გამძლოლის – ხუროთმოძღვარი იქნება ეს თუ გალატოზთუხუცესი – მოვალეობებს. არქიტექტურისთვის მისი საქმიანობა, ასე ვთქვათ, „გარეგნულია“, მისი პირობების უზრუნველმყოფია უფრო.

მიუხედავად ამისა, ძველ ნაწერებში ამ ორი საქმიანობის გამოიჯნა დღევანდელ დღეს შეიძლება გაჭირდეს და ასე მარტო ჩვენთან როდია.

ასე, ბიზანტიის სინამდვილეში დიდი ალბათობითაა ხდება იმის განსაზღვრა, ვინ არის დამკვეთსა და მუშებს შორის შუამავალი – მაშენებელი, ზედამხედველი თუ უბრალოდ ერთი მოხელეთაგანი. ეს მით უფრო ძნელია, რომ შესაძლებელია ასეთ შუამავალთა მთელი ჯაჭვი არსებულები – კირილე სკეითოპოლელის წყალობით ცნობილია, მაგალითად, რომ იუსტინიანე დიდის და თეოდორას ნებით იერუსალიმში ღმრთისმშობლის ტაძრის მშენებლობისას მაშენებელი („მეხანიკოს“) ვინმე თეოდორე ყოფილა, ფინანსებს განკარგავდნენ პრეტორიუმის პრეფექტის მოხელენი, ხელმძღვანელობა იერუსალიმის მთავარეპისკოპოსს პეტრეს აქედან დააქირებულნი, ზედამდგომი კი ბაკათას ეპისკოპოსი ბარახოსი გახლდათ. საქმეს ისიც ართულებს, რომ მცირე მოცულობის სამუშაოებისას ფინანსური მხარის მოგვარებაც გალატოზოუხუცესს აკისრია¹⁵².

იგივე მდგომარეობაა საქრისტიანოს დასავლეთშიც. იქაც კია უჭკველი მოუღებობათა სხვადასხვაობა, მაგრამ მაინც თულობითად ამბობენ, რომ *magister operum* (ფრ. *maitre d'oeuvre*, ინგ. *master of the work*, გერმ. *Bauverwalter*) სწორედ ჩვენებურ ზედამდგომელს უდრის და იქაც ვერ გამოირიცხება ეს მოვალეობა გალატოზოუხუცესს (ფრ. *maitre maçon*, ინგ. *master mason*, გერმ. *Werkmeister*) შეეთავსებინა¹⁵³.

ჩვენს სინამდვილეში, უპირველესად, ის არაა მთლად გასაგები, როგორ განიყოფოდა ზედამდგომის და, როგორც სხეით შევარქვით, „მეორადი ქტიტორის“ ვალდებულებანი. ამას გარდა, რაოდენ უცნაურადაც უნდა გაისმას, ნამდვილი კია: უფრო ძნელია, ძველი აზრით, „საკელოთა“ განრჩევა ჩვენგან ნაკლებად დაცვილებულ გვიან შუა საუკუნეებში. ამ დროს შემოდის ირანული ტერმინები „სარაიდარი“ და „სარქალი“. ისინი აშკარად მშენებლობის ხელმძღვანელებად ისახებიან. აი, მაგალითად, ანანურის მიძინების ტაძრის 1689 წლის წარწერა: „...ყოყლად წმიდარ მარამ მშობელო ვემანუელისაო, რომელმან ნებითა, შეწვენითა შენითა კელჰყო არაგვის ერისთავის შეილმან მდივანბეგმან პატრონმა ბარბიმ თვისისა სასაფლაოსა ამის ანანურის მღთისმშობლისა საფუძელეთურთ შენებად... და მე წინამდგომელი თვისი ბაღსარაშვილი ბოქაჟული ეხსუცის ქაიხოსროე დამადგინა წმინდასა ამას მონასტერსა ზედან სარქალდ. უწყეს, რაც შეძლება მქონდა, დღოე და ღამ მოუსვენლად ვშეებოდი, არ მიგვც ძილი თჳალთა ჩემთა ვიდრემდის განასრულებდნენ მონასტერსა ამას...“¹⁵⁴. ან კიდევ, იმავე XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის ძეგვის წმ. სამების წარწერა: „ქ. იოთამ ამილახორის ძემ პატრონმა კათალიკოსმან ნიკოლოზ მამისგან გაზრდილსა მიბობა ფასი და სარქრობა მე ნადირსა მკედელაძეს, შეილთა ჩვენითა პეტრეთი ამიგიან...“¹⁵⁵.

პირველი წარწერის მიხედვით „სარქარი“ შეიძლება ხუროთმოძღვარ-არქიტექტორად ვივარაუდოთ (თუმცა უცხოდ ხდება თჳალსა და ყურს მესამე პირში ნათქვამი: „განასრულებდნენ“), მეორეში კი ნადირ მკედლაძე „მეორე რიგის ქტიტორადაც“ შეიძლება მივიჩნიოთ, მოხელე-განმკარგულელადაც, არქიტექტორადაც... რაც „სარაიდარს“ შეეხება, ვახუშტი ბატონიშვილისგან ერთმნიშვნელოვნად ვიცით, რომ ეს როსტომ მეფის მიერ „ხუროთმოძღვრის“ ნაცვლად შემოტანილი სახელწოდებაა¹⁵⁶. ეს აზრი შეიძლება გამოვიტანოთ ერეკლე II-ის 1796 წლის 18 თებერვლის ბრძანებიდან ითხებ ყორღანაშვილს: „...სარაიდარი სტეფანე, სარაიდარი ფარსადანა და ორი მოქალაქე და კალატოზები უნდა შენთან წაიყვანო და მოხვიდეთ, ქალაქის (თბილისის – დ. თ.) გალაგანს შემოუაროთ, საცა კედლები დაქცეულნი არის, ის უნდა კალატოზების

საზომის იარაღებით გააზომინო. საცა როგორც არის დაქვეყნული და ან როგორც უნდა აშენება, ის უნდა ზომით სწორეთ შეიტყობ და დასწეროთ...¹⁵⁷. ეჭვი არ არის, რომ ეს „სარაიდრები“ რაღაც სხვაა, ვიდრე „კალატროსები“¹⁵⁸, საეარაუდოდ, მათზე აღმატებული.

ამავე დროს, არსებობს დაახლოებით ამავე ხანებში, 1788-1798 წლების შუალედში აშენებული ქოლვაგირის ციხის ნახაზები, რომლებიც ვგაზენება ამ ორ „სარაიდართაგან“ ერთს, სტეფანეს, განმარტებით ბარათთან ერთად. ბარათში ასხინილია, რა როგორი უნდა იყოს. ესე იგი - ის შემსრულდებელია, არა „პრექტანტი“, რა თქმა უნდა, გარკვეული ცოდნა-მომზადების პატრონი, მაგრამ უფრო მაინც „სამუშაოების მწარმოებელი“, ვიდრე „ხუროთმოძღვარი“ ჩვენი აწინდელი გაგებით¹⁵⁹. მეტიც, წოდებულება „სარქარი“ ვინაღაც საერთოდ ყოველი ხელით სამუშაოს თავკაცის აღმნიშვნელიც იყო - თუ არადა, რატომ უწოდებს თავს „სარქარს“ ანისხატის კარედის ფრთების 1686 წლის გარემოქმედლობის შემსრულდებელი ბერთაუკა ლოლაძე?

მრავლისმთქმელია 1740 წლის 2 აპრილის დემეტრე ქარუმიძის წერილი ფრიად სახელგანთქმულ გიგი ამილახორს: „...ჩვენივენი წიგნი გებოძათ და გებრძანებინათ: კასპსა შენობას ეპირობით, დაგებარებინეთ: აქ ჩამოდით, მოურავი ხარო, სარქობა ქენით, მართებულიც შენი არისო, თუ რომა არ ჩამოხვალო, მოურაობას სხვას უბოძებო. ჩვენცა ეს მოგვიხსენებია: ჩემი ჩამოსვლა მანდ არ იქნება... ვისაც გინდოდეს იმას უბოძეთ კასპის მოურაობა. დმერთიან მშეიდობაში მოაქმაროს. კასპელი კაცი საღდა არის, სულ ამსუყვეტილია. თითო ბიჭი საღდაც გარდაწარმობლია, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა იმათ ცოლიში ნაუდგები, ბატონო“¹⁶⁰. ამ უსტარში ბუერია ყურმისაგდები - ურთიერთობა ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა შრეებს შორის, ძალიან ნაკლებად რომ ჰგავს იმას, რაც ადამიანთა გონებაშია ნაბეჭდილი (ასწავრის კადნიერება დიდი თავადის და მისივე ლმობიერება „დაბლაყოფთა“ მიმართ!). ახლა კი, ჩვენთვის, ერთი რამაა ყურადღებაამისაქცევი - შეიძლება დემეტრე ქარუმიძე ხუროთმოძღვრად მივიჩნიოთ? უცილობლად - არა, მას ხომ მოურაობით ვუალება ისარქროს და - ესეც ერთმნიშვნელოვნად ასეა, - მისი საზრუნავი მუშების მოგროვებაა, წმინდა წყლის „საორგანიზაციო“ საქმე. აქედან გამომდინარე კი, საფიქრებელია, სხვა სარქლებიც - ქაიხოსრო ბაღსარაშვილი თუ ნადირ მჭედლაძეც, ვ. ბერიძის სიტყვისამებრ, „მშენებლობის ხელმძღვანელები“¹⁶¹ არიან.

ახლა დემეტრე ქარუმიძის წერილის ისიც ვეკითხოთ, რისთვის ეჭრებოდა სარქარს მოსახლენი, ცხადია, მშენებლობის ხელობა-ხელოვნებაში გაქვალავი? არადა, ბასილი სარსმელთან რას ვეკითხოვოთ: ჯერ, ეკლესიის შენების ამბავი რომ „განითქუა... იწყეს სახედ მდინარისა მოსელად საქმესა მას ეკლესიისასა“ და შემდგომ: ხუფათელი ოსტატი და შუარტყელელი „ოყენეს“¹⁶² „მოძღვარ და მასწავლელ სიმრავლესა მუშაკთასა“. ანუ XVIII საუკუნეშიც იტულისხმება და მიხედვებით 1000 წლით ადრეც, რომ მშენებელთა უმრავლესობა არაა აუცილებელი ხელობას დაუფლებული იყოს, ისინი, ეტაკობა, „დამხმარე“ თუ „შავ“ მუშებად წარმოიდგინება. და ეს სულაც არაა განკერძოებული მაგალითი - კათალიკოსი ანტონი II 1790 წლის 1 ივნისს სწერს იოანე და გიორგი თარხნიშვილებს, ბორტის ციხე-კოშკის მშენებლობაში თქვენი ყმები წააშეველოთ¹⁶³. იგივე ჩანს ვ. ბერიძის შეჯერებულ-გამორჩეულ XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის პირველი ათწლეულის საბუთებშიც¹⁶⁴. ამდენად, შუა საუკუნეების დამწყებსაცა და დამბოლოებელ საუკუნეებშიც მშენებლობის

მონაწილეთა მომეტებული ნაწილი დაუხელოვნებელი იყო და ამიტომ, მით უფრო ნაგებობის სიმცირისას, მცირერიცხოვან გალატოსთა ხსენება ვითარებას მართლად ასახავს. მშენებელთა „გუნდის“ რიცხოვნებაზე წარმოდგენის დასასუსტებლად საგულისხმოა, რომ ნიკორწმინდის ტაძრის მშენებლობაში გ. ჩუბინაშვილს – მართალია, წინასწარულად, – სამი მქანდაკეებელ-მწეპურთმე ეკუთვნის, ფიტარეთში კი ორი ოსტატისა და რამდენიმე მათი დამხმარის ხელი¹⁶.

მაგრამ ვინ არიან თავად „ნამდვილი“ გალატოსები? ჩვენ მხოლოდ ერთ მთგანზე ვგაქვს რაღაც – რასაკვირველია, სისრულეს დიდად დაშორებული, – წარმოდგენა. მხედველობაში, ბუნებრივია, ბოლოკ-ბასილი გვეყავს. მისი ამბიდან ჩანს, რომ იგი ხელმოკლეა, ალბათ, აბუსერისძეთა პირადად თვისუფალი თუ არათვისუფალი ქვეშეურდომი. ცხოვრების სახსარს ის სარეწაოდ წასვლით შოულობს. რა თქმა უნდა, ის ერთადერთი „მოსარეწლად“ მიმომავალი გალატოსი არ იქნებოდა, ერთი კუთხიდან მეორეში ოსტატთა სამუშაოდ გადასვლა სვენწი წესად უნდა ვიგულოთ.

მოგვიანო მდგომარეობის გათვალისწინებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მხრივ ეველა მხარე ერთნაირი არ ყოფილა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში ხითხურობით ღაზები პირველობდნენ, ამავე საუკუნის ბოლოსკენ და XX საუკუნის პირველ ნახევარში რაჭველი ოსტატები დაწინაურდნენ და მთელ საქართველოს გადასწევდნენ, ეიდრე თუშეთის ჩათვლით. შემთხვევითი არ იქნება ვახუშტი ბატონიშვილის მაინცდამაინც ჭანეთის მკედრთა თაობაზე ნათქვამი: „კაცნი არიან კველოვანი ხის მუშაკობითა და შერებთა ნათათა, დიდათა და მცირეთა...“ და „ზუსტად იმავე სიტყვებით აჭარის ხეობის მცხოვრებლებსაც: „...კაცნი კველოვანი ხის მუშაკობითა“¹⁷. საგარაუდებელია, ეს ერთთა თუ მეორეთა ქვეყნის სხვა ნაწილებში საქმიანობაზე მითითებაც იყოს. გასათვალისწინებელია, რომ ზარზმის მეორე კვლესიას ხუფათიდან – ე. ი. ღაზისტანის ხოფადან, – ჩამოყვანილ „კველოვნებთა განთქმულ კაცთან“ ერთად, მის თანაშემწედ აშენებს გალატოსი „სახელით შუარტყელ“¹⁸. ამ დროს კი ბოლოკ-ბასილიც „შუარტყელში აშენებს წმ. გიორგის ტაძარს. სხვათა გასარკვევია, ეს „შუარტყელი“ მართლაც სახელია, თუ სახელად ქცეული (თუ დამახსოვრებული) სადაურობაზე მინიშნებაა. ასეც და ისეც, ეს კაცი რაღაცნაირად მაინც უნდა იყოს დაკავშირებული აჭარასთან და, კერძოდ, ამ დასახლებასთან. მაშინ გამოდის, რომ იქაურობა რამდენიმე საუკუნე (ბოლოკ-ბასილი 1150-60-იან წლებში იღვწის, შუარტყელი სადალაც VII-X საუკუნეებში „შუალედში“) ოსტატებით ამარაგებდა სხვა ადგილებზე მიმდინარე მშენებლობებს. ეს, ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით, სვამს რეგიონებსშორის მიმართებების გამორკვევის თუ „აჭარული კვალის“ მიგნების საკითხს. თუმცა, მეორე მხრივ, ბოლოკ-ბასილი თითქოს არც არის გალატოსთუხუცესი, შუარტყელი კი ხუფათელი „კველოვანის“ ხელქვეითი ჩანს. თანაც ეკლესია, რომელსაც ისინი აშენებენ, ნაქანდაკეებით, მათ შორის სარკმლის სუდანზე გამოკვეთილი ქტიტორების გამოსახულებით მორთული, სულაც არ ჰგავს „ქუეყანისგან ბერძენთასა“ მოწვეული კაცის ნახელავს¹⁹. იქნებ შუარტყელი არა მხოლოდ თანაშემწე, არამედ „თანაავტორიც“ არის? მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია, თანაც ამ კითხვაზე პასუხს იმიტომ ვერ გავცემთ, რომ ზარზმის ძველი ეკლესია აღარ არსებობს და იმიტომაც, რომ ოსტატთა თანამშრომლობის წესის ნათელსაყოფად რაიმე საბუთი არ მოიპოვება. სამაგიეროდ, ასე თუ ისე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მშენებელ-გალატოსთა სასოვადლოებრივ მდგომარეობაზე.

სასოგადოებაში ხურო-ხუროთმოძღვართათვის მიწინედი აღგილი არა მარტო საქართველოსთვის, სოგადდაც ხარკვეთა, შუახაუკუნოვანი დასაჯ-
ლეთისთვის წინანდელი შეხედულება „დაბეჩიებულ“ ხელოვნებზე დღეს
შეკვლილია – მომარქსისტო გერმანელი მკვლევარიც კი გოთური ხანისთვის
ოსტატ-გალატოსის „მაღალ სასოგადოებრივ დაჯიკებაზე (Ansehen)“ დააბ-
რაკობს¹⁰⁷. თუმცა სრული ერთსულოვნება დამყარებული მიიჩნეო არ არის. საამისო
„განსოზილებანია“: განათლება, პროფესიული გაერთიანებება, დაჯიკება,
წარმომავლობა. მიუხედავად მასაღის შემაწეხებული სიმწირისა, ეცადოთ და
მიეყეოთ ამ თემებს.

რა შეიძლება ითქვას ქართველ გალატოსთა თუ გალატოსთუხეუქსთა
შესახებ? ჯერ ერთი, ნეკრი თხრობითი დოკუმენტები თუ ეპიგრაფიკული
წყაროები არ იძლეოა პირველთა და მეორეთა ისე ცხადღივ დაყოფის
შესაძლებლობას, როგორც ეს დასაჯეურ ქვეყნებში გვაქვს. სეეთი გამოინდო,
რომ „გალატოსთუხეუქსი“ სულ რამენჯერმეა ნახსენები, სოგ შემთხვეუქსიც
(ფარფხასივ, ჭობაფორისივ, სოგი სხეიც ქვემოთ იქნება მოყვანილი) რამე
განსახდრების გარეშე იხსენიება და მიოლოღდა ხაერაიული გერნება, რომ ეს
პირი სამუშაოების წარმმართველია. იქნებ ეს სწორედაც მათი განსხეეებული
სახელოვნების მანევენებული იეოს, მაგრამ ნეენ ეს დიღად ეერ დაგეუხმარება.
ეერც იმას ვიტეეოთ დასუსტებოთ, ვის რა ცოღნა მოეთხოვებოღა. ინგლისისხა-
თეის, მაგალითად, ასეთი სურათი მიოინშნება: XIII საუკუნეიდან მოიღებუელი,
მათ სკოლიღან იციან, დეღაენის გარდა, დათირური და ფრანგიული (XV საუ-
კუნეიდან უკანასკნელი აღარ ისწაელება) და ართმეტიო ხელმოღბის
უმრეაეუსად ოჯახში ითეისებდნენ, მათ შორის ხატეუს და კონსტრუქციებებს,
არქიტექტორები ყღობდნენ გეომეტრიასაც¹⁰⁸.

ნეენ ამის მსგაესი არაფერი ვიციოთ. სოგადად ვეწეოთ – ისიც გეიანი,
უპირატესად XVIII-XIX საუკუნეებიდან, – როგორ განისწაელებოდნენ ამო თუ იმ
ხელობას შემდგარი ემაწიღები. 8-10 (სხეულებრივად მსეზბეკი ხელობისა) ან
13 და მეტი წლის (მიიმე ხელობისას) ეაეებს მიაბარებდნენ ოსტატს, რომელთადაც
ისინი 3-10 წელი რნებოდნენ (სხეადასხეა ქალაქსა და ხელობაში ვეღაც
განსხეეებუელი ეოფილა). თან სწაელის ყასს არ იხდიდნენ, თეეცა ხეღმოკლე
ოსტატს ძღვენს მიართეეუდნენ ხოღმე. სწაელის დასრულებისას წარეღეინე-
ბოღა რამ ნამუშეუარი (ასეა ეფროპაშიც) ან ბარღებოღა გამოცდა, სოგჯერ
ოსტატის ფიციო შემტეიციკებული ნეენებაც კმაროღა¹⁰⁹.

რა თქმა უნდა, ეს სოგადეფი „მორნო“ საკუთრივ გალატოსსა თუ ხუროთ-
მოძღვარზე თითქმის არაფერს გეაგებინებს, უამისოდაც შეგეეღებოღა გეე-
თქეა, მათ თაეის საქმეს რომ შესწაეღიდნენ. ოღონდ როგორ მიეხედეო, მხო-
ლოდ ხელისმიერ ნეეეებსა და რამ წმინდა პრაქტიკულ ხერხებს (მაგალითად,
ნაგებობის დაკეაღეის, უმარტიეუსი პროპორციების და ა. შ.) აცნობდნენ მათ, თე
უფრო საფუქეღიან, სოგადსა ანდა პროფესიულ განათლებას სთაეალობდნენ.
პირღაბირი შეფეასება წინანდელ მშენებელთა ნასწაეღობის დონისა ეროიღა
გეაქეს და ისიც დამიკინებელია – ტბელი აბეხერისივ ბოლოკუბასიღისა და მის
ქესე ასე იტეეის: დიდი დოღის „დასეუზასა შინა ბოლოკუბასიღისი შეიღი მისი
იოღენე შეიწია, რომელ იეო უსწაეღელი და ერისეაცი ვითარცა მამა მისი...“.
არ ნანს, რა ეეეშირია ქეების დაწეობასა და უსწაეღეღობას შორის, ამასთან კო,
რა შუაშია აქ „ერისეაცი“? თეკი ეს სიტეეა „სამღღეღეღოსთან“ დამორსმორღენე
უნდა გეეიციოთ, ხომ არ ნიშნავს ეს დეოთსმეტეეელების არცოღნას? იქნებ ასეც

იყო. გამოთქმა „უსწავლელს“ კი ვერსად წაუგვალთ. ამიტომ ჯერ ვნახოთ, მოსდგამთ თუ არა გალატობთ წიგნიერება. ისევ მცირეოდენ გვიან მოწირობებს თუ დაეჯერდებით, აღბათ, დადებითი პასუხი გამოგვიყვია. სვეით სიერ უკვე ენახეთ XVII საუკუნის გასულის ორი ქვისმთლელის, პაპუას და აფრიამის მინაწერი, რომელსაც დიდი მწიგნობრული დახვეწილობა არ ეთქმის და სწორედ ამის გამო სარწმუნოდ გვიჩვენებს თვით არცთუ სწავლული მუშა ხალხის წიგნიერებას. რასაკვირველია, წერაკითხვას ის ქვისმჭრელნი თუ ქვისმქანდაკელებიც იყენებდნენ დაუფლებულნი, ვინც კედლებზე შედაწერილებს კეთილდენ – თუმცა კი შემომოტანილ წარწერაში ურბნისის ტაძრის აღდგენის შესახებ საგარეგნოადა აღნიშნული, აბითარ [დეკანოზმა] დაეწერო. ძალზე საგულისხმო იქნებოდა თვალის მიდევნება, ერთი თუ რამდენიმე ხელითაა გამოყვანილი შედაწერილები მრავალი წარწერით, მოსახსენიებლით აღბეჭდილ ტაძრებზე. თუ ხელწერა რამდენიმე გამოდგა (ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს „ლაპიდარული წარწერების“ ტომებს ში მოყვანილი გადმონახაზები), უფრო თვალნათელივი გახდებოდა, ერთი თუ მეტი წიგნიერი ადამიანი შედიოდა მშენებელთა გუნდში⁷⁶.

სუეთ ქოლადიერის ციხის გეგმები და თანდართული განმარტება ვახსენეთ. შემონახულია – ასევე განმარტებიანი – 1720 წელს შესრულებული გარეჯის წმ. დავითის ლავრის ორი (განუხორციელებელი) კოშკის ნახაზებიც. რასაკვირველია, განმარტებელნი თვითვე გამოიხაზავე-დამხატვანი არიან და ორსაც შემთხვევაში გამართულადაც წერენ⁷⁷. მაგრამ გვაქვს კი უფლება XVIII საუკუნის საბუთებით შუა საუკუნეებზე ვიმსჯელოთ? სულ თავშიც ვთქვით, რაკი სხვა გზა მაინც არაა, იძულებულნი ვართ – ვარაუდად! – ასეთ სერსს მივბრუნოთ. ეს მით უფრო დასაშეები ჩანს, რომ გეგმათა და ფასადების ხატვა, შუა საუკუნეების საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა. ჩვენ ხომ გვაქვს კიდევ გეგმა – ქოროღოს X საუკუნის ეკლესიის ცნობილ საქტიტორო გამოსახულებასზე, სადაც იგი მომგებელს ტაძრის სახების მაგიერად უჭირავს⁷⁸. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საქართველოში იცოდნენ მოცულობადი პროექტირებაც – მოდულების დამზადება (ურცლად ამ საკითხების შესახებ იხ. ქვემოთ, მეოთხე თავში).

ამის მეტი დანამდილებით კი არა, თუობითაც არაფერი ეიცოთ. სამწუხაროდ, ძველი საქართველოს სასწავლებლებზეც ნაწვეტ-ნაწვეტი ცნობების (გელათის აკადემია, XVIII საუკუნის სკოლები თბილისსა და თელავში) მეტი არაფერი გავიანია, რომ ამ კუთხით მაინც წარმოგვესახა, რა შეიძლებოდა შეესწავლა ბავშვობა-ყრმობაში წინანდელ ქართველს. კი ეიცოთ, რომ პირველდაწყებით სწავლას მღვდლები უძღვებოდნენ (ეს XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ასე იყო – ასე ისწავლა ანზანი, მაგალითად, პ. იოსელიანმა), ოღონდ ესეც ბევრს ვერაფერს გვშეულის. სოგად მოსაზრებად, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ პროექტების გარეშე, ვ. ბერიძის სიტყვისამებრ, „ვერ აშენდებოდა თუნდაც დიდი, მდიდრულად მოიქურთმებული ტაძრები, რომლებშიც ესთერიკური მხარე... არსებოდა“⁷⁹. გრაფიკული ოსტატობის გარკვეული ხარისხის გარეშე, აღბათ, ვერც საკმაოდ რთული არქიტექტურული იდეების „გადაადგილება“. გაცელა-გამოცელა მოხდებოდა. მაგალითად, ოშკის გეგმის „გადატანა“ ქუთაისში, თუ ტაოური ელემენტებისა, ვთქვათ, ალავერდში, დიდთადიანი კარიბჭეებისა კახეთიდან აფხაზეთში...⁸⁰ აქედან ვერ დავასკენით (რაც ასე აღელვებთ დასაჯულდ მეცნიერებს), ისინი მაინცდამაინც ვიტრუვიუსისა და ეველიდეს კითხულობდნენო (ეს არცაა საფიქრებელი), ასროყნებისა და გონებაბახელობის გარკვეულ სომას კი საამისო მეთოდების ფლობა ნამდვილად მოითხოვი.

არც მშენებელთა გაერთიანებებზე ვიცით იმდენი, რამდენიც გაგვიხარდებოდა. განსწავლულობისა არ იყოს, აქაც სენი მონაცემები XVIII საუკუნიდან მოდის და თუკი წინაურ მსჯელობისას არაფერი დაშავებულა ადრეულ ხანაზე მოგვიანოს „პროცირებით“, როდესაც საქმე ხელისათა თუ ხელოიანთა გაერთიანებასთან მიდგა, უფრო მეტი ცვლილება მოსალოდნელი, რადგან ფრიად არაერთგვაროვანია დროისმოყრი პირობები ადრექრისტიანული ხანით მოკიდებული ვიდრე XVII-XVIII საუკუნეებამდე. ამას კი აუცილებლად ქნებოდა სუბაელენა ფრანთა და წოდებათა ფარდობაზე, მათ შიდა თუ ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაზე.

XVII და XVIII საუკუნეებში, სულ ცოტა, თბილისსა და გორში, დასტურდება ხელოსანთა (ასევე ვაჭრებისა და მუშების) საზოგადოებები, რომელთაც ჯერ (არაბულად) „ასნაფი“, XVIII საუკუნის ბოლოდან კი (სპარსულად) „ამაქარი“ რქმევია. იყო ხუროების, გალატოსების, მხატვრების, მღებრების, ქვისთელელთა ასნაფ-პამქრებიც. მათ „უსტაბაშ“ პამქრის საქმეთა წარმართვა ევალებოდა. გალატოსთა უსტაბაში (არჩეული და ქალაქის მოურავის და მამასახლისის დამტიტლებული თუ მეფის დანიშნული) აგვირებდა წვერთა ურთიერთობას, (მაგალითად, დაეას), ამეარებდა წესრიგს, გარდაცვლილ წვერთა პამქრის ხარჯზე დაკრძალვის წათელით, გადასცემდა ხელისუფლებას გადასახადს, აშენებინებდა საერთო თანხით საზოგადოებრივ შენობებს (მაგალითად, ეკლე-სიას), აკურთხებდა მოწაფეს ოსტატად, თვალყურს ადევნებდა შეგარდების ქცევას, დადებული პირობების დაურღვევლობას, ერთი ოსტატისგან მეორესთან გადაუსვლელიობას, ზრუნავდა ხელობის სრულყოფილებითსთვის, ანაწილებდა სამუშაოს და თვალყურს ადევნებდა მის განხორციელებას, გადასცემდა სასამართლოს იმ დაეას, რომელიც „შინაურულად“ ეერ წყდებოდა და ჯარნიებს აწესებდა მუშტრის ვადამბრების, ერთმანეთის შეურაცხყოფის გამო და ა. შ. დამხმარებლად მას არჩეულივე „ახსაყალები“ (თუთრწვერები, ე. ი. ასაკოვანი) პეაედა, სახელმძღვანელოდ კი წესდება (ნაკლებად შემორჩენილი) პქონდა. პამქრებს-ასნაფებს პქონდათ დროშა და პეაედათ მფარველი წმინდანი („ჟირი“); ხუროებს – ნოე, გალატოსებს – წმ. იოსები. ზოგიერთი ნიშნით (მაგალითად, „უსტაბაშის“ აზრით XVII საუკუნეში ჯერ კიდევ „უსუცეხი“ იხმის) ასნაფ-პამქრები თუ ეგებ სხვა სახის გაერთიანებები ადრევე არსებულა¹⁷¹.

ეს ყოველივე ძალიან ჰგავს დასავლურ პამქრებს – უფლება-მოვალეობე-ბითაც, სტრუქტურითაც, საქმიანობის წესითაც; ჰგავს, სხვათა შორის, შვერა საგანგებო „სამაქარი სახლებში“ (ყოველ შემთხვევაში თუ ასეთი რამ არ პქონდათ, წესისამებრ უნდა პქონოდათ)¹⁷². ამას გარდა, ყოველ ოსტატს – ცხადია, ამის „შემძლეს“ – პქონდა თავისი „დუქანიც“¹⁷³, რომელსაც არ უნდა პქონოდა პამქრისთვის ისეთივე მნიშვნელობა, როგორც Lodge-სა და Hütte-ს ეუროპაში¹⁷⁴. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს სხვაობა საერთოდ არ არის. პირველ ყოვლისა, ნევენბური პამქარი არერთგვაროვანია ეროვნულად და, აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ვითარებაში, აღმსარებლობით-სარწმუნოებრივადაც, ამო-ტომ მას ნაკლებად პქონდა რელიგიური სამშოს ხასიათი, ვიდრე აღმოსავლურ ასნაფს და (თუმცა საერთო „სადეთო სუფრაც“ პქონდათ) ისეთი სარწმუნოებ-რივი ერთიანობა, როგორც დასავლურს¹⁷⁵.

უნდა ყოფილიყო სხვა განმასხვავებლებიც – მაგალითად, ქალაქის ნაკლები წილობისას ქვეყნის ცხოვრებაში პამქარი, ალბათ, იმდენად, წარმმართველ-გეზისმიმცემი ეერ იქნებოდა, როგორც დასავლეთში. მაგალითად, პქონდათ



ბარაკონის მამულებელ აეთანდღე შელაერულს ან ღუნსუქის მცხეთის ამგებ
ნახციდა ქართლელს გამოვლილი კამქრული „სკოლა“? და თუ არა (წოდებას
არ უხევენებენ), რაღა მინცკდამინც მათ იწვევენ დიხს გაღმა? ან ქალაქელია
გორულის უკვე დამოწმებული ოსტატი პაპია, ასე კარანოდულად რომ
შესთხოვს მოხსენიებას „ამათა და დათ“? ან იქნებ ის სოფელიანაა წახელი და
უკან დაბრუნებული, როგორც თქნდაც ერთი გორელი მექელამნი¹⁸⁰.

ვის იტყვის, რა რას აპირებებს, მაგრამ იმავე გვიან საუკუნეებში „ოსტატების“
მიმართ გამოკეთილი სასოგადოებრივი პარტიციპატი გამოხატება. ბევრი
არაყურია, თუ მათ, ოდესღაც მშენებლობის მონაწილეებს, სახამართლო ახრს
ეკითხება – როგორც ხარგისა გალატოსს უხმეს მოწმედ გვივი ამოლახერისეულ
სახახელესუ დავის გარნევისას, ზურაბ და ვახუშტი აბაშიძეებთან, შანშე
ერისთავთან, ჯვარის მამა ონოფრეხთან, ანხისხატის დეკანოზს დაეითთან და
ერასტი მდივანბევის ოჯახის წევრებთან ერთად¹⁸¹. მაგრამ უთუოდ ნდობის
გამოცხადება, როდესაც მეფე ხარაიდრებთან ერთად გალატოსებსაც მია-
ვლენს შერობის მდგომარეობის შესამოწმებლად, როგორც უკვე მოყვანილ
ერეკლე II-ის 1796 წლის წერილში ენახეთ. ანდა, უფრო ადრე 1789 წლის
II მისხს მეტეხის გალაქანთან მცხოვრებთა ხაჩიერის პახუხად – მის აგებას
ვერ გაწველებითი, – მეფე განკარგულებას ვახცემს მელიქ ავერეთს – „შენ უნდა
გახეიდე მეტეხში, კალატოსებიც უნდა გაახსა, იმ დაცქულს ბურჯს რაც
ხარჯი მოუნდება, სწორე უნდა შეიტყოს და მოგვასხენი“¹⁸². ნამდვიდ აქსპერ-
ტიზად გამოდიან გალატოსების უსტაბაში დაეით, გალატოსები დაეით ოტია-
შივილი და გოგია და ორი სურო (ამათგან ერთი – უსტაბაში; სხვათა შორის,
ეველა წერაკითხვის მცოდნეა) თბილისში გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემ-
ლის მონასტრის მეტოქისა და სოლომონ მდივანბევის დავის გარნევისას
არსებითად, ისინი წვეკერენ, დაირღვა თუ არა გარეჯელი ბერების „უფუდე-
ბები“¹⁸³. ასეთივე „ექსპერტული“ დახმარება სთხოვა, იოანე ბატონიშვილის
დავალებით, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მდივან ნამყოფმა ნაწილარ
თუშინაშვილმა 1808 წელს გარეჯის წმ. დაეითის ღავერის გაღონის მდგო-
მარეობის დასადგენად გალატოსების უსტაბაში გოგია კოტორაშივილი¹⁸⁴.

წყენს მიერ დამოწმებულ (სხვაშიც) ევროპულ გამოკვლევებში ხახგასით
საუბრობენ (ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში) ოსტატ-ხურთო-
მომღვართა დიდ დაფახებაზე. რაოდენობრივად – ქვეყანაც უფრო პატარა გაეკეს
და წყაროების რაოდენობაც უკვე ითქვა, რომ არათანაზომილია, – წვენ ევროპის
ქვეყნებს ვერ გაეყვადობოთ. მაგრამ ბახისი ზარზმელისა და გიორგი მტრე-
ულეს ზეეით მოტანილ ნაწვევებში საკმარისად უნდა ჩანდეს ხელოვნების
პარტიკულა. გაეიხსენოთ კიდევ ერთხელ – ზარზმას „კულონებით განთქმულ“
კაცს იწვევენ¹⁸⁵, ხოლო ხანათის წმ. გიორგის „ახალ“ კელეხიას „უყოფლითა
სიბრძნით“ განახრულებს ამონა, აშკარად ხუროთმოძღვრად სავგადარებული.
წმინდა ბერთა „ცხირებებში“ ასეთი განახზღვრებების გამოჩენა გარკვეულ,
ფესხვადგულ შეხედულება-შეფასების არსებობას უნდა მოწმობეს.

იმავე წიგნებში ხელოვან-„გალატოსთუხუცესთადმი“ დამოკიდებულების
ერთ-ერთ გამოვლინებად, სამართლიანადაც, წარწერებში მათი სახელების
წართვაა მინეული. იქ ასეთი XII საუკუნიდან მოიპოვება¹⁸⁶, წვენთან კი ძახვე
X საუკუნიდან ეხედავთ. ეს შეიძლება დიდად მანევენბელიც არ იყოს – წინა-
მორბედი ხანიდან ხომ სამშენებლო წარწერებიც თითებზე წამოსათვლილი
გეაქვს. წვენ მათი საკმაოდ ბევრი ნიმუში უკვე მოყვანილი, ამასთან კი



სურ. 43.
სვეტიცხოელის
ტაძარი.
სამშენებლო წარწერა
ადმოსავლეთ
ფასადზე


შეგნებულად გამოვტოვეთ რამდენიმე, თან ძალიან ცნობილიც. ხაქმე ისაა, რომ ბიზანტიაში, ჩვენს უშუალო მეზობელ სახელმწიფოში, რომელიც, ჩვენთვისაც და, გარკვეულწილად მაინც, მთელი საქრისტიანოსთვის საუკუნების მანძილზე სამაგალითო რჩებოდა, გალატოხა ხსენება გვიანბიზანტიურ ხანაშიდა მრავლდება. ამის მიხედვით რ. ოსტერლოტი საბუთებისა და წარწერების უკეთეს დაცულობას ახახელებს, თან კი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ – იხვეე, როგორც ეს საბერძნეთის მოხატულობათა მიმართ ს. კალაპისი-ვერტიმ ჩათვალა, – ზედაწერილებში მათი მოხსენება მაშინ ხდება, თუკი ისინი სოციალურად დამკვეთს დიდად არ ჩაორრებიან¹⁸⁷

საქართველოზე ეს დასკვნა, როგორც ჩანს, არ გადმოიტანება. ვნახით ეს „უგულუბელუოფილი“ წარწერები: კუმურდოს ტაძრის სამხრეთი კარის, 964 წლისა – „შეწვენითა ღმრთისათა თიუანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისა, ჴელითა ჩემ ცოდეილისა საკოცრისათა, ლეონ მეფისა ზს – აიდეუნ ღმერთმან. ქრნიკონხა რძდ, თუესა მასხსა დღესა შოფათსა, ახად მოუარისასა, ერისთავობასა ჴუიასასა ესე ბალაყარი მუნ დაიდვა. ქრისტე შექწე მონასა შენსა. ამწ¹⁸⁸; ბ. მცხეთა, სვეტიცხოველი – ჩვენ ჴევით ვნახეთ ხუროთმოძღვარ არსუკისძის „საკუთარი“ წარწერა ნრდილოეთ კედელზე; მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია საკურთხეულის ფასადის ჴედაწერილი: „აიდეუნ ღმერთმან ქრისტეს მიერ მეღქმედეკ ქართლისა კათალიკოზი. ადღშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა გლაზაკისა მონისა მათისა არსუკისძისათა, ღმერთმან გარეჴეკონს სულსა მისსა“¹⁸⁹ (სურ. 42, 43). გ. ახლა, ახე ვიქვით, „მეფის

კათედრალის", ქუთაისის მიძინების, ე. წ. „ბაგრატის ტაძრის“ ერთ-ერთ წარწერასაც შეეხედეთ, ამკარად უმთავრესს, აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილს: „ქ შუწვენითა ღმრთისათა, ბაგრატისაგან – ნებთა ღმრთისათა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა გუარანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმიდაი ესე საყდარი, კელითა... აღბათ, ნებისმიერი ადამიანი შეიგრძნობს უკანასკნელი წარწერის დრამატულ, თუ არა ტრაგიკულ, ბოლონაკლებობას: დინჯი, თანაბარი თხრობა, რომელიც ხუროთმოძღვრის სახელით უნდა დაბოლოებულიყო, უეცრად წდება და სამუდამოდ გაქცევა ხელიდან შესაძლებლობა ვინაობა მანც; შევიტყუთ (რაც ყოველთვის ერთგვარი ხიანდოვის გრძნობას წარმოშობს) დიდებული ეკლესიის დინჯიერი შემოქმედისა. იგი, ამასთან, მომგებულ ხელშეწყობა რიგში, მათთან, არსებობდა, გათანაბრებით ნახს მოქცეული. კუმურდოს წარმოდგენილი წარწერა პირდაპირ ხუროთმოძღვრისა – იგი თავად, პირველ პირში მოგვმართავს და ისევე – დიდი იერარქის, მეფისა და ერისთავის მწკრივში. არც ისა დასაფიქვი, რომ რაღვან ტაძრის შიგნით დეონ აფხაზთა მეფის და გუარანდუხტ დედოფალია გამოკვეთილი და, აღბათ, თვით დეონიც, უნდა ვიფიქროთ, რომ შმენებლობაში მათი რაღაც წილი იქნებოდა. საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთი ფასადის (სურ. 44) ორ წარწერათაგან ერთში იოვანე უბისკობისი „მამენებლად“ მხილობითშია სახელდებული, მაგრამ იქვე, მეორე წარწერაში უკვე „ყოველინი

სურ. 44.
კუმურდოს ტაძარი





სურ. 45.
აერული აქოლისის
წარწერაინ
საფლავის ქვა
მცხეთიდან

მაშენებელნი“ და ვინმე „გლახაკი გიორგი“ ჩნდებიან¹⁹¹. ასე რომ, საყოცარი ფრიად „საპატრიო“ საზოგადოებაში წარმოგვიდგება. სექტორცხოვლის წარწერაში არსუკისძეს „გლახაკი მონა“ კი უწოდეს, მაგრამ მისი სახელი კათალიკოსის გვერდით, მთავარ ფასადზე, თან ბევრად ვრცელი ტექსტით ჩნდება, თანაცვე გარდაცვლილია და თუ არა სხვათა – იმავე კათალიკოსის, – სურვილი, ასე სახეიმოდ წარდგენილი არ იქნებოდა. ეთქვათ, საყოცარი რაიმეგვარად ეპისკოპოსს გაუთანაბრდა, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ოსტატი სოციალურად კათალიკოსის და, მით უმეტეს, მეფის სწორად რომ ჩათვლილიყო? ეს იმდენად ძნელი წარმოსადგენია, რომ აწონ-დაწონადაც არ დის.

ისღა დაგვრჩენია, ჯერჯერობით მარტივად ეთქვათ: ეტყობა, ჩვენში გალატოსთუხუცეს-ხუროთმოძღვართ მეტად სცემდნენ პატევს, ეიდრე კონსტანტინოპოლელ ხელმწიფეთა საბრძანისში. ამ კუთხით არც კიდევ ერთი ოშკური წარწერის გამოტოვება იქნება. სამხრეთ ფასადზე, შუა სარკმლის ქვეშ წერთ: „წმიდაო სამებაო, ადიდენ შენ მიერ გვრგვოსანნი მეფენი ბასილი და კონსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურეთა ტაძარი ესე დმრთისად მონაზნობასა გრიგოლისსა და დავითისსა. ქრისტე, შეიწყალე მონაა შენი გრიგოლ და წყალობით მოისხენე გალატოზი იესე“ აქ ხსენებული „მეფენი

ბასილი და კონსტანტი“ არიან ბიზანტიის იმპერატორები ბასილი II (967-1025) და კონსტანტინე VII (1025-1028), რომელთაც ეყრათ ტაოს ეს ნაწილი¹⁹². როგორც ვხედავთ, ტაძარზე კრამიტის სახურავის მომწყობი იესე ჩვენში თვით „ბერძენთა“ კეისრებს ამოუყენეს გვერდში და, ეტყობა, სულ არ ინალკვებს, „ახალ რომში“ ამას თუ ვინმე ურიგობად წამოართმევდა.

ძალზე საგულისხმო იქნებოდა, პირობითად თუ ვიტყვი, „სამინო“, სხვათათვის წასაკითხად განკუთვნილი და „სათავისო“, თითქოსდა ხელნაწერების ოლქებზე მინაწერივით, ტაძრის საფასადო ელემენტთა საგულეებელ სემანტიკასთან დაუკავშირებელი, მასთან ერთობით „არწასაკითხი“ წარწერები განგვერჩია. გამოსაჩენ ადგილზე განთავსებული, იოლად გახარევი ტექსტი საზოგადოებრივად უფრო ფასეული რომ იქნებოდა, a priori შეგვეკიდო გვეყარაუდებინა. საბედნიეროდ, იმის დამამტკიცებელი საბუთიც გვაქვს, რომ წარწერებს არათუ კითხულობდნენ, სამართლებრივ მნიშვნელობასაც აძლევდნენ. ერთი გახლავთ XVIII საუკუნის მინაწერი XIII საუკუნის ბურჯულთა დაწერილზე: „ქ მღვიმეს [ე. ი. შიომღვიმეს, დ. თ.] რომ კრებულნი ბერები რომ წასულან და ბტიტებს საყდარი აუშენებიათ, ის კრებულნი ამაშიგან სწერიან, იქ რომ სახელები სწერია საყდარსედა, ისინი არიან ეს კრებულნი“¹⁹³. როგორც

გაირკვა, წინანდელი „ბჭიტები“ თუ „ბჭითი“ ახლანდელი სოფელი ქარიაქია, სადაც XIII საუკუნის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე აწერია: „უფალო ღმერთო, შეიწყალენ სულთა ბასილი მეგდეიმე და ძმიი მისი და შუენდჳენ დედანსა და მამასა“, სამხრეთ კედელსა და გაფანტულ ქვებზე კი იხივება ოიგანეს, მიქაელის, პავლესა და კვირიკეს სახელები. ნახსენებ პირთა ნაწილი ამა თუ სხვა შიომღვიმურ საბუთებში იხებნება¹⁹⁴ და, ამდენად, ეკესტარეშეა, რომ მაშინდელი ქართველთა ნაწერსა და ნაკეთს ერთმანეთს აჯერებდნენ და შენობის სუდაწერილი „თავისთავს“, უქმი და ფუჭი სამკაული როდი ყოფილა.

არსებობს ასეთი საბუთიც, როგორც ეტყობა, თბილისის მთაწმინდის მონასტრის შესახებ: „...თისათა ჩუენ ორთა მონასონთა ქელეკავით უდაბნოსა ამის, მცირისა ამის აღშენებად, ქრისტეს მიერ კურთხეულისა ქართლისა ქათალიკოსისა ნიკოლოზისა და ტფილელის იოანესა ნება-ღარეთითა, აღუაშენეთ უდაბნო, რომელსა ეწოდების მთაწმინდა, საყოფელი ყოვლად წმიდისა, და ღირს ვიქმნენით ჩუენ, დაეით და ნიკოლოზ, აღუაშენეთ ხაყდარი სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა, ღთის მშობელისა და შვეწირეთ ორსა ხრამსა შუა უდაბნოსა ბაღი ვიდრე შარამდის. არა ეისი რა სასარდლო იყო, არც ეინ შეცილოს მეუდაბნოეთა. კქონდეს უცვალებლად ესე უდაბნოსა. ქეახედ ეწერა, ვლასქემან იოანე (ი'ე) გადმოესწერე. შენდობა იყვენ: კქი ნიკოლოზ, ქქს: ხლ: [1542 წელი]¹⁹⁵. ამ შემთხვევაშიც ქეაზე ნაკეთი საკუთრების დამატურებელ დოკუმენტადაა ჩაგდებული.

არის სხვაგვარი მაგალითებიც, ზემოთ მოიქნათ აბულის ეკლესიის გუჩან გალატოსის წარწერა – ის იხე მაღლა არის მოთავსებული, რომ არსებობდა არ ამოიკითხება. ამნაირივე „მინაწერთაგანი“ უნდა იყოს ბარაღეთის ეკლესიის XIII საუკუნის დასაწყისის წარწერა: „აღუშენა ეკლესია ესე მათ ვამსა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა, აღიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებთა შინა...“¹⁹⁶. მეყის „ლაშად“ ხსენება „ოფიციალურ“, საბუთისგვარ სუდაწერილში, ალბათ, მისაღებ ვერ იქნებოდა, ეს, თითქოსდა, უფრო „ეკრძო“ ჩანასწობა, არა აღმდენა „სახსვისო“, რამდენადაც „სათავისო“. ამდაგვარივეა წრომის ცნობილი წარწერა, რომლისაც ამჟამად ორი წაკითხვა გვაქვს (თ. უორდანია და გ. ჩუბინაშვილი კითხულობდნენ: „წმიდაო ეკლესიაო, სტეფანოს უპატოსი /უბატოსი/ შეიწყალე“; ნ. შოშიაშვილი კი გუთავაზობს: „წმიდაო ეკლესიაო სტეფანოს-გაბაი /გაბარაი? გარბანელი?/ შეიწყალე“)¹⁹⁷ – თუ არ იცი, აქ რამ თუ წერია, მას ვერც კი შენიშნავ. თუ ეპიგრაფიკა ამ კუთხითაც იქნება შესწავლილი, უფრო დაფურცლებულია და ეცინახათ სხვადასხვა დროსა თუ კუთხეში ხუროთმოძღვრის სასოგადოებრივ ადგილსაც.

მასთანავეა კავშირში კიდევ ერთი „იდემალი“ ამბავიც. ზვეთი ვახსენეთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილს „სარაიდარი“ „ხუროთმოძღვრის“ შესატყვისად მსაქეს, მაგრამ ეს ერთ-ერთია მთელ წყება სახელდებებში, რომლებითაც როსტომ მეფემ XVII საუკუნის შუა ხანაში ძველი ქართული სამოხელე თანამდებობების სახელწოდებები ჩაანაცვლა. ასე რომ, „ხუროთმოძღვარ“-სარაიდარიც¹⁹⁸ სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელე იყო. ძალიან ცოტა რამ ვიცით ჩვენ მის უფლებამოვალეობათა შესახებ. არსებობდა იმასაც კი ვერ ვიტყვით, როდის წნდება ეს „საქველო“, თუმცა მისი დიდი სიძველე საერაუდოა. რაღაც ამის მსგავსი უნდა ყოფილიყო III-IV საუკუნეთა ცნობილი მცხეთური ბერძნული წარწერის (სურ. 45). ხუროთმოძღვარი და მხატვართუხუცესი“ ავერელი აქოლისი¹⁹⁸. ამის შემდგომ, 700 წლის მერე, ფოკას ეკლესიის ერთ-ერთ სუდაწერილთაგანში

ჩნდება „მიქელ ქართლისა ბქსალარი“¹⁹⁹. ეს ხიტყვის ყველა აზრით „ქარაგმა“ ი. და ზ. გაგოშიძეებმა გონებამახვილად და დამარწმუნებლად გახსნეს როგორც „ბანაქარსალარი“, რაც „ხუროთმოძღვართუხუცესს“ უნდა ნიშნავდეს²⁰⁰. ოღონდ ერთიცა და მეორე წარწერაც სახელწოდების შეტს არაფერს გვაწვდის. ვახუშტი ბატონიშვილის საკმაოდ ზუსტი მითითება: მეფის ხუროთმოძღვრის „...კელისა იყო სრულიად კელოსანნი და შენობა – სასახლეთა და ეკლესიათა, კიდეა, ფუნდუკთა...“²⁰¹, მაინც ვერ გვეუბნება, „სუდამდგომლობს“ იგი თუ თვითონ აშენებ-აპროექტებს, ვერ მიგვახვედრებს ბოლომდე, თუ რას საქმიანობდა ქართლის (ხოლო ერთიანობა, XII-XV საუკუნეებში – „სრულიად საქართველოს“) „მთავარი არქიტექტორი“. დასავლეთ ევროპაში – ინგლისსა და საფრანგეთში 1255 წლის ახლოს საბოლოოდ გამოინაკეთა მსგავსი თანამდებობები და სამსახურები, რომელნიც მთელი სახელმწიფოს მშენებლობას განაგებდნენ, თან კი კარის ხუროთმოძღვარნი შემოქმედ-დამგვეგზარებელნიც არიან²⁰². არაფერი გვიშლის ხელს საქართველოშიც მსგავსი რამ წარმოვიხახოთ, მაგრამ სუბიექტური დარწმუნებულობა-დაურწმუნებლობის იქით ეს ბევრს არაფერს მოგვტანს.

სხვათა შორის, შუა საუკუნეებში თითქოსდა ერთხელ, სარზმის მოხატულობის განმარტებით წარწერაში გაერთება „მხატვართუხუცესიც“. ეს მხატვრობა საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა თავსატეხებით, თუმცა ჩვენთვის ამჟამად სულერთია, რა დროისაა იგი ან მართლაც თუ ატარებდა ამ წოდებას ჯაყელთა ძლევაამოსილი საგვარეულოს რომელიმე წევრი²⁰³. თავი და თავი ისაა, რომ აერელი აქოლისის შერე, სულ ცოტა, 1000 წლის შემდეგ მას იცნობს საქართველო, მეორე მხრივ კი, ჩვენ არც ამ მოხელის ვალდებულებებზე ვუწყით რაიმე²⁰⁴. ვიცით კიდევ „მეფის მხატვარი“ თევდორე, ალბათ, გიორგი II-ის დაწინაურებული, რომელიც რატომღაც 1090-იანი წლებიდან ვიდრე 1130 წლამდე სენათშია – ყოველ შემთხვევაში, იქ სამ ეკლესიას ხატავს. რას აკეთებს ის შუალედებში, ან რა ვალდებულება აქვს სამეფო კარის წინაშე? ერთადერთ დასკვნასა გამოიტანს კაცი – რომ მშენებლობაცა და მხატვრობაც ოდინდელ საქართველოში, ვაკრეულწილად მაინც, სახელმწიფოს სასრუნავი იყო.

ახლავე უნდა უცადლოდ გამოვეხმაუროთ ერთ საკითხს, რაც, ერთ დროს მაინც, დიდად აღვლევებდა დასავლელ მკვლევართ – სასულიერო პირთა წილისა და ღვაწლის შესახებ ხუროთმოძღვრებაში. დამახასიათებელია: ინგლისელები ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, რომ სამღვდელეობას არქიტექტურისთვის ბერი არაფერი, ან სულაც არაა გაუკეთება – ფ. ბ. ენდრიუსიცა და ჯ. პარევიც ირწმუნებიან, რომ ბერი-ქიითხუროები XII საუკუნემდე თუ ჩანან. ამათგან პირველი იტყვის, მანამდე, ვიდრე ნამუშავეთ ტლანქი არისო, ან იმ შემთხვევაში, თუ ბერებმა გალატროზობა მონასტერში მისულამდე ისწავლესო, მეორე კი (ის იმ ერთადერთ სახელგანთქმულ ხუროთმოძღვარ ეპისკოპოსს, უილიამ ეიქპემელსაც ზემდგომელად ხედავს) გვეუბნება, რომ 1050-დან 1550 წლამდე ცნობილ 1200 ოსტატში სასულიერო პირი სულ 18-იოდე, ხოლო ნამდვილად ხელოვანი – ოთხად-ოთხია²⁰⁵. გერმანელი მეცნიერი მიახლოებით ამასვე კი ამბობს, ოღონდ აუღვლეველად – გოთურ ხანაშდე ანტიკური გამოცდილება საფანეთა კედლებში ინახებოდა და მერეღა გადაიდის ქაღალქელთა ხელში²⁰⁶. პირუკუ, ა. დამუ კოლომბიეს ძალიანაც სჯერა სამღვდელთა გალატროზ-გალატროზთუხუცესების არსებობა, რომანულ ხანაშიცა და გოთურშიც²⁰⁷. ძნელია აზრთა ეს სხვადასხვაობა ოდინდელ აღმსარებლობით დაიბრისპირებას არ დაეუკავშიროთ პარტესტანტები თუ


„ნაპროტესტანტალი“ მეცნიერები ბერობას ეერ გუოპენ, კათოლიკე პირიქით... გულმშვიდად წამოგვიდგინის ბიზანტიის ისტორიაში მიგნებულ ღვთისმსახურ-სურთომოდღვართ რ. ოსტერპოტი - მათ შორის კი თვით ათონის წმინდა მთის „ბერთა რესპუბლიკის“ დამამკვიდრებელი, წმ. ათანასე ათონელია“²⁰.

წვენი ქვეყანა, როგორც მოსალოდნელია, მაშენებელ ერისკაცთა და სახელმწიფო პირთა თანაყოფის სურათს იძლევა. ზევით მაინც, წვენ სულ მსოფლიოთი ენახეთ - მათი სახელებიც კი, სოფლები გეორასახელების თუ სადაურობის ად-ნიშნის მინამეგანის (არსუკისძე, ჭიჭაფორისძე, ყარაზასძე, შუარტყელაძე) ან კიდევ ძველ-წარმართული (გუზან) ანდა სულაც „ხედმეტსახელოდ მქალერი (ფოცხბერი)“²¹ აშკარად საყრობისაა. ბურად შედგომამდე უნდა შეესწავლა გალატოზობა - ბრიტანელ მეცნიერთა ამ წუთს მოტანილი დებულების თანახმად თითქოს, - ზარზმის პირველი ეკლესიის მშენებლობის თავად დადგინდ გარ-ბანელსაც²² - აკი ვიცით, რომ მას „მოკანი“ ეს-ესაა შეეშობა. ზოგი რამ - კვლავ ევროპელთა აზრის დასტურად²³, - მართლაც გაიქვრებინებს, ბერები საშენებლად ხელს მაშინ გამოიღებდნენ, როდესაც მშველელი და ხელმწიფობი არ ჰყავდათო. ასეა ხანცთაში - ბერები თითონ აგებენ ხის ეკლესიას და სატრაპეზო-სენაკებს, მერე კი, ხელის გამმართველად გაბრიელ ღაფანსელი რომ გამოინდებდა, ასპარეზს „პროფესიონალებს“ უთმობენ.

უფრო ადრე მსგავსი რამე გარეჯშიც მომხდარა. პირველ ხანებში, როდესაც „ყოვლით კერძო მორბოდეს [მისი ამბის გამგონენი, დ. თ.] წინაშე წმიდისა და დიოთისსა და ევედრებოდეს, რაფთა ღირს ერეს ყოფად იგინი წინაშე მისხა... და ვითარ ვერ დარწმუნა წვასვლად, დ. თ.], პრქუა მათ [წმ. დავითმა, დ. თ.]: „...წარვედით და მოიხუენით სათხარნი და თხარენით ლაკუანი ხაწყლენი და ქუაბიცა საყოფელად თქვენდა“. გამოხდა ხანი და „შეიკრბა სიმრავლე სხუათაცა ძმათა და პრქუა დავით მამასა დოდოს: „წარვედ, ძმაო, რქასა ამის კლდისასა, რომელ არს პირისპირ წუენსა, და წარტანენ თანა სხუანიცა ძმანი...“ და ერსდა ბრძანებასა მისსა წმიდა დოდო და წარვიდა და აღაშენა უდაბნოს იგი სახელებსა ზნდა ყოვლად წმინდა დედოფლისა წუენისა ღმრთის მშობელისასა“, მაგრამ ამის მერე, „...ვითარცა ნათელს-ილო ბუბაქარ, კუალად მოვიდა წინაშე წმიდისა დავითისსა...და თანა მიატანნა სათხარნი და მუშაკნი და შეუქნა ეკლესია სალოცველად ძმათა...“²⁴.

ხანძთის „ახალი“ ეკლესიის განმასრულებელი ამონა არ უნდა იყოს ბერი - მშენებლობა მონასტერში წარმოებს, სახელიც ძველთაგან ბერულია... მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, გიორგი მერსულე მას, უთუოდ, „მამად“ მოიხსენებდა. ასე რომ, ისიც მოწვეული, „გარედან“ მოყვანილ ერისკაცად უნდა ეიგულეოთ“²⁵.

ამასთან, ისეთი მოწმობანიც მოგვეძებება, სადაც „პროფესიონალი“ სწორედ რომ ღვთისმსახურია. მაგალითად, დღევანდელი შახმარლოს (სურტაკეტი) კარის ბალაგარზე წერია: „ქ. სახელითა ღმრთისათა აშენდა ესე ეკლესია ცვლითა გლახაკისა სიმონ მდდლისა სალოცველად წმიდისა დავით მეფისა და შვილთა მათთა. დაიდვა წმიდა ბადავით დავით მეფისა ცოფეთა შესანდობელად“. დავით მეფე ტაშირ-პორაგეტის კვირიკიან მკერობელთაგანა და წარწერაც X-XI საუკუნეების მიჯნისაა. სოფელ ბეშთაშენის (თრიალეთი) გამქრალი ეკლესიის ქვაზე ეკითხულბთ: „ქ. ღმრთისა მშობლისა და ნათლისა მცემლისა მყო-ხებითა ესე ეკლესია იშრომა ცვლითა ნემითა თავის ძისა მოლაზონისათა გლა-ხაკისა და მშიერისათა“²⁶. ამ კუთხეშივე, სოფელ იმურაში კიდევ ერთი, იმავე ხანის, იმდგავარადვე განადგურებული შენობიდან გადმონარჩუნებულ ქვაზე



წარწერილია: „სახელითა ღმრთისათა აფაშენეთ ხელარი ესე სეობასა, ადი-
ლენ ღმერთიან, ლიპარიტ ერისთავთ ერისთავისა ჳელითა გიორგი ხეცისა...“²¹⁵.

ქვემო ქართლშივე, მანგლისში ბევრად გვიან, 1667 წლის წარწერა იძლევა, ასევე რაღაც დაკარგული ნაგებობის (სამრეკლსი?), შემდეგი საკვირველი წინაარსისა: „ღმერთო, შეიწყალე ამისი ამშენებელი მანგლელი ყვისკოპოსი არსენ ოსტატი...“²¹⁶. „ვისკოპოსთან“ „ოსტატის“ შესიტყვება მართლაც არ უნდა იყოს ჩვეულებრივი რამ. მაგრამ ეს ერთი მხრით, მეორეკერძო კი უარაუღმა, რომ სახელთან „ჳელის“ დაუღლება რისამე მკეთებელ-შემქმნელზე მიგვანიშნებს, შეიძლება კიდევ რამდენიმე მღვდელმთავარ-გალატოსზე გვაპოინოს. იქნებ ამას ნიშნავს შემოთბინილი ცნობა ბანას ტაძრის შესახებ აღარნახემ „აღაშენა... ჳელითა კეროკე ბანელისათა“-ო? ისევე ქვემო ქართლში, კიანეთში, მონუქუთმებულ იმარსტზე ასეთი რამაა ამოკვეთილი: „აიყო წმიდა ესე ეკლესიაჲ ჳელითა მიქაელ ეპისკოპოსისაჲთა“²¹⁷ წვეწვ კეროკელ თანამისაქმეთაგან განსხვავებით, წვენ მცირეოდენი იმედის კი არ გვაქვს, ოღესმე შევიტყუთ, ეს მღვდელმთავრები ხელისანთაგან აღსვენდნენ თუ ქვისხეობითა მონასტერში ან კიდევ სხვა რამ გზით შეითვისეს.

კიდევ ერთი, ახლა უკვე წმინდა ბერი, სერაპიონ სარსმელი ხეროდ თავად ძავთვარაფოსმა წარმოგვიდგინა. წვენ უკვე ვნახეთ, რომ მას საკუთარი ხელით ხის ჯერები გაუკეთებია. სხეუგან ასეთი რამ გვექვენება: ადგილას, რომელსაც „ბაკოსა“ ეახსენენ, წმ. სერაპიონმა „...აიღო ჳელითა თვისითა ოროთუო რკინისაჲ და გამოაქანდაკანა ჯურნალი ღოდთა რათმე სედა დიდ-დიდთა, რომელნი-თაი იხილუებთან ვიარე დღეგრანდელად დღემდე“²¹⁸. ამ ორზე მეტად კი მეცნიერთა გულისყური იმ ეპისოდმა მიიპყრო, სადაც ოპიზად ნახულ წმ. სერაპიონსე ითქმის: იგიო „...იხილუებოდა მღვდმარედ ხეობითა თანა საეკლესიითა, რამეთუ იყო სხუთავე თანა სათნოებათა მეცნიერ სჯულთა საეკლესიითა და ყრიად შემეკულ წესითა სუცობისათა“²¹⁹ შეიძლება აქედან გამოვიყვანოთ, რომ ის ხუროთმოძღვარიც იყო²²⁰ თუ ასეა, უცნაური არაა, რომ ის საკუთარი საგანის ტაძარს არ აშენებს და მთლიანად სხეებს ანდობს მას? კიდევაც ეს რომ მიეცე-
ლულობით ავხსნათ²²¹, იქნებ საქმე სხვაა შეიძლება გაიხსენით, როგორ განსაზღვრავს „გალატოსობას“ და „ხეობობას“ ხელსაზ-ნაბა ორბელიანი: „გალატოსი – ეკლდის მდგმელი“, „ხეობი – მოღელი“²²². ხომ არ არის წმ. სერაპიონი სწორედ „მოღელი“, ხისა თუ ქვის დამმუშავებელი. მაგრამ არა „მდგმელი“ და „ამაშენებელი“? ასეა თუ ისე, ორსავე შემთხვევაში წმ. ბერი მასინ „ოსტატო“ გამოდის, ისევე როგორც 1000 თუ 900 წლის მერე არსენი მანგლელი.

ამგვარად, შუა საუკუნეების მანიძლზე გაბმულად ვხედავთ გალატოს თუ ხეობი მღვდლებს, ბერებს, თეით ეპისკოპოსებსაც კი. აი, გვივარაფოელი სასღვრები კი თითქოსდა მოინიშნება სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. შეიძლება გუფარხეინად ასეთი დასკვნაც გამოგვეტანა, რომ არა კიდევ ერთი სავარაუდო ხელოვანი-მღვდელმსახური, სულ ცოტა კი ქრეტორი საქართველოს ეკლესიის ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრალისა და ქართული ხუროთმოძღვრების ერთი უცნობილესი ქმნილების, სამთავისის მაცხოვრის ტაძრისა (სურ. 46). მის ცნობილ სამშენებლო წარწერაში ეკითხუ-
ლობთ: „იღარიონ სამთავნელ ეპისკოპოსმან აღაშენა ტაძარი ესე დასაბამით-
ბარაკონის ეკლესია




სურ. 106.
კერამიკული
ფილა ოხრიდიდან
ნაროეკსიანი
სამწიფიანი
ბასილიკის გუმბათის
გამოსახულებით

სურ. 107.
კერამიკული
ფილა ოხრიდიდან
ტერაკონქის გუმბათის
გამოსახულებით

ნაწილია) გალატოზ ყადაღს დაეკირაუება ორი მეშა და მათთვის ერთად დღეში 23 $\frac{1}{2}$ დირჰამი გადაუხდია³⁶. უფრო გეიანდელი ცნობებით მშენებელთა ჯამაგირი უფრო მაღალიც ჩანს. ქაიროს სინაგოგის გენიზის დოკუმენტების მიხედვით, XI საუკუნეში მშენებლობის ხელმძღვანელი დღეში 8 $\frac{1}{4}$ დირჰამს იღებდა, უფროსი ოსტატი - 7-ს, სხვადასხვა ხელობის კვალიფიციური ოსტატები - 4-დან 7-მდე, მეშები - 2-დან 4-მდე, შევირდები - 1-დან 2 $\frac{1}{2}$ -მდე. ამათთან შედარებით ოსქის მშენებელთა შრომის ანაზღაურება ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. ხმელთაშუაზღვისპირეთის კონტექსტში ის მეტისმეტად სუსტი ჩანს მსოფლიო-ლობითი შესაძლებლობების თვალსაზრისითაც. იმავე ქაიროს სინაგოგის გენიზის დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ XI საუკუნის დასაწყისში მადრიბში 120 ფეთა სელი 32 421 დირჰამი ღირდა³⁶, ანუ ერთი ფეთა დაახლოებით 270 დირჰამი. თუ ამ მონაცემს ზემოთ გამოუვანდოს შეუადარებთ, გამოდის, რომ კვალიფიციურ ტაიელ ოსტატს თავისი მოღიანი წლიური შემოსავლით ერთი ფეთა ხელის ყიდაც არ შეეძლო, რაც სრულიად წარმოუდგენელია. ვფიქრობ ეუბკელია, რომ ოსქის წარწერის დრამი სულ ცოტა ოთხჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს X-XI საუკუნეთა არაბულ დირჰამს.

საფიქრელია, რომ ისევე, როგორც ახალ დროში, შუა საუკუნეებშიც ყოველი მნიშვნელოვანი მშენებლობის წინ დგებოდა ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ითვალისწინებდა მასალისა და მეშახელის ხარჯს. დასაყვეთ ევროპაში მშენებლობის ხარჯთაღრიცხვები მრავლად შემორჩა XIII საუკუნის შემდგომი ხანიდან. საქართველოში ასეთი საბუთი მხოლოდ ერთი გვაქვს და ისიც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მიწურულის 1790 წლისაა. ის ეხება ნახიდურის ციხის აშენებაზე გასაწე ხარჯებს და შეიცავს მუხლებად გაწერილ ბიუჯეტს - რა დაჯდება სხვადასხვა საშენი მასალა და რამდენი უნდა გადაუხადონ მშენებლებს. საინტერესოა, რომ შეყვარდება ოსტატებისა და არაკვალიფიციური მეშების ანაზღაურებას შორის აქაც დაახლოებით ისეთივეა, როგორც




სურ. 108.
მარმარილოს ფილა
ათენის პომპეიუმთან
როტონდის გვერდის
გამოსახულებით

X-XI საუკუნეების არაბულ ხაშკაროში: გალატოხიხთვის განსასწვრელია 14 შაური, ქვისმიდელიხთვის - 12 შაური, მუშისთვის, რომელსაც ქრაიბენ „ხადრეკეელს გახათრულათ“ და ხევა ასეთი საქმეებისთვის - 3 შაური⁵⁶.

შენობის დაგეგმვისა და აგების პროცესში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა არქიტექტურული გრაფიკა. გვერდის, კრილის თუ ორიოგონალური პროექციის ნახაზები დასტურდება ძველ შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ურარტუში, საბერძნეთში, ელისისტურ აღმოსავლეთსა და რომში⁵⁶. ნახაზების მომზადების ანტიკური კვალტურა გადმოვიდა ადრექრისტიანულ ხანაშიც. როელი არქიტექტურული და ურბანული ნახაზებისა და მათ მოხაზვალებლად საქირო განვითარებული სახაზავი ხელსაწყოების არსებობას მოწმობს V-VI საუკუნეების წერილობითი წყაროები⁵⁷ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს არქეოლოგიური მახალა, რომელმაც არქიტექტურული ნახაზების ადრექრისტიანული ნიმუშები შემოგვინახა. ასეთია ორი კერამიკული ფილა ოხრიდიდან, საგარაუდოდ V საუკუნისა. ფილებზე დატანილია საკელესიო შენობათა გვერდით: ერთზე - ნართექსიანი სამნავიანი ბაზილიკისა (სურ. 106), მეორეზე ტეტრაკონქისა (სურ. 107). დაახლოებით იმავე ხანისაა ათენის პომპეიუმზე ნათენი მარმარილოს ფილა როტონდის გვერდის გამოსახულებით (სურ. 108). გვერდ გვიჩვენებს შენობის ეველა არსებით ელემენტს - ძირითად წრულ სიერცხვ, ორაფხიდან ნართექსს დასავლეთით და ძლიერშევიდ სამაფხიდან ხაქურთხეველს აღმოსავლეთით. როელია დანამდივლებით ითქვას, რა შვიძლება ყოფილიყო ამ ნახაზების დანიშნულება. ისინი საქმარინად სუხტად გადმოსცემს ზოგად არქიტექტურულ იდეას, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია მშენებლობის პროცესში ასეთი ნახაზებით ეხელმძღვანელათ. მათ უფრო სადემონსტრაციო დანიშნულება უნდა აქონოდა - კერამიკულ თუ ქვის ფილაზე დატანილ გვერდს წარუდგენდნენ დამკვეთებს, რათა მათ ენახათ რამდენად შეეხებათმებოდა ხუროთმოძღვრების ნანაფიქრი წაყენებულ მოთხოვნებს.

V-VII საუკუნეებში დეტალური არქიტექტურული გრაფიკის არსებობის დამადასტურებელ ორიბ საბუთად უთუოდ გამოდგება დიდად მსგავსი საკელესიო



სურ. 109.
ხალკო მანქანის
ნახატი
ქერონ ბიზანტიელის
ტრაქტატთან
(რ. ოსტერლოტის
მიხედვით)

ნაწილს ხეკრა, რომ რთული ხაპროექტო ნახაზების მიმზადების მეთოდები ბიზანტიაში ცნობილი იყო VII საუკუნის შემდეგაც⁶⁰ კონსტანტინე როდოსელის მიერ 931-944 წლებს შორის დაწერილ „მოცემულთა ეკლესიის აღწერაზე“ და-
 ურდნობით, გ. დაენი ასკენის, რომ იმხანად ბიზანტიელებს უნდა სცოდნოდათ არქიტექტურული გარეგნის სამი სახე - გეგმა, ჭრილი და პერსპექტივა, თუმცა
 სოგადად ბიზანტიურ სამშენებლო ნახაზებზე მსჯელობისას ის საკმაოდ ყრთხილია⁶¹. ე. პაჯიტრიფონოსი ცვილობს ახსნას, რატომ არ შემორჩა
 სამშენებლო ნახაზები და, გარდა სოგადი მიხედვებისა (თემბი, ხანძრის...), აღ-
 ნიშნავს პრაქტიკულ ასპექტებსაც. ევროსო, იფარაულება, რომ ძეგრ მახალაზე
 - პაპირუსსა და ეტრატზე შესრულებულ ნახაზებს არ ინახავდნენ. მას შემდეგ,
 რაც შენობა აიგებოდა და ნახაზები საჭირო აღარ იყო, მათ უბრალოდ ფხეკდნენ
 და ეტრატს თუ პაპირუსს თავიდან იყენებდნენ. ეს პრაქტიკა მართლაც დას-
 ტურდება დახველთ ევროპაში („რემისის პალიმფესხტი“), მაგრამ ბიზანტიური
 პალიმფესხტი-ნახაზები ცნობილი არ არის. ასეთთუე პითთეურთა მოსაზრება,
 რომ სამუშაო ნახაზები ცვილით დაფარულ დაფებზე დაიტანებოდა⁶² (სურ. 109).
 ამ ფაქტობის გათვალისწინებით რ. ოსტერლოტი ფიქრობს, რომ VIII საუკუნე-
 დან, როგორც წესი, ბიზანტიაში სამშენებლო ნახაზებს არ აკეთებდნენ, თუმცა
 იქუე თავად განიხილავს X საუკუნის აეტორის ქერონ ბიზანტიელის ტრაქტატს
 სამხედრო მანქანების შესახებ „Poliorcetica“-ს, რომლის ილუსტრაციებიც
 ფუნქციურად ახლოსაა არქიტექტურულ ნახაზებთან⁶². ხაინტერეხთა, რომ
 ამ ილუსტრაციებში, რომელთა წყარო რომაელი არქიტექტორი ათლოდო-
 რთა, ანტიკური ორგანოშიმილებიანი ნახაზები სამგანსომილებიან თხრობთ

შენობების არსებობა ადრექრისტიანული სამ-
 ყაროს სხვადასხვა მხარეში⁶⁰. ამის კარგი მაგა-
 დთი საქართველოშიც მოიპოვება - მცხეთის
 ჯვარი და მისი მიმბაძეველი ნაგებობები, უპირ-
 ველეს ყოვლისა კი ატენის სიონი. ორიგინალის
 გამეორების სიზუსტის ისეთი ხარისხის მიღ-
 წევა, როგორსაც ატენში ვხვდეთ, შეუძლებე-
 ლი იქნებოდა განუთარებელი არქიტექტურუ-
 ლი დოკუმენტაციის გარეშე. მხოლოდ გეგმა,
 ცხადია, ამისთვის საკმარისი არ იქნებოდა.

ბიზანტიის იმპერიაში ნახაზების მიმზა-
 დებისა და მოხმარების წესები უუცქელად
 ცოცხალი იყო VII საუკუნემდე, ხანამ ხერთ-
 მოდვართა პროფესიული მომზადება ანტიკურ
 ტრადიციას ფუქნებოდა. რა სლებოდა შემდეგ,
 მთლად ნათელი არ არის. წერილობით წყაროთა
 ცნობები, რომლებიც შეიძლებოდა შეა და
 გვიანბიზანტიურ ხანაში ნახაზების არსებობის
 დამადასტურებლად მოგვეხმო, ცოტაა, თანაც
 მეტწილად ბუნდოვანი. ხაფიქრელია, რომ
 ისინი, როგორც წესი, გულისხმობს გუგმის და,ქ
 ვაღვას ადგილზე და არა მასშტაბურად შეს-
 ცირებული ნახაზების გაკეთებას ეტრატსა თუ
 ქადაღსზე. მოუხედავად ამისა, მკვლევართა

ნახატებად და ქცეული, ამის მიხედვით თაყვანს მიახლოებდა ბიზანტიელი აღნიშნავს – ანტიკური ნახაზები მშენებლობისთვის საჭირო ინფორმაციას სრულად არ იძლეოდა. ეს შეიძლება საყურადღებო მინიშნება იყოს იმასზე, რომ ის, რაც დღეს წყნარ სამშენებლო ნახაზი არ გვეჩვენებს, თავის დროზე საეკლესიო პრაქტიკული დანიშნულების გამოსახულებად განიხილებოდა.

უფრო ცხადი ნაწილი ხერათი რუხეთში, პ. რაპოპორტი გადაკრთი ამბობს, რომ X-XIII საუკუნეებში (და ბევრად გვიანაც) ძველი რუხი ხერათი მოძღვრები ნახაზებს არ ხმარობდნენ¹⁵¹. დასაყრდენად ვერსიასში სამშენებლო ნახაზების გამოყენების კვლევებში განვითარება მხოლოდ ვითარებები არქიტექტურაში დაიწყო, თუმცა არის ერთი გაცხადებით აღვინდევინოთ ნიშნები – ხანკე-გაღვირვის მონასტრის გეგმა, დათარიღებული 830 წლის ახლო ხანებით¹⁵². 1230-40-იან წლებს განეკუთვნება ვილარ დე ანკურის ცნობილი ალბომი, რომელიც შეიცავს ეკლესიების გეგმებს და ფასადა ნახაზებს¹⁵³. XIII და მეტადრე XIV საუკუნეებში გამოიხატა არქიტექტურული პროექტები უკვე საქმიან ბეჭედად¹⁵⁴. წერილობითი ცნობებით, უფრო აღვინდევინოთ ხანიდან – უკვე VIII-IX საუკუნეებშიდან – ნაწილი სამშენებლო ნახაზები (პერგამენტზე ან ეტრატზე დატანილი გეგმები) ისლამურ ქვეყნებში¹⁵⁵ თუმცა ეს ცნობები ვისჯობდება და, როგორც ნაწილი, განსაკუთრებულ შემთხვევებს ეხება. ნახაზების მომზადება-მოსმარების პრაქტიკის ფართო გავრცელება XIII-XIV საუკუნეებშიდან არის ხედავადი, პირველ რიგში ისლამურ სამყაროებში¹⁵⁶.

რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში? იგივე რ. ოსტროვოტი, რომელიც, როგორც ვინახეთ, სექსტიკურად უყურებს VII საუკუნის შემდგომ ბიზანტიაში ნახაზების არსებობას, ა. დასარიანთან ერთად დაწერილ ნარკვევში შენიშნავს: „კავკასიაში განცხადებით მდებარე სომხეთისა და საქართველოს არქიტექტურა ბევრი ნიშნით განსხვავდება ბიზანტიის იმპერიის არქიტექტურისაგან, რომელთაგანაც მათ ნეკელდებოდა აჯგუფებენ ხომღვი, როგორც გეომეტრიამ, არქიტექტურული ნაწარმების გადაცემით ერთი ცენტრიდან მეორეში და თლილი ქვის განვითარებული სურათი მოძღვრებამ შეიძლება გეაფიქრებინოს, რომ ამ რეგიონში უკვე მეტად ხმარობდნენ არქიტექტურულ ნახაზებს, კარგა ხანს მას შემდეგაც, რაც მათი ხმარება შეწყვიტეს ბიზანტიაში. მკიდროდ მორგებული თლილი ქვის შენობებს წინასწარი მომზადების უფრო მაღალი ხარისხი ხტონდებოდა, ვიდრე ბიზანტიისთვის ტიპური ქვისა და აგურის შენობებს, რომლებშიც შეუსაბამობები შეიძლება კარის ხსნარის უხვი ხმარებით შენდებულყოფი¹⁵⁷“.

ფიქრობ, ეს მოსაზრება საკმაოდ საყურადღებოა. რა თქმა უნდა, ყველა ეკლესიის აშენება ნახაზებს არ მოითხოვდა – მარტოვე სტრუქტურის პატარა შენობები ოსტატებს შეიძლება „სეპირად“, თავიანთი პრაქტიკული ცოდნითაც აგვით, მაგრამ ისეთ რთულ, გეომეტრიულად სრულყოფილ, თლილი ქვით მოპირკეთებულ ტაძრებს, როგორცაა მცხეთის ჯვარი, წრომი, სამშვილდე, ეანჩაიანი, ოშკი, კუმურდო და მრავალი სხვა, მოსამზადებელი ნახაზები ნამდვილად დასჭირდებოდა¹⁵⁸.

შუა საუკუნეების საქართველოში არქიტექტურული ნახაზების გამოყენების დადასტურება წერილობით წყაროებშიც მოიპოვება. XI საუკუნის II ნახევრის მწვერლოდ უფრო მცირე ქართლის მოქცევის ამბების გადმოცემისას მოვითხოვს მცხეთაში პირველი ეკლესიის აგების ამბავს და აღნიშნავს, რომ წმ. ნინომ მცხეთა-დვალის ოხრომით „დაუსახა მათ ტაძარ“, შემდეგ კი იგივე გააკეთა



ხერ. 110.
ქორღოს ეკლესია.
რელიეფური ფილა
ქეთორებისა და
ეკლესიის გუგუის
გამოსახულებებით

მშენებლებისთვის: „თუ დაძახვიდა, ხილი თვინი აღმოკეთდეს და აშენებდეს“¹⁸¹ ყურემ მცირე აქ თუთაორტე კვირელის „ეკლესიის ისტორიას“ (დასაწერა 449 წელს) ეყუქმება. მოტანილი ცნობა წმინდანთა მიერ საეკლესიო მშენობების დაგეგმვის ისტორიების მდგრად სქემას მოხდევს, მაგრამ თუნდაც; ეყნლოთ მას. წმ. ნინო კაპადოკიელის განსწავლულობა არქიტექტურული ნახაზის გაკეთების საქმეში რომაულ-ელისისტურ სამქართოში მიღებულ ცოდნაზე მოკვითითებს და IV საუკუნის ქართველ მშენებელთა მეთოდების ხაილესტრაციოდ არ გამოიღება. სამაგიეროდ, ის ღირებულია XI საუკუნის საქართველოს ეთარების გახაგებად. ბუნებრივია, ყურეში „ტაძრის დახაზვაზე“ დაპარაკს ვერ დასაყუბლა, მას რომ არ ხცოდნოდა ასეთი პრაქტიკის არსებობა. მისი ტექსტი გულისხმობს, რომ არსებობს „აღმუნებადი ტაძრის“ სახე, პროექტი, რომელსაც წინასწარ „დახაზვენ“ და შემდეგ „დახაზულის“ მიხედვით აშენებენ¹⁸²

ამას გარდა, წვენ გვაქვს „ნამდვილი“ გეგმაც; ქორღოს X საუკუნის მიწურულის ეკლესიის ცნობილ საქტიტორო გამოსახულებაზე, სადაც ის მომეგბელს ტაძრის სახების მაგიერად უჭირავს¹⁸³ (ხერ. 110). ეს გამოსახულება სრულიად უნიკალურია, მას მიახლოებით პარალელიც არ მოეებნება არც საქართველოში და არც სადმე სხუგან, ამიტომ მასზე საგანგებოდ მუყნვრდები.

რელიეფი გამოკვეთილია ქვის მართკუთხა ბლოკზე, რომელიც თავიდან აღბათ კაპიტელის ფუნქციას ასრულებდა, ამჟამად კი თავდაჯერაა ჩართული უხეიროდ ნაგებ გვიანდელ სამხრეთ მინაშენში. რელიეფი წარმოგვიდგენს სამ ქტიტორს, ამათგან მარცხნიდან მესამეს – ზომით სხვა ორზე დიდს – მარცხენა

ხელით ვერტიკალურად წაგრძელებული დიდი მართკუთხა საგანი უჭირავს. მისი სიმაღლე ქტიტორის სიმაღლის დაახლოებით 3/4-ს შეადგენს. ამ საგნის ზედაპირი წარმოადგენს სწორ სიბრტყეს, რომელზეც ღრმა ღარით დატანილია შენობის გეგმა – საკმაოდ მარტივი, მართკუთხა, ზემოთ (უნდა ვთვლით სხმოთ – აღმოსავლეთით) სამი რკალით დაბოლოებული.



ქორლოს ეკლესია, როგორც ცნობილია, თავისებურადაა აგებული – ორქანობა სახურავით დასრულებული, გარედან იგი ცალნაქიან შენობას აგავს, მაგრამ შიდა სტრუქტურა უწყველად რთულია. ინტერიერში სამი სვეტი დგას, რის შედეგადაც დასავლეთით ორი „ნაი“ წარმოიქმნება, საკურთხეველი კი სამნაწიდიანია. გეგმაში სამივე ნაწილი მართკუთხაა, მაგრამ გადახურულია კონქებით⁸¹. გეგმის ქვაზე ამოკვეთისას გამოქანდაკებულმა არ დაიტანა სვეტები, სამაგიეროდ მორკალეუბით გადმოსცა აღმოსავლეთით სამი ნახეარგუმბათი ის, რაც მას, ეტყობა, უმთავრესად მიანიჭა. ანუ, აქ არსებითად გეოქეს კომბინირებული ნახაზი, რომელშიც შერწყმულია გეგმა და გადახურვის პროექცია. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ეს თაყად სამუშაო გეგმა კი არა, გეგმის ხეკულბტურული რეპრეზენტაციაა, რომლის მიზანსაც დეტალების ჩვენება არ შეადგენს.

ვფიქრობ, ქორლოს რელიეფზე ნახეენები გეგმა ცხადი მოწმობაა X-XI საუკუნეების საქართველოში არქიტექტურული გრაფიკის არსებობისა. მეტიც, ის ადასტურებს, რომ გეგმის ნახაზის იდეა ნაცნობი და გასაგები იყო არა მხოლოდ მშენებელი ოსტატებისთვის, არამედ დამკვეთებისთვისაც და, საფიქრელია, უფრო ფართო წრისთვისაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მის წარმოდგენას ეკლესიის ფასადზე აზრი არ ექნებოდა.


შეიძლება გავიხსენოთ მანხუტის ზედა ეკლესიის (VI-VII საუკუნეები) სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის დიდ ქვაზე ამოკაწრული უცნაური, ერთი შესხედეით ქაოტური ნახაზიც (სურ. 112). გამოთქმულია აზრი, რომ ის წარმოადგენს დაკეაღვლის ესკიზურ სქემას, რომელიც ითვალისწინებს შენობის პროპორციულ დანაწევრებას⁸².

საინტერესოა გავიხსენოთ როგორ განმარტავს სიტყვა „გეგმა“ სელხან-საბა ორბელიანი: „ესე არს რისიადც აღშენება ეწადის პირველ მიზანსოს მსგავსება“. ეს, არსებითად, საპროექტო ესკიზის განმარტებაა.

სამწუხაროდ, „ნამდვილი“ სამშენებლო ნახაზები მხოლოდ XVIII საუკუნეიდან შემოგვრნა, ისიც მხოლოდ ორი და თანაც ორივე სამოქალაქო (არასაეკლესიო) ნაგებობებისა⁸⁶. მათგან უადრესია 1720 წელს შესრულებული გარეჯის წმ. დავითის ღაერის ორი კოშკის პროექტი, რომელიც შეიცავს ასაგები შენობების თითო ფასადის ნახაზს და ვრცელ განმარტებთ ტექსტს (სურ. 113). ნახაზი დაფერულია და ნანს მასაღის (აგურის, ქვის) ფერის ჩვენების ცდა.



სურ. 111.
ქორლოს ეკლესია.
გეგმა
(რ. შვიციანაშვილის
მისხედეით)



ხერ. 112.
მანსუტის უდა
კლესია.
შენიშნის დაკლესიის
სქემა (?) სამხრეთ-
აღმოსავლეთი
კუთხის ქვაზე

შესრულება სუსტია, თუმცა ყველაფერი გასაგებად არის მოცემული⁸⁸ სახაზაგი ხელნაწიკოებში შემსრულებელს აშკარად აკლდა. როგორც ჩანს, მას ფარგალიც არ ჰქონია – გუმბათებისა და ხარკმლის თაღების ნახევარწრეები ხელით არის მოხაზული. მხოლოდ ზოგიერთი ხწარი ხაზია სახაზავით გაკლებული. პროექტი არ განხორციელებულა.

მეორე პროექტი ქოლაგირის ციხისა, თარიღდება XVIII საუკუნის ბოლითი. ის სამ ნახაზს შეიცავს – გეგმის პირველი ვარიანტის შავ ნახაზს (მის მეორე გვერდზე განმარტებითი ბარათია), გეგმის მეორე ვარიანტის შავ ნახაზსა და ამავე ვარიანტის თეთრ ნახაზს. ზოგან ზომებიც არის მითითებული სიტყვიერად. გეგმები სქემატურია, მაგრამ ციხის აგება მეტ დეტალიზაციას აღბათ არც საჭიროებდა.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ე. ბერიძე ამ ნახაზების განხილვისას, „არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ესაა უმაღლესი დონე, რომელსაც ჩვენში ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის გრაფიკულმა გამოხატვამ მიადღია“⁸⁸. ეს პროექტები უფრო იმ დაცემის მანყენებელია, რომელიც ქართულ არქიტექტურაში XIV საუკუნიდან დაიწყო და ახალ დრომდე გაგრძელდა. საფიქრელია, რომ ადრინდელი ნახაზები უფრო ხარისხიანად უნდა ყოფილიყო შესრულებული.

საქართველოსთვის უცხო არ ყოფილა მოცულობითი პროექტირებაც – მოდლების დამზადება⁸⁹ მათი არსებობის შესაძლებლობას საკმარისად აჩვენს ეკლესიების ქვის გამოხატულებანი, ხან ტაძრების ყრონტონებსა, ხან

კი საფლავის ძეგლებზე რომაა შემოდგომული. არის კერამიკული მოდელებიც, რომლებიც ქვისასთან შედარებით მეტ დეტალებს გეინვენებს (თემცა, ბენეკარიოვია, არცთუ სუსტად). ასეთია ალავერდის ტაძრის დეკორაციულად მოჭიქული „ხატი“, სავარაუდოდ XVII საუკუნისა (სურ. 114). იმავე ხანებში უნდა იყოს დამსაღებელი სეპტიცხოელის კერამიკული მოდელებიც (სურ. 115, 116). ის, როგორც ჩანს, ცალი მხრიდან სამშურად იყო გამოსხეული და ამ მხარეს ოსტატმა შეუსაბამა ტაძრის სამხრეთი ფასადი, რომელიც მოდელზე სულმოქმედნი დეტალებად არის ნაჩვენები. რაც შეეხება განივ ფასადებს, აქ ოგი ზოგადი და, რაც მთავარია, ორიგინალისაგან უდიდ განსხვავებულ გადაწყვეტით შემოიფარგლა. აღმოსავლეთ ფასადსუ, მაგალითად, ნაჩვენებია ერთი დიდი ნიშა შუაში და სამი საპირშემოვლებული სარკმელი მის ზემოთ.

შუა საუკუნეების საქართველოში მოდელების არსებობის თაობაზე უტყვარი წერილობითი მითითებაც გვაქვს. არსებობს ასეთი მინაწერი – დავით მეფე იტყვადო, იმ ხნის კაცი ვარ, რომ მოვესწარი, „ოდეს არხენი... მარჯუნასა გუერდსა ზედა წვა, ნოსელსა იკითხეიდა და დოდმატიკისსა აწამებდა [ქ. ი. ამოწმებდა] და ცვლისა სოფია წმიდასა იგივე მარტო იქმონდაო“⁹⁰. განურჩევლად იმისა, ვინაა ეს არხენიც (ალბათ, მართლაც იუდათოელი), რას ნიშნავს „სოფია წმიდა“ (მეფეში ასეთი სახელობა თითქოს არ გვაქვს; ბიზანტიური ტაძრის ცვილის მოდელებს „იქმონდა“? რისთვის, რა მისნით?), მისი საქმიანობა დამწერს აშკარად არ ეუცხოვება და არც მკითხველისთვის უცხო იტყვისსხება.

ამ თვალსაზრისით საქართველო გამონაკლისი არ არის. წერილობითი ცნობებით ვიცით, რომ IX საუკუნეში ოქსერის სენ-ჟერმენის მონასტრის ცვილის მოდელები შეუქმნიათ⁹¹. ქვის მოდელების დამსაღების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობდა სომხეთში⁹².

ნუნ არ ვიცით, რა საზომ ერთეულებს იყენებდნენ ხეროთომოდერები საქართველოში. ბაგინეთზე გათხრილი ნაგებობების შესწავლის საფუძველზე ივარაუდება, რომ ძვ. წ. II-I საუკუნეებში მშენებელთა საზომი ერთეული 52,0-52,5 სმ-ს უდრიდა, რაც ძალიან ახლოსაა ეგვიპტურ სამეფო წერტასა (52,5 სმ) და ე. წ. ურარტულ წერტასთან (51,8 სმ). ბაგინეთზე გამოვლენილი აგური და კრამიტი და ასევე თლილი ქვების უმეტესობა სიგრძით ერთი ასეთი ერთეულის ტოლია⁹³. იმავე ბაგინეთის მასალით, გეიანანტიკურ ხანაში მიღებული ჩანს 16 სმ-ის ტოლი საზომი ერთეული⁹⁴, რომელიც შეიძლება ბერძნული სემი პოლიონის (15,8 სმ, ნახევარი ატიკური ფუტი, რვა აქტილონი) ადგილობრივ ანალოგად მივიჩნიოთ. უფრო გვიან ეს ერთეული ცნობილია სომხეთშიც⁹⁵.

არაბობამდელი ხანის საეკლესიო მშენებლობაში, როგორც ჩანს, საზომ ერთეულად – ზოგჯერ მაინც – გამოიყენებოდა ადრებიზანტიური ფუტი, რომელიც დაახლოებით 31 სმ-ს შეადგენს⁹⁶. მას, მაგალითად, ძალიან კარგად ვერცხა წროლის ტაძრის გემბის ძირითადი (თემცა არა ყველა) სომებო: აღმოსავლეთი ფასადის სიგანე – 1985 სმ (=64 ფუტს), აღმოსავლეთი ფასადის გვერდითი სიბრტყეების სიგანე (კუთხიდან ნიშამდე) – 592 სმ (=19 ფუტს), დასავლეთი ფასადის სიგანე – 2353 სმ (=76 ფუტს), გუმბათქვეშა კვადრატის დიაგონალი – 1025 სმ (=33 ფუტს) და სხვა⁹⁷. ცთომილება არცერთ შემთხვევაში 4-5 სმ-ს არ აღემატება, რაც, ზომის შუა საუკუნოვანი მეთოდების სუსტების ხარისხის გათვალისწინებით, დასაშვებზე ბევრად ნაკლებია⁹⁸. ადრებიზანტიური ფუტი უნდა იყოს გამოყენებული ქსნის ხეობის VIII-IX საუკუნეთა ეკლესიებშიც – წორქოლში, ყანჩაეთის კაბენსა და არმაზში⁹⁹.


მომდენო
ავტორებზე:
სურ. 113.
დავით კარგაელის
დავრის ორი
კომეს პროექტი

Ըր ԿԿԾ
 Ի ԹՅՈՒՆՈՒՅՑԻ ԲՈՒ
 Է ԿՆՈՒ ԲԻԼԻՑԻ
 ԵՆԻ ԲՆՈՒ ԿՆՈՒ ԲՆԻ
 Ե ԶԻ ԲՈՒ ԳԻ

ԿՈՒՆ ԵՅԳՐԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ



ՄԻՆ ԿՈՆՅՈՒՅՑԻ ԶԻՅՈՒ
 ԿԿԾ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ



ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ

ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ
 ԵՍՐԻ ԿՆԻ ԵՍՐԻ ԿՆԻ




სურ. 114.
აღაფერის ტაძრის
კერამიკული
მიწვევა

მასალის გაღაზიდვის მთავარ საშუალებას შუა საუკუნეებში ხარებშებმული მარხილი წარმოადგენდა. ის ქორილის ერთ-ერთ რელიეფსუც არის გამო-ახსნული. ოსკის ეკლესიის სამხრეთი შესახელელის წარწერა გვაძინებს, რომ მის მშენებლობასუ ქვის ხაზიდა 30 ხარი ჰყოლიათ. ეს, როგორც ჩანს, სწორედ უღლეულ ხართა რაოდენობაა. ცალკეა ნახსენები კიდევ 30 ჯარი და ახაყერი (ი. ჯაჯახიშვილის განმარტებით, საკიდარი და არა საუღლე ხარია¹⁰¹) რომელიც ხონდიკის ქვას ეხიდებოდა გრიგოლწმინდიდან და 60 „სხაა ახაყერი“, რომელსაც რაღაც სხვა სამუშაოსთვის ხავარაუღლ ქვიშისა და კირის ხაზიდა – იყენებდნენ (წარწერა აქ დაწინაგებულია)¹⁰². გამოდის სულ 120 სული საქონელი. მათი ასეთი ხმრავლე საესებით მუყყერება ოსკის ტაძრის მასშტაბებს და მისი პატრონების – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (მომავალი კურაპალატის) მატერიალურ შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, მშენებლები ყველგან ასე არ იყენენ უზრუნველყოფილნი და არც სჭირდებოდათ; საშუალო ზომის დარბაზული ეკლესიისათვის საჭირო მასა-ლის მოსახლად ამის მეთაუდიც საკმარისი იქნებოდა. ტბელი აბესერისძის ნაამ-ბობი, რომ ქვითხური ბილიკ-ბახისს შუარტელის ეკლესიის მშენებლობასუ

ბეერი დაწერილა შუა საუკუნეების ქარ-თული ეკლესიების პროპორციული აგების კანონზომიერებებსუ¹⁰³. საუკეთესო ნაგებობათა კარმონიული არქიტექტურული იერსახე ნამ-ღვიდად გვიბიძგებს მათი ხაერთო ზომებისა თუ ცალკეული ნაწილების ერთიერთმუყარ-ღებაში რაიმე ცნობილი პროპორციული სქემა – „ოქროს კვთა“, ვგვიპერე სამკუთხედი, $\frac{1}{3}$ და $\frac{1}{2}$ – ამოკითხით. ცალკეულ შემთხვევებში ეს მართლაც შესაძლებელია, თუმცა ზოგადად ასეთი პროპორციული სისტემების გამოყენი-სას დიდი ხიერთხილვა საჭირო, რათა შუა საუკუნეების ხუროთმოძღვარს არ მივაწერთ ის, რასუც მას არც უყვიქრია.

მასალის მოპოვებისა და სამშენებლო მი-ედნამდე მიტანის თაობასუ შუა საუკუნეების ავტორები, როგორც წესი, უყვრო ვრცლად წერენ, ვიდრე თეით მშენებლობის შესახებ. ბახილი ზარზმელი, გიორგი მერსულე და ტბელი აბესერისძე ემოციურად ჰყვებიან ამ სამუშაოს ღეტაღებს და ყურადღებას ამახეილებენ მის ხირთულესუ. მათი ნაამბო-ბიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მშენებ-ლობის პროცესის ყველასუ მისიე ნაწილი მასალის სამშენებლო მიედნამდე მიხილვა უნდა ყოფილიყო. ეს სამუშაო მთავარი თემაა ქორილის ეკლესიის რელიეფებშიც, რომ-ლებიც მშენებლობის ხხვადახხვა ეპიზოდებს გვიჩვენებს ათი სცენიდან ოთხი მასალის ტრანსპორტირებას ახახეს.




მხოლოდ ერთი „ქარაული“ (ჯარი) და ერთი უღლეული ხარი ქვედა, ალბათ წმ. გიორგის სასაფლაოს კონტექსტში უნდა გავიგოთ (იხევე, როგორც ის, რომ მან უღლეხია მარტო, ვისამე დაუხმარებლად ააგო), მაგრამ შესაძლოა ასეთი შემთხვევები რიგით მშენებლობებზე მართლაც ეყოფილიყო, ხაინტურეთსა, რომ მხიდავი საქონლის ფუნქციები აქაც ისევე განაწილებული, როგორც თშკის წარწერაში: ჯარი ქვიშას ეხილება, უღლეული – ქვებს.

მასხალის ტრანსპორტირების წესი საუკუნეთა მანძილზე არ შეცვლილა. უღლეულს აბამდნენ მარხილში და ზედ ქვებს ეწყოდნენ. მარხილი კარგა ხანს რჩებოდა ხაშინი მასხალის გადატანის ერთადერთ სატრანსპორტო საშუალებად. ბიორბლიანი ტვირთსა ხიდი ურიკები მოგვიანებით გაჩნდა, დასაუღლო ევროპაში იხინი ხმარებაში მხოლოდ XIII საუკუნიდან შემოვიდა⁶⁰¹. საქართველოს მთიან რეგიონებში მარხილებს ურმებთან ერთად ბოლო დრომდე იყენებდნენ ქვის გადასატანად⁶⁰². საბაის განმარტებით, „ქვის სახიდარ მარჯილს“ თურში ეწოდებოდა.

ხარებზემებული მარხილით ხაშინი მასხალის ტრანსპორტირებისას უბედური შემთხვევებიც სდებოდა. ტბელი აბუხერისძე მოგვითხრობს ინციდენტს, რომელიც ბოლოკობახილს შემთხვეა⁶⁰³ – მარხილი ზედ დადებულ უსარმახარ ქვიანად უღლეულს მოსწვდა და დაღმართზე დასრიალდა. იმ ჯერზე თავად ოსტატა და მისი ხარები არ დაშეგებულან, თუმცა ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებს ზოგჯერ მძიმე შედეგიც შუიძლება ქონოდა. ქორილის რელიეფზე ნაჩვენებები უკან მიმოყოლი მუშა შრომის უსაფრთხოების შეუახაუკუნოვანი სტანდარტის სავულისხმო ილუსტრაციაა – ის ქვის მდგომარეობასა და მარხილის მოძრაობას აკონტროლებს და, ამდენად, ინციდენტის რისკს ამცირებს (სურ. 69).

მასხალის გადასახიდად ფართოდ გამოიყენებოდა ადამიანის შრომაც, იმავე ქორილის რელიეფი მოწმობს, რომ თუ მარხილი ძალიან არ იყო დატვირთული, მას თავად მუშები ეწყოდნენ (სურ. 72). სხვა რელიეფი, როგორც ენახეთ, საშენი მასხალის სურვით მზიდავ მუშებსაც გვიჩვენებს (სურ. 77). ის პირდაპირ ეხმიანება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ეპიზოდს, რომელშიც ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობა აღწერილი: „ხოლო ქვას და კირი ფრთად შორით

სურ. 115-116.
სვეიცხიელის
ტანის კარსაკლი
მხედლი



სურ. 117.
ვენეციის
სან-მარკოს ტაძარი.
ბაბილონის
გოდოლის აგების
სცენა

ვეელაზე ხშირად, როგორც ჩანს, ხიფათი ხარაწოთბან იყო დაკავშირებული. შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ხარაწოთა გამოსახულებები არ მოგვეპოვება. არც მათი აღწერა ან თუნდაც ხსენება მოიპოვნება წერილობით წყაროებში. ვიცით, რომ ხარაწოს ფაღანგი ერქვა (ფაღანგი ეწოდების კედელთ სიმაღლისათვის გალატოზთ ფერვის სადგმელსა“ ნაბა). არხეობდა ცალკე სიტყვა ხარაწოს საყრდენი ბოძებისთვისაც ხაწარო (ფაღანგის სვეტნი, რომელსა თურქნი ნიბუეს უწოდენ“ – ნაბა). თუმიცა, რამდენადაც ბიზანტიური და დასავლეთურთოული გამოსახულებებით შეიძლება ვიმსჯელოთ, ბოძებიანი ხარაწო შუა საუკუნეებში იშვიათი უნდა ყოფილიყო. დასავლეთ ევროპაში ის თითქმის მხოლოდ XV საუკუნიდან ჩანს. ბიზანტიური წრის ხელოვნებაში მისი ერთ-ერთი ადრეული გამოსახულება ვენეციის სან-მარკოს ტაძრის მოზაიკებში ვეაქვს, ბაბილონის გოდოლის აგების სცენაში (სურ. 117). მანამდე უფრო გავრცელებულია დაკიდული პლატფორმა, რომელიც იქმნება კედელში ერთ სიმაღლეზე ნატანებულ ორ ან რამდენიმე ძელზე გადაებული ფიცრებით (სურ. 118). ძელს კედლის ამოყენისას ატანდნენ, კირსნარის გაწრობის შემდეგ ის საკმარისად მყარად იჯდა წყობაში ხაიმისოდ, რათა ზედ გადაებულ ფიცარზე ქვითხუროს ემუშავა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ძელებს კედლიდან იღებდნენ და მათ ბუდეებს აესებდნენ⁴⁰⁶. ასეთი შეესებული ბუდეები კარგად ჩანს ოშკის ტაძრის სამხრეთ ფახადზე (სურ. 119).

მოაქუნდა ძნელთა მათ გ'სათა კაცთა სურგითა⁴⁰⁶. საშენი მახალის სურგით სიდეის მიწუხი შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ უგ'სობა, არამედ გამწევი საქონლის სიმკვირეც. უსაფრთხოების სომების დაცვას ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ – რელიეფზე გამოსახულ ერთ-ერთ მუშას ქვა ქამრით აქვს სურგზე მიმაგრებული, მეორე კი უკან მიაცეკება და ამ ქვას ქვემოდა იკავებს. ეს მეთოდი უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ქვის ხელში დაჭერა და ასე წადება, მაგრამ ამასთან უფრო სასიყაათოც იქნებოდა, ვინაიდან მძიმე ქვა იოლად შეიძლება გამსხვლარეყო ქამრიდან. ამიტომ ტვირთის მზიდავს აყოლებდნენ დამხმარს, რომელიც ქვემოდა აშუქებდა ხელს.

უბედური შემთხვევები მშენებლობის პროცესშიც ხდებოდა. ტბელ აბუხერისძეს, გარდა შემორჩასხენებისა, კიდევ ორი სამშენებლო ინციდენტი აქვს მოთხრობილი, რომელთაგან, მართალია, არცერთს მხსევრპლი არ მოსყლია ერთხელ ბოლოკაბასის ქვა დაეცა და ის „იქცა ყითარცა მკუდარი მყოვარ უამ“; მეორედ იგი თავისსავე გააბიძღ ქვაში გაიკვდა – ეს, თხზულების ავტორის თქმით, წმ. გიორგის ერთგვარი ხუმრობა იყო ქვითხუროს გამოსაცოცხლებლად (ანუ ხარ მოქწინარე მხაზურებისა ნემისა...)“⁴⁰⁷.

შუა საუკუნეების ხარანოს მოაჯირი არ კქონდა. სოგჯერ შეიძლება კედელში ნატანებული ძელი ან მისზე გადაბული ყოცარი აღმოჩენილიყო არასაკმარისად გამძლე, რაც ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი ხდებოდა. 1178 წელს კენტერბერის კათედრალის აღდგენის ხელმძღვანელ ოსტატ ვილიამ სენელს (Guillaume de Sens, William of Sens) ხარანოს ყოცარი ნაუტყდა, 15 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა და დასახინდა¹⁰⁰. ბიზანტიურ წყაროებში ცნობილია ხარანოს ნანგრევების ნაცვინილი ხუროებისა თუ მომხატველების ხასწაულებრივი გადარჩენის რამდენიმე ისტორია¹⁰¹. სხვათა შორის, ტბელი აბუსერისხე საგანგებოდ აღნიშნავს ხისათა ეკლესიის მშენებლობისას მომხდარ ხასწაულებს, მაგრამ მათ შორის ხარანოების ნამოქცევა ნახსენები არ არის: „მრავალნი ხასწაულნი აღესრულეს, მრავალთა კაცთა ფათურაკთაგან ჭხინიანი; ქვისა, დახაქვილ განმსაღებულისა, მრავალთა არღარა მოსაწყუეულად გარუქუნქვეანს; და წამოქცეულთა კლდეთაგან მშველობით ხსნანი მრავალთანი“¹⁰².



სამშენებლო ინციდენტის ერთადერთი – ისიც სათუო – გამოსახელება ზემოთ იყო განხილული. ეს არის რელიეფი რუისის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადზე, რომელიც, ნემი ახრით, გვიჩვენებს ხარანოდან გადაჯარდნილი მშენებლის გადარჩენის ცდას (ხურ. 93). თუთ ხარანო აქ ნახეუები არ არის.

სოგჯერ უბეჯერი შემთხვევის მსხვერპლი ხდებოდნენ არა მხოლოდ ხეივანი, არამედ ქროტორებიც, რომელთაც მშენებლობის უშუალო ზედამხედველობა სწავდათ. 1000 წლის ახლო ხანებში ათონზე თავის დაარსებულ ლაურის მშენებლობაზე დაილება წმ. ათანასე დიდი¹⁰³. შესაძლოა, ცნობილ გადმოცემასაც (ის აუშანდაძეთა 1475 წლის ნატყუარი სოგელიდან მომდინარეობს) გელათის მონასტრის მშენებარე გადაენიდან დაეთ აღმაშენებლის გადმოვარდის შესახებ რეალური ამბავი – ხარანოს ნანგრევა – ელის საფუძველად.

წარწერებსა და ნარატიულ წყაროებში მოთხოვრა რამდენიმე ცნობა ეკლესიათა მშენებლობის ხანგრძლივობის შესახებ. მათგან უძველესია ბოლნისის სიონის ჩრდილოეთი შესასვლელის სტუდარზე ამოკვეთილი წარწერა, რომელიც გვამცნობს, რომ ეკლესია თხუთმეტ წელსწადში აუგიათ¹⁰⁴. გუმბათიანი ეკლესიები, როგორც ნანს, უფრო დიდხანს შენდებოდა. მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, რომელსაც საფუძველი 586 თუ 587 წელს ჩაყარა, ორმოცო წლის შემდეგ, იმპერატორ პერაკლეს ქართლში მეორედ შემოსევის დროს, კვლავ დაუსრულებელი იყო, ის კარგა ხნის შემდეგ დაამთავრა სტეფანოს II-მ, ტაძრის აგების ინიციატორის შვილიშვილმა¹⁰⁵. მშენებლობის დროში ასეთი გაწვდის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო წესი, რომელიც საქართველოში აქა-იქ XIX საუკუნემდე შემორჩა – გუმბათს ეკლესიას მხოლოდ მას შემდეგ ადგამდნენ, რაც ქვედა კორპუსი სრულად შემტკიცდებოდა, ამას კი წლები ხტირდებოდა¹⁰⁶.

მშენებლობებში სწორი იყო წყვეტილება – არა მხოლოდ ომების, არეულობების, ეპიდემიების თუ სტიქიური უბედურებების გამო, არამედ დამკვეთთა

ხურ. 118.
აუგუსტინელის
მონასტრის
სულაწარი
ბულანი-სოერ-მერის
ბიბლიოთეკიდან.
მინიატურა
მშენებლობის
სქემათ
(სქეუს გ. ბინდვიკის
მისედეთი)




სურ. 119.
 ოშკის ცაიხი.
 სარაჩის
 კონსოლების
 ამოხსენილი და
 ამოუკლებელი
 ფიგურები სამხრეთ
 ფასადზე

ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლის მიზეზითაც, სამშენებლო ხეიმის ძლიერ ფრაგმენტირებული წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესიის მშენებლობა ორჯერ შემწვდარა და შემდეგ კვლავ განახლებულა. სულ მშენებლობას 18 წელიწადი დასჭირდა 761-დან 779 წლამდე¹⁶ რიგითი დარბაზული შენობის აგება, ბუნებრივია, ბევრად ნაკლებ დროს მოითხოვდა. ბახილი ზარსმელის ცნობით, ზარსმის პირველი ეკლესია სამ წელში დაუქრულებიათ. თემცა, არახელსაქრულ პირობებში პატარა ეკლესიის მშენებლობაც შეიძლება გაწელიდეთ. ზესით მოტანილი იყო ფრაგმენტი დიროთიურ ს კათალიკოსის ანდერძიდან, რომლიდანაც ვიგებთ, რა ტანჯვით აფეიათ იტრიის ეკლესია. მისი მშენებლობის პერიოდში ქართლმა გადაიტანა შამ თამაზის ოთხი შემოსევა და შეესჯა დაჯალა-ფაშის დაშქრობა. მშენებლობა რამდენჯერმე დიდი ხნით შეწყდა, 1540-იან წლებში

გალატოხეში სპარსელთა თარეშის პირობებში მუშაობდნენ („მოგუიკდებოდეს თარეშნი აგარიანთა და ავკურედეს წაკარტებსა გალატოხეში და ტეშში ნავ(კვი)დებოდით ქველანი“), 1578 წელს მშენებარე კელესია თურქებმა დაწვეს. გასაკვირო არ არის, რომ საბოლოო ჯამში მშენებლობა 1540 წლიდან 1580-იან წლებამდე, ე. ი. ორმოც წელსე მეტხანს გაგრძელდა¹⁷.

X-XI საუკუნეებში დიდი გემბათიანი ტაძრების მშენებლობის ხანგრძლივობა საქართველოში 10-20 წელს შორის მერყეობს. ოშკის ეკლესია ათ წელიწადში აშენდა¹⁸. მოქვის ტაძრის ამგებად „მატიანე ქართლისა“ ახახელეს აფხაზთა მეფე ლეონ III-ს, რომელმაც ხელ ათი წელი იმეფა (957-967), ამასთან ხაზ-გასმულია, რომ მან შენობა „აკურთხა და განასრულა ყოფლითა განგებითა“ და აქ საეპისკოპოსო საყდარიც დააარსა¹⁹. ბაგრატის ტაძარს საფუძველი 978 წლის შემდეგ დაედა (აღბათ 980-იან წლებში), როცა მისი მამუნეველი ქართველთა კურაპალატი აფხაზთა მეფედ ეკურთხა და ტაიდან ქუთაისში გადავიდა, 1003 წელს კი მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. ხვერციხოველი, როგორც ეს დანამდევილებით არის დადგენილი, ხელახლა აიგო 1010-1029 წლებს შორის²⁰, ანუ მთლიანად მის მშენებლობას ოც წელსე მეტი არ დასჭირვებია.

აღმოსავლეთქრისტიანული სამყაროს სხვა მხარეებში X-XII საუკუნეებში მშენებლობის საშუალო ვადა უფრო მოკლეა, ვიდრე ჩვენში. მაგალითად, ერთ-ერთი უდიდესი შუაბიზანტიური ნაგებობა – პანტოკრატორის ეკლესია კონსტანტინოპოლში (სეირექ ჯამი) ხელ ექვს წელიწადში აშენდა. კოეპის რუსეთში დიდი ტაძრის აგებას ოთხ-ხუთ, იშვიათად ექვს წელს ანდომებდნენ²¹. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ქვეთ მშენებლობა გაცილებით მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე აგურით – მით უმეტეს მაშინ, როცა თლილი ქვის პერანგიც კეთდებოდა და უხვი კვითილი შემკულობაც.



თავი V

სამშენებლო ხერხები და მეთოდები


1. საძირკველი

ნებისმიერი სახის ნაგებობის მშენებლობა საძირკველის ამოყვანით იწყებოდა. მას შემდეგ, რაც შენობის ასაგებად ადგილი შეირჩეოდა, ხდებოდა ნიადაგის მომზადება საძირკველის ნახაერელად. სწორ ადგილზე აგებული ეკლესიების საძირკველები მიწაშია გათხრილი. მათი სიღრმე დამოკიდებული იყო როგორც გეოლოგიურ პირობებზე, ისე შენობის სიმაღლე და, შესაბამისად, დატვირთვის სიდიდეზე. შუა საუკუნეებში საძირკველის მომზადების ცოდნა დროთა განმავლობაში დაგროვილ ემპირიულ გამოცდილებას (მათ შორის წინამორბედთა შეცდომების გათვალისწინებასაც) ემყარებოდა. ბუნებრივად, საძირკველს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ვინაიდან მის სწორად გამართვაზე დიდად იყო დამოკიდებული შენობის მდგრადობა. საფიქრელია, რომ ყველა თუ არა, დიდი ეკლესიების აგებას მაინც წინ უძღოდა სამშენებლო ტერიტორიის წინასწარი გაცნობა საძირკველის სიღრმისა და სტრუქტურის განსახასადურად.

ტბელი აბუხერისძე მოგვითხრობს, რომ წმ. გიორგიმ ეკლესიის ასაშენებლად ბოლოკუბასილის მიუთითა „ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა“ დატვირთული („მწყურნები“) ნიადაგის გამო, ეკლავ მომუშავე ოსტატს ღრმა საძირკველის ამოთხრა მოუწია და „მათ სიღრმეთათგან იყო შენებად და ესრეთ განახრულა ტაძარი“⁴²². ავტორს არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ხურო წმინდანის მიერ შერჩეული ადგილით დიდად ემაყოფილი არ ყოფილა და „მწყურნებით შეჰყრობილი“ თხრიდა. საერთოდ, საძირკველის თხრა იყო ყველაზე დაბალანახდაურებადი შავი სამუშაო, რომელზეც არაკვალიფიციურ მუშახელს ასაქმებდნენ. ნახილურის ციხის მშენებლობის შემთხვევაში ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, საძირკველის მოხრელ მუშებს გალატონისა და ქვისმთლელონ შედარებით ოთხ-ხუთჯერ ნაკლებს უხდიდნენ.

საძირკველსათვის გამოიყენებოდა ნატეხი და რიყის ქვა, აგური (იშვითად) კირი და თიხა. პატარა შენობის ფუნდამენტი, როგორც წესი, მცირე სიღრმეზე იტრებოდა. სამთავროს მცირე გუმბათიანი ეკლესიის (V საუკუნე) საძირკველი

საძირკველი
მხარეს:
სურ. 120.
ატენის სიონი



სურ. 121.
ანისხატის კელესია.
ფუნდამენტის სქემა
(რ. გვერდწითელის
მიხედვით)

სურ. 122.
წრომის ტაძარი.
ფუნდამენტის სქემა
(ლ. სიმუიაშვილის
მიხედვით)

ამოყვანილია ორი რიგი რიყის ქვის წყობით. შემაკავშირებულ მასალად გამოყენებულია კირის დუღაბი²¹. დიდ ეკლესიებს დრმა, განვითარებული ფუნდამენტები აქონდა.


VI-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელ მადალ სამშენებლო კულტურას მოწმობს თბილისის ანისხატისა და წრომის ეკლესიების საძირკვლები. ანისხატის ტაძრის კედლები უფრონება მათზე ორსაე მხარეს 10-15 სმ-ით განიერ საძირკვლებს (სურ. 121), რომლებიც აგებულია დიდი ფილებით კირის ხსნარზე და 1,8 მეტრზე ნადის. მათ ქვეშ დეკს მსხვილი რიყის ქვის სქელი ფენა. 1958 წელს, როცა ანისხატზე კვლევითი სამუშაოები დაიწყო და შურეფები გაკეთდა, დადასტურდა, რომ „საძირკვლების მდგომარეობა საუკეთესოა“²².

წრომში საძირკველი (სურ. 122) მილიანად 185 სმ ხიდრმისაა, 65 სმ ხიდრმე-მდე ნაგებია ნატეხი ქვით კირის დუღაბზე, ხოლო უფრო ქვემოთ, დარწმინდი 120 სმ ამოყვანილია რიყის ქვით თიხის ხსნარზე. ივარაუდება, რომ თიხის გამოყენება ფუნდამენტის ქვედა ნაწილში ემსახურებოდა კედლების დაცვას გრუნტის წყლებისაგან²³. უთუოდ ასეთი კარგად გაასრებული ტექნიკის შედეგია, რომ ფუნდამენტს თოთხმეტი საუკუნის მანძილზე დეფორმაცია არ განუცდია, ის არ დაზიანებულია 1920 და 1940 წლების ძლიერი მიწისძვრების დროსაც.

ალავერდის კათედრალის (XI საუკუნის I მესამედი) საძირკვლის მოწოდების, როგორც ნანს, უსრუნეთათ იმაზე, რომ მას გრუნტის წყლებთან შეხება არ აქონოდა. საძირკველი მიწაში 1,6-1,7 მ-მდეა ჩაღრმავებული, ხოლო გრუნტის წყლები მისი ფუძის ქვემოთაა²⁴.

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, ამის გამო ეკლესიათა მშენებლობა უმეტესად არაერთგვაროვან რელიეფზე უწევდათ. ასეთ დროს ხდებოდა არა მხოლოდ ნიადაგის გათხრა, არამედ მისი ხელოვნურად ამოყვანაც სამშენებლო მოედნის დასაეკვლად. ამოშენებულ ბაქნებზე ღვას მრავალი ქართული ეკლესია, რომელთა ნამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ყველაზე მნიშვნელოვან ადრეულ მაგალითებს შორის შეიძლება დავასახელოთ მცხეთის ჯვარი, რომლის დასაეკვლითი კედლის ქვეშაც ცოცხალი ფერდობი საგანგებოდ არის ამოშენებული. ატენის სიონის ასაგებად მოედნის მიმსაღებამ მოითხოვა პატარა

კონცხის გარშემო უზარმაზარი სუბსტრუქციის ამოყვანა – ხამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეს მისი კედლის სიმაღლე სოფან 15 მეტრს აღწევს (სურ. 120). სამხრეთიდან სუბსტრუქციას შუაში შეყრილი აქვს, რომელიც ტაძრის აწ დაზღვეულ ხამხრეთ კარიბჭეს შეეხება ამოხსნა. უფრო გვიანდელ ეკლესიათაგან დიდი სუბსტრუქცია აქვს ზედა ეარძიას, საფარის წმ. საბას, გრემის მთავარანგელოზის (ხამხრეთ აღმოსავლეთ მხარეს), თბილისის ბეთლემის ეკლესიას (სრულიყო მხარეს).



სურ. 123.
ხანძის ეკლესია

ასეთი სუბსტრუქციების ამოყვანა ხანგრძლივი შრომატევადი სამუშაო იყო. გაორავი მერნულე საგანგებოდ აღნიშნავს ხანძის ახალი ეკლესიის (910-20-იანი წლები) საძირკვლის მოშადების ხორთუღეებს. მისი თქმით, ეკლესია ააგეს „ყოცხელსა მას კლდეთა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქუთაქრითა მუართთა მრავალთა ეამთა დაავაკეს და ესრეთ შეპრაცხეს შემსაღებას ადგილისა მის, ვითარ-მცა სრულიად აღუქნა“²⁷ ხანცთა ამ მხრეთ განმონაკლისი არ არის კლარჯეთის მონასტრების უმეტესობა დამრეც ფერდობებზეა განლაგებული და ბევრი საძინახტრო ეკლესია (ოპისა, ჯმერტი, პარეხი, ნუკა-ხაყდარი) ხელფერად ამოყვანილ მღაღ ბაქნებზე დაგას. წყაროსთავის მონასტრის სატრაპესო ეფექსება მღაღ სუბსტრუქციას (მისი წინა კედლის სიმაღლე 9 მეტრს აჭარბებს), რომელშიც მოეწყვიათ დამხმარე სათავსები ორ იარუსად. არტანუჯის ეკლესიის სუბსტრუქციაში გაკეთებული კრიბრა ნაწილობრივ კლდეში იყო ნაკეთი ან, შესაძლოა, მოცკადა ბუნებრივ მღვიმეს²⁸. ხანძის ეკლესიისა და სატრაპესოს სუბსტრუქციებში სამი განმეორთავი კამაროვანი სათავისა გაკეთებული. მათი მოწყობა ათაღებდა სამშენებლო მოედნის მოსწორების მისიე სამუშაოს და ამცირებდა ათაღობის გალაენის კედლებზე. ამავე დროს, ეს სათავსები გამოთენებოდა საკუქნაოზად, მარნებად ან სხვა რაიმე პრაქტიკული მიზნით²⁹.

სათავსებიანი სუბსტრუქციები საქართველოში უკვე ადრეული ხანიდან არის ცნობილი. ერთ-ერთი უადრესი მაგალითი მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარში (VI საუკუნის II ნახევარი) გვაქვს, სადაც ძირითადი ხიერცისა და პორტიკების ქვეშ ოთხი პატარა სამარხი ოთახისა გაკეთებული³⁰ კიდევ უფრო ადრინდელი ნეკრუხის მცირე საძლოცკვლო, რომელიც ახვეუ შეიცავს საძაღვს სუბსტრუქციაში.

სუბსტრუქციებში სხვადასხვა დანიშნულების სათავსების მოწყობის პრაქტიკა ფართოდ იყო გაერცელებული ბიზანტიაშიც. კონსტანტინოპოლში ეკლესიებისა და სახახლეების ფუნდამენტებში ხშირად აკეთებდნენ ცისტერნებს (პანტეპოპტესი, გვიანდელი ესქი იმარეთ ჯამი – 1080-იანი წლები, პამაკარისტოსი, გვიანდელი ფეთიე ჯამი – XII საუკუნე. ქორას მონასტრის საძლოცკვლო – XIV საუკუნე). ამჟამად გოულ ჯამის სახელით ცნობილი XII საუკუნის ეკლესიის სუბსტრუქცია შეიცავს რამდენიმე პატარა ოთახსა და დრეფიანს. სამარხი



სურ. 124.
აქერის ციხის
საკურთხელოს
აფხის კედელი

მთავრადპირი
მხარეს;
სურ. 125.
აკუნების ეკლესია.
კედლის წიობა
საკურთხეულში


კრიპტები ბიზანტიანთა შედარებით იშვიათია (მოხიოს დუკასის კათოლიკონი 1010-იანი წლები)³⁴ განვითარებული კრიპტის კარგი ნიმუში შემონახა ბუღარეთში. ბასილიკოს (პეტრიწონის) მონასტრის მასლობლად, დამრეც ფერდობზე აგებული დარბაზული ეკლესიის მაღალ სუბსტრუქციაში მოწყობილია საძვალე, რომელშიც დაკრძალულია არიან გრიგოლ ბაკურთაინს-ი და მისი ძმა³⁵.

სადირკელის ამოყვანის შემდეგ მის ზედაპირს კარგად მოასწორებდნენ და შემდეგ მასზე უშუალოდ ნაგებობის კედლებს აგებდნენ. ნასტაკისის სამნაივან ბაზილიკაში, რომელიც ადრექრისტიანული ხანით თარიღდება, ქვიშაქვის დიდი ღორების ერთი რიგით გამოარაული სადირკელის ზედაპირი გულმოდგინედ არის მოსწორებული და მასზე აღიხის აგურით კედლებია ამოყვანილი³⁶ საკუთდაგულოდ არის მოშინდაკებული სადირკელის ზედაპირი აზმანას (VIII საუკუნე) ეკლესიაშიც, სადაც ეს განსაკუთრებით კარგად ნახს, რადგან ეკლესია დახალული მხრიდან ხრედიად ღია იყო³⁷.

თუ მეარი გრუნტი ამის საშუალებას იძლეოდა, ეკლესია სადირკელის გარეშეც შეიძლება აეშენებინათ. ასეთია სამწკერისისა (VII საუკუნე) და თელიანის (IX საუკუნე) ეკლესიები, რომლებიც უშუალოდ მიწის ზედაპირზეა აგებული³⁸ ორივე შედარებით მოცრო გუმბათიანი შენობაა, აღბათ უბრალი დამთხვევა უნდა იყოს, მაგრამ მაინც აღნიშნაუთ, რომ ორივე წმ. ჯერის („ჯვარპატოისის“) სახელობისაა. გურგუტის სამების სამრეკლო (XIV საუკუნე) დგას ფიქალის ვერტიკალურ ძირღუზე, რომელიც ნიადაგიდან დაახლოებით 1,5 მეტრზეა ამოხრდილი. ცხადია, შენობას ფუნდამენტის თხრა არ დასჭირდებოდა - ამ ბუნებრივ სადირკელს სწორი ფორმა მისცეს და ზედ დაამყნეს სამრეკლო³⁹.

2. კედლები და თაღ-კამარები

შუა საუკუნეების ქართული ეკლესიის კედლის სისქე, წვეულებრივ, 0,9-1,1 მეტრის ფარგლებში მერყეობს. ციხეებსა და გალავნებში ის შეიძლება 2 მეტრსაც აღარბედდეს. კედლის ამოყვანის ტექნიკა საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არსებითად არ შეცვლილა, ძირითადი და ყველაზე ფართოდ მოხმარებადი საშენი მასალა იყო ქვა. კედლის პირი შიგნითაც და გარეთაც ამოწყავდათ ქვის წიობით, ხოლო გულის აგებდნენ ნატეხი ქვითა და ღორღით კირის დუკაბზე. ამგვარად, ქვის ორმხრივი წიობა მშენებლობის პროცესში ერთგვარად კოფრაციის (ხის კალაპოტის, „შუფიცრის“) ფუნქციას ასრულებდა. ის არა მხოლოდ მთავრკეთობაა, არამედ კედლის სტრუქტურის არსებითი ნაწილიც - პირითი წიობის ქვედა,






როგორც წესი, დრმად ზის კედელში, ხშირად მათზე მოდის კედლის საერთო სიხის 3/4 ან მეტიც კი. არის შემთხვევები, როცა შიდა და გარე წიბების დიდარი ქვები დაკრძმავებული ზურგებით თითქმის ესება ერთმანეთს, ქვების გათხელება და, შესაბამისად, დედაბის გულის წილის არსებითი ზრდა აღინიშნება მხოლოდ X საუკუნის შეახანებიდან. აქურის კათედრალს თლილი ქვის პერანგი დიდძალად შემოსარცვლილი აქვს, მაგრამ კედლების ნაწილი მაინც დგას. კედლის გული საკმარისად მტკიცე აღმოჩნდა საიმისოდ, რომ უპერანგოდ არ დანგრეულიყო (სურ. 124).

ქვის დამუშავების წესი დიდად სხვაობს არა მხოლოდ პერიოდებისა და რეგიონების მიხედვით. მასზე გაეღენას ახდენდა საშენი მასალის თვისებები, მშენებელთა კვალიფიკაცია და დამკვეთის მატერიალური შესაძლებლობები. სეფთად თლილი ქვის ორმხრივი წიბა დამსახრობებულია V-VII საუკუნეებისა და X საუკუნის II ნახევრისა და XI საუკუნის დასაწყისის დიდი ნაგებობებისათვის (სურ. 125, 128). ადრეულ ხანაში ზოგჯერ კვადრებს პირთა წიბოებს ირთვდა უთლიდნენ, რაც წიბის ნახატს განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებდა (ქვემო ბოლნისში, მცხეთის მცირე ჯვარში, წრამში, სამწყურისში¹⁾). დაახლოებით 1030-იანი წლების შემდეგ თლილი კვადრები მხოლოდ ფასადებზე იხმარება, კედლის შიდა წიბისათვის მათი გამოყენება იშვიათია. პრაქტიკულად მიუღიო შუა საუკუნეების მანძილზე რიგით მშენებლობებზე გამოიყენება მეტ-ნაკლებად უხეზად დამუშავებული ქვა - ზოგჯერ მოსწორებული პირთი, მაგრამ გამოუყვანელი წიბოებით (სურ. 126, 127), ზოგჯერ ზოგადად დაკეთხილი, ზოგჯერაც სრულიად შემოსხვივითი მოყვანილობისა, სახელდახელოდ დატეხილი. VIII-IX საუკუნეებში ეს ძირითადი საშენი მასალაა. კახეთში (ზოგჯერ სხვა მხარეებშიც) ფართოდ მოიხმარდნენ რიყის ქვასაც. იმ შემთხვევებშიც, როცა კედლისა ნატეხი ან რიყის ქვით იკებოდა, თაღების, პილასტრების, წითოსულებისა და კოთხების გამოსაკვანად, ხეუდლებრივ, უფრო წესიერად დამუშავებულ ქვებს იყენებდნენ.

სხვადასხვაგვარია ქვის ზომაც. ზოგჯერ კედლების ძირში დიდი ღილვება ნართული, ხელი უფრო ზემოთ წიბა საშუალო ან პატარა ქვებისგან შედგება (არტანუჯი - ქალაქის ეკლესია, ეგრისის „შვი ხყადარი“). გოგანტური ქვები თლილი ქვის პერანგშიც შეიძლება შეგვიხვეს - გელათის მონასტრის დმრთის-მშობლის ტაძრის სამხრეთი ეკვტრის სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებში ნაღმგულთა ორი დაახლოებით 3,0x1,6 მეტრის ზომის ქვა, რომელთა დაღებაც; გადმოცემა თითო დეით აღმაშენებელს მიაწერს (სურ. 129). გამორჩეულად დიდი ქვები გამოიყენებოდა კარის არქიტრავებზე. მაგალითად, ფოკას ეკლესიის სამხრეთი შესახელების ბაღავარი 378x127 სმ ზომისაა.



სურ. 128.
ოშის ციხარი,
ნაფხავლი წიბა

მომონღაძორე
მარცხ
სურ. 126.
ქუმის (თლითის)
ეკლესია, კედლის
წიბა ირცერიერში

სურ. 127.
დიკანის მონასტრის
ეკლესია, კედლის
წიბა ირცერიერში



სურ. 129.
გელათის მონასტრის
დნობისმშობლის
კედლის
სამხრეთი კუთხრის
კედლის წყობა

ანტიკური ხაზიდან საქართველოში ცნობილი იყო აგურიც. შუა საუკუნეებში ის უფრო ხშირად ქვასთან ერთად იხმარებოდა. დასავლეთ საქართველოს ადრეულ საფორტიფიკაციო ნაგებობებში (შირაპანი, სკანდუ ვარციხე, ვაშნარი, ტოღები და სხვა) გაერკვლებულია ბიზანტიური opus mixtum-ის მსგავსი ტექნიკა, რომელიც ქვისა და აგურის რიგების მონაკვეთობას გულისხმობს¹⁸. ამ შენობებში აგურის გამოყენება უხეშად დამუშავებული ქვის რიგების მოსწორების აუცილებლობით არის ნაკარნახევი. ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში შერეული სამშენებლო ტექნიკა, როგორც წესი, განსხვავდება ბიზანტიური opus mixtum-ისგან. ზეენში აგურითა და ქვით შენობის სხვადასხვა ნაწილები იკება, ამასთან, აგური უმეტესად (თუმცა არა ყოველთვის) იხმარება იქ, სადაც შესრულების მეტი ხისუსტევა ხატირო.

საეკლესიო მშენებლობაში V-VII საუკუნეებში აგურს ქვასთან ერთად იყენებენ შაქისღვისხორეთში (ბიჭვინტის ორნავიანი ეკლესია, ვაშნარი), ხოლო VIII საუკუნიდან – კახეთშიც. გურჯაანის ეკლესიაში¹⁹ აგურისაა კედლები შიგნიდან, ბურჯები, თაღები, კამარები, მთელი შუა ნაწი, გუმბათქვეშა კონსტრუქციები და გუმბათები (სურ. 130), კანაძიანის ეკლესიაში²⁰ – ზოგი თაღი და კამარა, ტრომპები (დამხმარე ხათავსებში) და გუმბათი (სურ. 131), ზედასნის ბაზილიკაში²¹ თაღები (აქა-იქ ჩართულია კედლებშიც), აღვანის ნათლისმცემელში – ბურჯები და თაღები, აგურის მამალაეთში – საფასადო დეკორის და ინტერიერის ცალკეული ელემენტები, ცხვარიჭამიაში – კედლის თაღები, მთლიანად აგურით აგებული ეკლესიის იშვიათი ადრეული მაგალითებია ოზაანის ამბლღობა (სურ. 133) და საგურამოს აგურის საყდარი²²

ცალკე უნდა ვახსენოთ ხანაგორის ღმრთისმშობლის ეკლესია (XI საუკუნის დასაწყისი), რომლის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლების ზემოთ და ქვემოთ, ძირისონტაქტური რიგის ყოველ ქვას ევრტიკალურად დადგმული ხაზი აგური მოქექება (სურ. 132). შედგება, თითოეული ქვა თიხვე მხრიდან აგური არის „მინარნიებელი“ ეს ხეყნსი უმუყათუხი მჟაგათით ბიხანტაში გაერტყლეუ ბული cloisonné („ტახრული“) წყობისა“¹⁹


X საუკუნეში აგური აქა-იქ დამხსრე მხალად ჩანს ტაო-კლარჯოში. უნუეულო შემთხვევა ესბეკის ბაზილიკა, რომელშიც აგური მხოლოდ აფხიდა აშენებული. დილისიანაში აგური ნაგების პასტოფორეუმბისა და ევტრების კამარები. თქში აგური უმხროთ სრდილოეთი გაღერეიდან გუმბათზე ასხეული კიბის ამხაყეჩანად. თიხის ეკლესიის მინახტრის კრიპტანი დარბა-ზელი ხამლოცელოს ეკლესია აგურისა და ქვის რიგების მინაცელოთით არის ამოეჩანილი (სურ. 134). ეს ტექნიკა, რომელსაც opus listatum ეწოდება, ფართოდ იყო გაერტყლეებული ბიხანტაში. თეცა ბიხანტურ ეკლესიებთან შედარებით, თიხის ეკლესიის ხამლოცელოში შეტო ორეგულარელობა აგურის წყობის რიგების რაღენობა ერთიდან ექხსამდე მერეეობს. იმავე მინახტრის დიდ ტაძარში მხაეხი წყობა გეხელება მხოლოდ შიგნით, ხა-კერთხეელის აფხიდხა და გაერტათ ნაეებში. ფასადები მიღლახად თღლი ქვისა. მხაეხი სურათის კახეთის X-XIII საუკუნეების ზოგერთ ეკლესიაშიც (მგაგლითად, კარდანახის ხდაწმინდაში – XIII საუკუნე).

სურ. 130.
აგურის
ქვედაწმინდა





სურ. 131.
უახსანიის
ქუდა-სწინა,
სენა გუბანი



სურ. 132.
ხანაიერის ქუდასია,
აღმოსავლეთი
ფსაი

საეკრავლეობა, რომ ბიზანტიური შერეული წიობა შეხედვლად გაერთიანდა აფხაზეთშიც, ხალაქ ქველასუ ძლიერი იყო ბიზანტიური არქიტექტურის სოგადი გავლენა. ადრეული ეკლესიებიდან ის საქსოდ თავისებური სახით გვხვდება დრანდაში. აქ ძირითადი მასალა აგურია, მაგრამ აგურის წიობაში აქა-იქ უხისტე-მოდ ჩართულია რიგის სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვების რიგები (სურ. 135). VI-X საუკუნეთა ეკლესიების უმეტესობა (ძველი გურია, აბაანთა, ცანდრიფში, მოქსურა, შხიფი, ანაკოფია, ლისნე, მოქცი) ქვით არის ნაგები. Opus listatum სამშენებლო ტექნიკა წარმოდგენილია ბიქსინტის გუმბათთან ეკლესიაში (საქარაუდოდ X-XI საუკუნეთა მოხა, სურ. 136). მის ფასადებზე თანაბარსომიერი ქვების რიგები მონაცვლეობს აგურის ოთხ ან სუთ რიგთან (სოგან შეიძლება იყოს შუტი ან ნაკლებიც). გუმბათი, კამარები და თაღები აგურისაა.

დასაქვლი საქართველოს სხვა მხარეებში აგური გვიან შუა საუკუნეებამდე იშეითად იხმარება. აგურის სურთომოდერების ეკლასუ თვალსახინო ნიშუში აქ არის გვეეთის სახახლე, რომელმაც დღევანდელი სახე შუფე გიორგი III-ს დროს (1156-1184) მიიღო.


აგური ფართოდ გამოიყენება დავით აღმაშენებლისა და მისი შემკიდრეების მიერ ქართლში აგებულ ეკლესიებში. შერეული ტექნიკის თავისებური ნიშუშია არმასის მონასტრის მთავარი ეკლესია. აღაგავლავ მისი წიობა opus listatum-ს წააგავს, მაგრამ მეტწილად უფორმო ქვები აგურის რიგებში უხისტესოდ არის ჩართული. მილიანად აგურითაა ნაგები შიომღვიმის მონასტრის დმრთისმშობლის ტაბარი და მონასტრის მახლობლად მდებარე აძაღვების პატარა ეკლესია. თაღის ეკლესიაში, რომელიც ქვით არის ნაშენი, აგურისაა პატრონიკეს კამარა.

XII-XIII საუკუნეთა მოხაზე მილიანად აგურით აშენდა ყინციუისხა და ტიმოთესუბნის ტაბრები, XIII საუკუნის II ნახევარში შერეული ტექნიკით თბილისის დედაციხის ეკლესია და მეტეხი (ინტერიერის კვლეუბი ქვანარევი აგურისაა, ფასადები - თლილი ქვის). XVI საუკუნიდან აგურის გამოყენება შეკუთრად იხრდება. გვიანი შუა საუკუნეების ქართული ეკლესიების, სამრეკლოების, სასახლეებისა და საფორტიფიკაციო ნაგებობების მნიშენლო-უანი ნაწილი მილიანად ან ნაწილობრივ აგურით არის ნაშენი. აგურს ფართოდ მოიხმარდნენ ქვის ძველი, დანგრეული ნაგებობების აღდგენის დროსაც (ბოლნისის ხიონი, ურბნისი, ანისხატი, ნინოწმინდა...).

შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა კამაროუანი არქიტექტურაა. ქვითა და აგურით ნაშენი ეკლესიების ხით ვადახურუა მიღებული არ იყო, მთა ახეუ ქვის ან აგურის კამარებით სურაუდნენ (გამონაკლისია სოგვიერთი ადრეკრისტიანული



სურ. 133. ოხანის ახლდება





სურ. 134.
ოთხთა ეკლესიის
მინასტრის
კონსტრუქციის
სასლოდო ელემენტი

ბაზილიკა 'მავსელისხორეთში' – ბიქინტის I, II და III ეკლესიები, ნიქალაქის I ეკლესია¹⁰). თაღები და კამარები ამოკეფდათ ხის ქარგივლებზე (ხოვან მათი კეფლიც 'შემორხა).

თაღები და კამარები მოხაზულობის მხრივ შრეაღსკვეთიანია, მიიღეს 'შეა საუკუნეების მანძილზე გვხვდება სახეობარწოელი თაღები. IX საუკუნემდე (ხოვან მავალითად, ჯაფახეთში X-მდე) აკეთებენ ნაღისებურ თაღებს. IX საუკუნიდან შემოდის ისრული და კვერცხისებრი ფორმა¹¹ ადრეულ ხანაში თაღის კონსტრუქციაში 'ზოგჯერ იყენებდნენ კბილანებთან ქვებს, რაც აძლიერებდა მის ხიმტკიცებს (სურ. 137).

გუმბათქვეშა კვადრატის გუმბათის წრესე გადახსკვლეულად V-IX საუკუნეებში იხმარება ტრომპები. IX საუკუნიდან თანდათან შემოდის აფრები. X-XI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოში (და ეპიზოდურად სხვაგანაც) გამოიყენება კომბინირებული ფორმა – აფრა-ტრომპები (სურ. 138). ის ხელახლა ბრუნდება გვიანა 'შეა საუკუნეების არქიტექტურაში კახეთში და აქა-იქ ქართლში¹².

საქართველო სეისმური აქტივობის 'ონაში მდებარეობს. 'შეა საუკუნეთა მანძილზე აქ რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა მოხდა 1088 წელს სამცხე-ჯაფახეთში, 1283 და 1325 წლებში ქართლში, 1350 წელს დუხსუქში, 1668 და 1742 წლებში კახეთში, 1785 წელს გურიაში. საერთაშორისოდ საქართველომდე უნდა მოედწა დენის 893 წლისა და განჯის 1139 წლის დამანგრეველი მიწისძვრების ბიძგებსაც. ამ კატასტროფების შედეგად დაიქცა ან დაზიანდა არაერთი 'შენიბა, მათ შორის აწკურის ტაძარი, თმოგვის ციხე, ვანის ქვბები (სურ. 139), მკვითის ხეტიცხოველი და სამთაერო, ალავერდის ტაძარი...



ბუნებრივია, მშენებლებს აფიქრებდათ ეს პრობლემა და ცდილობდნენ თავიანთი ნაგებობებისათვის მეტი სესისმიმდევლობა მიენიჭებინათ. სიციერთ ნაგებობაზე დასტურდება საგანგებო საშუალებების გამოყენება გამქიმავი ძელებისა და პირი ხინტაღური დარტყმების გასინეიტრალებლად. წრომის ტაძარში შემორჩა კედლებში ნატანებული ხის ძელების ბუდეები, დაახლოებით 30 სმ დამეცრისა. ძელები ჩადებული იყო კედლების ზედა ნაწილებში მთავარი კამარების ქუსლების პარალელურად. დედაბის ზედაპირი ამ ბუდეებში უხვრამაწვროა, რაც მოწმობს, რომ ძელებს არ თლიდნენ და საგანგებოდ ხორკლიან ზედაპირს უტოლებდნენ, რათა მათ ქვის წყობა-ხიან მეტი ხსხენი-ქმინოდათ და, შესაბამისად, უკეთესად ემუქმებოთ გაქიმავაზე. ასეთი საშუალებით ხდებოდა კედლის დაცვა დაბზარვისაგან, რაც შეიძლებოდა გამოეწვია არა მხოლოდ მიწისძვრის, არამედ საძირკვლის არათანაბარ ჯდენასაც¹¹, ხის ძელების ბუდეები რამდენიმე ადგილას ნანს ასევე ეახნაეთის კაბენისა და კაღეთის ეკლესიებში¹². მათი საშუალებით იყო არმირებული კედლები იშვის ეკლესიაშიც – მისი დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის მთელი შუა ნაწილის გაუცლებასე კარნისის ქვეშ ნაატანეს 24 სმ დიამეტრის ფიჭვის (Pinus Sylvestrus ან Pinus Nigra) მორი¹³. იშვიათი ხერხია გამოყენებული ხსხელის ტაძარში სამსრუთი მკლავის დასავლეთ კედელზე დიდრთი თლილი ქვების წყობა ქმნის ერთგვარ ჯაჭვურ ხარტყელს, რომელსაც მიწისძვრის შემთხვევაში კედელი გახეიქვისგან უნდა დაეცვა. როგორც ნანს, არსებითად იმავე მიზანს ემსახურებოდა ქვის ხილდლის ცვლააც ერთი რიგის ფარგლებში ერთი ხილდლიდან მეორეზე გადასვლა. ქმინოდა კბილანს, რომელიც ამცირებდა კედლის გაბზარვის შესაძლებლობას

სურ. 135.
ღრანის ციხარი

სურ. 136.
პეტრის ციხარი




სურ. 137
 მანსუქის ქუჩა
 ეკლესია.
 კარის თავის
 კბილანებთან ქვები
 ხაზსრული უცხადსე

ქორთოსინტალური ბიძგების შემოსევაში. ეს ხერხი გვხვდება ტაოს X ხაუკუნის დიდ ტაძრებში (ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია). ის ცნობილია ხომსეთშიც¹⁵⁷.
 ეკლდის გახამაგრებლად სხვა მეთოდებიც გამოიყენებოდა. გუდრუჩის ეკლესიის განათხარ მასალაში გამოიყენებოდა შირიმის კვადრი, რომელშიც ღვთისთნის კაუქი იყო ჩარტობილი. ასეთი ღვთისთნის კაუქი შენობაზე კიდევ რამდენიმე აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლები ქვების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ღვთისთნის ხამაგრებს იყენებდნენ¹⁵⁸. ეკლდის ხიმტკიცის გახამადიერებლად ხმარობდნენ ქვის გათლილ ხიდლებსაც. ისინი ნაპოვნია პატარა ონის ეკლესიაში¹⁵⁹.

მიწისქერის გარდა, ეკლესიის დანგრევის მიზეზი სხვა ხახის ხტიქური უბეჯერებაც შეიძლება გამხდარიყო. სემთი უკვე ვახხენთ დარგვისის მონასტერი, რომლის ნაგებობებიც რამდენჯერმე შეეწირა ადიდებულ მდინარეს. 1660-იან წლებში თბილისის მეტეხის ეკლესია მეხის დაქეჩისაგან დაზიანდა¹⁶⁰.
 შენობები ინგრეოდა ადამიანთა ხელითაც. რელიგიური ფანატიზმით ანთებული უცხო რჯულის დამპყრობლები ხშირად ანადგურებდნენ ეკლესიებს. 1226 წელს სეარაზმელთა შაჰმა ჯაღად უდ-დინმა ნაშთანგრია თბილისის სიონის გუმბათი. აღდგენილი ტაძარი 1522 წელს ხელახლა დააქცია ირანის შაჰმა ისმაილ II-მ. 1400 წელს ხაქართუელოში მეექვსედ შემოსულმა თემურ-ლენგმა დაანგრევინა მცხეთის ხეყტიცხოველი, რუისის ტაძარი და რკინის მონასტერი¹⁶¹. 1691 წელს ქუთაისის კათედრალი („ბაგრაგის ტაძარი“) თურქებმა ააფეთქეს. კიდევ უფრო მეტია ცნობები ქალაქებისა და ციხეების დაქეცვის შესახებ. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი კველაზე მძიმე უნდა ეთყოს არაბთა


735-737 წლებს შუამოსხვა მურვან ერუს მეთაურობით, რომელმაც „შუმესრია ყოველნი ქალაქი და უმრავლესნი ციხენი“ ქართლსა და ეგრისში, მათ შორის ციხე-გოჯი (გვიანდელი ნიქლაძეები) და ცხემო¹⁵¹ ციხეებს სოფ. ჯერ თავად ქართველებიც ანგრევდნენ. ექვლაზე ცნობილი მაგალითია შაი აბას II-ის მიერ კახეთში აშენებული ბასტრიონის ციხე, რომელიც 1659 წლის დიდ ბრძოლაში განარჯვების შემდეგ დაანგრიეს აჯანყებულმა კახელებმა.

ბუნებრივია, მოელი შუა საუკუნეების მანძილზე, როცა კი ამის შესაძლებლობა ჰქონდათ, ქართველები ცდილობდნენ აღედგინათ დაანგრეული კულახია-მონასტრები, ციხეები თუ სასახლეები. „მეორედ მაშენებელი“ საერო და სახელმწიფო პირები ხშირად გეგმებიან წერილობით ცნობებში. სვეტიცხოვლისა და რუისის ტაძრის აღსადგენად, როგორც ცნობილია, მეფე ალექსანდრე I-მა საგანგებო გადასახადიც კი დააწესა: ბერი ეგნატეშვილის ცნობით, მან „მოითხოვა დიდი უხევითარი და დახდვა იმურთა და ამურთა, ზემო ქართლსა და კახთა, კომლხედ ექუხი შუერი, ყოველსა წულიწადსა ამა მადს გამოართმევდა და ამით იწყო შენებად მცხეთისა და რუის დმრთაებისა ხაყდრისა“¹⁵².



სურ. 138.
ოშკის ცაბანი,
ნრვილი-
აღმოსავლეთი
აგურა-კრამი

გვიან შუა საუკუნეებში მიმდინარე ადგილობრივი სამუშაოების სახისათვის წარმოსადგენად უაღრესად ხაინტყველი დოკუმენტია ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუჩისშვილის ანდრძი, რომელშიც მოთხრობილია ნინოწმინდის ტაძრის გუმბათის განახლების ამბავი¹⁵³. 1740-იან წლებში, როცა საბა ნინოწმინდაში მოღვაწეობდა „შეუღდა, ტაძრის ძველი გუმბათი ისეთ მისიმე მღვთმარობაში ყოყლია, რომ მღვდლებს უმწინდათ თავსე არ დაქცეოდათ (ანიადაგ შოშა შინა ვიქცხითი დაქცეისათვის)“. საბამ გუმბათი დააშლევინა და ახლის ამოყენას შეუდგა, ამასთან, როგორც იგი გაამცნობს, დანგრევა აგებაზე არანაკლებ ძნელი ყოფილა („დაქცევახა ამას ხედა ჭირნი არა უმცირეს აღშენებთხა თეუნეს“). ასევე დიდი შრომა დასჭირდა „ყაღანგის“, ე. ხარაჩოების აგებას („მრავლითა ჭირ-ღებთა ყაღანგი შემოყველ სამუშაკოს“). მაგრამ მთავარი პრობლემები წინ იყო. ნინოწმინდა ადრეული შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიაა, მისი თავდაპირველი გუმბათის დიამეტრი დაახლოებით 10-11 მეტრი უნდა ყოფილიყო. საბა ნინოწმინდელის ეპოქაში ამხელა გუმბათებს ეკლარ აკეთებდნენ – XVIII საუკუნის შუახანების ექვლაზე დიდ ქართულ ეკლესიებშიც; კი (თბილისის ქვეყნითი, ლარეჯისის წმ. თეოდორე ბარაკისის დმრთისმშობელი) გუმბათის დიამეტრი 4-5 მეტრს არ აღემატება. თავის ანდერძში საბა, თითქოს თავს იმართლებოხი, აღნიშნავს, რომ გუმბათის ძველი ეკლესიის შიგნით ახლის ამოყენა,






ანუ, არსებითად, გუმბათის დასმურის შესქობება შეუძლებელი იყო (ასისუნდა ნიშნულეს ხიციკები: „[ვ]ა მის ძუნდისავე ექვლის მხიდველი განსქურცეთ მისხა ფარგალსა შიგან ვერ შენებულესას“). ძველი ეკლი არ მოხვრთეს, დატოვეს და რაციონლც ძალიან აამსდღეს, მასზე დიდი წყაღებით აკურთ ამოიქვანეს გუმბათის ნახევარსფერო, მაგრამ მას „წყალი არ შეისვრა“ ამიტომ დაშლდეს და თავიდან ააშენეს. ხაზბლით გუმბათი უხიმიდ დიდი გამოიდა - იმდენად დიდი, რომ მისი მღვრადობა იმოაუთვე კესი აწვედა, გადმოქმით, 1771 წელს ერეკლე II-ს უნახავს განახლებული ტაძარი და მტრობლიტის-იუის უთქვამს: „მერწმუნე, მღვდელმთავარო, რომ ეკლესია შენ დაგინტრეკია და არ აგიშენებია, ხაზბლზე დიდი დავიფვამს, ვეხები გამოციკლდა“-ო“. მეუფის პირქეში პროანოხი მღვე ახდა - 1824 წლის მიწისხერისხს გუმბათი მილიანად ჩამოიქვა.

ს. ბარნაველმა ეწრადლება მიაქცია იმ უცნაურ ფაქტს, რომ საბა ჩინო-წმინდელის მონათხრობში ტაძრის განახლების შესახებ არხად ჩანს ხეროთ-მოდვარო⁵⁵ იქმნება შობაბეკლილება, რომ ეველაზე პასუხსაგებ ტემიკერ გადაწვევტილებებს იღებს თავად საბა, რომელიც დიდად ვერ ერკვევა მშენებლობის ხაკითხებში, მილიანად, დიკემენტი კარგად ეკისეუებს რა პრობლემებს აწვდებიდნენ ადრინდელი ეკლესიების აღმღგენელები გვიან შუა ხაკეუეეებში.

ს.ვრ. 140,
 ახკელის ტაძარი,
 ასკიციხისკერი
 წყობა ს.მტრობ
 მღვდელმთავრად
 ადღვლეს

მომინდამორე
 მარეს
 ს.ვრ. 139,
 ენის ქვაბების
 მონახიკერი



სურ. 141.
ძალის.
ტრიკლინიუმის
მოზაიკური იატაკი

არქეოლოგიური მასალითა და უშუალოდ ძეგლებზე დაცული ნიმუშებით დახტურდება იატაკის მოგების სხვადასხვა ტექნიკა. საქართველოში გამოვლენილია გეომანტიკური და ადრექრისტიანული ხანის რამდენიმე მოზაიკური იატაკიანი ნაგებობა. ძალისაში (III საუკუნე) მოზაიკა ამკობდა სასახლის ტრიკლინიუმს, აბანოსა და ღია ეზოს¹⁴¹ (სურ. 141), შუხეთში (IV საუკუნის II ნახევარი) – აბანოს აპოდიტერიუმს¹⁴² უადრესი საეკლესიო შენობა მოზაიკური იატაკით ბიკინტის ბაზილიკაა. V საუკუნეში შესრულებული მოზაიკა ძირითადად საქართვეულსა და ნართექსში შემოინახა, მაგრამ ფრაგმენტები მოწმობს, რომ ის მოვლ იატაკს ფარავდა. შესრულების მანერის მიხედვით ვარაუდობენ, რომ აქ ადგილობრივი მოზაიკური ხაზელისხო არსებობდა¹⁴³.

ადრექრისტიანული ხანიდანვე მიღებული იყო იატაკის აგებით მოკირწყლევა. მას თანაბრად ფართოდ მიმართავენ რეგორც საეკლესიო, ისე საერო არქიტექტურაში. ერთ-ერთი უადრესი მაგალითი ქუთაისის სამეფო სასახლის იატაკია (IV-V საუკუნეები), რომლისთვისაც მოგძმო 31×17×5 სმ აგური გამოყენებით¹⁴⁴. უფრო გვიან ნაგებობებში იატაკი, რეგორც წესი, კვადრატული აგურით

არის მოგებული (თბილისის დედაციხის ეკლესია – XIII საუკუნის II ნახევარი¹⁴⁵, კარდნახის საბაწმინდა – XIV საუკუნე და სხვა).

ახვეუ ადრეული ხანიდან გამოიყენებოდა იატაკის მოზაიკირწყლად კირის ხსნარით, რომელიც კარგი გამძლეობით გამოირჩევა¹⁴⁶. ე. ვაიდენბაუმის 1879 წლის ცნობით, ბნახს ეკლესიის იატაკი „მინახაით გლეუე“ იყო, რაც შეიძლება სწორედ პიდრავლიკური კირხსნარით მოღესილ ზედაპირს გულისხმობდეს¹⁴⁷, სეკტიცხოელის მელქისედეკისეულ ტაძარში იატაკი პიდრავლიკური კირხსნარისგან დამზადებული 26×26×8 სმ ზომის ფილებით მოაგეს¹⁴⁸. ამავე მასალით მოღესილი იატაკი გამოვლინდა ტაძრისის წმ. ვიორგის (X საუკუნის ბოლო)¹⁴⁹ და გუდრუხის¹⁵⁰ ეკლესიებში, ახვეუ ენიეალის ნაქალაქარის სამხავე ეკლესიაში (XI-XIII საუკუნეები)¹⁵¹.

კირხსნარში ხშირად დანაეილ აგურს ურევენენ, რაც, ერთი მხრივ, მეტ სიმტეიცივს ანიჭებდა მას და, მეორე მხრივ, აძლიერებდა მზატერულ ეფექტს, რადგან იატაკის ზედაპირი ხახამოენო ღია მოფარდისფრო შეფერილობას იღებდა. ასეთი შემადგენლობის პიდრავლიკურ ხსნარს სიგნინი (opus signinum) ეწოდება. ღია ვარდისფერი სიგნინით მოღესილი იატაკი ქტონდა ქუთაისში, დღეეანდელი ბაგრატის ტაძრის ადგილას მდებარე IV საუკუნის ბაზილიკის ძირითად სიერვეხა და სანთღაეს. VII საუკუნეში მას ნაენაცვლა უფრო დიდი



სურ. 142.
ქუთაისის ტაძარი.
იატაკი
საკურთხევლის წინ

ტაძარი, რომლის იატაკი „კირხსნარისა და სხვადასხვა ფერის სრეშისაგან შედგენილ მოზაიკას წარმოადგენს – პრიალა ზედაპირით“⁶⁶ მოწითალო-აგურისფერი პილარულიკური ხსნარით იყო დაფარული სეკციციხელის კორგასლი-სეული ბაზილიკისა და კანდრიფშის ტაძრის (VI-VII საუკუნეები) იატაკები⁶⁷. ბილბის ეკლესიაში (IX საუკუნე), ღია ვარდისფერი ნაღებია აგურით მოკირწყლულ იატაკს ფარავდა⁶⁸. აგურის ფხენილნარევი 2-3 სმ სისქის მტკიცე ხსნარია დასხმული ნაჯახოვოს გუმბათიანი ეკლესიის (X საუკუნე) იატაკზე⁶⁹.

წყენამდე მოღწეულ კირხსნარის იატაკთაგან ყველაზე შთამბეჭდავი ბაგრატ III-ის მიერ აგებული ქუთაისის კათედრალისაა (სურ. 142). შენობის ჩრდილოეთ კედელზე ამოკვეთილი წარწერის წყალობით – „ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223“ – ჩვენ ვიცით მისი მოგების ზუსტი დრო – 1003 წელი. ტაძრის ძირითად სივრცეში იატაკი მოღებილია ვარდისფერი პილარულიკური ხსნარით, ხილი საკურთხეველის წინ სხვადასხვაფერი მინარეკებით, ვ. წ. „ინკრუსტაციის“ წესით გამოყვანილია დეკორატიული მოტივი⁷⁰, რომელიც სამი უზარმაზარი, თექვსმეტფოთლიანი ვარდელისაგან შედგება. ვარდისფერი და თისფერი ფოთლების მონაცვლეობით გამოყვანილი ვარდულები თეთრი წრიული კონტურით არის შემოხაზლურელი და ჩახმულია დიდი და მცირე რგოლების რიგით შედგენილ ერთიან მართკუთხა ჩარჩოში.


Լեռն. 143.
Կանգնության
մեջընկած,
սպիտակ պնդակերտ



Լեռն.
Քրիստոսի Գլխի
Տաճար



ყველაზე ხშირად იატაკის მოსაგებად ქვის ფილებს ხმარობდნენ. ადრეულ ეკლესიათაგან ქვის დიდი ფილების იატაკის ნაშთი ნაპოვნია თბილისის ანჩისხატში⁷². იატაკისთვის სოფ. ჯერ მუქი ფერის მოწითალო ან მომწვანო ქვას იყენებდნენ – როგორც ჩანს, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. ვარდისუბნის როტონდაში (V-VI საუკუნეები) ძირს კარგად გათლილი ღუი-ნისფერი ფილები ეგო (სურ. 143). სამხრეთის მცირე აფსიდის წინ იატაკზე ამოკვეთილია დიდი სომის (65x80 სმ) ჯვარი⁷³. მარტვილის დიდი ტაძრის თავდაპირველი იატაკის შემორჩენილი ფრაგმენტებით (ის ბევრგან განახლებულია, "სოგანაც გვიანდელი საყვლაგის ქვებით აჩაქრილი") კარგად აკოხება მისი სტრუქტურა: თბილი ყვითელი ფერის ქვის ფილები რადიალურად არის დალაგებული შენობის ცენტრში გამოყოფილი დიდი წრის ირგვლივ⁷⁴ (სურ. 144).



სურ. 145.
რუისის ტაძარი.
წრილოვანი ევკერის
საკურთხევლის
იატაკი

იატაკის ქვაყენილისათვის მეტწილად ქვიშაქვასა და კირქვას იყენებდნენ, სოფ. ჯერ შირიმსაც (მაგალითად, თიანეთის სიონის მთავარი ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარე აკლდამაში⁷⁵). წერილმარცვლოვანი ქვიშაქვის თლილი ქვებით არის მოგებული იატაკები ტაოს X საუკუნის ორ უდიდეს გუმბათიან ეკლესიაში – ოშკხა და ხახულში. ოშკში მხოლოდ რამდენიმე ფილა (15 სმ სისქისა) შემორჩა საკურთხეველში, ხახულში კი ძველი იატაკი თითქმის დაუზიანებელია⁷⁶.

ძველი ქვის იატაკი მეტწილად კარგად შემორჩა განვითარებული შუა საუკუნეების ბევრ ეკლესიაში – მაგალითად, სულდაში, ხანცაში, წინწყაროში (ყველა X ს.), ქორეთში (1000 წელი), სიხაში, ქვემო წელელეთში (ორივე XIII ს.), ხოსიოში (XIV ს.)⁷⁷ და სხვა. ზემო კიხში (X ს.) კარგად გათლილი კვადრებით მოგებული იატაკის ცენტრში, ერთ ფილაზე დაბალი რელიეფით გამოკვეთილია წრეში ნახშილი ექესფორცლიანი ყვავილი. გამოთქმულია აზრი, რომ ხანცისა და წინწყაროს ეკლესიებში იატაკის ქვაყენილის არარეგულარული წიობა ეამისწირვის სპეციფიკურ წესს შეიძლება ასახავდეს⁷⁸.

იშვიათი ფერადოვნებით გამოირჩევა რუისის ტაძრის წრილოვანი ევკერის საკურთხევლის იატაკი, რომელიც XI საუკუნის I ნახევრით, უფრო კი 1030-იანი წლებით (მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლიდან საქართველოში დაბრუნების ხანით) თარიღდება⁷⁹ და თავისი ეპოქის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს (სურ. 145). ის სამი ფერის – მუქი მწვანე, ღვინისფერი და ქვიშისფერი ქვებით არის მოგებული. ქუთაისის კათედრალის მსგავსად, აქაც გამოსახულია დიდი ვარდული, რომელსაც თითქმის მთელი აფსიდი უკავია. ვარდულის ცენტრში პატარა მრგვალი ღვინისფერი ქვაა ნახმული, მას ჯერ შედარებით ფართო მწვანე, ხოლო შემდეგ ასევე ღვინისფერი ვიწრო წრე ევლება. წრიდან რადიალურად გამოიზრდება 18 ფურცელი. ისინი ღვინისფერი ხარტყლებითაა მოხაზული, ხოლო გულელებად მწვანე ქვებია ნახმული. ამავე ფერით არის



სურ. 146.
მღვიმეის ეკლესია.
იატაკი

შეესებელი ფერცლები¹⁰⁴ არეებიც, ეარდულს ფართო წრიული ქვიშხფერი ხარტყელი შემოსხსღერავს. აფხიდის კუთხეებში დარჩენილი არეები მწვანე და ღვინისფერი ქვებით გამოყვანილი პატარა ეარდულებით არის შეესებული.

განსხეაებელი მახალის მიუხედავად, რეისის ტაძრის იატაკი ქუთახისხს მოგვაგონებს. დეკორის სტრუქტურა და შემადგენელი მოტივები თითქმის ერთნაირია, რაც გვაფიქრებინებს რომ ეპოქისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან უნდა გვქონდეს საქმე.

უფრო გვიანდელ შემობათიდან მხგაეხი პრინციპით აგებული ქვის იატაკი აქვს მღვიმეის XIII ხაუკუნის II ნახეერის ეკლესიას (სურ. 146). სეფთად გათლილი თბილი ქვიშხფერი ქვებით მახსუე თახაბარი ზომის ორი დიდი წრეა გამოყვანილი. თითოეული მათგანი შედგება მომცრო წრიული ქვით მიჩინული ცენტრისაგან და მის გარშემო რადიალურად დალაგებული ტრაპეციული ფილების ხამი რევისაგან ისე, რომ თქმნება ოთხი კონცენტრული წრე. მღვიმეის იატაკი, როგორც ხანს, ადრეული ნიმუშით არის მოაგონებული¹⁰⁵ თავისი სტრუქტურით ის, პირველ რიგში მარტედიხას აგავს, თემაცა აშკარაა კომპოზიციური ნათეხაობა ქუთახისხსა და რეისის ტაძრების იატაკებთანაც.

ქართული არქიტექტურის ისტორიაში ჯერჯერობით უნახლოვო ნიმუშად გვევლინება ოხაანის ამადლების ეკლესიის ხაკერთხეელის კერამიკული




ფილებით მოგებული იატაკი, რომელიც, ქუთაისისა და რუისის ტაძრების გვერდით, შუა საუკუნეების დეკორაციული ხელოვნების საკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. თეთ შენიბა IX-X საუკუნეთა მოჯნას განეკუთუნება, ხოლო იატაკი XII საუკუნისაა. საკურთხევის 16,28 კვ. მ ფართობის იატაკს მთლიანად ფარავდა კერამიკული ფილები, რომელთა თავდაპირველი ოდენობა 750 (კალს აკარბებდა⁸¹) (სურ. 147). სამწუხაროდ, დღეს ისინი მთლიანად აურთლია და მხოლოდ მიწატკეპნილი საფუძველია დარჩენილი.

ოხანის იატაკის ნახაზს გეომეტრიული სახე ჰქონდა. მის შესაქმნელად სამი ფორმის ფილები იყო გამოყენებული: 1) ტოლგვერდა ექვსკუთხედი 27 სმ დიამეტრით, 2) რომბისებური 14 სმ სიგრძის გვერდით და 22 სმ საერთო სიგრძით, 3) ტოლგვერდა სამკუთხედი 14 სმ სიგრძის გვერდით. ოხტატმა ისინი ისე განაღობა, რომ ყოველი ექვსკუთხედი ფილის ყოველ გვერდს სამკუთხა ფილის გვერდი ეკუროდა და, მთლიანად, ექვსკუთხიანი ვარსკელაეი იქმნებოდა⁸².

ს. მათხურადის დაკვირვებით, იატაკის ფილები გაკეთებულია არა მკერამიტე ოხტატის, არამედ მუჭურგლის მიერ⁸³. მათი მასალა კარგად განდუქსილი, კერამიკული ჭურჭლისათვის განკუთვნილი წმინდამარცვლოეანი თიხაა. რომელიც დაფარულია წაბლისფერი, ფორუზისფერი, მწვანე და ღვინისფერი სქელი ჰიტურით. ერთფეროეანის გარდა, გეხედება მოხატული ფილებაც - ისინი,

სურ. 147.
ოხანის ასდღება,
იატაკის
კერამიკული ფილები
(ს. მათხურადის
ნახაჯის მსდღეით)



სურ. 148.
აკურთის ეკლესია,
ხამსრეთი კარის
არქიტრაფი

როგორც ჩანს, საკურთხეველის იატაკის კიდევუ, კედლებთან ახლოს იყო განლაგებული. მათი მოხატვის ტექნიკაც მეჭურჭლის ხელს ამკლავებს ფილებზე თეთრი ანგობის თხელი ფენა გადაუკლდათ, მისი შემოღობის შემდეგ წვეტიანი ხელსაწყოთი ორნამენტული სახეები ამოუკაწრათ და ნაირფერი ჭიქებით დაუფარათ.

ოსაანის ეკლესიის ძირითად სივრცეში ძირს წვეულებრივი კვადრატული აგურები აგია. ასეთი სურათია, როგორც ენახეთ, ქუთაისის ტაძარსა და რუისის ეგვტერშიც – იქაც გამოჩნეულად მდიდრული იატაკით გამოყოფილია საკურთხეველი და ბემა, ხოლო დანარჩენი იატაკი ერთი ფერისაა. სამსავე შემთხვევაში იატაკის ფერადოვნება ეკლესიის მთავარი ნაწილის მხატვრულ აქცენტირებას ემსახურება.

იშვიათ შემთხვევებში იატაკის მოსაგებად სხვა მასალებიც გამოიყენებოდა. ნატკაისის მეორე სამშენებლო ფენის სამეკლესიანი ბაზილიკის (VI-VII საუკუნეები) შუა და წრდილოეთი „ნაგები“ ბრტყელი გვერდებაკეცილი კრამიტით იყო მოგებული. ბევრ მათგანს აკეცილი გვერდები ჩამოთლილი აქვს⁴⁶. ნატკორას ბაზილიკას (VI საუკუნე) თიხატკეპნილი იატაკი აქონდა⁴⁵ ზოგ ეკლესიაში ძირს ხის ფიცრებსაც აგებდნენ. შესაძლოა თავდაპირველი იყოს ხის იატაკი აენგვის (XIV-XV საუკუნეები) ეკლესიის საკურთხეველში⁴⁶.

სხვადასხვანაირად აგებდნენ იატაკს ხაერო ნაგებობებშიც: ქვის იატაკი აქონდა საცხოვრებელ სახლს ნადარბაზევის სასახლის (XII საუკუნე) გვერდით⁴⁷ და ღლიშის ეკლესიის დასავლეთით მდებარე სათავსოს (XVI საუკუნე),



რომელიც წარწერაში „მარნად“ არის წოდებული¹⁴⁹. კვიანი შუა საუკუნეების ერთ-ერთ საეკლესიო ნიმუშს რისტომ მეფის თბილისის ხახხლის აბანოს (1640-50-იანი წლები) ხაბაზაო გახეოფილების იატაკი წარმოადგენდა. ის შიპირ-კეთებელი ყოფილა ნახევრადგამკვირვალე, თბილი შივარდისფრო-მიყვიითა-ლო შეყვრილობის არაგონების ფილებით¹⁵⁰.

სურ. 149.
წუნის ეკლესია,
კარის ზღვარის
ლოჯი


4. კარის ღა სარკმლის დიობები

შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიებში შესახველელები, როგორც წესი, კეთდებოდა სამხრეთიდან და/ან დასავლეთიდან, უფრო იშვიათად – ჩრდილოეთიდან და უიშვიათესად – აღმოსავლეთიდან (ცნობილია სულ ხაში მაგალითი, ხამივე ადრეული ხანისა – ძველი გაჯა'ხი, თბილისის ანისისხატი და უანწაძიანის მონასტრის სამეკლესიოანი ბა'ხილიკა¹⁵¹). კარის ზომა, პირველ რიგში, დამოკიდებული იყო თეით ეკლესიის ზომასზე. რიგით დარბაზულ ეკლესიებში შესახველელის ხივანე ხშირად ერთ მეტრს არ აღემატება. გელა-თის ღმრთისმშობლის ტაძრის ჩართექსიდან ძირითად ხიერცეში შესახველელი კარისა კი ორმეტრნახევარს აჭარბებს.

სურ. 150.
წუნის ეკლესია,
ურდელის
ვახალები დრმული

მთავარი შესახველელის დიობს, წყეულებრივ, ეკლდის ხიქის ნახევარზე არქიტრავი ხერავდა. მეორე ნახევარზე – თალი. პატარა კარი შეიძლება მოღი-ანად არქიტრაველი ან მოღიანად თაღოვანიც ყოფილიყო. ადრეულ ხანაში ზოგჯერ აკეთებდნენ გამკოლ ღუნეტებს. ამავე დროისთვისაა დამახასიათებელი განმეტეორთავი დრუ არქიტრავის თაგზე. შუაში, რაც მისი ნატეხის საშიშ-როებას ამცირებს (სურ. 148).

კარის ჩარნი და ფრთები ხივან ან – იშვიათად – ქვისგან მზადდებოდა. ერთიანი ქვისგან გაბოთილი კარი აქვს ბაიების (XII-XIII საუკუნეები) არქიტექტურული კომპლექსის გაღაეანს. ის ხაგანგებო ბუღეშია ნადგმული და სათეადთეალო ხერელიც აქვს გაკეთებული¹⁵². კარის შესახვილი კონსტრუქციაა დარჩენილია ყორანთაში (XIII-XIV საუკუნეები). აქ შესახველელის დიობის თაღის ქუსლის დონეზე, მარჯვენა მხარეს, ნადგმულია მართკუთხა ქვა.



სურ. 151.
სის კარი მღვდელმთავრის
მკვლევითად

მომხრდასიორ
მხარეს
სურ. 152.
აკაურთის ეკლესიის.
საკურთხეულის
სარკმელი

სურ. 153.
წარმოსაყის
მინასტრის
საბრახეხო.
მცირე სარკმელი

რომელშიც ამოტრიალია ნახევარწრიული ღარი. ამ ღარიანი ქვის ღერძზე, იატაკზე ყოფილა მოთავსებული ფოსამოდებული ქვა (ის გალაქათან იქნა ნაპოვნი), რომელიც კარის შესაბამელ კონსტრუქციას წარმოადგენდა. კარის წირთხლებში სხვადასხვა ხიმამღვლე ურდულისათვის სპეციალური ბუდეებია გაკეთებული. კარის შესაკიდი კონსტრუქციის ნაშთები ბევრ ქართულ ეკლესიაში შემოგვრჩა. მაგალითად კეხის ჯვარში (IX საუკუნე) ფოსამოდებული ქვა¹², წუნდაში – ხელღარის ძირზე გაყოლებული დიდი და წირთხლში ურდულის გახადები ღრმული (სურ. 149, 150).

ბუნებრივია, უფრო სწორად კარს ხის ფროებს აბამდნენ. ისინი კეთილდობით თუ ხელმე გაფორმებული. ასოდე წლის წინ ბევრი ასეთი კარის ნახვა ჯერ კიდევ შეიძლება აღვივლზე, ასეა უმეტესობა მესხეთშია გადატანილი (ხუკელი, ჯახუნდური, ოცინდაღუ, ეკავრი სურ. 151, მღვიმევი და სხვა¹³). კვლავ აღვივლება რამდენიმე ეკლესიის ძველი კარი ხეანეთში, მათ შორის X-XI საუკუნეთა შესანიშნავი ნიმუშები მდელი ოსტატობით შესრულებული კვეთილი

დგკორით ფსორტერში, მაცხვარიშხა და ფარის ხეფში. თითო-ორილა შემორჩა სხვა რეგიონებშიც. ხის ძველი კარი ხისავე საკეტი დღესაც კიდა სარის ეკლესიის (ჯავახეთში) დახველეთ შესახელდ¹⁴ში¹⁵.


საკვლევით შემნობათა სარკმლები ადრეულ შუა საუკუნეებში განიერთა და შიგნიოკენ მცირედ ფართოვდება. სოგჯერ მათი წირთხლები ერთიერთ-პარადელურიც არის (აკაურთა – სურ. 152, ეკანგორი). VIII-IX საუკუნეებიდან სარკმელი ფახადზე ეწროვლება და განსხვავება შიდა და გარე სივანეს შორის თვალსაჩინო ხდება. ამ დროიდან უფრო დამრეცია რაფაც. სოგჯერ მას ასაფხურებენ (ეკელაზე დამახასიათებელი მაგალითი – წირქოლი). სარკმლები თითქმის ყოველთვის თაღოვანია, ამხთან, VIII საუკუნის შემდეგ (სოგჯერ მინამდეც) სარკმლის თაღი ფახადზე, როგორც წესი, ერთ მილიან ქვაშია გამოკვეთილი. ეპისოდურად გვხვდება შიგნიდან მართკუთხა, არქიტრავიანი სარკმლებიც (მაგალითად, სუგანის ეკელაწმინდაში). ადრეული სანიდან ცნობილია ასევე მრგვალი სარკმლები (მაგალითად, წრმის ეკლესიაში). იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს სხვა ფორმებიც. წარმოსაყის მინასტრის სატრაპეხოს (X საუკუნე) ერთ-ერთი პატარა სარკმელი, რომელიც ერთ ქვაშია გამოკვანილი, გვირგვინებრი მიუკვანილობისა. ხაღამოს ცბის დიდი ეკლესიის სამხრეთი ეგპტრის (X საუკუნის ბოლო) აღმოსავლეთი სარკმელი ორნაწილიანია: ზედა დიობი მიგრძოთა, ორსავე მხარეს მომრგვალებული დაბოლოებებით, ქვედა – წრიული, ხელ პაწია. დიობები წართულია ერთიან მინარხოვებულ კომპოზიციაში, რომელიც მოიცავს ოინახა და ექმაბის ორ სარკისებურად სიმეტრულ გამოსახელებასაც.

VIII-IX და. განსაკუთრებით, X საუკუნისგან სწორედ აკოუმბენ შუაუკიდლებელ ხარკმლებს, რომელთაც; თხელი კვლელი კუთვს სოღმე-საქართველოში უცნობია ბასწარტური ტიპის შერეულებული ხარკმელი შუაში ხეყით. შესაძლოა ამ მოციეის შორეული გამოსახლი ვაქსონდის ხახუნისა (სურ. 154) და ომისი ტაძრების, ხადაც ხეყეები შუაუკედისიებზე წინა-დან არის მიდგმული.

არქეოლოგიური მსახლები მოწმობს, რომ საქართველოში გუბანანტიკური ხანისგან არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების საკუბობთა ხარკმლების შემსხვის ცრავიცია. ოსხანად სახარკმლე მინის ძირითადად ამპორტარებზენ აღბათ ხირიდან და რომის ომქროის სხვა აღმოსახლეუ პროექციებთან¹⁷ ადგილობრივი წარმოების ვეკლასზე ადრეულ ხიმუ შად ურბნისში ნაპოენი III საუკუნის ხარკმლის მინის ნატეისა მინხეული¹⁸

ადრექრსტიანული ხანის სახარკმლე მინა დღეი რაღენობით არის აღმოსახელი ბატენ-ტაში. ეს არის გამქვირვადე, საკმოდ მდალი ხარისხის მინა, რომელსაც; დაა შუანე-ცისეურო, მოყვითადო ან შაბთამხისეური შეყვრილობა აქვს¹⁹. ასეუ პერიოდის მიეკუთენება ბობიუ ვათის საშხეიანი ბახილიცისა და ნიქლადქევის აბანის ვაისრებისას გამოსეღნილი დაა შუანე და მოყვითადო ვერის სახარკმლე მინის ნატეხები²⁰ (სურ. 155). ოხინ დაბალი ხარისხისაა არაერთგვარეუანი ხისეისა, და ხახული, შუანე ნატეხები ერთიანად დაბეჭეულია, შემსხნევა ვაემდეალი ნაწილაკებიც.

ხარკმლის მინის დამხაღების ტექნოლოგია სხვადასხვაგვარი იყო. ნაპოენია როგორც; ნამოსხელი, ასეუ ბერეით დამხაღებული ხიმუ შები. შხა მინის ფირფიტის მოყვანლობა დამოსეღებელი იყო ხარკმლის ხარისზე, რომელიც; ქვის, ხის, თაბაშირის, თხის ან ლითონისგან მხადღებოდა. სწორად ვეხელება მრგვალი ფირფიტები, რომელთა დამეჭრი 12-დან 25 სმ-მდე მერეეობს. გამოსეენებოდა მართეუისა და - შედარებით ნაკლებად - ხამკეისა ფირფიტებიც. წრომის კვლეხისი აღმოსახლეუ კვლელოან აღმოსხნდა რვაფერცლიანი ვარდელის ფორმის აღებახტრის ხარნოს ნაწილი შიუ ხარნხილი შუანე მინის ნატეხით, ხავარაუდოდ, ეს ავლათა





სურ. 154.
სახელების ტაძარი,
სამხრეთი მკლავის
შესვლიდან
სარკმელი

ვარდულის, მხის, ქექეხიმიანი კარსკვლავის რელიეფური გამოსახულებებით⁵⁰¹. მრავალრიცხოვანი ნიმუშები აღმოჩენილია რუსთავეის ციხესიმაგრეში, ნადარბაზევში, გუდარესში, დმანისის აბანოსა და თბილისში (ეველა XII-XIV საუკუნეა ყარგალებში)⁵⁰². ეს ნიმუშები ადგილობრივ ნაწარმად არის მისივე, რადგან სხვა ქვეყნებში მას ანალოგი არ ეძებნება⁵⁰³

რუსთავეის ნაციხვარის აბანოსა და სასახლის გათხრებისას გამოვლინდა როგორც გამჭვირვალე ღია მწკანე, ასე სრულიად გაუმჭვირვალე მუქი ნატეხები (სურ. 157-159). ორივე უმაღლესი ხარისხისა და ერთი სახელოსნოს ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. მუქი მინის ზედაპირზე კარდულია ამოტყვიყოფილი. გუხედება უფრო სადა გამჭვირვალე ნიმუშიც, ცუნტრში მსუბუქად ამბობურცული კიბით. აქვე ნაციხვარსე აღმოჩნდა მოუეთაღო-მოვარდისფრო თაბაშირის ალათის ნატეხიც შიგ ჩასმულ მინასთან ერთად⁵⁰⁴, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მოუღო ხარნოს სტრუქტურა (სურ. 160, 161). ჩარჩოში გამჭვირვალე კრიალა მწკანე მინის სამი წრიული ფირფიტა იყო ჩასმული. მინა დამზადებულია ორნამენტულ ეალიბში ჩაბერვით და მსუბუქად შესხვეტილი ფორმა აქვს. ამოებურცული „მუცელი“ ზემოთნახსენების მსგავსი ვარდულით არის შექმული.

პეტარ-პეტარა ნახევრეტებით დაცხრილული ძველი კერამიკული ალათები ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი აღნიშნული ეპოქის რამდენიმე ეკლესიაში – ეიხეისში, ტიმოთეუბანში, საფარაში, სარხაში⁵⁰⁵ ერთაწმინდაში კერამიკული ალათები დღემდე შემოინახა ჩრდილოეთი მკლავის დიდმა სარკმლებმა. მათში მონაცვლეობით წრიული და ოთხკუთხედიანი სერულეები გაკეთებული, თითოში

ეკლესიის ერთ-ერთ მრგვალ სარკმელში უნდა ყოფილიყო ჩასმული⁵⁰⁶

არქეოლოგიური მასალით დასტურდება სხვადასხვა ფერისა და ხარისხის სასარკმლე მინის გამოყენება შემდგომ ხანებშიც. ხუფას ეკლესიის (VIII-IX საუკუნეები, აფხაზეთი) სარკმლებს დურჯი მინა უნდა ქიონოდა⁵⁰⁷, ნაჯახოვას (X საუკუნე) მოთისფრო, სუხტი გამჭვირვალისა⁵⁰⁸ თაბაშირის ალათის ფრაგმენტს გასული საუკუნის დასაწყისამდე იყო შემორჩენილი ოშკის ტაძრის გუმბათის ერთ-ერთ სარკმელში⁵⁰⁹.

VIII-IX საუკუნეებში ორბეთში არსებობდა მინის ნაწარმი, რომელშიც ჭკურტლის, სამკაულისა და მოზაიკის კენტების გარდა, მაღალი ხარისხის ფერად სასარკმლე მინასაც ამზადებდნენ. ამ ნაწარმიდან ცნობილია მაღალი ხარისხის ფირუხისფერი და ყვითელი სასარკმლე მინის ნიმუშები (სურ. 15).

XII საუკუნიდან ხმარებაში შემოდის ორნამენტანი ეალიბში დამზადებული სასარკმლე მინა. ის მრავალფეროვანია როგორც ტონალობით (მწკანე, ციხფერი, დინისფერი, უფერი), ისე მოყვანილობით. ფირფიტებს ამკობდნენ



სურ. 155.
ნოქალაქქუი,
სახარკმლე მინა



სურ. 156.
სახარკმლე მინა
ორბუის ხაჭაძელის

(ცხრა უკეთ შემორჩა მარჯვენა ხარკმელზე სურ. 163). კარგი ნიმუშია XIV საუკუნით დათარიღებული გამოშვარი წითელი თიხის ალათა ცაშიდან (სურ. 162). მის ცენტრში ამოჭრილია პატარა ზომის წრე, რომლის გარშემო წვიმის წვეთის მსგავსი ხერხელები რადიალურად არის განლაგებული – ისე, რომ იქმნება რეაფერცლიანი ყვავილის მსგავსი კომპოზიცია. საფარის წმ. საბას ეკლესიაში გვაქვს კერამიკული ალათების ერთგვარი იმიტაცია. გუმბათის ყელისა და დასავლეთი პორტიკის ცრუ ხარკმლებში დიობების აღგილას ქვაში წრეებია გამოჭრილი – ვ. ბერიძის გამოთქმით, „თიხის ალათების „სურათის“ რელიეფურად გამოყვანილი“⁵⁰⁸ (სურ. 164).

გვიანი საუკუნეების კერამიკული ალათები შემოინახა გელათის მონასტრის წმ. გიორგისა და კორცხელის ღმრთისმშობლის ეკლესიების გუმბათების




სურ. 157-159.
რუხსაფის ნაკვარსი.
სახარკმლე მინა

მოტივი აქვს – ბორჯღაღი, სწორ-ხეივებიანი „მხე“, პაწია სამკეთისა ღრმელების მწკრეუები და სხვა⁵⁰⁰

გელათისა და კორცხელის კელეხების აღათებს გამოხარული დეკორატიული ხახათი აქვს და შენობათა გაფორმების არსებითი ელემენტია. მათი ნახატი ხემანტიკითაც და შესრულების ხახათითაც ხეხე კვეთილობის ნიმუშებს უახლოვდება. ორხავე კელეხიაში აღათები გამკოლი იყო, მათში მინის ხახმა არ იგულისხმებოდა.

გვიან შუა ხაუკუნეებში ხარკმლის მინის გამოყენების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ისტორიულ საბუთებში. მანუჩარ თეჰმანიშვილს XVIII ხაუკუნის ბოლოს ციხის ხაჯრის გუმბათის ხარკმლების გასაწკობად დაფუარდისფერი მინა შეუქმნია⁵⁰¹ მიტროპოლიტ საბა ტუხისშვილის უხმო-დამოწმებული ანდერძიდან ვიგებთ, რომ ნინოწმინდის ტაძრის ხარკმლებში ძველი ხის აღათების ნაცვლად სპელენძისა გაუკეთებიათ და მინაც ნაუხუჯამო: „ამას გუმბათსა, გინა ყულსა, და ძირს კელეხისაზა რაცა კანკელი (რომელ

ხარკმლებში. გელათში სრულად უქმონხა სამხრეთ-აღმოსავლეთი ხარკმლის აღათა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კირის სხნართი დაკავშირებული შვიდი მართკუთხა კერამიკული ფილისაგან (სურ. 165). ფილებს ჭკირელი ორნამენტი აქვთ. ექვს ფილაზე მოტივი მეცნაკლებდ ერთნაირია და წარმოადგენს ხილარულ ნიშანს შვიდი ან რვა სხვიით. შუა ფილას უფრო რთული ნახატი აქვს. აქ ცენტრალურ შეიფხსივიან „მხეს“ ემატება სამ-სამი ვერტიკალური და მორიზონტალური ხახათა და ნახევარმთავარეებით შექმნილი ელემენტები. კორცხელში (1624-1639 წლები) ჭკირული აღათები აწკობილია სამ-სამი კერამიკული პანელით, რომელთაგან თითოეულს ხაკუთარი



არს ფანჯარა) აქუნდა, ხისა იყო, და ივიცა დაძველებულ. მე ახლად ქმნილნი ხილენისის მართულითა ფანჯარანი განვაწვენ რიცხით ათეკესმეტი, და გარდა ამისა მართულისა ფანჯარასა მას, წეიმისა და ქართა შემოუსვლეულობისათვის, მინა განვაწვე და რვა ფანჯარა კერძობსუდ ესრეთ შეუქმე⁵¹¹.

საკულტო ნაგებობებთან ერთად მინა ფართოდ გამოიყენებოდა საერთო შენობებშიც. XVI-XVIII საუკუნეების ხარკმლის მიწის ნატეხები გამოვლენილია გრემის ნაკლავარში, თბილისში (ნარიალაზე და ერეკლე II-ს მიუდანხე), მცხეთაში (სვეტიცხოვლის მიმდებარე სასახლეში)⁵¹². რუსულ წყაროებში არის ცნობები მოსკოველი „მეფის მესარკმლის“ (royalporcelainmanufactory) ნიკოფორ გრიგორიუვის შესახებ, რომელიც 1637 წელს ხატმწერებთან ერთად ჩამოაყვია ელდონსკისა და ხეატოვის ელნიობას კახეთში⁵¹³. მან ჩამოიტანა შესაბამისი ხელსაწყოები და მახალაც, მათ შორის სამი ფუთი ქარსი, სურინჯი (ნარნიოების შესაღებად), ნახევარი ფუთი მავთული და 5000 ლურსმანი. მითხოვნა მის ხელობაზე, როგორც ჩანს, დიდი იყო – 1642 წელს, როცა მომდევნო რუსულმა ელნიობამ გრიგორიუვი მოიკითხა, თეიმურაზ I შეეცადა ოსტატი თაყისთან დაეტოვებინა. მიშეცკი ახსენებს მოსკოველი მესარკმლის ნახელად ქარსის ხარკმლებს თეიმურაზ I-ის ორ სახლში გრემთან, მაგრამ საფიქრელია, რომ მას ბევრად მეტი ნაშუშევარი უნდა აქონიდა.


გვიანი შუა საუკუნეების სასახლეებში, როგორც ჩანს, წესად იყო სხვადასხვა ფერის მინებიანი ფანჯრების გაკეთება. ესზეჟ პიტონ დე ტურენფორი, რომელმაც თბილისი 1701 წელს მინახელა, ქალაქის ციხის ძირში მდებარე



სურ. 160.
რუსთაის ნაკისვარი,
ალაღის ფრაგმენტი

სურ. 161,
რუსთაის ნაკისვარი,
ალაღის ხქმს

სურ. 162.
ციხის ტაძარი,
ხარკმლის ალაღა



სურ. 163.
ერიაწმინდის
კულუხა.
სრულიყოთი მკლავის
ხარკმლის ალათობი

ზემოთ (გვ. 37) მოტანილი იყო ურბნისის სიონის X საუკუნის წარწერა, რომელშიც თვედორე ეპისკოპოსი გვაძეგნობს, რა მდგომარეობაში დახვდა მას ტაძარი და რა გააკეთა თავად. სხვა დაზიანებათა შორის, იგი აღნიშნავს „სუეტნი ქარტოცისანი დამჰად იყუნეს“-ო. „სუეტნი ქარტოცისანი“ ალბათ უნდა გულისხმობდეს კამარებს ზემოთ მოწყობილ ხის კონსტრუქციას, რომელსაც ეფუძნებოდა სახურავი⁵¹⁷.

ლორფინით – თლილი ქვის ფილებით შენობების გადახურვა საქართველოში, როგორც ჩანს, VII საუკუნიდან დაიწყო. ამავე დროიდან არის საუარაუდლებელი ჩათი გამოყენება სომხეთშიც, თუმცა ფართო გავრცელება ორსავე ქვეყანაში ლორფინმა მხოლოდ X საუკუნიდან პოვა⁵¹⁸. გამოთქმულია აზრი, რომ სამხრეთკავკასიური ეკლესიების გუმბათის გარე ფორმის შეცვლა მომრგვალებულიდან პირამიდურისკენ ან კონუსურისკენ სწორედ ლორფინის მიერ კრამიტის გამოდევნას უნდა უკავშირდებოდეს⁵¹⁹ ქვის ფილების გადახურვა მიღებული იყო ბისანტიის იმ მხარეებშიც, სადაც კრამიტის წარმოების ტრადიცია არ არსებობდა ან სათანადო მასალა არ მოიპოვებოდა (ანატოლიის შიდა რეგიონები, ათონი)⁵²⁰.

მეფის სასახლის შესახებ წერს: „ჩვენ შეგვიყვანეს ახალ დარბაზში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ხისა იყო, საკმაოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. ეოველი მხრიდან მას ლურჯი, ყვითელი, ნაცრისფერი და კიდევ სხვა ფერის მინებიანი დიდი და დახურული ფანჯრები აქონდა“⁵¹⁴.

5. სახურავი

შუა საუკუნეების საქართველოში შენობის დასაბურავად იყენებდნენ კრამიტს ან ლორფინს, უფრო იშვიათად – ხის თხელ ფიცრებს (ყავარს), კიდევ უფრო იშვიათად და თანაც მხოლოდ გუმბათისათვის – წყულდებრივ აგურს. საგანგებო ყურადღება ეთმობოდა სახურავის გამძლეობას, რათა მას ნაგებობა ნალექის შემოქმედებისაგან დაეცვა. მშენებლობის დასრულების შემდეგ აგურის ან ქვის კამარა იფარებოდა კირის სხნარის ფენით, რომელზეც დასაბურვი მასალა ლაგდებოდა⁵¹⁵. შემაკავშირებელ მასალად ხმარობდნენ კირსხნარს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახურავის მოსაწყობად ხე იყო გამოყენებული. მაგალითად, ფიტარეთის ეკლესიის გუმბათის ლორფინის საბურველი, რომელსაც ყაყლან ორბელიანის მიერ XVII საუკუნეში მონასტრის განახლებას უკავშირებენ, კირსხნარის შემაკავშირებელი ფენით არის დამაგრებული ხის კონსტრუქციით გაკეთებულ სახურავზე⁵¹⁶.



საქართველოში შენობების დასაბურად ხმარობდნენ როგორც დიდივან, ისე უდიდესი ღორყინის, დიდივი (როგორც წესი, 8-10 მმ დიამეტრისა) ქვის ფილას ეკეთებოდა შეუქუდ კიდეზე ნაშევრის სახით. ის მუხობედ ფილას ედებოდა და უზრუნველყოფდა წყალგაუმტარობას ღორყინებს შორის, უდიდესი ღორყინებისათვის დიდეკები (ვალკე თილებოდა და ხაქციალური კბილით) მიგრებოდა ხსნარში თრ ვლეუ ფილას შორის (ახეთი კონსტრუქცია ნაკლებად გამძლეა, დიდეკები დროთა განმავლობაში შეიძლება ამოვარდეს სურ. 166). უდიდესი ღორყინის კიდევ ერთი ვარიანტი გულისხმობს სქელი და თხელი ფიდეების მონაკველიობას პორიზირებულ რიგში ისე, რომ სქელი ფიდეების „კბიდეები“ თხელს ზედ ედება (სურ. 167). კერტიკალური ზოდის მუხობედ ფიდეებს შორის ეკეთებოდა განივი კლიტეები ხაქციისა ბუდეების სახით. გუმბათის დასაბურად, მისი კონუსური ფორმის შესაბამისად, საგანგებოდ მზადდებოდა ტრაპეციული ფორმის ღორყინები (სურ. 168). (ვალკე თილებოდა კუხის ქვედა ორი ქანობის შეერთების ადგილის დასაბურად⁵²¹ თუ გადახურვა გამოცდილი თხტატის მიერ გამძლე მასალით, კველა წესი


სურ. 164.
საფარის მონასტრის
წმ. სპას კუდეკია.
დასავლეთი კარბკის
ტრკ ხარკიხლა

სურ. 165.
გულაოს მონასტრის
წმ. გიორგის
კუდეკია.
გუმბათის ხარკის
აღსას




სურ. 166.
მინჯანის ეკლესია,
ღორების
საბურველი

სურ. 167
საქარის მინახების
V ს. კოთხეის ეკლესია,
ღორების
საბურველი



დაცვით იყო შესრულებული, ის ასწლებულების განმავლობაში უზრუნველყოფდა ნაგებობის დაცულობას. ქვის საბურველი ერთ-ერთი ყველაზე გამძლე და საიმედოა.

შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში არაერთხელ არის ნახსენები ხევადასხვა დანიშნულების ნაგებობების ქვის ფილებით დაბურვა. სომხეთში მდებარე ქობაირის მონასტრის მთავარი ეკლესიის სრდილიყო კედელზე ამოკვეთილ 1292 წლის ქართულ წარწერაში, რომელიც აღდგენით სამუშაოებს ეხება, კეთიხულობთ: „ქორინიკონსა [ს]ქუჲ ქრისტე მოწყალებითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად-წმიდისა შაშინასა ღმრთის-მშობლისათა, მე, შანშას მანდატურთუხუცესისა ძემან, ბერმან გიორგი, შეწვევისა ამის ყოვლად-წმიდისა, დიდსა იწროებასა შინა ჟამთასა დაეფიქლე ეკლესიას ესე ქუჲშეთ კარისბჭითურთ...“ იმავე ეკლესიის მეორე წარწერაში კეთიხულობთ „ქრისტე, ქორინიკონსა [ს]ქუჲ მოწყალებითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად-წმიდისა შაშინასა ღმრთის-მშობლისათა, უღირსება კეთილის მე, შანშე მანდატურთუხუცესისა ძე ბერი გიორგი, ღირს ვიქმენ დიდსა იწროებასა შინა ჟამთა და ნაკლულო ეანებასა საკმართასა და დაეფიქლე ეკლესიას ესე ყოვლით კარისბჭითურთ...“⁵²². „დაეფიქლე“ აქ ქვის ფილებით გადახურვას ნიშნავს.




სურ. 168.
აიქნის
მცირე ჰელეოპოლი,
ლორეინის
საბურველი

ქვით დაუბურავს ღარგვისის მონასტრის ნაგებობები დაახლოებით 200 წლის შემდეგ შემონახუნებულ გრივლ შინდას ძე ავაგაროსისშვილის „...შანს უღირსმან შევიმოსე ხახე მონასონისა და საყვალესა ნემსა ზედა აღვაშენე კარის ბჳე და დაეხატე ხელით ნემითა... ავაგე მარანი და ნაყდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი ხახე, ბეღელი, საწოლი, დურეუანი, სამიკელი და ბოსელი და დაებურე ყოველი სიბითა“⁵²³ (ანუ გათლილი ქვით).

კიდევ უფრო გვიანია (1710 წლისა) ცნობა თბილისის სიონის გადახურვის შეკვლისა და სადრენაჟო სისტემის მოწყობის შესახებ. აქ გვხვდება ტერმინი „ლორეინიც“: „ქ. მადიდებელი სამებისა, დავითანს, მძისწული სახელთაგანისა მეყისა გიორგისა და ძე დიდად პატოისნისა ლეუანისა, გამტეპული ქართლისა, ბატონიშვილი ვახტანგ, განმნახლებული გუმბათით, ლორეინ-საკვართ მონასტრისა ამის, სულისა მეფის ბიძის და მამისათა, დედისათეს და სულთა ნემთა და მეუღლისა, მისა და ახელთა აღსაზრდელად. ქრისტეს აქეთ წი, ქს ტჳ“⁵²⁴. სიონის ლორეინებს განედლებულჯერბიანი ღილეები დაუკვეთიდა, რასაც დამატებით დეკორაციული აქცენტი შეჰქონდა ტაძრის საერთო მხატვრულ სახეში⁵²⁵.

ლორეინს განსაკუთრებით ინტენსიურად თლიდნენ საქართველოს იმ პროვინციებში, სადაც საამისოდ ვარგისი ქვის კარიერები ქონდათ. სამცხე-ჯავახეთის ეკლესიების დიდი ნაწილი ბაზალტის ან ანდეზიტის ლორეინით იყო დაბურული.



სურ. 169.
ფიჭვანის ეკლესია

როგორც წესი, საბურველის დათარიღება როული საქმეა. ის შენობის სხვა ნაწილებზე ხშირად საჭიროებდა შეკეთებას ან სულაც მოღიანად გამოკვლას, ამიტომ თავდაპირველი საბურველი ცოტა ნაგებობამ თუ შემოინახა. ძველი (რაც არ ნიშნავს მაინცვლადამინც თავდაპირველს) ლორფინი სრულად ან ფრაგმენტულად ახალ დრომდე შემორჩა აგენის მცირე გუმბათიან ეკლესიას, თორის საკვირთეკს (რამდენიმე ფილა), ხვეის ხოინს, ნიქოსის შთაფარანგელოსს (გუმბათოზე), იკორთას, ბაიების ორსავე ეკლესიას²⁶. განსაკუთრებით მრავლად გვაქვს (მეტწილად სამცხე-ჯავახეთში) ლორფინით დაბურული XIII-XIV საუკუნების ნაგებობები: ფიჭვანო (სურ. 169), საფარის წმ. საბა, წმ. გიორგი და სამრეკლო, ზარზმის დიდი ეკლესია და სამრეკლო, ჭელე-სამცხის ბიუთი, დაბის წმ. გიორგი, გავეთი, განძანის წმ. ნიკოლოზი, სადამოს მესამე ეკლესია, ზემო ხოხობი, თორის ეკლესიის ჩრდილოეთი უკბურთი და სამრეკლო, მირტაშენი, ხოვლე²⁷ და სხვა. ნამოთვლილ შენობათაგან უმეტესობას თანადროული სახურავი უნდა ქონდეს. ამავე ხანებში გაუკეთდა ლორფინის სახურავი საფარის მისივნებისა და წმ. სტეფანეს X საუკუნის ეკლესიებზეც²⁸ (სურ. 170).

რამდენადაც ქვის გათლილი ფილების სახურავის მოწოდება დიდ შრომასთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების კვალდაკვალ, ის იშვიათობა ხდება. გვიან შუა საუკუნეებში ლორფინს ეპიზოდურად იყენებენ (დავით საგარეჯო, ხანძისის სამრეკლო, თბილისის ხოინი). მასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება უფრო იაფ, სერიულად დამზადებულ კრამიტს, ან – დახვეწილ საქართველოს რაგით მშენებლობაში – ევარს. ქვეითდება შესრულების ხარისხიც. XX საუკუნის დასაწყისისათვის მელორფინეს ხელობა თითქმის სრულიად გაქრა. 1910 წელს ე. თავაიშვილი იკორთის ახალი გადახურვის მოწოდების შესყუერებს სთავაზობდა ხვილენძის ან თუნუქის საბურველი გაკეთებით, რადგან იმდროინდელ ოსტატებს, მიხი ახრით, ლორფინის ხარისხიანად დამზადება თუ დაგება აღარ შეეძლოთ²⁹.

ლორფინით გადახურვის ხისტემასთან არის დაკავშირებული ქვის აკროტერიონი ეკლესიის მიდელი, რომლებიც საეკლესიო შენობის სახურავის კეხის კიდეზე იდგმებოდა. ის ხშირად გადაბმულია კეხის ქვასე და, ამდენად, სახურავის ორგანული ნაწილია. აკროტერიონი, როგორც წესი, ცენტრალურ-გუმბათოვანი შენობის ფორმებს იმეორებს – შიუხედავად იმისა, რომ ხშირად თავად ეკლესია, რომელსეც მას დგამენ, დარბაზულია. მიხი ნიმუშები ბევრგან შემორჩა. ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითი გვაქვს საფარის წმ. გიორგის ეკლესიაში (სურ. 171). აკროტერიონი კეხის განაპირა ქვასთან ერთად არის

გამოთლილი. ეკლესიის მოდელის დასაყვამით მხარეს მართულებს კარი და ერთი სარკმელია ნაჩვენები, თითო სარკმელია დატანილი ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს. მოდელს აკვირვებენ სოკოს მსგავსი გუმბათი მაღალი ყელითა და სახურავის ფართო კონქსით.

ქვის თლილ ფილებთან შედარებით ნაკლებხარისხიანია, მაგრამ უფრო თვალად მოსაპოვებელი და დასამუშავებელი ფიქლის ფირფიტები, რომლებიც გამოიყენებოდა საქართველოს მთიან რეგიონებში კოშკების (თქვათადა, ასევე ეკლესიების) დასაბურავად.

მდიდარი არქეოლოგიური მასალით დასტურდება კრამიტის ფართო გამოყენება ანტიკური ხანის საქართველოში. არსებითად, ამ პერიოდში შექმნილებულ კრამიტის წარმოების ტრადიციას მისდევდნენ შუა საუკუნეებშიც⁵⁵.

საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო ბრტყელი (სოლენი) და ღარიანი (კალიბტერი) კრამიტი. სოლენი წარმოადგენს ოთხკუთხა ფილას შემადგენლებით კიდევებით. მისი ქვედა ბოლო შეიწროებულია. საბურველის დაწვობისას ზედა კრამიტი ქვედას ედება და მისი ვწრო ბოლო ქვედა კრამიტის ბორტებს შორის შედის, რაც უზრუნველყოფს წვიმის წყლის ნაკადის გაღასკვლას ერთიდან მეორეზე. გრძივ ნაკერებს ბრტყელი კრამიტების კიდვებს შორის ფარავენ კალიბტერებით, რომლებიც ასევე შედის კრამიანოში. გამოწკლისის სახით გუხვდება ორმაგი, ნაირპროფილიანი კრამიტიც, რომელიც ბრტყელი და ღარიანი კრამიტის შერწყმით არის მიღებული. მისი მაგალითი სულ რამდენიმეა (მცხეთის ანტიოქია, ნეკრესის სამეკლესიანო ბაზილიკა, ალავერდის ტაძარი, არმაზის მონასტერი). ასეთმა კრამიტმა საქართველოში ფართო გავრცელება ვერ პოვა, თუმცა არსებობს ასრი, რომ ის შესაძლოა ლორფინის პროტარტიპი იყოს.

ცნობილია კრამიტის დასამზადებლად სხვა დანიშნულების სამშენებლო კერამიკის მეორადი გამოყენების შემთხვევები. ვეჯინის „დეთაბის საყდარზე“ (XIV-XV საუკუნეები) აღმოჩნდა წყალსადენი მილის შუაზე გაკეთებული ღარიანი კრამიტი. მის შიდა პირს ნარხის კვალი ეტოლბა⁵¹.

IV-VII საუკუნეების კრამიტი ფორმით დიდად არ განსხვავდება გვიანანტიკურისაგან, თუმცა ხარისხით, როგორც წესი, ჩამოუყვარდება მას და ზომითაც შედარებით პატარაა. ფართობორტიანი სოლენის სიგრძე იყულებორიე 40-45 სმ-ია. კალიბტერს აქვს მაღალი, გაშლილი კალთები და ზურგზე შეერილი ქიმი (კრამიტები ქუთაისის ნაქალაქართიდან, ბექინტიდან, ნოქალაქევიდან – სურ. 173, ძალბასადან – სურ. 172, ურბნისიდან, ვარდისუბნიდან...⁵²). ადრეული ხანიდან გუხვდება დაფერილი კრამიტი. წითელი ანკობით დაფარული ნიმუში აღმოჩენილია სამთაეროს მცირე ეკლესიის (IV-V საუკუნეები) გათხრისას⁵³. წერნაქით შეღებული დიდრონი ბრტყელი და ღარიანი კრამიტებით იყო გადასურული ჭერემის დარბაზი (V საუკუნე)⁵⁴.

VIII-X საუკუნეების კრამიტი საგრძნობლად შემცირებულია ზომით (ყოხილდერესი, ქუთაისის ტაძარი⁵⁵), რაც შეიძლება აიხსნას კონსტრუქციის შემსუბუქებისა და წარმოების რაციონალიზაციის მოთხოვნით⁵⁶. ღარიანი კრამიტის ზურგზე აღარ გუხვდება შეერილი ქიმი თუ კოპი, მათ ნაცვლად კალიბტერს საშიღარი დაუყუება ან მისი ზურგი სრულიად სადაა.

ამავე ხანებში წნდება ფერადი მოჭიქული კრამიტი (ქუთაისის „შიდა ქალაქის“ ტერიტორიაზე გამოუღყენილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტები – სურ. 174), მაგრამ განსაკუთრებით ფართოდ ის X საუკუნის II ნახევრიდან ურცვლდება.



Խցր. 170.
Խաչաբանի մոխակերան
ՎՍ. Խաչաբանի վանքից,
Վրացիանի
Խաչաբանի

Խցր. 171.
Խաչաբանի մոխակերան
ՎՍ. Խաչաբանի վանքից,
Վրացիանի





მოტიქელი კრამიტის სახურავი ფერადოვნებითა და ცხოველხატელობით გამოირჩევა და განსაკუთრებით მდიდრულ იურს ანიჭებს შენობას. მისი საეკლესიო ნიმუშები ტაოს დიდი ტაძრების – სახელისა და იშხნის გუმბათებმა (სურ. 176) შემოგვიჩინა⁵⁷. ორივე სახურავი ტაძრების მშენებლობის დასრულების თანადროულია (სახელი – 960-70-იანი, იშხანი – 1030-იანი წლებისა). საბურველი ორივეგან ერთი პრინციპითაა დაგებული: გუმბათის სახურავის კონუსი დაყოფილია ოთხ სექტორებად, რომლებიც მონაცვლეობით დაბურულია ლეინისფერი და მორიხო-მღვლეურჯო კრამიტით, როგორც ბრტყელ, ისე ღარიან კრამიტს აქვს საგანგებო კოპი შუაში სახურავით ღურსმნისათვის. დუღაბის ფენაში ჩარჭობილი ღურსმნები საიმედოდ ამაგრებდა კრამიტებს სახურავის დამრეც კალთებზე. მოლიანად, სახელისა და იშხნის სახურავები ტაოულ ოსტატთა მაღალი სამშენებლო კულტურის საგელისხმო საბუთია.

მოტიქელი კრამიტი გამოიყენებოდა საქართველოს სხვა რეგიონებშიც. თავდაპირველი ცისფერი კრამიტი ბოლო დრომდე ბურავდა კვერკის ეკლესიას (X საუკუნის ბოლო – სურ. 175). აქვეა აღმოჩენილი მწვანე და სოხანისფერად მოტიქელი კრამიტები, რომლითაც არქიტექტურული ანსამბლის სხვა შენობები უნდა ყოფილიყო გადახურული⁵⁸. მწვანედ და წაბლისფერად მოტიქელი კრამიტები უხედა გამოვლინდა, ქუთაისის „ბაგრატის ტაძრის“ ინტერიერში და მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის ამ ორი ფერის კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული⁵⁹. წაბლისფერ ღარიან კრამიტს თავის გადაბმის ადგილზე აქვს ქვით, რომელიანაც ხალურსმნე სახურავია დატოვებული⁶⁰ (სურ. 178).

განსაკუთრებით ფართო მოხმარება ჰქონია კრამიტებს XII-XIII საუკუნეებში ქონდა. ძალიან მაღალი ხარისხის ცისფერად მოტიქელი ღარიანი კრამიტის ფარგმენტია გადარჩენილი საორბისის გადახურვიდან (1152 წელი – სურ. 180). ის დამზადებულია წითელი, კარგად გამომწვარი თიხისაგან და შემოდან სქელი დავეარდისფერი ჰქონი აქვს გადაელებული. ოსხანის ეკლესიის საბურველის (ის საფარავლოდ იატაკის თანადროული, XII საუკუნისა უნდა იყოს) ღარიანი და ბრტყელი კრამიტები დამზადებულია კარგად განლაქილი თიხისგან და მწვანე ჰქონით არის დაფარული (სურ. 177). ბრტყელი კრამიტები

სურ. 172.
ღარიანი და
ბრტყელი კრამიტები
ძალისხანს

სურ. 173.
ღარიანი და
ბრტყელი კრამიტები
სოქალაქიდან



სურ. 174.
მოტიქული ღარიანი
და ბრტყილი
კრამიტები ქუთაისის
„შიდა ქალაქიდან“

მცირე ზომისაა, დაბალი ბორცითა და ირიბად დაშვებული კედლებით. ქვდიანი ზურგის მქონე ღარიანი კრამიტი სუსტად ერგება იმავე ფერის ჭიქურით დაფარულ კონკრეტურ ფორმის ანტეფიქსს. ფორუზისფერი ჭიქური ამშვენებდა ტიმოთესუბნის ეკლესიის სახურავს (სურ. 179); XIII საუკუნეს მიეკუთვნება ცისფრად მოტიქული კრამიტები გელათის სემინარიის შენობიდან. უფრო გვიანი ხანის ეკლესიებიდან აღსანიშნავია საქადაგაიანოს წმ. დიმიტრი (1498 წელი) მწკანე ჭიქურით დაფარული კრამიტის საბურველით და გელათის წმ. გიორგი (XVI-XVII საუკუნეები), რომელიც ასევე მწკანედ და ღურჯად მოტიქული კრამიტით იყო დაბურული.

ადრეული ხანიდან ბრტყელ კრამიტებზე გვხვდება ჯერის რელიეფური გამოხასხეულებები. ასეთი კრამიტები გამოყენებული იყო გურჯაანის ყველაწმინდის, ეწინაიანის ყველაწმინდის, აკურას მამადავითის, ერწოს სიონის⁵⁴, თიღის, ფიჭარეთის, თბილისის სიონის (XIV საუკუნის ფენა სურ. 181) ეკლესიების სახურავებზე. ადრეული შუა საუკუნეების ჯვრიანი კრამიტის ფრაგმენტი გამოიღინდა ქუთაისის ციხეზე. გამოთქმულია აზრი, რომ ჯვრიანი კრამიტებს მონასტრებთან არსებულ კერამიკულ სახელდონოებში ამსაღებდნენ⁵², თუმცა შესაძლოა, ისინი სვეტლებზე სახელდონოებშიც გაეკეთებინათ და ჯვრებით საგანგებოდ აღენიშნათ, როგორც საკულტო ნაგებობების დასაბურავ განკუთვნილი.

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ბრტყელი კრამიტები, რომელთა ზედაპირზე, ფართო ბოლოში, ელიბის მეშვეობით ჰერალდიკური შროშანის (fleur-de-lis) მსგავსი სამურა ყვევლია გამოყვანილი. მათი ნაწილი მოტიქულიც იყო⁵⁵. საფიქრელია, რომ ისინი მხოლოდ სახურავის გამოსაჩენ ნაწილში უნდა ყოფილიყო დაწყობილი. შროშანიანი კრამიტები დიდი რაოდენობით არის

მოხირდაპირე
მხარეს;
სურ. 175.
კუბურის ეკლესია





სურ. 176.
ოშნის ეკლესია,
გუმბათი მქაობული
კრამიტის
საბურველი

აღმონენილი XII-XIII საუკუნეთა ძეგლებზე ნაღარბაზევის ხასხლეში, ვაკისა და დაღვის ეკლესიებში, სამღერეთის „მონასტრის“ ეკლესიასა და ხატრაქუსოში⁵⁴, რუსთავის ნაქალაქარის ხასხლეში (სურ. 182). ამავე ხანების შროშანიანი კრამიტები უხედა გამოეღინდა თბილისის გათხრებისას. ციცოშვიდი ამ ხასის კრამიტებს სამეყო კართან არსებულ ან მეფეს დაქვემდებარებულ სახელისნოებში წარმობულ პროლექციად მოსინეეს⁵⁵ თუ ეს კარაქი სწორია, საფიქრელია, რომ კერალდიკური შროშანი ხაქარეულში ჯკაროსხებთან კონტაქტის შედეგად უნდა გაჩენილიყო⁵⁶.

აქვე უნდა ვახსენოთ ასომთავრულ და ნუსხურწარწერაიანი კრამიტები. წარწერები ნედლ თისაზე, კრამიტი გამოწვამდე შესრულებული. გუხელება როგორც ამობურცვით, ასევე – უფრო იშვიათად – ხასხეკვით შესრულებული წარწერები. თხინი, როგორც წესი, საეღრებელი ხასიათისა და შეიცავს მამგებლების ან მეკრამიტე ოხტატების ხასხელებს. მაგალითად: კრამიტი ფოსორაულების (თელავთან) სამეკლესიიანი ბასილიკიდან „ქრისტე, შეიწკაღე ეკოლ“; ხაქარეულდოს

ეროვნული მექეუქმის შ. ამირანაშვილის ხას. ხელოვნების მექეუქმის სეროთ-მოდერების ფონში დაღული კრამიტი (ხასიფ. №901) – „ქრისტე, შეიწკაღე აღნა“; კრამიტი ახაშნის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან – „სელო ცხორებისაო, აცხოუნე საგინა“ (სურ. 183); თეალოს მონასტრის ტერიტორიაზე აღმონენილი კრამიტი⁵⁷ – „ქრისტე, შეიწკაღე თევედრე მნათე“ ეს უკანასკნელი შესხადლია მიგვანიშნებდეს მონასტერთან სამშენებლო კერამიკული სახელისნოს არსებობასა და იქაერი სახელდიერო პირების სამშენებლო საქმიანობაში მონაწილეობასზე.

კრამიტის ხასხრავის ნაწილია ანტეფიქსები – მომცრო ფილები, რომლებიც უშუალოდ კარნიზის თავეზე ეწკობა და ხელ ქვედა რივის დარბიანი კრამიტების ბოლოებს ფარავს. სოგჯერ ანტეფიქსი შერწმულია დარბიან კრამიტთან (კრამიტი ქუთაისის კათედრალიდან – სურ. 184), მაგრამ უფრო ხშირად მათ ცალკე ამზადებდენ. მათ ნეველებრიე ხეთკუთხა (ქვემოთა ნაწილში მართკუთხა და სედაში სამკუთხა), ხამკუთხა ან ხასეგარწოელი ფორმა ქიხნდა. ანტეფიქსები კარგად ჩანდა, ამიტომ მათ გაფორმებას საგანგებო ყურადღება ექცეოდა. სოგ შენობაში თხინი შენობის საფეხადლო დეკორის არსებით ეღმერტს წარმოადგენდა.

ადრეული შუა საუკუნეების ანტეფიქსებზე გუხედება რელიეფური ტვიფრით გამოეყანილი ცხოველთა ფიგურები. შავშუთის ბოსლეთიდან ჩალოტანილ ანტეფიქსზე ერთმანეთის პირისპირ გამოხასხულია ორი გრემლნისკარტა წერო. მათ ახლავს დაქარაგმებული წარწერა „ქრისტე შეიწკაღე მამასხდლით“ ქვედა სტრიქონის ასოები შ და ზ იმაღდროულად ერთგვარი ქანდარებია,



სურ. 177.
შიკაქელი დარანი
ბრწყელი
კრამიკი ქუთაისის
ეკლესიის
კვლესიდან

სურ. 178. შიკაქელი დარანი
კრამიკი ქუთაისის
ეკლესიის კვლესიდან

სურ. 179.
შიკაქელი
ბრწყელი კრამიკი
ციხისოფლების
კვლესიდან

სურ. 180.
შიკაქელი დარანი
კრამიკი სიონის
ეკლესიიდან

რომლებსედაც შემომსხდარან ფრინველები (სურ. 185). ანტეციქსი ადიანი-
დან ცხერის ფიგურებს გვიჩვენებს⁵¹⁸. მომრგვალებულ ანტეციქსზე ურბნისის
ქვაცხელადან წარმოდგენილია სამი ირემი თუ ჯიხვი – ერთი დიდი შუაში
და ორი პატარა მის ზემოთ-ქვემოთ⁵¹⁹ (სურ. 186). ადრეული შუა საუკუნეების
კიდევ ერთ ანტეციქსზე⁵²⁰ გამოსახულია განტოტვილრქებიანი ხარიერეი და
მის წინ, მარჯვენა კუთხეში გაფართოებულბოლოებიანი განკვდლებული
ჯვარი (სურ. 187). იკონოგრაფიითა და შესრულების მხარით ეს გამოსახუ-
ლებები უახლოვდება VI-VII საუკუნეების ქვის რელიეფებს. ადრეული შუა
საუკუნეების თემატიკას აგრძელებს ფოთილოეთის ეკლესიის ანტეციქსი
(IX-X საუკუნეები)⁵²¹. მისი შუა არე მსებუქად ნაზნექილია და მასში ერთმა-
ნეთის პირისპირ მდგომი ორი ირემია გამოსახული.

ადრეული ხანიდან გაქვს ასევე ნიმუშები წმ. გიორგის გამოსახულებით –
მაგალითად, ანტეციქსი ბროწეულადან (სოფელ ზუღა მესხეთთან, ქუთაისის
ახლოს). მისი ზედა ნაწილი მიმტერეულია, მაგრამ გადარჩა წმ. გიორგის ფიგუ-
რა, ცხენი და სქემატურად ნაწვენები გველეშაპი, რომელსაც წმინდანი შუბით
განგმირავს. არც თუ კარგად განლექილი თიხა წითლად არის გამოშწვარი.



ყველაზე ხშირად ანტეფიქსებზე ჯვარი გამოისახება. უადრესი (IV-VI საუკუნეების) ჯერიანი ნიმუშები ნოქალაქევიდანაა, ამასთან, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ისინი საერო ნაგებობაში – მეფის სასახლეში აღმოჩნდა⁵⁵². ხუთკუთხედის ფორმის ანტეფიქსებს შემოწერს ერთი ან ორი წერილი ძლიერ გამოყვანილი ჩარჩო, რომლის შუაში სხვადასხვა კონფიგურაციის ჯერები გამოყვანილი (სურ. 189, 190). დაახლოებით ამ პერიოდის ჯერიანი ანტეფიქსები ნაპოვნია ქუთაისის კათედრალის ეზოშიც. ცოტა გვიანდელი უნდა იყოს წითლად გამომწვარი თიხის სამკუთხა ანტეფიქსი ბოქვადან (სურ. 191). მეტი დახვეწილობით გამოირჩევა ადრეული შუა საუკუნეების ორი ანტეფიქსი განედლებული ჯერების გამოსახულებებით. ორივე ნახევარწრიულია, წითლად გამომწვარი თიხისა. ერთ მათგანზე ტეფირით ნაკვეთილია ერთი ჯვარი, მეორეზე – ორი, ერთმანეთისკენ გადახრილი⁵⁵³ (სურ. 188). ჯერები დადგმულია ბუნებზე, რომელთა ორთავე მხარეს ყლორტები ფრთებივით იშლება.

ზოგ ანტეფიქსზე ჯვარს ახლავს სავედრებელი წარწერა. მათში – ისევე, როგორც

ბრტყელი კრამიტების წარწერებში, - მიმგებ-
 ლები ან მეკრამიტე ოსტატები არიან ხელმე
 მოხსენიებულინი („ქრისტე, შეიწყაღე ზებუღე“,
 „ქრისტე, შეიწყაღე მამართი“⁵⁵, IX-X საუკუნე-
 თა ანტეფიქსზე გუდაუთის რაიონის სოფელ
 მხიხუადანი: „ქრისტე შეიწყაღე მიქაელ“⁵⁶).
 ქუთაისის ტაძრის ერთი ანტეფიქსის წარწერა-
 ში მვეც იხსენიება: „ქრისტე ადიღე ვიორგი
 მეფე“⁵⁷. ხაქაროველოში აღმოჩენილია ასევე
 ანტეფიქსები უცხოენოვანი წარწერებით. ნიქა-
 ლაქვეში ნაპოუნ აღრექრისტანელი ხანის
 ანტეფიქსზე ბერძნული წარწერა ჯერის მკლა-
 ვებს შორის არის განაწილებული (ხერ. 194).
 კუფურწარწერიანი ანტეფიქსი რუსთაიდან
 XII-XIII საუკუნეებით თარიღდება (ხერ. 195).



ხერ. 184.
 ანტეფიქსიანი
 კრამიტე ქუთაისის
 ტაძრის
 ციხიდან

განეთარებულ შუა საუკუნეებში მოქიქელ კრამიტებთან ერთად გავრცელ-
 და მოკიქული ანტეფიქსებიც. გელათის აკადემიის გათხრებისას გამოვლინდა
 XII-XIII საუკუნეების ოთხი ნიმუში, ყველა ჯერის გამოსახულებით⁵⁸ (ხერ. 196).
 მწვანე და ცისფერი ჭიქურით დაფარული ანტეფიქსების მოყვანილობა ცელ-
 ვავერდა სამკეთხვლს უახლოვდება. რუიხის ტაძრის კედელში მოგვანიანობა ჩას-
 მული ჯერისანი ანტეფიქსი ჭიქურის ინტენსიური ღერჯი ფერით გამოირჩევა.

ცალკე უნდა ვახსენოთ დიდი კერამიკული ფილები, რომლებიც კრამიტის
 ფუნქციით იყო გამოყენებული ქსნის ხეობის VIII-IX საუკუნეების ორ ეკლესია-
 ში - წორქოლში, ხადაც ისინი ბოლო დრომდე აღვთლსე შემორჩა, და კაბანში,
 ხადაც ფილები გვიან შუა საუკუნეებში ხელმოუძრედ მოიხმარეს ერთ-ერთ
 თაღში, როგორც უბრალო საშენი მასალა⁵⁹.

წორქოლის ეკლესიის კერამიკული ფილები (მოიძებნა ხელ ოთხი ცალი,
 ამოთგან მთელი - მხოლოდ ერთი) სვეულებრთე კრამიტზე შესამჩნევად დიდია
 - 76,5 x 38,5 სმ. ყველა ფილა ერთი ყალიბიდანაა ამოწნეხილი. მათზე 25 სმ
 დიამეტრის მრგვალ ჩარჩოში დატანილია წმინდანთა მკერდსხეუთა გამო-
 სახულებები. ერთნაირი ფიგურების ერთგვარად გასამრავალფეროვნებლად
 ოსტატებს ისინი გამოშრობის შემდეგ წვეტიანი ხელსაწყოთი დაუჭმუშავებია:
 ერთ წმინდანს ომა და წვერი აქვს დამტრისხული, მეორეს - ომა და ხაშოსი,
 სხვადასხვაგვარადაა გამოყენილი თვალბებიც. კაბენის ეკლესიის ფილები
 (ხუთი ცალი, ყველა ფრამენტული) უფრო პატარაა - 66 x 33 სმ⁶⁰. ისინი ხაში
 ყალიბიდანაა ამოწნეხილი და, შესაბამისად, ხამ სხვადასხვა გამოსახულებას
 წარმოგვიდგენდა: ორ ფილაზე ნაწყენები იყო დანიული ლომების ხაროში, სხვა
 ორზე - დავითისა და გოლიათის ბრძოლა, კიდევ ერთზე - წმინდანის ფიგურა
 წრიულ ჩარჩოში (ხოვადად წორქოლის ფიგურების მსგავსი, თუმცა უფრო
 პატარა და დეტალებით განსხვავებული).

მოსირდასრე
 მხარე
 ხერ. 181.
 ჯერისანი ბრტყელი
 კრამიტე თბილისის
 ხორდან

რელიეფიანი კერამიკული ფილების გამოყენება ეკლესიების გადასახურად
 ქსნის ხეობის VIII-IX საუკუნეების არქიტექტურის უნიკალური თავისებურებაა.
 ფილებს კრამიტისათვის დამახასიათებელი ელემენტები არა აქვს და, ამდენად,
 წვერ არ ვიციოთ როგორ იყო უსრუველყოფილი მათი მეშვეობით შენობის დაცვა
 ნაღვექისაგან. არც ის ვიციოთ, მიუღი ეკლესია იბურებოდა ახუთი ფილებით,
 თუ მათ მხოლოდ გამოსახენ ადგილას აღვებდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში,

ხერ. 182.
 შროშინანი
 ბრტყელი კრამიტე
 რუსთაის
 სასახლიდან

ხერ. 183.
 წარწერიანი
 ბრტყელი კრამიტე
 ახაშის ეკლესიიდან



სურ. 185.
ანტიკუიქსი წეროების
გამოსახულებით
ბოსნიის
ეკლესიიდან

სურ. 186.
ანტიკუიქსი ირმების
გამოსახულებით
ქვაკახულიდან

რელიეფებით შემკული, დიდრონი წითელი ფილების სახურავი შენობას უჩვეულო იერს შესქსნდა.

XVI საუკუნის კახეთში ერთხანს გავრცელდა ეკლესიის გუმბათის სველურბრივი აგურით დაბურვის წესი. აგურით ბურავდნენ არა მხოლოდ ახლადაშენებულ ეკლესიებს, არამედ ძველებსაც, რომელთაც სახურავის განახლება ესაჭიროებოდა. ასეთი საბურველი გაუკეთდა ძველი შუამთის ორსავე გუმბათიან ეკლესიას (დიდისა ახლა გამოცვლილია), ხორხის სტეფანწმინდას, გრემის მთავარანგელოზს (ახლა გამოცვლილია), მატანის წმ. ნიკოლოზს⁵⁶⁰. ამავე ხანის ერთი მაგალითი გვაქვს თბილისშიც – ჯვარის მამა. ეკლესიის სხვა ნაწილების აგურით დაბურვა მიღებული არ იყო.

ღორფინთან და კრამიტთან შედარებით იაფ და ადვილად დასამსადებელ გადასახურავ მასალას ხის თხელი ფიცრები – ყაყარი წარმოადგენდა. ის საკულტო ნაგებობათა დასაბურავ ინტენსიურად XVII-XIX საუკუნეებში შემოვიდა ხმარებაში. გვაქვს იმის მაგალითიც, რომ შენობის ნაწილი ქვით, ნაწილი კი ხით ყოფილა გადახურული. ალავერდის წმ. გიორგის ხატის 1724 წლის წარწერაში ეკითხულობთ: „ღორფინითა დაბურრეთ წინა სამხრო ქვითა და დაბადი სამხრონი ურთხლის ფიცრთა“⁵⁶¹. ეს აღბათ ის შემთხვევაა, როცა საკმარისი თანხა ან სამშენებლო მასალა არ ჰქონდათ, რომ ეკლესია მთლიანად ღორფინით გადაეხურათ.

XX საუკუნის დასაწყისში რაჭის ბერ ეკლესიას ყაყარი ხურავდა (ლაბეჭინის მთავარანგელოზი, დადიშის წმ. გიორგი, სვანჭკარის „გოლგოთა“, კლდისუბნის ღმრთისმშობელი, კეირიკეწმინდა, ჯოისუბნის წმ. გიორგი, წკადისის წმ. გიორგი, ფარახეთის მთავარანგელოზი, ბუგეული და სხვა)⁵⁶². უმეტეს შემთხვევაში, ხის სახურავები XVIII-XIX საუკუნეებში იყო გაკეთებული. მაგალითად, ბუგეულის XVI საუკუნის ეკლესია 1838 წელს განაახლეს და მაშინ გამოუცვლეს სახურავიც⁵⁶³. გვიანდელი ხის გადახურვა ჰქონდა მაცხვარაშის XI-XII საუკუნეების ეკლესიასაც⁵⁶⁴. ყაყარი გადახურვის გეგმათის წმ. გიორგის ეკლესია და სამონასტრო ანსამბლის სოფიერთი ნაგებობა 1840 წელს⁵⁶⁵.



სურ. 187.
ახტევექსი ირისი განთავსებულია ქაჯისელოვანი ან ახიხვის



სურ. 188.
ჯერბოანი ახტევექსი ქაჯისელოვანი ან ახიხვის



სურ. 189-190. ჯერბოანი ახტევექსი იტბეჩინტევი ივანეს ქაჯისელოვანი



სურ. 191.
ჯერბოანი ახტევექსი ბორჯომის



სურ. 192.
ჯერბოანი ახტევექსი ჯავახეთის



სურ. 193.
ჯერბოანი ახტევექსი ჯავახეთის




სურ. 194.
ანტეფიქსი
ბერძნული წარწერით
ნოქალაქივიდან

სურ. 195.
ანტეფიქსი
კუფური წარწერით
რუსთავის
ნაციხვარიდან

ყავარის დასამზადებლად გამოიყენებოდა სოკი, ნაძვი, ფიჭვი, ურთხელი და სხვა ჯიშის ხეები. ფიცრებს ზამთარში ჰრიდნენ, რომ ხეს გამოშრობა მოესწრო და ჩრხილს არ შეეჭამა. კრამიტსა და, მით უმეტეს, ლორყინთან შედარებით, ტყით მდიდარ მხარეებში ფიცრები ეკონომიურ გამოსაყალს წარმოადგენდა, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა გვიან შუა საუკუნეებში, უკიდურესი გაბირებების დროს. თუმცა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რაჭასა და სვანეთში ყავრით ეკლესიებს გაცილებით ადრეც ხურავდნენ. პატარა ონის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის (XI საუკუნე) გაწმენდის დროს არ გამოვლენილა არც ქვის და არც კრამიტის სახურავის ფრაგმენტები, რაც მკვლევართ მართებულად აფიქრებინებს, რომ ეკლესიას თავიდანვე ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა³⁶⁶. იგივეს ვარაუდობენ ზემო კრიხის (X-XI საუკუნეთა მიჯნა) შემთხვევაშიც³⁶⁷. როგორც ჩანს, რაჭაში ეკლესიების ხით დაბურვის უწყვეტი რეგიონალური ტრადიცია არსებობდა.

სპილენძით ან სხვა ლითონით შენობის გადახურვა გვიან შუა საუკუნეებამდე საქართველოში მიღებული არ ჩანს. ცალკეული ცნობები ლითონის ფურცლების საბურველის შესახებ მხოლოდ XVII საუკუნიდან ჩნდება. 1650-1652 წლებში იმერეთში მყოფი რუსი ულნები ალექსეი იეულიევი და ნიკიფორე ტოლოხანოვი ქუთაისის ტაძრის აღწერისას აღნიშნავენ: „ქუთაისის დიდ ციხე-გალავანში ქვის საკრებულო ტაძარია, ერთგუმბათიანი, საუცხოოდ აგებული. გუმბათი გადახურულია სპილენძით, თექსმეფე წახნაგად“³⁶⁸. ეს სახურავი აშკარად გვიანდელი (XVII საუკუნეშივე?) გამოცვლილია, რადგან, როგორც არქეოლოგიური მასალით დასტურდება, ტაძარი თავდაპირველად მოკიქული კრამიტით იყო გადახურული. ლითონის დასაბური ფურცლები იმპორტირებულ მასალას წარმოადგენდა, საქართველოში მათ არ ამზადებდნენ. ქუთაისის ტაძრის გადასახური სპილენძის ფურცლები ალბათ რუსეთიდან უნდა ჩამოტრანათ. ცნობილია, რომ იმერეთის მეფე სოლომონ I-მა 1770-1780-იან წლებში დიდი ადღგენითი სამუშაოები ჩაატარა გელათის მონასტერში და, სხვა დანარჩენთან ერთად, მთავარი ტაძარი რუსეთიდან სავანგებოდ ჩამოტანილი თუნუქით გადაბურა („საკუთრითა მონაგებითა თვისითა დახურა ახლად სრულიადი იგი ეკლესია რკინის ყავრულითა“)³⁶⁹. საინტერესოა, რომ 1846 წელს,



სურ. 196.
მოკლე
ანიკეფოსები
გელათის მონასტრის
აკადემიიდან

კვლავ გელათში, მონასტრის შენობების თუნუქით გადასახურად ორღოვის გუბერნიის ქალაქ ლივინიდან მოუწვევიათ ოსტატი ივან კრასოვი, რადგან მთელ ქუთაისის გუბერნიაში მეთუნეუქე ოსტატი ვერ უშოენიათ⁹⁰ (როგორც ჩანს, მთელ საქართველოშიც, თორემ რაღა საჭირო იქნებოდა კრასოვის ამხიშორიდან ჩამოყვანა).

საქართველოსგან განსხვავებით, ლითონის (ყველაზე ხშირად ტყვიის) ფურცლებს სახურაისთვის ფართოდ იყენებდნენ ბიზანტიის იმპერიაში. ტყვიის ფურცლების სახურაეი კიონდა თავიდან ნუა მონის ეკლესიას კ. ქიოსზე, კონსტანტინოპოლის პამაკარისტოსსა და ქორას მონასტერს (გამოცვალეს 1870-იან წლებში)⁹¹. ნეუნთვის განსაკუთრებით საინტერესოა ისტორია მოთხრობილი ვიორგი მცირის მიერ „ვიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“: ათონის იეირონის მონასტრის ეკლესიაში წყალი ჩადიოდა და ფრესკებს აფუკებდა. ამასთან, თხზულების მიხედვით, სახურაის უვარვისობის მიზეზი ის ყოფილა, რომ მის „ხედა ტყევი არა იყო“ მონასტრის წინამძღვარი ვიორგი მთაწმიდელი კონსტანტინოპოლში წავიდა და იმპერატორ კონსტანტინე IX მონომაქოსს (1042-1055 წლები) საჭირო რაოდენობის ტყვია გამოთხოვა სამიმპერატორო მარაგიდან. ამ მახალთო დაბურეს იეირონის ეკლესია⁹².

რუსეთში უკვე XI საუკუნიდან ეკლესიებს ტყვიის ან კალის ფურცლებით ბურავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მახალუები ადგილობრივ არ



სურ. 197.
საფარის მონახტრის
წმ. საბას ეკლესია,
საწვიმარი ღარი

სურ. 198.
ახტალის ეკლესია,
საწვიმარი ღარი

მოიპოვებოდა – ისინი შუა ევროპიდან და ბიზანტიიდან შემოსქონდათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკლესიების დასაბურავ მოთქროვილი სპილენძის ფირფიტებიც გამოიყენებოდა (კიევის წმ. მიხეილის მონახტრის ეკლესია, ოვრუნის წმ. ეახილი, ელადიმირის წმ. დიმიტრი და სხვა)⁵⁷¹ ეს ტრადიცია უფრო გვიანაც გაგრძელდა. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში გადასახურ მასალად ლითონის გამოყენება სწორედ რუსეთთან და, შესაძლოა, ათონთან გაცხოველებული ერთიერთობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

დასასრულს, უნდა ვახსენოთ ნაღუქის გადასაყვანი ქვისა და კერამიკული მიღები. ისინი, როგორც წესი, მოთავსებულია ორ ერთმანეთისკენ დაფერდებულ ქანობს შორის, რადგან ასეთ დროს მეტია წყლის დიდი რაოდენობით დაგროვებისა და, შესაბამისად, მისი ეკლელში გაუიონვის საშიშროება. ასეთი ღარები დღემდე შემორჩენილი სამცხეში XIII-XIV საუკუნეების რამდენიმე ნაგებობაზე. აბასთუმნის სიახლოვეს მდებარე რუსუდანის მონახტრის მთავარ ტაძარში ქვის გრძელი საწვიმარი ღარი ცალნავიანი ეკლესიისა და მისი სამხრეთი მინაშენის ორქანობა გადახურეებს შორის არის ჩადგმული, ჯაბეთის ეკლესიაში ეკლესიისა და მისი ჩრდილოეთი მინაშენის გადახურეებს შორის⁵⁷², საფარაში – წმ. საბას ტაძრის დასავლეთ კარიბჭესა და მიძინების ეკლესიას შორის (სურ. 197). საწვიმარი ღარების გარე, ფასადიდან გამოშვერილი ნაწილები, როგორც წესი, სადაა. გამოჩაკლვისა ახტალის ეკლესიის ღარი, რომელიც მასიურ, უხედა მონუქურთმებულ „ნარჩოშია“ ნახმული⁵⁷³ (სურ. 198). კერამიკული სანიაღვრე ღარის ფრაგმენტი დარჩენილია ტიმოთესუბნის ეკლესიაში. ეს არის ღია ფერის კარვად გამოამწვარი სქელკედლიანი მილი ბოლოში მსხვილი მომრგვალებული ბორტი. ის ეკლესიის ძველი ხაღრუნაუო სისტემიდან უნდა იყოს გადარჩენილი.


თავი VI

სამშენებლო მასალები

1. ძვა

საქართველოში არქიტექტურის განვითარების ყველა საფეხურზე ქვა წამყვან საშენ მასალას წარმოადგენდა. ის გამოიყენებოდა ფასადების მოსაპირკეთებლად, ინტერიერის კედლებისა და კამარების ამოაყენებად და ხშირად დასაბურღადც. ქვის საბადოები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში იყო გაბნეული და მშენებელი ოსტატები, როგორც წესი, სამშენებლო მოედანთან ახლოს მდებარე კარიერებით სარგებლობდნენ. ზემოთ განხილული იყო ქორღის ეკლესიის კარნიზის სკელპტურული გამოსახულებები და წერილობითი მონაცემები (ბასილი ზარზმელის, გიორგი მერსულეს, ტბულ აბუსერისძის თხზულებები, ოშკის წარწერა), რომლებიც ცოცხლად გვისურათებს სამუნი მასალის – პირველ რიგში, სწორედ ქვის – ტრანსპორტირების სირთულეებს. ამავე წყაროებიდან ვიცვებით, რომ ზოგჯერ მშენებლებს ქვის მოტანა საკმაოდ შორიდან უწყევდათ. ზარზმის პირველი ეკლესიის მშენებლობაზე ქვებს მდინარის პირიდან ეხიდებოდნენ, რადგან აღვილზე საჯირო მასალა არ მოიპოვებოდა („...ქვანი მათ აღვილთანი ტყუთაგან დაფარულ იყვნეს. ეინაიცა წკლისაგან რაჲსმე დონიერობდეს და უშეერსა რაჲმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“)⁵⁶. თითო ნაგებობებიც ადასტურებს, რომ ქვა ზოგჯერ შორიდან მოქონდათ. კუმურდოს ტაძრის პერანგის ქვები 40 კმ-ით დაშორებული აბულის კარიერდან არის წამოდებული⁵⁷. 1656 წელს მცხეთის სეგტიცხოვლის აღდგენილი გუმბათი თემის კარიერის ტუფით მოაპირკეთეს.

საქართველო ქვის ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთ-ერთი უპართოდ მოხმარებადი ქვა შუა საუკუნეების მშენებლობაში იყო ბასალტი – მუქი ფერის ვულკანური ქანი, რომელიც ყველაზე უხვად სამხრეთ საქართველოში მოიპოვება. ბასალტის გამოყენება უკვე ბრინჯაოს ხანაში დაიწყო. შუა საუკუნეებში ის აქტიურად მოიხმარებოდა ქვემო ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში. რუხი, ზოგჯერ მომწვანო, მოწითალო ან მოყვითალო ელფერის ბასალტით არის ნაგები ვარდისუბნის, შინდლარის, ეძანის (სურ. 199), ტნუხის, თეთრიწყაროს „დედა ღვთისას“, ყიზილ-დერესის, თრიალეთის ახალქალაქის,




სურ. 199.
უანის კლესია.
ბაზალტის ფილების
წყობა

სურ. 200.
მირტაშნის კლესია.
ბაზალტის ფილების
წყობა

აღანძის, დემეილას, დანკალის, კუმერდოს, ფიას, ტონთოს, ფოკას, ზედა თმოგვის, წუნდის დაღეთის, ორთაშუას, მირტაშნის (სურ. 200) ეკლესიები, ნადარბაზევის სასახლე, ხერთვისის ციხე და სხვა⁵⁷⁶. ბაზალტი მოიპოვება შიდა ქართლშიც, ტბეთის შორიახლოს მდებარე ქვახათლის კარბურში. აქ მას, სვეულებრივ, ხევა მახალბთან ერთად იყენებდნენ (რუისის ტაძარი, ნიქოსის მთაჯარანგლოზი, თირის მონასტრის ეკლესია, სამრეკლო და სატრაპეხო). ქვახათლის ბაზალტი რუხია, ფახალებზე აღმოსებრული ზემოქმედებით სოვან ეანგისფერი ან იახანისფერი გადაკრავს⁵⁷⁹

ქართველი მშენებლები მოიხმარდნენ ანდესიტხაც – მუქი რუხი ან მოწითალო ტონის უელკანურ ქანს. მისი ძველი სამტეხლო გამოვლინდა თირის ნადარბაზევიდან ორთოდე კმ-ზე. ბუნებრივია, თავად ნადარბაზევიცა და მახლობლად მდებარე ეკლესიაც (სურ. 201) აქ მოპოვებული ანდესიტით არის აშენებული⁵⁸⁰ საბაღოები არის ასევე თრიალეთში, სამცხეში, ჯავახეთში, შიდა ქართლში (დიდი ღიახეისა და ღოფანისწყლის აუზებში და სოფელ დოდოთთან – ე. წ. „დოდოთის ქვა“). მაღალი ხარისხით გამოირჩევა ხევის (ყაზბეგის) ანდესიტი, რომელიც ხევის ხოინის, გურგეტის სამების ეკლესიისა და სამრეკლოს საშენი მასალაა⁵⁸¹. უველაზე ფართოდ კი მას სამცხეში იყენებდნენ – ანდესიტით არის ნაგები ხაფარისა და ზარზმის სამონასტრო შენობები (სურ. 202), ეაღეს, გაუეთის, ქარზამეთის, საყუნეთის, უღეს ეკლესიები და სხვა⁵⁸².

ბაზალტი და ანდესიტი კარგი მასალაა არა მხოლოდ კედლების ახაშენებლად, არამედ ნაგებობის დასაბურავადც. ამ მასალებით დამზადებული ღორფინი ძალიან გამძლე და საიმედოა. ხშირად სახურავისთვის იმავე ქვას თღიდნენ, რომლითაც თვით ეკლესია იყო აგებული. მაგალითად, ზედა თმოგვის





ეკლესია მონაცრისფრო-მოწითალო ბაზალტით არის ნაშენი (და დაბურჟულცი, ბედიანის „მონასტერი“ – რუხი ბაზალტით („ალგუისი ქვით“).

დიდი გამოყენება ჰქონდა შუა საუკუნეების მშენებლობაში ქვიშაქვას დანალექ ქანს, რომელიც შედგება მიწერალური ნივთიერებით შეკავშირებული ქვიშის მარცვლებისაგან. საქართველოში მოიპოვება თბილი ყვითელი, ღვინისფერი და ნაცრისფერი შეფერილობის ქვიშაქვა. მისი საბადოები ბევრია მცხეთის მიდამოებში (ქვევთან, მტკერისა და არაგვის შესართავთან) და შემთხვევითი არ არის, რომ აქ ქვიშაქვის მისხმარება მშენებლობაში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწქეს (არმაზციხე, მცხეთის აკლდამა). ქვიშაქვით არის ნაშენი ბევრი ეკლესია შიდა ქართლსა და თბილისში – მცხეთის ჯვარი (სურ. 203), ატენის ხორი, წრომი, სამწერისი, ბზიანი, ხცისი, სვეტიცხოველი (XI და XV საუკუნეების ფენები), სამთავისი, თიღუა, წინარუხი, თბილისის ღურჯი მონასტერი და მკტეხი, ღარგუისი და სხვა; ტაო-კლარჯუთში – არტანუჯის ციხის ეკლესია, ნუკა-საყდარი, ოპისა, ანჩა, ხანცთა (გუმბათი), დოღისყანა, ენი-რაბათი, ტბეთი (უადრესი ფენა), პარხალი, იშხნის კათედრალი და გურგენ მეფის სამლოცველო; სამეგრელო-აფხაზეთში – ძველი გავრა, მიქვი, ბედაი, ილორი, წაღუნჯისა და სხვა⁸⁸. ქვიშაქვას სხვა ჯიშის ქვებთან ერთად იყენებდნენ საფორტიფიკაციო მშენებლობაშიც (სხვილოს და სურამის ციხეები, ძალინას კოშკები...). ის კარგი მასალაა ორნამენტის საკეთად, ამიტომ უფრო უხარისხო ქვის ნაკვობებში ნუქურთმა „ზოგჯერ საგანგებოდ ჩართულ ქვიშაქვაზე გამოყვანილი (მაგალითად, რიყის ქვითა და შირიმით ნაგებ ვარდისუბნის „ოთრი ვიორგის“ ეკლესიაში)⁸⁹.

კირქვის კალკატისა და არაგონტის კრისტალუმსაგან შედგენილი დანალექი ქანის გამოყენების ძირითადი არეალი იმერეთია. აქ, სოფელ

სურ. 201.
თორის ეკლესია.
ანდუხიციის ფილემის
წკობა

სურ. 202.
ზარხნის მონასტრის
ეკლესია.
ანდუხიციის ფილემის
წკობა



სურ. 203.
მცხეთის უკარი,
ქვისაქვის ფიდელების
წიობა

სურ. 204.
სიბის ეკლესია,
კირქვის ფიდელების
წიობა

კონსტანტინე, ქუთაისის მახლობლად, მდებარეობს ეკლარის ცნობილი საბადო, რომლითაც აქტიურად ხარგებლობდნენ განვითარებულ შუა საუკუნეებში. ეკლარის ქვით არის ნაგები ქუთაისის კათედრალი („ბაგრატის ტაძარი“), კაცხი, ზენობანი, ხაგანუ, გელათის მონასტრის სამივე ეკლესია და სამრეკლო. კირქვის ადრეული ხანიდან იყენებდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთშიც, რასაც მოწმობს ნოქალაქევის ეკლესიები და სხვა შენობები. კირქვით არის აშენებული ასევე მარტვილის მონასტერი (სხვა მასალებთან ერთად), სიბი (სურ. 204), ცაში, სუჯუნა, შიხი, ანაკოფია, ლიხნე და სხვა. ქართლში, კავთურის ხეობაში მოიპოვება ნიკაროვანი კირქვა, რომელიც ქვათახევის ეკლესიის ძირითადი მასალაა. კირქვით არის ასევე მოპირკეთებული ოშკის ტაძრის კედლები⁵⁵


განსაკუთრებული ფერადოვნებით და გამომსახველობით ხასიათდება ეუკლკანური ტუფი⁵⁶ ის უხეი რაოდენობით გვხვდება ქართლში. ბოლნისის მდამოებში მოიპოვება კვარცპორფირული შეღწეწილობის მიეკითალო-ქვიშისფერი ან მომწვანო (სოფჯერ მომწვანო-მოცისფრო) ლავის ტუფი, რომლითაც არის ნაგები ქვემო ქართლის ბევრი ეკლესია, მათ შორის ბოლნისის სიონი, ქვემო ბოლნისი, მანხუტის ორი ეკლესია (სურ. 205) და სხვა. ამ მასალით მოპირკეთეს 1710 წელს თბილისის სიონის განახლებული გუმბათი და ეკლესიის ნაწილი. უფრო წაბლისფერი დაძვრავს სამშვილდის სიონსა და სათხეში მოხმარებულ ტუფს. სკრის მდამოების მოთისფრო ტუფისგან იყო დაშლადებული ატენის სიონის ღორფინები. შიდა ქართლში, ცხინვალის მდამოებში მოიპოვება მუქი მოწითალო-ლუწინისფერი ტუფიც, რომლითაც არის ნაშენი დიდი და პატარა


ლიახეის ხეობების ბევრი ეკლესია (ერეკლის წმ. ვაითრი და აბერის საყდარი“, კარბის სამება, კულბითი და სხვა). მოეყიდალო ეულკანური (ფელსიტური) ტუფის სამტეხლო არსებობდა თბილისის ახლოსაც, დაბახანასთან. ამ ქვით ააგეს ანისხატის ეკლესია⁵⁸

თემის ხეობაში არის ღამაში მომწკანო ტონის ფერფლის ტუფის საბადოეზი. მისი გამოყენების ეულაზე (ცნობილი მაგალითი ხეტიცხიელის გუმბათია. თემის ტუფის კვადრები ბევრგან ჩანს ტაძრის ძირითად კორპუსზეც განსაკუთრებით აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე. ამ მხალით არის შემოსილი ატენის მცირე ეკლესიის გუმბათიც; თემის ტუფს, როგორც წესი, შენობის ცალკეული ნაწილებსათვის ხმარობდნენ. მისი კვადრებითაა მოპირკეთებული, მაგალითად, კასპის მეტეხისა და ფაენისის ეკლესიის ფასადების ნაწილი. მისი ცალკეული ბლოკები ვახელება რკონის მონასტერსა და ჩანუბეთშიც. XI საუკუნის I მეხამედში თემის ტუფისგან კეთდნენ მდიდრულად შემკულ კანკელებს არა მხოლოდ ქართლის, არამედ კახეთისა და სამცხის ეკლესიებისთვისაც (სეუტიციველი, შიომღვიმე, ხოლგ, წერეთანი, ურთხვი, ალავერდი, საფარა)⁵⁹.

ქორქვის ტუფი (ტრავერტინი) მცირე ხიმკერების ფოროვანი ქანია, რომელიც წარმოიქმნება მტკნარი წყლის წყაროებისგან კარბონატული მინერალების დაღქვის შედეგად. კახეთში ის ცნობილია შირიმის სახელით. ქართულ წერილობით წყაროებში ვახელება ქორქვის ტუფის ძველი, ბერძნულიდან მომდინარე დასახელებაც – სონდიო ან სონდიკო. ოშკის ტაძრის შემოთ არაერთგის დამოწმებული ფერწერული წარწერა გაამცნობს, რომ მშენებლობაზე აქოლიათ 30 ჯარი და ახავერი, რომელ გრავოვლ-წმოდით ხონდიკსა კრებდა⁶⁰, სამწუხაროდ, ტაძრინიზი გრავოვლწმინდა დაკარგულია და ნენ არ ვეცით, ოშკოდან რა მანსიდზე მღებარეობდა ტრავერტინის სამტეხლო. მცხეთის ერთ გვიანდულ

ხურ. 205.
მანსიუის ქველა
აღქვისა,
ტუფის ფილებს
წუბა





სურ. 206.
ქვირვარას ეკლესია.
ტრაპეზუნტიის
(შირიშის) ფილების
წლებია

გუჯარში დაცულია ცნობა ხევეტიცხოველზე 1392 წელს წატარებული სამეშაოს შესახებ: „ჩუხნ... ამით ამირამან სუნელის ძემან ლომ- მან, და ჩემმა ძმისწულმან ლანინამან... კელ- ვეჟე და შემოვაქლე ხაყდარხა სპონდიო“⁵⁹⁰

ტრაპეზუნტი (შირიში) რიყის ქვასთან ერთად საეკუენეთა მანძილზე ძირითადი მასალა იყო კახეთში, სადაც სხვა სამშენებლო ქვები მწე- ლად იძლეოდნენ. V-X საეკუენებში შირიმის ფი- ლებით გამოყენდნენ რიყის ქვით ნაგები შენო- ბების შიდა და გარე კუთხეები, დიხები და იმოსტები. „სოგჯერ პილასტრები და თაღებიც (ძველი შუამთის სამივე ეკლესია, სუგაიანის ეკ- ლაწმინდა, ნატკორა, ახმეტის დედათაბა, კანასი- ანის ეკლავწმინდა, იყალთოს ფერისცვალება, ბარცანა, ჟალეთი, თიანეთის ხიონი“⁵⁹¹ და სხვა). „სოგჯერ რიყის ქვა იხმარებოდა უშირიშიდაც, აგურთან ერთად (აღუიანის ნათლისმცემელი, აკურის მამადავით...“⁵⁹²). აგრეულ ხანაში არის მოღიანად რიყის ქვით აგებული ეკლესიებიც (კონდოლის ნათლისმცემელი, კარდანიანის წმ. ნიკოლოზი – სურ. 208, კისხხევის კონდამიანი, საბუეს წმ. შიო, დედიანის წმ. თევდორე...“⁵⁹³).

X საეკუენის ბოლოდან კახეთში იწყებენ საეკლესიო შენობების ეკლესიების მოღიანად შირიმის კვადრებით მოპირკეთებას (კეპტერა სურ. 206, ალავერდი⁵⁹⁴). XIII-XIV საეკუენე- ბის ეკლესიებში შირიმით მხოლოდ ფასადებს

ამირკეთებენ (კარდანიანის საბაწმინდა, სახინი ზემო ხოლაწმინთან⁵⁹⁵). ამ შენო- ბებისათვის დამახასიათებელია ორნამენტაციის არარსებობა, ვინაიდან შირიმით ფორთვანების გამო ჩუქურთმის საკეთილად უვარგისია.

ტრაპეზუნტის საბადოები არის ქართლში (ტაბარუკის მონასტერში), იმერეთ- სა და რაჭა-ლეჩხუმიც. შესაბამისად, აქა-იქ ამ მხარეებშიც გვხვდება მოღიანად ან ნაწილობრივ ტრაპეზუნტით ნაგები ეკლესიები (ტაბარუკი, უბისა – სურ. 207, დეკანოზის წმ. გიორგი, ზემო კრისი, რაკეთის წმ. ნიკოლოზი⁵⁹⁶ და სხვა).

ცალკე არის აღსანიშნავი ფიქალი – მეტამორფული ქანი, რომლის საბადოები მოიპოვება კახეთში, ქართლში (ქსნის, დიდი და პატარა ლიახეების აუზებში), ხეში, აფხაზეთში, დუნეხუში, სვანეთში, რაჭაში. ბასალტის, ანდეზიტისა და სხვა მტკიცე მასალებიდან განსხვავებით, ფიქალი კი არ ითვლება, არამედ იბოზა. შესაბამისად, ფიქლის ფილებისათვის ერთნაირი 'შომისა და რუგულა- რული ფორმის მიცემა შეუძლებელია, მათ შემთხვევითი მიუკვანილობა აქვთ. ფიქლით იყო გადახურული სვანეთის, რაჭის, ხევისურეთის, თუშეთის კოშკები და საცხოვრებელი სახლები⁵⁹⁷ გამოწკარვების ხაზით, ის მთიანი რეგიონების საეკლესიო არქიტექტურაშიც გვხვდება – მაგალითად, ფიქლის საბურკულია ნაგარაღლეო გუდრუხის დეიონსშობლის ეკლესიაში⁵⁹⁸. დასაბურად ვარგისი ფიქალი მოიპოვებოდა თორშიც⁵⁹⁹



ქართული ეკლესიების მნიშვნელოვანი ნაწილი შერყეული მახადით არის აგებული. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ერთი ჯიშის ქვა მშენებლებს ხაკარისხად არ აქონდათ, ან ტექნიკური მოსაზრებით ერთნაირი სხედასხვა ადგილებზე სხვადასხვა ქვა ეხმარათ (მაგალითად, როგორც ეს ოშკის ტაძარშია – ნექერეთის საკვეთად ეარგისი მღალახორისხიანი კირქვა ფახალებზე და მსებუქის „სპონდიო“ კამარებზე), ანაც სურდათ სხედასხვა ფერისა თუ ფაქტურის ქვის შესაბამის მსატრეული ეფექტისათვის მიეღვათ (მაგალითად, ხისხისფერი წითელი ქვით გამოყვანილი საპირე მიყვითადლო ქვიშაქვის წყობის ფონზე სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფახალებზე). ზოგიერთ ეკლესიაში საში-ოთხი სხედასხვა ქვა გამოყენებული: ბახალტი, ანღუხიტი და კირქვა სირგოში⁽⁶²⁾; ქვიშაქვა, შირიმი და მუქი ღვინისფერი პორფირიტი კოშკების დმოთხშიშობლის ეკლესიაში⁽⁶³⁾; ბახალტი, ტუფქვიშაქვა და ტუფბრქვია კასრეთში; ქვიშაქვა, შირიმი, ნატეხი და რიყის ქვა წყლულოში და სხვა.

მშენებლობისათვის საჭირო რაოდენობის ქვის მოხაპოებლად, გახაილეულად და ნექურთმის საკვეთად შესაბამისი იარაღები არხეობდა. მათ შესახებ ინფორმაციის ძვირფასი – თუმცა კი მეტად მწირი – წყაროა მშენებელთა ზემოთ-განხილული რელიეფური გამოსახულებები და თითო-ორიღა წერტილითი ცნობა. რამდენაღაც საშუალო იარაღად საეკენეთა მანძილზე არხებითად არ შეეცდიღა. შუა საუკუნეებში ქვის მოპოვებისა და დამუშავების სურათის წარმოსადგენად შეიძლება მოვიშველიოთ გვიანი უინოგრაფიული მახალებიც.

სამშენებლოდ ეარგის ქვას შუა საუკუნეებში დია წესით ჭრინენ. კარიერების უმრავლესობა მიუბის კლდოვან კალთებზე იყო („ქვასა, რომელსაცა მიწით აღმოიღებდენ, ანუ კლდისხაგან აღმოიკაფდენ...“ – ეუწვა წმ. ვასრისაგან ქვითხურთ ბოლოკ-ბახისლ⁽⁶⁴⁾). კლდის გასაპობად ფართოდ იყო გავრცელებული ხის ხოლები. ოსტატი კლდის ქანში რკინის იარაღით ჯერ ხოლების ნახამაგრებულ ხერტლებს აკეთებდა, შემდეგ მათში ხის გამხმარ ხოლებს დებდა და ზედ წყალს ახხამდა. წყლით გაულენილი ხე კლდეს აპობდა. ქვის მოსატეხად ასევე ხყოღნათ კირის გამოყენება. ხახოლუში ჯერ კირს ნაყრინენ, შემდეგ ხოლებს ნახამაგრებდენ და წყალს ახხამდენ. წყალი კირს აღულებდა და ქვას ტეხდა⁽⁶⁵⁾.

სურ.
ქვისს-კლდისა.
კარკერის
(ძირისის) ეოლებს
წყობა

სურ. 208.
კარდ-ნახის
წმ. ნიკოლოხის
ეკლესია.
რიყის ქვის წყობა

გარდა ხისა, ცნობილი იყო რკინის სოლებიც. იმის მიხედვით, კლდე ყიცხი იყო თუ რბილი, იყენებდნენ სხედასხვა პირიან სოლებს. მაგარი ქანის მოსამტერევეად პატარა, ბასპირიანი სოლი იხმარებოდა, უფრო რბილი ჯიისის ქვის მოსატეხად – ბლაგვიპირიანი და დიდი⁶⁰⁴. ამ უკანასკნელთან ერთად იყენებდნენ სოლის მოყვანილობის შესაბამის „სამწვეკვეებს“. სოლებით კლდის გასატრეკლად აუცილებელი იყო რამდენიმე სახის ხის ან რკინის „საცემი“ უროს მოხმარება.

გამორეცხის შემდეგ ქვას ადგილზე წვარაქვითა და წალკაბით სახეულდახელოდ ამუშავებდნენ, რათა მისთვის ზედმეტე წონა მოეცილებინათ. ეს აუცილებელი საბუქო იყო. ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საშენი ქვის ტრანსპორტირება მშენებლობის პროცესის ერთ-ერთ ეტელაზე მძიმე ნაწილს წარმოადგენდა (მასალის გადაზიდვის ხერხებისა და მეთოდების შესახებ იხ. მეოთხე თავში).


ქვის საბოლოო დამუშავება უკვე სამშენებლო მოედანზე მიმდინარეობდა. სამტესლოდან მოტანილი დიდი ბლოკი აქ შეიძლება ორ ან მეტ ნაწილად დანაწევრებინათ უფრო იოლად მოსახმარად (ქვის გაბობა ნაჩვენებია ქორლოს ეკლესიის კარნისხის ერთ-ერთ რელიეფზე). სახურეული ფორმისა და ზომის ქვის მისაღები მშენებელს შრომის პროცესში სხედასხვა იარაღის გამოყენება უწევდა. შიმშა, სამართი, ფარგალი, გონიო, ქეშაო, თარგები, თარაზო, შვეული და ტყეისი ფანქარი ქვის სამართ-საზომი იარაღების რიცხვს მიეკუთვნება. ხოლო წალკაბი, წვარაქვი, საკოდელი, ქლიბი, ქასურები, სატეხი, კბილიანი და პირიანი კალმები – ზედაპირის მოსასწორებელსა და წყქურთმის ამოსაღებად⁶⁰⁵. ამ ინსტრუმენტთაგან შუა საუკუნეების მშენებელთა გამოსახელებებში ხშირად გვხვდება გონიო, წვარაქვი და წალკაბი, ეპისოდურად – შვეული და სატეხი. შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში ქვის დასამუშავებელი იარაღები სულ ერთი-ორგან იხსენიება. სერაპიონ ზარზმელი ქვის ჯურის გამოსაკვეთად რკინის ორთახს (მოკლევარტიან ორმხრე ბასპირიან წვარაქვს) ხმარობს: „...ხოლო წმიდამან მან აღიღო ჴელითა თვისითა ორთოვი რკინისა და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე დიდ-დიდთა...“⁶⁰⁶. წმ. გიორგი ბოდბე-ბახილს უბრძანებს ოპისულ ბურს გამოართვას რკინა ქვის სათლელი იარაღის დასამზადებლად: „და შექმენ მის რკინისა ჴურჭელნი ქვისსათლელნი ჴელითავე შენითა“⁶⁰⁷.

ქვის მოპოვება და დამუშავება რთული, შრომატევადი პროცესი იყო. მას, ჩვეულებრივ, გამოცდილი ოსტატი ხელმძღვანელობდა. ქართველმა ქვითხურეობმა ამ საქმეში მალალ ტექნიკურ დონეს მიაღწიეს, რასაც თვალნათლივ მოწმობს შუა საუკუნეების ხეოთმოძღვრება.

2. საშენებლო კერამიკა

კერამიკული პროდუქცია ფართოდ გამოიყენებოდა მშენებლობაში მიუღი შუა საუკუნეების მანძილზე. ის მოიცავდა სხედასხვა ზომისა და ფორმის აგურებს, შორენკეკებს, ბრტყელ და ღარიან კრამიტებს, ანტიფეიქსებს, იატაკის ფილებს, სარკმლის ალათებს, წელის მიღებს და სხვა.

აგური საქართველოში ცნობილი იყო ანტიკური ხანიდან (დასტურდება მისი ფართო გამოყენება ახ. წ. I-III საუკუნეების მცხეთაში). შუა საუკუნეებში ის ხშირად იხმარებოდა ქვასთან ერთად, წყობის როგების მოსასწორებლად ან კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები გამოისაყვანდა. არის მოლიანად აგურით ნაშენი ნაგებობებიც (ვრცელად ამის შესახებ იხ. მეხუთე თავის მეორე ქვეთავში).



IV-V საუკუნეების აგურის წარმოების დონისა და მასშტაბების თაობაზე წარმოდგენას გვიქმნის ნოქალაქეუხა და ბიჭვინტაში გამოვლენილი სამშენებლო კვრამიკა. აქ გამოყენებული იყო სხვადასხვა ფორმის აგური: კვადრატული, მთვრდი, გრძელი (ე. სივრძე-სიგანის შეფარდებით 2:1 ან მეტი), წრიული (კალორიფერებისათვის) და სამკუთხა(კ⁶⁰⁸). ადრეკრისტიანული ხანის აღმოსავლეთ საქართველოში აგურის გამოყენება შედარებით იშვიათია (რუსთავეის ციხის აბანო, ურბნისის ნაქალაქარის ერთ-ერთი ნაგებობა), მაგრამ შემდეგ პერიოდში სურათი იცვლება. VIII-IX საუკუნეებიდან აგური – როგორც მთვრდი, ისე კვადრატული – ფართოდ შევიდრდება საეკლესიო მშენებლობაში. მისი ყველაზე აქტიური მომხმარებელი კახეთი იყო, სადაც კოლდინის თვისებების მქონე მაღალხარისხიანი ნედლეული მოიპოვებოდა. როგორც ადრეულ პერიოდში, ისე VIII-X საუკუნეებშიც აგურის ერთიანი დაკანონებული სიმა არ არსებობს ის ყველა შენობაზე სხვადასხვაა. მეტიც, ხშირად სხვადასხვანაირი აგური ერთ შენობაში გვეხვება. აგურის მამდალეითის ეკლესიის სხვადასხვა ნაწილებზე ხეთი სხვადასხვა ზომის აგურია ნახმარი. მათგან ყველაზე დიდები სივრძით 40, ხოლო სიხტით 10 სმ-ს აღწევს. შესაძლოა, ეს აგურები სხვადასხვა სახელწოდნის ნაწარმს წარმოადგენდა⁶⁰⁹ სოგადად ამ პერიოდში, როგორც წეხი, აგური უფრო სქელია, ეიდრე წინა და მომდევნო ხანებში.

სურ. 209.
სინოქსონის
სამრკელი

სურ. 210.
ენე ელის
მინასტროს
წმ. ნიკოლოზის
მძღუესია.
ფიგურული აგურით
კანოფიანილი
კარნიზი გუქობაზე



სურ. 211.
ფოფურული
აგური რუსთავეის
სახსხილდან

XII-XIV საუკუნეებში უპირატესობა ენიჭება კვადრატულ აგურს. შეიმჩნევა ტენდენცია მისი ზომის შემცირებისა (ეს საერთო მოვლენა ჩანს ადმოსაელეთქრისტიანულ სამყაროში⁶⁰) და გარკვეული სტანდარტიზაციისაკენ – აგურის გვერდის სიგრძე 21-25 სმ-ის ფარგლებში მერყეობს, სიხვე 4-დან 6 სმ-მდეა. ყინციკისა და ტიმოთესუბნის ეკლესიები მთლიანად ერთი ზომის აგურით არის ნაშენი. გვიან შუა საუკუნეებში, როცა აგურის მოხმარება მკვეთრად იზრდება, ძირითადად კვლავ ამ ზომის აგური მზადდება. აგურის მასიური წარმოება უთუოდ ხელს უწყობდა მისი მეტ-ნაკლებად ერთნაირი ზომის დადგენას. მეტიც, სავარაუდოა, რომ ნინოწმინდის სამრეკლოზე აგურის ზომა (იმ დროისათვის სტანდარტული) მთელი შენობისა და მისი დეკორის პროპორციული აგების განმსაზღვრელი ერთეულია (სურ. 209)⁶¹.

ადრეული ხანიდან მაკობი ელემენტებისათვის გამოიყენებოდა ფიგურული აგური. გურჯაანში, აკურაში, ოხაანში, ყინწისსა და ტიმოთესუბანში დეკორატიული თაღები და ნახევარსვეტები ლეკავური აგურით არის გამოყვანილი. ყინციკისში ის ნახშირია გუმბათის კარნიზზეც (ორი სხეადასხვა ზომისა – სურ. 210). კახეთსა და ქართლში ლეკავური აგური ფართოდ იხმარება გვიან შუა საუკუნეებშიც (ახალი შუამთა, გრემის მთაყარანგელოზი, შიხიანის ავდგომა, ჰიკაანის წმ. თომა, ნინოწმინდის სამრეკლო⁶², ანანურის ღვთაება, თბილისის ჯვარის მამა და მრავალი სხვა). ზეგანის ყველაწმინდის კანკელის სვეტები აგებულია 29 სმ დიამეტრის ნახევარწრიული აგურებით, რომელთაც შუაში დერძისათვის ღრმული აქვს დაყოლებული⁶³.

საერო ხუროთმოძღვრებაში ფიგურული აგურის ფორმები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო. რუსთავეის სახსხლეში (XII-XIII საუკუნეები) ნაპოვნია დიდი რაოდენობით ტრაპეციული აგური, რომელსაც მორკალულ წინა მხარეს, სამფურცლოვანი ყვავილის მსგავსად, სამი ნახევარწრიული შევრილი აქვს (სურ. 211). ეს აგურები მრგვალი სვეტების მოსამირკვებლად იყო განკუთვნილი. მათი ერთმანეთზე დაწყობით მიიღებოდა სამ-სამი ლილევი.

ეთნოგრაფიული მონაცემების მოშველიებით შეიძლება მიახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ როგორ ამზადებდნენ აგურს შუა საუკუნეების საქართველოში. წარმოების პროცესი შესაფერისი, სუფთა და უკუჩხო თიხის მოთხრით იწყებოდა. სხეადასხვა ადგილას მოპოვებული თიხა სხვაობდა როგორც ხარისხით, ისე ფერით: „ჩვენი მიწა წითელია და წითელი აგური გამოდის, ცისისხევის მიწა თეთრია და ქალაღის ფერი გამოდის. ყველაზე კარგი იყალთოს მიწაა“ (ნაწერილია კახეთში 1935 წელს)⁶⁴.

მოთხრილ თიხას ერთხანს კალოზე ტოვებდნენ დასაღებობად და შემდეგ შელდნენ – ჯერ ნიშბით და მერე ფეხით. დაზელებისას ამატებდნენ ქვიშას. როდესაც თიხა მზად იყო, მას ხის ყალიბში დებდნენ და აშრობდნენ. როგორც არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, რომ საქართველოში



სურ. 212.
აგური ხელის
ანაბეკლით რუსთაყის
ნაკისვარიდან

სურ. 213.
აგური ხლიქების
ანაბეკლით

ხმარობდნენ უძირო ყალიბს, რომელიც, როგორც წეხი, მაგარი ჯიშის ხისგან მზადდებოდა. თბილისის მოღნიხის ეკლესიის 1804 წლის ხარკმონტო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვაში ნახსენებია „აგურის ყალიბისათვის ნიგჰსის დარაბა“⁶⁵ – ე. ი. კაკლის ხის ფიცარი. ყალიბს „სოგჯერ ძირსუ ქვიშას უყრიდნენ (ეს ტექნიკა დასტურდება ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ბიჭვინტაში – იქ ნაპოვნ აგურს ცალი მხარე უფრო უხეში აქვს, რადგან მასსუ ყალიბის ძირსუ დაყრილი ქვიშაა აღბეჭდილი⁶⁶). შემდეგ დაგუნდაეუბულ თიხას ყალიბში დებდნენ და ასწორებდნენ ისე, რომ ყალიბი მოღიანად შეეყუო. რუსთაყის ნაქაღაქარის XII-XIII საუკუნეების სახახლეში (სხაგანაც) ნაპოვნი ნატეხი აგურისა, რომელსეც მეაგურეს თაყისი ხელი აღებუქდაეს (სურ. 212).

ფორმამიცემულ აგურს რამდენიმე დღეს კალსუ ტოეუბდნენ გახაშრობად. ტერიტორია, რომელსეც ხეელი აგური ეწუო, მოფარგლეული არ იყო. V-დან XVIII საუკუნემდე დამზადებულ ბევრ აგურსუ ჩანს სედ გადარბენილი შინაყრი ცხოველის ნლიქების (სურ. 213), ძაღლის თათების ან ბაეშეის შიშეული ფეხის კვადო⁶⁷.

მსესე გამშრალი აგურის გამოწვა სპეციალურ ქურაში ხდებოდა. საგანგებოდ არჩეუდნენ შუშასაც. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედუით, კარგი აგურის გამოსაყევანად ყველაზე შეხაფერის ხედ ითვლებოდა ნეკერხალი, შემდეგ რცხილა, იფანი და წიფელი⁶⁸. სემოთ არაყრთუგის დამოწმებულ, 1774-1777 წლებით დათარიღებულ საბუთში ნინოწმინდის ტაძრის აღმდგენი მიტროპოლიტი საბა ტუხისშეილი ამბობს, რომ მეაგურეს მისთვის მაინცვა-მაინც იერის ნაპირსუ გამორიყული შუშა მოუთხოყია: „და შეცხობილისა აღიზისა მტყულოენემან ესე მოგვითხრა: აღიზი არ შეიცხობა თუ არა რიყის ხითა. და ესე გეშორეიდა დიდად, რომელ იორისა მდინარიდამ უნდა გეუსიდა... და ჩვენ... მრავლითა ასითა ურმითა ვიწყეთ მოტანად იორით ნარიყისა მის შეშისა, და აღიზ-აგური ესრეთ შეემზადეთ“⁶⁹.

აგურის გამოსაწვაეი ქურები საქართველოში მრგვალი იყო და ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ქვედა, საცეცხლე ნაწილი („ადაბლა ქურა“), როგორც



სურ. 214.
კერამიკული ფილა
შიომღვიმის
მონასტრიდან


სურ. 215.
კერამიკული ფილა
ხიდარაშენის
ეკლესიიდან

წეხი, მოღიანად ან ნაწილობრივ მიწაში იყო ჩაგრილი და მყარ გრუნტზე იდგა. მას ქქინდა შეშის შესაკეთებელი გვირაბივებრივი ყელი, რომელიც კართი იხურებოდა. სულა ნაწილი გამოსაწევი აგურის დასაწეობად იყო განკუთვნილი. აგურებს ქურის იატაკიდან ამოყვანილ თაღებზე ალაგებდნენ. გამოწვის პროცესი რამდენიმე უტაბს მოიცავდა. თავიდან ერთი, ორი ან სამი დღის განმავლობაში (დრო ქურის სომასზე დამოკიდებული) ხდებოდა აგურის თანდათანობით გამოშრობა დაბალ ცეცხლზე, ბოლში. ამისთვის იყენებდნენ კენძებსა და ფურქურო შეშას. შემდეგ ხმელ შეშას უმატებდნენ და ცეცხლს აძლიერებდნენ. გამოწვის დასრულების შემდეგ ქურა რამდენიმე დღე ცივდებოდა⁶²⁰.

ტექნოლოგიურად მსგავსი წეხით მსადღებოდა კრამიტიც, მაგრამ სოგადად, მეკრამიტეობა უფრო რთულ ხელობად ითვლებოდა, ვიდრე მეაგურეობა⁶²¹. საკრამიტე მიწა იმავე ადგილას იჭრებოდა, ხდაც აგურის, თუქცა იყო განსხვავებაც – კრამიტის მიწა და აგურის მიწა ერთ ალაგს არის. სეკიდან აგურის მიწა, ფხვიერია, ქვეშ კრამიტისა, გოხია⁶²². კრამიტის ყალიბში, როგორც ჩანს, სოგჯერ ქსოვილს აფენდნენ (მისი ანაბეჭდი ცხადად ჩანს XV-XVI საუკუნეებით დათარიღებულ კალიბტერზე ბოლნისიდან)⁶²³. კრამიტის გამოსაწევი ქურა ისეთივე იყო, როგორც აგურისა. IX-X საუკუნეებით დათარიღებული სამი ასეთი ქურა გამოვლინდა რუსთავის ნაქალაქარსე⁶²⁴. მათ დანიშნულებას მიწმოხსნივე აღმონივნილი სამეურნეო ორმოები, რომლებიც გადაურთილი კრამიტის ნამტვრევებითაა სავსე. სამსავე ქურას ერთი სამუშაო მიყვანილი აერთიანებდა და, შესაბამისად, სამივე ერთი სახელონო უბნის ნაწილად არის მიჩნეული. სამივე

თხინი განსხვავებულის - 2,2×1,4 მ, 2,20×2,60 მ და 2,30×2,60 მ, მაგრამ კონსტრუქციული თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსია. ხაზი მხრიდან მოწაში ნახშივლი, თახკეთხა გეგმის ქერის ქვედა ხართული ხავეციხურს წარმოადგენს. ზედა - გამოსაწაკე კამერას, რომლის იატაკში ასოქრულია დაახლოებით 20×8 სმ ზომის, არაწლირი ფორმის ხახვლები. კედლები შიგნიდან აგურითაა მოპირკეთებული და ხელაღ არის შეღებილი.


სამშენებლო კერამიკის თავისებურ ხახვობად შეიძლება ნაითვალის თხის რელიეფურ-გამოსახულებიანი ფილები (შორეკეცები). თხინი მხადლებოდა საგანგებო ეპიბით, რომელზეც გამოსახულება ნაღრმავებულად, ხარკისებრ შებრუნებულად იყო დატანილი, და შემდეგ გამოიწვებოდა. ასეთ ფილებს ათავსებდნენ შენობის ხახვრავზე ან ფახადებზე. ხახვრავის რელიეფური კერამიკული ფილების ექვდაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომლებიც; წირქილისა და ეანჩაუთის კაბეის ეკლესიებიდან მომდინარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება, დიდი ზომებით - 76,5×38,5 და 66,0×33,0 სმ - გამოირჩევა. მათ უმეტესობაზე წარმოადგენილია წმინდანთა მკერდსხეშითა გამოსახულებები წრიულ ნარჩიში, რამდენიმეზე ძველი ადოქმის ხეუკეები (დანელი ღომების ხაროში, დაეთისა და გოლიათის ბრძოლა - თხ. სქმით, გვ. 197).



კედლების მოსაპირკეთებლო შორეკეცები უფრო პატარაა, მათი უაღრესი ნიმუშები ასევე VIII-IX საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. შორეკეცზე შიომღვიმის მონასტრიდან გამოსახულია აბრაამის მსხვერპლშეწირვა (სურ. 214). მსხვილი კეტილი შეიარაღებული აბრაამისა და დანიელის სახეები ფიგურები პირაით „დაძმია“ მოქცეული. წითლად გამოიწვარი შორეკეცეი ნაღრამეხიდან (თეთრი წყაროს რაიონი, სურ. 215) გემიენებს მორბუნად ირმებსა და მტაცებელ ცხოველებს. ფიგურებს ფილის ზედა და შუა ნაწილი უკავიათ, ქვედა ნაწილი შეუვსებელია. კედლებზე ფილას კომპიხსაგან შედგენილი ხარხი შემოუყვება.

გვიანი შუა საუკუნეების რელიეფიანი შორეკეცების მრავალრიცხოვანი ნიმუშები შემოგვიჩინა საშუალო საუკუნისის ეკლესიიდან 15-ოდე მეტრით სამხრეთით მდებარე დარბაზულმა საშლოეკლემო, რომელიც აგებულია მერბი ფანასკერტელ-ციციშვილის საძეაღედ მისი მემკვიდრეების მიერ 1580-90-თან წლებში²². აგურით ნაგები პაწია შენობის თხხსავე ფახაღზე და ინტერიერში ნაღმულია კვადრატული კერამიკული ფილები (თავიდან იყო 38 ეალი, დარწენილია 28). საფასალო შორეკეცებს წეჭურთმა ამკობს (სურ. 216); შიგნით, საკერთხეულში ხატებიით ხართულ შორეკეცებზე გამოსახულია წმინდანთა ფიგურები, რომლებიც დაწინაგების გამო კარგად არ განირჩევა. ექვლა ფილა განსხვავებულია,

სურ. 216. საწკერისის დარბაზული საშილი ეკლე. კერამიკული ფილები აგმოსახელები ფახაღზე



სურ. 217.
ტიმოთეუბნის
კედლები.
მოტიკელი ფილები
გუმბათზე

რაც მოწმობს, რომ თითოეული მათგანი ცალკე დაემსაღებოთ. ზ. მასიურაძის მიხედვით, გამოსახულებები ყალიბით არ არის ამოწნეხილი, იხინი ხატრისითაა დარჩანილი უკვე შემავარგებულ გამოწვევად ფილებზე და შემდეგ არის გამოწვეარი ქერაში⁶²⁶ მასალა წვეულებრივი სააგურე-საკერამიკე თიხაა. მაგრამ მასში დაუმარტებიათ ბზე, რომელმაც გამოწვევის შემდეგ გაზარდა კერამიკელი პროდუქტის ფიროვნობა⁶²⁷

IX-X საუკუნეებიდან საქართველოში წნდება მოტიკელი სამშენებლო კერამიკა, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იკიდებს ფეხს მომდევნო ასწლეულებში⁶²⁸. საგულდაგულიდ შერჩეული თიხისგან დამზადებული და კარგად გამოწვეარი, სხვადასხვა ფერის ჰიქურით დაფარული კერამიკელი ულემებრები განსაკუთრებულ დეკორატიულობასა და ფერადონების სხენდა ნაგებობას. ზემოთ უკვე იყო განხილული მოტიკელი კრამიკები, ანტეფიქსები და იატაკის ფილები. XII-XIII საუკუნეებში გვხვდება ასევე კედლის საფასადო წებობაში ნართული სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოტიკელი ფილები. ტიმოთეუბნის კედლების გუმბათის კედლის დეკორატიულ თაღებში ნაწერილია 9-10 სმ დიამეტრის ფორუხისფრად მოტიკელი დისკოებით გამოიქვანილი ჯერები. კარნისის ქვეშ გუმბათს გაუქვება ასეთივე დისკოების მწკრივი, რომელსაც თანაბარ მონაკვეთებზე ეოფს თაღების კლიტეებისა და ქუხლების დერებზე



ჩასმული იმავე ფერის, ოღონდ 2.5-ჯერ უფრო დიდი დიამეტრის, ლამბაკისებრ ნაღრმავებული მრგვალი ფილები (სურ. 217). ფირუსისფერი, ლურჯი, მწვანე ან წაბლისფერი ჭიქურით დაფარული შორენკეცები და აგურები დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი დმანისში, თბილისსა და რუხთაყში (სურ. 218, 219).



სურ. 218.
მოტიქული
ქვისწინაა ფილა

XIII-XVII საუკუნეებს შორის ნაქარბული ერთ-ერთი განასლების დროს მთლიანად მოტიქული აგურით ამოყვანეს ბოდბის მონასტრის ეკლესიის დასაფლეთი ფახადი (სურ. 220, 221). მისი უწყველოდ ფერადლოვანი დეკორი, რომელიც მთლიანად ჩამოთაღეს 1980-იან წლებში⁶², აგებული იყო მოწავე ლურჯი, მწვანე და ცისფერი ჭიქურით გამოყვანილი რომბების ბადის მოტიქსე. გადარჩენილი ნიმუშები მოწავეს, რომ აქ მოგრძო აგურთან ერთად, გამოყენებული იყო კვადრატულიპირიანიც, ბოლოსკენ დურხმანიით დავიწროებული (სურ. 222). არცერთ სხვა ქართულ ეკლესიაში ფერადი ჭიქურით დაფარული აგური ასეთი მასშტაბით არ ყოფილა გამოყენებული. საინტერესოა, რომ გათხრებისას ბოდბის მონასტრის ეზოში აღმოჩნდა კერამიკული ჭურჭული და გამოსაწვავი ქურა⁶³. შესაძლოა, მოტიქული აგურიც აქვე მზადდებოდა.

სურ. 219.
მოტიქული
აგური რუხთაყის
სახსილიდან

გვიან შუა საუკუნეებში მოტიქული აგურები და შორენკეცები შედარებით იშვიათია. მას ძირითადად იყენებდნენ – უთუოდ ირანული არქიტექტურის გავლენით – სასახლეების ინტერიერის გაფორმებაში. როსტომ მეფის თბილისის სასახლის აბანოს დიდი და მცირე დარბაზების ეკლესიები მოპირკეთებული ყოფილა მუქი და ბაცი მწვანე, ლურჯი, ღია ცისფერი და თაფლისფერი მოტიქული შორენკეცებით⁶⁴.

სამშენებლო კერამიკის სხვა სახეობათაგან აღენიშნავენ ხარკმლის ალათებს, რომლებიც ზემოთ (გვ. 180-182) უკვე იყო განხილული. ადრექრისტიანული ხანის საქართველოში ცნობილი იყო კერამიკული ხარკოფაგები⁶⁵. გვიან შუა საუკუნეებში არის მთლიანი კონსტრუქციული ელემენტების თიხისაგან დაზადების ერთეული შემთხვევებიც. პართენოს ხარკაშნული ეპისკოპოსის მიერ ფინიხიანის მახლობლად 1713 წელს აგებულ ეკლესიაში კრიბტის სამლოცველოს ადგას ორი მეტრის დიამეტრის, კვრცხისებრი მოყვანილობის კერამიკული გუმბათი, რომელიც „შუაწელზე გადაჭრილი ქვეერის ზედა ნაწილს მოგვაფანებს“⁶⁶. გუმბათი საგანგებოდ არის გამოყვანილი და გამომოწარი.



მას აქვს ერდო, შიდა ზედაპირზე კი რელიეფური ჯერები და ხაღა დეკორი დაეყუება.



აქვე უნდა ითქვას მუნიციპალიტეტში ჩატანებული თიხის ჭურჭლის შესახებაც. ეს ხერხი, რომელიც არა მხოლოდ კონსტრუქციის შემსუბუქებას, არამედ ხმის გაძლიერებასაც ემსახურება, რომიდან მიდის⁶⁴ და მიღებული იყო ბიზანტიაშიც. აკუსტიკის გასაუმჯობესებლად ხაყელეხი შენობის ზედა ნაწილებში სოგჯერ თიხის ჭურჭლის ატანდნენ. ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში ეს ხერხი ამ ეკლესიებში გვხვდება, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიზანტიურ არქიტექტურასთან. დრანდის ტაძრის გუმბათის ეკლესიის ძირსა და გუმბათის შიშის ჩატანებულია 30-მდე ამფორა, შიდა სხეულს სხვა ტიპის⁶⁵ მოგვიანებით, ხმის რეზონატორებად ჭურჭლის ნაყოლებს წესი მიუღ საქართველოში ვერცხვდება⁶⁶. მაგალითად, XI საუკუნიდან მიყოლებული იხიი დასტურდება რაჭის თითქმის ყველა ეკლესიაში⁶⁷ ჭურჭლებს, როგორც წესი, აფხილის კონქში, ბუძის კამარაში ან აფრებში ატანდნენ. სოგჯერ სხვა ადგილებშიც (დიდი ზომის ცაფურა ხელაღები ეურტიკალურ მდგომარეობაში სამწებელი იყო გუდრუხის ეკლესიის სამხრეთი მინაშენის თაღების კეხებში⁶⁸). მათი ზომა და რაოდენობა ეკლესიის ზომებზე იყო დამოკიდებული. ჯაიხუბანში, პატარა ონხა⁶⁹ და წუნდაში სულ ორ-ორი ჭურია ნაღმელი, რაც საეხეთი საქმარისი იქნებოდა მომცრო დარბაზული შენობებისათვის, დიდ გუმბათიან ეკლესიას ბევრად მეტი რეზონატორი ესაჭიროებოდა. ბარაკონის (1753 წელი) ტაძარში ჭურჭლები თითხავე აფრანა ნახსული, კიდევ ოთხი განთავსებულია დასაქალეთი მკლავის კამარაში და სამ-სამი წრდილო-დასაქალეთი და სამხრეთ-დასაქალეთი კუთხის კამარებში⁷⁰.

შუა საუკუნეების საქართველოში წყალმომარაგების სისტემის აუცილებელი ელემენტს წარმოადგენდა კერამიკული მილები. მათ მოიხმარდნენ მიღსადენების ახაგებად, აბანოებში ცივი და ცხელი წყლის გასაშუებად, საეურტიკო ციოდ, კალიორიფერის საურდენებად და სხვა. კალიორიფერის ფაჯრანი ხეუტების უადრეხი ნიმუშები გამოვლენილია ურბნისისა და შუხუთის აბანოებში⁷¹ (III-IV საუკუნეები). მილებს აქვს მართკუთხა ფორმის მოგრძო გამჭოლი დიობები, რომლებიც სვეტების შიგნით და გარეთ თანაბარი რემპრატურის დაცვას უსრუნველყოფდა (სურ. 223). ადრეესტიტიანიული ხანის ცივი და ცხელი წყლის მილები ნაბუნია ნოქალაქეხსა და გულაგაში (სურ. 225). შუხუთის აბანოში აღმოჩნდა საგანგებო წერტილი დიობებით დასურტული მილები, რომლებიც გამოიყენებოდა ნახმარი წყლის გადასადგურებად (სურ. 224).

წყალხადენების მშენებლობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა XII-XIII საუკუნეებში და მიუღი საქართველო მთიციუ. შესაბამისად უნდა განვიხილო არქიტექტურული კერამიკული მილების წარმოებაც. გელათის წყალხადენი, ხოვარაუღად, მონასტრის მშენებლობის დროსვე, XII საუკუნის პირველ ათწლეულებში გაკეთდა. მისი სთავე ნაგებობა წარმოადგენს ქვით გამოყვანილ

სურ. 222.
მოტიკული აფრე
ბოღბის ეკლესიაში

მთიანეთში
მთარეს
სურ. 220.
ბოღბის ეკლესია,
1970-იანი წლების
ფოტოსურათი

სურ. 221.
ბოღბის ეკლესია,
ე. ხეულდინის
აქორელი,
1920-1921 წლები



ხურ. 223.
კალდორიფერები
შესხუთის აბანოდან

ხურ. 224.
წელის მიღები
შესხუთის აბანოდან

მიწისქვეშა დარბაზს, რომელშიც გროვდება კლდის ქანებიდან გამოძეული წყაროს წყალი. აქედან ის 180 მ სიგრძის ვიწრო გვირგვინის იატაკში ჩაწყობილი კერამიკული მიღებით მიედინებოდა მონასტრისაკენ (1903 წელს წყალსადენი შეაკეთეს და ძველი მიღები გამოცვალეს).

სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენის მშენებლობის ამბავი გადმოცემულია თამარ მეფის 1195 თუ 1196 წლის ე. წ. „სხალტბურ“ ხიგელში⁴². მშენებლობის თაოსანი იყო თამარ მეფის მწიგნობართუხუცეები ანტონი ჭყონდიდელი, წყალსადენი, რომელიც სამ წელიწადში აიგო, ორი სხვადასხვა ტრასით ამარაგებდა წყლით შიომღვიმის მონასტერსა და სოფელ სხალტბას. მისი საერთო სიგრძე 7 კმ-ს შეადგენდა. გათხრებისას გამოვლინდა წითელი ფერის კარგად გამოშვარი თიხისაგან დამზადებული სამი სხვადასხვა ზომის მიღები. მონასტრის წყალსადენის მიღები მსხვილი ყალიბით არის გაკეთებული. მათი სიგრძეა 55 სმ, განივი ბოლოს დიამეტრი – 19 სმ, ვიწრო თავის დიამეტრი – 16 სმ⁴³. ასევე მონასტრის მილსადენისაა შედარებით მცირე ზომის მიღები: სიგრძე – 43 სმ, განივი ბოლოს დიამეტრი – 16 სმ, ვიწრო თავის დიამეტრი – 10 სმ. ისინი გვიან შუა საუკუნეებში წყალსადენის შეკეთების დროინდელი უნდა იყოს. მიღების შიდა კედლებზე ხრახნის მსგავსი, სპირალის ფორმის წრეებია გამოხატული. მონასტრის ტრასაზე მიღები დუღაბის გარეშე იყო ჩაწყობილი და ერთმანეთს შემაკავშირებელი ხსნარის გარეშე ებმოდა⁴⁴. კიდევ უფრო მცირე ზომის მიღები (სიგრძე – 47 სმ, განივი ბოლოს დიამეტრი – 11 სმ, ვიწრო თავის დიამეტრი – 10 სმ) სოფელ სხალტბისკენ მიმავალი წყალსადენისაა. ამ ტრასის ნახევარზე მიღები დადავლებული იყო, დანარჩენ მონაკვეთზე უღელბაოდ ებმოდა ერთმანეთს.

იქ, სადაც მიღები ძალიან ყუხიერ ნიადაგზე უღელბაოდ იყო ჩაწყობილი, ნიადაგის გახამაგრებლად საგანგებო ზომებს მიმართავდნენ. მიღების ორსავე მხარეს 20 სმ-ის დაშორებით ჩაწყობილი ხის ფიცრები აღმოჩნდა მონასტრის წყალსადენზე, ხალო სოფლის მილსადენი ქვისა და აგურის კედლებით იყო გამაგრებული⁴⁵.

მილსადენის მკვეთრი მობრუნების ადგილებში იყენებდნენ მოღუნულ მკლავეს, რომელიც ორ ჩვეულებრივ მილს შორის თავსდებოდა. სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ერთმანეთისაგან გარკვეული დაშორებით

სურ. 225.
წელის მილი
გულაიდან



სურ. 226.
წელის
გამსაწლებელი
თანვირი

ნაწყობილი კერამიკული თანვირები – საკონტროლო ჭები (სურ. 226). თანვირას, რომელიც მოყვანილობით ჭურს წააგავს, გვერდებზე მკლავები აქვს. მილი მის ერთ განიერ მკლავს უკავშირდებოდა, ხოლო მეორე ვიწრო მკლავით თავად თანვირა იყო ჩასმული მილში. სახურავად მას რიყის ქვას ან ხის ფირფიტას აფარებდნენ. სოფელ ხსალტბის ტრასასე მანძილი საკონტროლო ჭების შორის სათავესთან 80 მეტრს, ხოლო ბილოში 30 მეტრს შეადგენდა. მონასტრის წყალსადენზე მხოლოდ ერთი თანვირა აღმოჩნდა. თანვირების მეშვეობით მილსადენის მეთვალყურეები აკონტროლებდნენ მის გამართულად მუშაობას და დანიშნულების ადგილამდე წელის შეუფერხებლად მიწოდებას⁶⁶.

ტექნიკურად ურთულეს ნაგებობას წარმოადგენდა 1156-1184 წლებში მოწყობილი ვარძიის წყალსადენი⁶⁷. ის სათავეს ზედა ვარძიის ხეში იღებდა. კერამიკული მილებისაგან შედგენილი 3,4 კმ სიგრძის წყალსადენი მიწისქვეშა გვირაბით იყო გაყვანილი. ოსტატები ჯერ გვირაბს კეთდნენ კლდეში, შემდეგ გვირაბის ძირს აღრმავედნენ და მასში თიხის მილებს აწყობდნენ. ისინი სუფთა კირის ხსნარით იყო ერთმანეთსე გადაბმული და შემდეგ სქელ, ქვიშარავე ხსნარში ჩამაგრებული. ვარძიის წყალსადენის მილების სიგრძე საშუალოდ 45 სმ-ს, ხოლო შიდა დიამეტრი 11-12 სმ-ს აღწევდა. განიერი გვირაბი წყალსადენის მეთვალყურეებს საშუალებას აძლევდა თავისუფლად ემოსრავათ და შეემოწმებინათ წყალსადენის მუშაობა, ამიტომ აქ თანვირები არ გამოუყენებიათ. 1283 წელს სამცხეში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად ვარძიის კლდე ჩამოქცა, მასთან ერთად დაინგრა წყალსადენიც. მოგვიანებით ის ადგილ-ადგილ შეაკეთეს – კლდე ირიბად ჩაჭრეს და მასში კირის დუღაბით მილები ჩამაგრეს (სურ. 227).

ნადარბაზუვის წყალსადენის სათავე სასახლიდან 6 კმ-ით დაშორებულ მთაზე მდებარეობდა. წყალსადენის გაყვანის მთავარი სირთულე ის იყო, რომ სასახლესთან მიახლოებისას მას აღმართი უნდა დაეძლია, შესაბამისად ის



ხურ. 227
ქარბოს მონასტერი.
წელის მიღი

ჭაელის პრინციპზე ააგეს⁶⁴⁸. წყალსადენი, წეხისამებრ, შედგება კარგად გამოშ-
წვარი სქელკედლიანი (2,5-3 სმ) კერამიკული მიღებისაგან, რომლებსაც შიგნით
ხრახნილის მსგავსი ხაზები დაჰყვება - მათში გატარებული ხარხის კეფლი.
მიღების სიგრძე 45 სმ-ია, რაც ასევე ტიპურია ამ პერიოდისათვის. თანადროული
ნიმუშებისაგან მათ განასხვავებს მხოლოდ საგრძნობლად წაგრძელებული
(6-8 სმ) ქიმი და დიდი სხვაობა განიერ და ვიწრო ბოლოებს შორის⁶⁴⁹

ჭაელის პრინციპზე იყო აგებული შხევის ციხის წყალსადენიც. მისი სათავე
ციხიდან 2 კმ-ით იყო დაშორებული და მათ შორის დონეთა სხვაობა 25-30 მეტრს
აღწევდა. წყალსადენის 45-50 სმ სიგრძის კერამიკული მიღები ერთმანეთზე
კირის ხსნარით იყო გადაბმული. იმ მონაკვეთზე, სადაც წყალი აღმართზე წნევით
უნდა ასულიყო, უფრო გრძელი (70 სმ-მდე) და ვიწრო მიღები ჩააწყვეს⁶⁵⁰.

XII საუკუნით დათარიღებული წყალსადენი გამოვლენილია თბილისშიც.
მისი კერამიკული მიღებისაგან შედგენილი ტრასა მთაწმინდის კალთაზე გა-
დიოდა. ადგილზე აღმოჩნდა სულ ოთხი მიღი (ვიწრო თავის დიამეტრია - 7,5 სმ,
განიერი ბოლოსი - 10 სმ, ხოლო სრული სიგრძე - 50-52 სმ⁶⁵¹).

გონიოს ციხის სასმელი წყლით მოსამარაგებლად XIV-XV და XVI საუკუნე-
ნებში ერთმანეთის გვერდგვერდ ორი მილსადენი გაიყენეს⁶⁵². მათი კერამი-
კული მიღების ფორმა უნეულოა. XIV-XV საუკუნეების მიღები „წელისა

გამოყვანილი“. მათი სიგრძეა 43 სმ, შუა ნაწილის შიდა დიამეტრი – 14,3 სმ, ხოლო თავისა და ბოლოს შიდა დიამეტრი – 16,5 სმ. თეთრი ყურის თიხისგან დამზადებული მიღები ერთმანეთში ღრმად ჯდება და მათი გადაბმის ადგილები კირის ნაცვლად თიხით იყო შევსებული. XVI საუკუნის მიღები, პირიქით, თავსა და ბოლოში ვიწროვდება, შუა ნაწილი კი გამობურცული აქვს (ზომები: სიგრძე – 50 სმ, შიდა დიამეტრი შუა ნაწილში – 16,2 სმ, თავისა და ბოლოს შიდა დიამეტრი – 11,8 სმ).

გვიანი შუა საუკუნეების წყალმომარაგების ნაგებობათაგან აღსანიშნავია წაქისის ხევის წყალსადენი⁶¹. მისი მიღები (სიგრძე – 46 სმ, განიერი ბოლოს დიამეტრი – 12,4 სმ, ვიწრო თავის დიამეტრი – 8,4 სმ) აგურის წყობაში იყო ჩაყოლებული. ამ წყალსადენს, თანგირების ნაცვლად, აგურის სამეთვალყურეო ჭებით აკონტროლებდნენ. თბილისის სხვადასხვა ნაწილში აღმოჩენილია ამავე პერიოდის რამდენიმე წყალსადენი⁶², რაც მოწმობს, რომ ქალაქი წყლით უხედა მარაგდებოდა.

3. კირი, ბაჭი და თაბაშირი

კირი მიიღება კირქვის (CaCO_3) დაწით დაახლოებით 1000 გრადუს ტემპურატურაზე. დაწვისას კირქვიდან გამოიყოფა ნახშირბადის დიოქსიდი (CO_2) და რჩება დაუშლელი ანუ „ჩაუმკრალი“ კირი (CaO). შემდეგ მას წყალს ასხავენ, რის შედეგადაც კირი იშლება (ამ დროს დიდ სითბოს გამოიყოფის⁶³) და იქცევა მაწვნისებრ მასად. დაშლილ კირს ინერტულ მასალებს ამატებენ და იღებენ დუღაბს – სამშენებლო ხსნარს, რომელიც შუა საუკუნეებში გამოიყენებოდა ქვის ბლოკების თუ აგურების ერთმანეთთან შესაკავშირებლად.

ლეონტი მროველი ქვეთკირის ტექნიკის ქართლში შემოტანას არდამ ერისთავს (ძვ. წ. V საუკუნის ბოლო) მიაწერს: „მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვთკირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვთკირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქვთკირი“⁶⁴. ძნელია ითქვას, რას ეფუძნება ეს გადმოცემა, მაგრამ ის სულ ცოტა ოთხი საუკუნით „აქელებს“ საქართველოში კირის დუღაბის გაერცვლებას.

შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოს როგორც საეკლესიო, ისე საერო არქიტექტურაში კირი ძირითადი მასალაა დუღაბის დასამზადებლად. უკვე ელია, მშენებლებს კარგად ესმოდათ, რომ შენობის მდგრადობა დიდწილად სწორედ კირის ხსნარის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ეს ჩანს თხზულებებშიც, რომლებშიც ამა თუ იმ მშენებლობის ამბავია გადმოცემული. ადგილი ხანძარის მონასტრის ახალი ეკლესიისათვის, გიორგი მერნულეს თქმით, „ქვეთკირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დააეაქეს“. აქვე ვიგებთ, რომ კირს მშენებლები წონით ყიდულობდნენ და „ფრიად შორით“ მოჰქონდათ⁶⁵. ხანძარის ეკლესიისთვის რომ განსაკუთრებით ძლიერი შემაკავშირებელი ხსნარი უხმარათ, ამას მისი დღევანდელი მდგომარეობა მოწმობს – შენობის გუმბათქვეშა კონსტრუქცია ერთიან მტკიცე მასად არის შეკრული. ის კელაე დგას, მიუხედავად იმისა, რომ ორი საყრდენი ბურჯი ფაქტობრივად გამოცლილი აქვს. მაღალხარისხიანი ძლიერი დუღაბის გამოყენება ზოგადად დამახასიათებელია X–XI საუკუნეების ქართული არქიტექტურისათვის. ამის დადასტურება სხვა რეგიონებშიც მოიხსენება – ბზიფში, მაგალითად, კირის დუღაბი ისეა გამაგრებული, რომ ქვებზე უფრო მტკიცეა⁶⁶.

თბილისის „კლურჯი მონასტრის“ კედლებამ აწვეწა, რომ შენობის სხვადასხვა ნაწილებისათვის სხვადასხვა სიძლიერის დუღაბი იხმარებოდა. მისიდაე კონსტრუქციებში (გუმბათის ყელში, გუმბათქვეშა თაღებში) იყენებდნენ განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცის კირხსნარს, კედლების ცალკეულ ნაწილებში – უფრო სუსტს⁶⁰.

სამშენებლო კირის დამზადების შუახაუკუნოვანი წესი მეტნაკლებად შეიძლება წარმოედგინოთ გვიანი ეთნოგრაფიული მასალის მოშველიებით. კირს იღებდნენ კირქვის (ზოგჯერ რიყის ქვისაც ახმარდნენ) დაწითი სავანგებო ნაგებობაში – საკირეო⁶¹. ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილი გვიანდელი საკირე ერთჯერადი კონსტრუქციაა და მოლიანად დასაწვავად გამოიხსნული ქვებით არის აშენებული⁶². მისთვის წინასწარ ითხრებოდა წრიული ორმო დაფერდებულ ადგილზე. ფერდობის მხრიდან ამ ორმოსკენ ჭრიდნენ დაახლოებით ერთი მეტრის სიგანის დერეფანს შუშის შესაქეთებლად. საკირე იგებოდა კირქვის მცირე ზომის ნატეხების მშრალი წყობით. მათ ნაწილობრივ აიშუშაებდნენ, რათა მიედროდ მოეგოთ ერთმანეთსე და მდგრადი კონსტრუქცია მიეღოთ. დიდ ქვებს საკირეში არ ხმარობდნენ, რადგან მათ ცვეხლი ვერ ეყოფა და დაუწვავს ტოვებდა. საკირეს ამოყვანის პროცესში ქვის ყოველ მომდევნო რიგს წინასთან შედარებით ოდნავ წინ წუედნენ და ცვეხლის ადგილს თანდათან კონუსისებურად ავიწროებდნენ. შესაბამისად, იზრდებოდა სივრცე ორმოს კედელსა და საკირეს შიდა წყობას შორის. ამ ადგილს მოლიანად ქვით აესებდნენ. საკირეს აგება რთული ხელობა იყო, რომელიც ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა. დიდ საკირეს, სეველებრივ, სამი დღე აშენებდნენ⁶³.

საკირის ამოყვანას მოჰყვებოდა მისი დაწვის ხანგრძლივი პროცესი. ჯერ ანთებდნენ მხრისოლაჲ, ძნელად საწვავ კუნძებს, შემდეგ კი უკეთებდნენ ხმელ შუშას და კირს ძლიერ, გაუწელებელ ცვეხლზე წვაებდნენ. დაწვის დასრულების შემდეგ საკირის გაცილებას ერთი კვირა სჭირდებოდა. ამის მერე დაუშლელ კირს ამოიღებდნენ, სავანგებო ორმოში იაყრიდნენ, ცოტა წყალს ასხამდნენ და აცლიდნენ, სანამ კირი მოლიანად დაიშლებოდა. წყალდასხმული კირი სამ წლამდე ინახება, მაგრამ მშენებლობაში გამოსაყენებლად განსაკუთრებით კარგია ახალდამწვარი კირი⁶⁴.

ხარისხიანი სამშენებლო ხსნარის მისაღებად დამზდილ კირს ინერტულ მასალებს უმატებენ. შუა საუკუნეების საქართველოში ყველაზე გავრცელებული დანამატები იყო ქვიშა და ხრეში (ღორღი). ტბად დაუსერისძეს, რომელსაც გარკვეული გამოცდილება აქონდა სამშენებლო საქმეში, თავის თხზულებაში ნახსენები აქვს „ღორღისა და კირისა შთახსმა“ და „ზეულა ქვშისა კირსავე თანა“⁶⁵. დუღაბის გადარევის პროცესი ნაიენებია ქოროღოს ეკლესიის კარნიშის ერთ-ერთ რელიეფზე (სურ. 70).

ინერტული მასალის შემადგენლობა და დუღაბის კონსისტენცია დამოკიდებული იყო მის დანიშნულებაზე. კედლის გულისათვის გამოსაყენებელი დუღაბი უფრო თხელი უნდა ყოფილიყო, რათა ჩახსმისას ყველგან შეედწია. მასში, გარდა ქვიშისა, უხვად უმატებდნენ ღორღსა და კენჭებს. ნაპრალების ამოსაღესად ხმარობდნენ უფრო სქელ, პასტისებრ ხსნარს, რომელიც კენჭებს არ შეიცავდა. განსაკუთრებულად მზადდებოდა კირის ხსნარი კედლების შენადესი ბათქაშისათვის. მასში მხოლოდ სუფთად გაცრილ ქვიშას ურევდნენ. ამასთან, კირისა და ქვიშის წილი სხვადასხვა დროს ძლიერ განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო. საყარის წმ. საბას ეკლესიის ინტერიერის შელესილობის

სხვადასხვა ადგილებში ფარდობა კირსა და ქვიშას შორის არის 1:1, 4:1, 5:1, 10:1, 15:1, რაც ბათქაშის მრავალგზის განახლებას მოწოდებს⁶⁵.

ატენის სიონის გუმბათის გახსნიას გაირკვა, რომ ის სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვაგვარი დუღაბის სამ ფენას შეიცავს. თავდაპირველ (VII საუკუნის?) სამშენებლო ხსნარში ინერტულ მასალად წმინდა ქვიშა ნახმარი, რის გამოც ის თეთრი შეფერილობისა და წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა აქვს. XI საუკუნის რემონტისდროინდელი დუღაბი შეიცავს პატარა შავ კენჭებსა და დიდი რაოდენობით მსხვილ შავ ქვიშას, რაც მას მუქ ფერს ანიჭებს. გვიან შუა საუკუნეებში გუმბათის შეკეთებისას გამოუყენებიათ მოყვითალო კირხსნარი, რომელშიც შერეულია მსხვილი მოგრძო (15-18 მმ) კენჭები, კრამიტის ნამკერეეები და ქვის წვრილი ნატეხები⁶⁶.

კირში შესარევი ქვიშა, როგორც წესი, მახლობელი მდინარიდან მოაქვინდათ. ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის წინამორბედი, VII საუკუნის ეკლესიის კირხსნარში შერეული იყო რიონის ქვიშა, რის გამოც დუღაბს ტყეითფერი დაკრავდა⁶⁷. შიდა ქართლისა და თბილისის ბევრ ეკლესიაში – მაგალითად, ანისისხატში, სამწვერისში, „ღურჯ მონასტერში“ – დუღაბს, ქვიშის გარდა, მტკვრის წვრილი ხრეშიც ურევია⁶⁸.

ქვიშის სხვადასხვაგვარი შემადგენლობა განაპირობებს ვარიაციებს დუღაბის სტრუქტურაში. ყველაზე ხშირად ის შეიცავს კალციტსა და კვარცს, მაგრამ მცირე რაოდენობით შეიძლება იყოს სხვა მინერალებიც (იხ. ტაბულა 1).

	კალციტი	თაბაშირი	იქსიტი	იმიტი	კლასიფილიტი	მუსკოლიტი	სიცილიტი	აიტი
ნინოწმინდა	+		+++	+		+	+	+
მცხეთის ჯვარი	++	+	+++		+	+		+
ძველი შუამთა (დიდი გუმბათიანი)	+		+++		+	+		+
გურჯაანი	+++	+	+++	+	+	+		+
თელოვანი	+++		+					+
კვებერა	+++		+++	+	+			+
აღავერდი	+++		+++	+	+	+		+

ტაბ. 1. დუღაბის ნიმუშების რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგები⁶⁹
(+++ აღნიშნავს დიდ რაოდენობას, ++ საშუალოს, + მცირეს).

კირის ხსნარში შესარევედ გამოიყენებოდა დაფხენილი კვრამიკაც – აგური, კრამიტი, ჭურჭელი თუ სხვა. ეს ძველი რომაული მეთოდი⁶⁹, რომელიც ფართოდ იყო მიღებული ბიზანტიის იმპერიასა და კიევის რუსეთში⁷¹. ითვლება, რომ კვრამიკის ფხენილი სრდის დუღაბის უინვამედგობასა და ჰაერმედუგობას. კირის ხსნარს ის სპეციფიკურ მოვარდისფრო ტონს აძლევს. საქართველოში ეს ხერხი გავრცელებული ჩანს ანტიკურ ხანაში (მცხეთის აკლდამა, ძალიან აუს⁷²), მაგრამ შუა საუკუნეებში კვრამიკის ფხენილს კირის დუღაბში



სურ. 228.
გაჯ სუ
შესრულებული
მოსკულობის
ფრაგმენტი
რუსთავის
სახსლდანი

სურ. 229.
გაჯ იო ნაძერწი
დეკორის ფრაგმენტი
რუსთავის
სახსლდანი

იშვითად ურეკდნენ და ისიც მცირე რაოდენობით (ქუთაისის შიდა ქალაქის ეკლესია – VI საუკუნე⁶²).


სოგჯერ კირის დუღაბში ურეკდნენ ბზეს (დადასტურებულია, მაგალითად, თიანეთის ხიონში⁶³). თუ შესაძლებლობა აქონდათ, დუღაბს მეტი სიმტკიცის მისანიჭებლად ამატებდნენ დიდი რაოდენობით მცენარეული ან ცხოველური ცილის შემცველ ორგანულ ნივთიერებებს: ქერის ფქვილს, კვერცხის ცილას, რძეს, ხაჭოს, ხარის ხისხლს და სხვა⁶⁵, ეს წესი ფოლკლორშიც არის ახასხული.

საქართველოში ადრეული ხანიდან ცნობილია გაჯი – თიხისა და თაბა-შირის შემცველი ქვისებრი ქანის გამოწვით მიღებული ნივთიერება, რომელსაც ფქვავენ და წყალში ურევენ. მიღებული მასა კარგი მასალაა კედლების შესა-ღებლად და დეკორატიული ელემენტების გამოსაყვანად, მაგრამ გაჯი იოლად ისრუტავს ტენს, ამიტომ მისი მოხმარების სფერო შესწუდებულია – მას, როგორც წესი, მხოლოდ შენობის შიგნით იყენებენ. ნახტაკის ველზე გათხრილი ადრექრისტიანული სამნავიანი ბაზილიკის კედლები 8-10 მმ სისქესე გაჯით იყო შედგენილი⁶⁶. XII-XIII საუკუნეებში გაჯი ფართოდ გამოიყენებოდა საერო არქიტექტურაში ინტერიერის შესაღებლად და მორთულობის გამოსაყვანად. რუსთავის სახსლს მელთხე ოთახის ჭერს აქონდა გაჯით ნაძერწი კარნიზი და დეკორატიული დეტალები – ვარდულები, წნულები, ვარსკვლავები, რომლებიც შავად, ცისფრად, წითლად და ყვითლად იყო დაფერილი⁶⁷ (სურ. 228, 229).

სამშენებლო ხსნარის ფუნქციით გაჯი გვიან შუა საუკუნეებამდე თითქმის არ გამოიყენება. როგორც გამოჩანისი, შეიძლება დაეხასხელოთ რუსთავის ციხის შიდა სტუდის (IX-X საუკუნეები) კოშკები, რომლებიც ამოყვანილია ალიზით გაჯსე⁶⁸. XVII-XVIII საუკუნეებში გაჯს სოგჯერ კირის დუღაბის მაგიერად იყენებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და საცხოვრებელ სახ-ლების მშენებლობაში. სოგადად, ამ პერიოდში გაჯის მოხმარება მკვეთრად იზრდება. ბევრი სამშენებლო საბუთის ხარჯთა ნუსხაში მოიპოვება ცნობა გაჯის შექმნის შესახებ⁶⁹.

XVII საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთ საქართველოში დაიწვეს გაჯის გამოყენება კანკელების გასაფორმებლად. აგურით ან ნატეხი ქვით ნაგებ

კანკელებს სქლად ღუხაჯინენ გაჯით და ზედ ორნამენტული შემკულება გამოაქვდაო. ასეთი კანკელის ექვლაზე შთამბეჭდავი ნიმუში თბილისის ხონის ტაძარში დაიდგა აღა მამკად ხანის შემოსევის შემდეგ. 1795-1800 წლებს შორის. მისი ოსტატი იყო ათონელი ბერი სოსიმე, რომელიც საპარავლოდ მანამღე დაეთვარეჯის მონასტრებისთვის მუშაობდა. თანამედროვეთა მოწმობით, კანკელი არა მხოლოდ მდიდრულად მოსკეტრთმებული, არამედ მოსკრთვილიც იყო (აიღეს 1850 წელს)⁶⁰⁴. უფრო ადრე გაჯის კანკელები გაქეოდა პართენოს ხარკანხელის აგებულ ეკლესიაში ფონსოვანთან (1713 წელი), დიდოსრქის მონასტერში (1751-1761 წლები), გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში (1760-იანი წლები), გარეჯის ღაერის მკრე ეკლესიაში (1782 წლის ახლოს), თხინვალის წმ. გიორგის ეკლესიაში (XVIII სოკუენის II ნახევარი) და სხვა⁶⁰⁵.



სურ. 230.
ოხანის ასდღება,
თაბაშირის კანკელი

გაცივლებით უფრო ადრეულ ხანას – XI სოკუენეს მიიკუთვნება ჯგუჯი კანკელებისა, რომლებშიც ქვის საფუძეულზე თაბაშირის სქელი ფენა დაიდებული. ამ ფენაზე იკუთებოდა მდიდრული ორნამენტაცია და, ზოგჯერ, როგორც ნანს, ფიგურული რელიეფებიც. თაბაშირის კანკელის გაერცულების ძირითადი არგალი დასავლეთ საქართველა. ცნობილია მისი სრულად ან ფრაგმენტულად შემორჩენილი ნიმუშები სპეთის „სედა მაცხოვრის“, საეანეს წმ. გიორგის, ჯრუქის მონასტრის, ღიხნეს, პატარა ონის, ქედისუბნის მთავარანგელოზის (რაჭაში), მუნფის (ქვემო სვანეთში) ეკლესიებში.

ქართლსა და კახეთში ასეთი კანკელები შედარებით იშვიათია (იკვი, იქელი შუაშთის გუმბათიანი ეკლესია, ოხანის ამდღება – სურ. 230)⁶⁰⁶.

ზოგჯერ თაბაშირს ურეკდნენ ინტერიერის შესაღეს ბათქაშში⁶⁰⁷, მაგრამ ზოგადად მისი გამოყენება შუა სოკუენების მშენებლობაში შესულველი იყო.

4. სპოლია

სპოლიის ადრინდელი სამშენებლო მახალისა და ცადკული არქიტექტურული დეტალების მეორადი მოხმარება მიდებული იყო უკვე ანტიკურ პერიოდში. ეს მოვლენა ადრეული დროიდან დასტურდება საქართველოშიც. ვანის ელინისტური ხანის შენობებში დამატებით საშენ მახალად V-IV სოკუენეთა დანგრეული ნაგებობებიდან აღებული თეთრი კირქვის ბლოკები გამოყენებული⁶⁰⁸.



სურ. 231.
სურთაჲს ეკლესია
(ხაბერსეთი).
ანტიკური სვეტების
ქეების მეორადი
გამოყენება კედლის
წიობაში

განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ სპო-ლიას ადრექრისტიანულ ხანაში, როცა ფუნ-ქციადაკარგული წარმართული ტაძრები და ანტიკური სასოკადოვბრივი ნაგებობები ეკლესიების მშენებელთათვის ხარისხიანი მზა საშენი მასალის ამოუწურავ წყაროდ იქცა⁶⁵⁵ ამ შენობებიდან წამოდებული სვეტებით, კაპიტულებით, კარნიშებით თუ უბრალოდ თლილი ბლოკებით იგებოდა უამრავი ადრექრისტიანული ეკლესია მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში (ეყელასე ცნობილი მაგალითები ხანტა კოსტანცა, ლატერანის ბაზილიკა და ბაპტიკეროუმი რომში). 458 წელს სპოლიის გამოყენება სავანებო კანონით იქნა დუკალიზებული⁶⁵⁶, თუმცა ის ადრეც – უკვე კონსტანტინეს ხანიდან – არ იზღუდებოდა.

არსებობს ყრიად ხაინტერესი – თემცა კი არასანდო – ცნობები საქართველოში ანტიკური სპოლიის გამოყენების შესახებ საეკლესიო მშენებლობის პირველხავე ეტაპზე კოპტების არაბული სენიქსარი (XII საუკუნე?) მიკვითხრობს, რომ წმ. ქალწულმა თეოფანოსტამ (ასე იწოდება იბერიის განმანათლებელი) ლიცვის ძლით ხასწაულგობრვად გადმოიტანა სვეტები მცხეთის მშენებარე ეკლესიაში რაღაც სხვა ნაგებობიდან⁶⁵⁷ უფრო ადრინდელი კოპტური პაპირუსი გვატყობინებს, რომ შენობა, რომლიდანაც გადაინაცვლა მარმარილოს ორმა სვეტმა ეკლესიაში, ახოლინის ტაძარს წარმოადგენდა⁶⁵⁸ არც ქართულ და არც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში, რომლებიც მცხეთის ეკლესიის მშენებლობის შესახებ მოკვითხრობენ, არაყურია ნათქვამი სხვა შენობიდან მოტანილი მარმარილოს სვეტების შესახებ. ამდენად, ხაფიქრელია, რომ კოპტურ ტექსტებში მოთხრობილი ამბის საყუქველი ცხოველი სვეტის ოსტოიის თავისუფალი ინტერპრეტაციაა, რომელშიც აისახა წარმართული ტაძრების დესპოლიაციის საყოველთაო პრაქტიკა. თემცა ვერც იმას გამოერიცხაო, რომ კოპტური ტექსტები ასე თუ ისე ყუყუნებოდეს რომელიმე დაკარგულ ადრეულ ბერძნულ წყაროს, განსხვავებულს გელასის, რუფინუსის, თეოდორატე კეირელის, სოკრატე სქოლასტიკოსისა და ერმია სოზომენეს წყაროებისაგან.


ანტიკური სპოლიის ფართო გამოყენება შუა საუკუნეებშიც გაგრძელდა. ბიზანტიაში ადრინდელი შენობებიდან მოკონდათ არა მხოლოდ მარმარილო-სა და ქვის ფილები, არამედ აგურებიც. პანტოკრატორის მონასტერი კონსტანტინოპოლში (1118-1124 წლები) დიდწილად გვიანანტიკური აგურებით აშენდა⁶⁵⁹ ძველ არქიტექტურულ დეტალებს ხშირად მოიხმარდნენ მხოლოდ-დახოლოდ როგორც მზა საშენ მასალას, ყოველგვარი წესრიგისა და მხატვრული გააზრების გარეშე. მაგალითად, სკრიპუს პანაგოას (870-იანი წლები) დახვედული კედლის ზედა ნაწილი შედგება ძველი სვეტების ცილინდრული ქეების ორი რიგისაგან⁶⁶⁰, რაც ფასადს არცთუ მაინცდამაინც მიმსდევლ იერს ანიჭებს (სურ. 231). სხვა შემთხვევაში, შრომისა თუ სახსრების დაზოგვის სურვილითან ერთად, შეიძლება დავიხახოთ ძველ ოსტატთა ხელობის დაყვანებაც. ათენის პანაგია გორგოპისკოოსის (XII საუკუნე) ფასადები შეიცავს ანტიკური და ადრეობიანტიკური ხანების უამრავ სპოლიას, მათ შორის ყიგურულ

რელიეფებსა და არქიტექტურული დეკორის დეტალებს. ა. გრამბარი აღნიშნავს, რომ მიუხედავად სტილისტური სიჭრელისა, ისინი გარკვეული ესთეტიკური კონცეპციის გამოხატულებაა, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს იმხანად გაძლიერებულ ინტერესს კლასიკური მემკვიდრეობისადმი⁶⁹¹. სპოლიის, როგორც მზა მასალის გამოყენების მოხერხებულობა და იმადროულად მისი ესთეტიკური ღირებულების აღიარება უნდა ყოფილიყო მიზეზები იმისა, რომ V-დან XII საუკუნემდე კარაგას მარმარილოს განთქმულ საბადოებს არაფერი ამუშავებდა – თუ მშენებლებს მარმარილოს დეტალები უნდოდათ, მათ მზამზარეულს იღებდნენ ანტიკური ნაგებობებიდან⁶⁹².


რა თქმა უნდა, ზოგჯერ სპოლიას გამოყენებაში განსაკუთრებულ ახრსაც ვხვდებით. ოტონ I-ის (იმპერატორი 962-973 წლებში) ბრძანებით რავენის შენობებიდან მარმარილოსა და გრანიტის სვეტების მოხსნა მაგლეპურგის მშენებარე კათედრალისათვის, პირველ რიგში, პოლიტიკური აქტი იყო, რომელიც იტალიის გერმანიისადმი დაქვემდებარებას გამოხატავდა. კათედრალი 1207 წელს დაიწვა, მაგრამ გადარჩენილი სვეტები კვლავ ჩართეს ამის შემდგომ აგებული გოთიკური კათედრალის აფსიდში⁶⁹³. ნურ აღ-დინის მენეთში პაშაში (სირია, XIV საუკუნის დასაწყისი) მიმარაბს ჯვაროსნების მიერ აშენებული ეკლესიიდან მოტანილი ორი რომანული სვეტი ფლანკირებს, ამასთან ისინი თავდაყირა (კაპიტელით ქვემოთ) არის ჩადგმული, რაც „ურჯულ“ მტრის დამარცხების აშკარა ვიზუალურ გამოხატულებას წარმოადგენს⁶⁹⁴.

მაგრამ ბიზანტიაშიც და ისლამურ სამყაროშიც როგორც მშენებლობაში სპოლიის გამოყენებისას უმთავრესი პრაქტიკული მოტივაცია იყო გამოწვევისი არც შუა საუკუნეების საქართველო ყოფილა. სპოლიის გამოყენებით ხდებოდა დამკვეთთა სახსრების სიმცირის, სათანადო საშენი მასალის დეფიციტის ან ხუროების გაუწვავებობისა თუ გამოუცდებლობის კომპენსირება. როგორც მოგითხრობს ბასილი ზარზმელი, ზარზმის პირველი ეკლესია მდინარეიდან მოტანილი რიყის ქვით ააგეს, ხოლო კუთხეებისა და თაღების ამოსაყვანად საჭირო თლილი ქვები წამოიღეს 12 მილიონით (ე. ი. 12 000 ნაბიჯით) დაშორებული „უკმრად მდებარე“ ეკლესიიდან, რომელიც მიწისძვრას დაენგრია⁶⁹⁵. მიზეზი მარტივი იყო – ახლომახლო ხარისხიანი საშენი ქვა არ მოიპოვებოდა, შორიდან მასალის ზიდვა და მერე მისი დამუშავება კი ბევრად ძნელი იქნებოდა, ვიდრე მზა მასალის ხელახლა გამოყენება – მითუმეტეს, რომ პროფესიონალი ხუროგადატორები მშენებლობაზე დასაქმებული არ ყოფილან (ყოველ შემთხვევაში, ბასილი ზარზმელი მათ არ ახსენებს. ასეთები რომ ჰყოლილან, „ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა“ ალბათ არ იქნებოდნენ გარბანელი და ორი ძმა, რომლებიც ჩვეულებრივი გლეხები ჩანან). ხელმეორედ გამოყენებული ქვები, ეტყობა, მკვეთრად განირჩეოდა დანარჩენი წყობისაგან – „იცნობებიან ქვანი იგი ზოგს-რამემ კუთხითა მიერ და კამარათა“-ო, წერს პაგიოვრაფი⁶⁹⁶.

საქართველოში სპოლიის გამოყენების ერთ-ერთი უადრესი არქეოლოგიური მოწმობა მცხეთაში გვაქვს. ანტიოქიის ეკლესიის კარის ზღვრებში ჩატანებული იყო ქვიშაქვის დიდი ფილა IV-V საუკუნეთა ბერძნული წარწერით, რომელშიც იხსენიებიან მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აერელიოს აქოლისი და ხურო (ან ხუროთა უფროსი) აქილევსი⁶⁹⁷. წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, თავიდან ფილა რომელიღაც ზღუდის თუ გალაენის კედელში უნდა ყოფილიყო ჩადგმული. თავად ანტიოქიის ეკლესია V-(VI) საუკუნეებით თარიღდება. როგორც ჩანს, წარწერიან ფილას თავის ადგილზე ყოფნა დიდხანს არ მოუწია.



უფრო მოწიწებით ეპყრობოდნენ სვენსი მარმარილოს ხოლიას, ის საკმაოდ იშვიათია, მაგრამ რაც არის, მოწმობს, რომ გვიანანტიკურ-ადრექრისტიანული მარმარილოს არქიტექტურული დეტალები შუა საუკუნეების ქართველებზე შთაბეჭდილებას ახდენდა – აღბათ არა მხოლოდ იშვიათი ძვირფასი მასალით, არამედ შესრულების უწყველობითაც. შესაბამისად, მათ უკიდვოდნენ როგორც რამ უცხოის, რასაც შენობისათვის დამატებითი ღირსება უნდა მიენიჭებინა. ახეთ დეტალებს კვლევის ქველასუ თვალსაზრისით ადგილებში იქნებდნენ. მცხეთის წმ. აკურის ტაძარში (586-607 წლები) შემოინახა V საუკუნის ფილა, რომელზეც შუაში გამოკვეთილია მუდღალისი ქრისტიანი, ხოლო მის აქვთ-იქით – აკურები. საგარეოდ, ის უნდა ყოფილიყო ერთი იმ ფილათაგანი, რომლებიც ტაძრის ცენტრში აღმართული აკურის შიდახრში ან კანკელში იყო ჩადგმული⁶⁰. მასალა პროკონესის მარმარილოა და, შესაბამისად, ხელდა კონსტანტინეპოლიური უნდა იყოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მარმარილოს ფილები მცხეთის რომელიღაც მნიშვნელოვანი ნაკვეთისთვის უნდა ჩამოეტანათ. ასევეა ითქვას, რატომ მოხდნენ ისინი მცირე ხნის შემდეგ აკურის ტაძარში. X საუკუნეში, როცა ტაძარი არაბებმა გადაწვეს, სხვა ფილები განადგურდა, ხოლო ერთადერთი გადარჩენილი ფილის ნატეხები ტაძრის აღდგენისას საკუროხვევლის იატაკში ჩართეს, კვლავ საპატიო ადგილას – აღსაულის კარხა და ტრაპეზის შორის.



სურ. 231.
სიბის ეკლესია.
ადრექრისტიანული
აკურისი კანკელი


ატენის სიონში გვიან შუა საუკუნეებში ნატეხი ქვითა და აკურით კანკელი ააგეს. მისი ხეით თადი ეყრდნობოდა მარმარილოს ოთხ სვეტს, რომლებიც საგარეოდ სიონის ადგილას V საუკუნეში მღვარი ბაზილიკის ფრაგმენტებს უნდა წარმოადგენდეს. მარმარილოს ფრაგმენტები ჩართული იყო აწ აღარ-არსებულ სამხრეთ კარიბჭეშიც⁶¹.

ქართულ არქიტექტურაში მარმარილოს ხოლისი სიუხვით სიბის ეკლესია გამოირჩევა, ამასთან, კვლევის სამხრეთი ეგვტრის შესახველის თაყზე მითაყიებული კრცელი წარწერის (სურ. 233) წყალობით სვენ ვიცით ამ ხოლისი წარმომავლობაც და მოსოყების ისტორიაც⁶². წარწერა ვაგაჩირობს, რომ სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა (მთავრობდა 1384-1396 წლებში) ჯიქეთში ილაშქრა, რათა დაესაჯა იქაურები „ურწმუნოებისა და ორგულობისათვის“ დადიანმა ჯიქეთი სასტიკად დაარბია, სიმაგრეები მოშალა და მიუყლებიც წამოასხა. უეჭველია, იგი დიდ ალაფსაც წამოიყებდა, მაგრამ წარწერაში ნახსენებია მხოლოდ ამ ალაფის ყველასუ მნიშვნელოვანი ნაწილი – „მიიღო სვეტნი და ფიქვანი ტყენი მარმარილოსანი“ „მოყლებული სვეტნი და ფიქვანი“ იმავე სიბის ტაძარშია ჩართული, მეტწილად სამხრეთ ეგვტრისა და

სიბისეკლესია
სურ. 232.
სიბის ეკლესია,
სამხრეთი ეგვტერი

სურ. 233.
სიბის ეკლესია,
ვამეყ დადიანის
წარწერა






გალერეაში (სურ. 232). ეს არის უნიკალური შემთხვევა, როცა წარწერა სიონის მოტანის შესახებ და თავად სიონია გვერდიგვერდ შეიძლება ინახოს.

დადიანის „არქიტექტურული“ ალაფი საკმაოდ შთამბეჭდავია. ხობის ტაძარში მოხმარებული სიონია მოიცავს ამბიონის, კანკელის, კობორიუმის (?) და კედლების მოპირკეთების ფრაგმენტებს¹⁰¹. მათ შორის არის სამი ტრაპეციული ფილა, რომლებიც ამბიონზე ორი მხრიდან ამავალი კბეების გვერდით ბარიერებს წარმოადგენდა (ყართო პროფილირებული ჩარხის შუა მოქცეულ არქზე ორ ფილაზე გამოსახულია ჯვარი, ერთზე ფარშეჟანგი, სურ. 239); ორი მომცრო მართკუთხა ფილა, საგარაუდოდ ამბიონის აივნის მოაჯირისა (მათზე დატანილია მრგვალ დისკოსე აღმართული ჯვრები, სურ. 241); ხუთი დიდი კაპიტელი (ერთი კლასიკური კომპოზიტიური, ორი თეოდოსიანური და ორიც გამარტივებული თეოდოსიანური, სურ. 235-238); ერთი კაპიტელი გადმობრუნებული წაკეთილი პირამიდის ფორმისა, დიდად განსხვავებული დანარჩენი ხუთისაგან (მის ხილულ წახნაგზე ჯვარია გამოკვეთილი, სურ. 234); ოთხი სვეტის ტანი, უკანელიურები, პროფილირებული ბაზისებით; ოთხი შედარებით პატარა სვეტი მდელი მართკუთხა კვარცხლბეკებით, თავიდან შესაძლოა კობორიუმისა ან კანკელისა; დიდი მართკუთხა პანელები, რომელთა თავდაპირველი დანიშნულება ინტერიერის კედლების ქვედა ნაწილების მოპირკეთება უნდა ყოფილიყო (ორი ჩართულია სამხრეთი გალერეის სამხრეთ ფასადში, სურ. 240, ორი – ხევადასხვანარი – ახლა ეზოში დეკს, სურ. 242, კიდევ ერთი – გადაჭრილი – დასავლეთი გალერეის იატაკშია ჩადგმული); უამრავი სხვადასხვა ზომისა და კონფიგურაციის სადა ფილა, რომლებშიაც ბოლო დრომდე ეკლესიის საკურთხეველის იატაკი იყო მოცებული (ახლა ეზოში ყრია).

სურ. 239.
ხობის ეკლესია.
აღრეპროსტიანული
ამბიონის ფილა

სურ. 240.
ხობის ეკლესია.
აღრეპროსტიანული
მოსაპირკეთებელი
ფილები

სიონიდანპირე
მხარეს:
სურ. 235-238.
ხობის ეკლესია.
აღრეპროსტიანული
კომპოზიტიური და
თეოდოსიანური
კაპიტელები



სეენ არ ვიცით, ჯიქეთის რომელი კელესი-
 იდან წამოიღო სამეგრელოს მთავარმა თავისი
 ალაფი. როგორც ჩანს, შენობა იმხანად მიტო-
 ვებული და ეკვბი დანგრეულიც იყო²⁰² – „ურწმუ-
 ნითა“ დახსჯულად წახული დადიანი მოქმედ
 კელესიას არ გაბატონავდა. დადაგნილია, რომ
 ნაალაფარი არქიტექტურული ღებულები (მათი
 უმეტესობა პროკონესის მარმარილოსგან არის
 დამზადებული) შექმნილია კონსტანტინოპოლ-
 ში VI საუკუნეში²⁰³. თავისთავად საეკლესიო
 ფაქტია, რომ ადრეობისანტიკურ ხანაში იმპერიის
 დელაქაღაქის ხაზელისნიები აღმოსავლეთ
 შაიხლესიპირეთის მხა არქიტექტურული ნა-
 კეთობებით ამარაგებდნენ, მაგრამ ამჯერად
 სვენეთის უფრო ხანტერეხია, რომ ამ ნაკე-
 თობებმა რეაახი წლის შემდეგ სამეგრელოს
 მთავარი მოხიბლა იმდენად, რომ გრძელ
 გზაზე მათ წადებას არ დაერედა. როგორც
 ჩანს, ამ გადაწყვეტილების მიღებისას გადამ-
 წვევტი იჯახური გრძობები იყო. დადიანი
 აპირებდა სობის ელესიასთან მოეწყო საგო-
 რეულო საძეაღე, რომელშიც სურდა გე-
 ერთიანებისა მანამდე ვალ-ვალეკე დაკრძა-
 ღული მშობლებისა და დის საფლავები (მო-
 ვეიანებით იგი თეითინაც; და მისი მეუღლეც;
 ამ საძეაღეში დაკრძალეს). ამკარაა, რომ მას





უნდოდა ეს ხაძეაღე გამორჩეული არქიტექტურული ხასის ყოფილიყო – ისეთი, როგორც სხვაგან არხად უნახა. განსაკუთრებულობის მიღწევა მან ხბოლიის გამოყენებით სცადა და, უნდა ითქვას, რომ შეძლო კდეც: ეპოქაში, როცა ძვირფასი მასალა და „უცხო“ ხელობა ყველაზე მეტად ფასობდა, მარმარილოს მაღალხარისხიანად ნაკეთი დეტალების ასეთი სიზვევე კელეხის კედლებზე უთუოდ მნახველთა საყოველთაო გაკვირებებს და აღფრთოვანებას გამოიწვევდა. აღბათ მწელად თუ ვინმე დაფიქრებოდა, რომ დადიანის ნააღაფარი თავისთავად მშვენიერი არქიტექტურული დეტალები ყველა თვალსაზრისით – ფერთი, ფაქტურით, მოტივებით თუ შესრულების ხასიათით – სრულიად შეუსაბამო იყო კელეხიასთან და პირველ რიგში, თვით ვაჟაერის დანარჩენ ნაწილებთან, რომლებიც ადგილობრივმა ოსტატებმა, თავიანთი ცოდნის შესაბამისად, XIV საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნუქურთმებით მორთეს.


ვამეუ დადიანის ჩამორჩენილი უნდა იყოს ცაიშის კელეხიაში შემონახული ოთხი მღაღი სვეტი და ამდენივე კაპიტულიც (ორი კორინთული და ორი თუოდოსიანური), რომლებიც ასევე VI საუკუნით თარიღდება და უმკაველად პროკონესის ხსკელოხნოშია დამზადებული კონსტანტინოპოლში¹⁰⁰ (ხურ. 243). ჯიქეთოდან უკან სამეგრელოში მომავალ მთავარს ხობში ჩახვლამდე გზად

ხურ. 243.
ცაიშის კელეხია,
ადრეკრისტიანული
სვეტი და
კაპიტული

ხურ. 244.
კელეხის დნობის-
მშობლის კელეხია,
ადრეკრისტიანული
ზიდი

მთიორდასორე
მარუხ;
ხურ. 241.
ხობის კელეხია,
სვეტი და ამბოისის
მოაჯირის (?) ფილა

ხურ. 242.
ხობი, ფილა
კელეხის ეზოში



სურ. 245.
მარტილის ტაძარი,
ადრეკრისტიანული
სვეტი

სურ. 246.
მარტილის ტაძარი,
ადრეკრისტიანული
სვეტის დეტალი

ცაიში უნდა გაეგელო და, როგორც სანს, ალაყის ნაწილი მან იქაერ ეკლესიას უწყალობა. აქ უგეტრის მოწყობას არ აპირებდნენ, ამიტომ მარმარილოს სვეტები ყველაზე გამოხაენ ადგილას – საკურთხეველის წინ დადგეს (რამდენიმე წლის წინ, ახალი კანკელის მოწყობისას, სვეტები კაპიტელებითურთ აიღეს და ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დააწყვეს).

გასაკვირი არ არის, რომ ადრეკრისტიანული და ადრეზინანტიური არქიტექტურული დეტალების ხელახლა მოხმარების შემთხვევები დასავლეთ საქართველოში ბუერად ხშირია, ვიდრე აღმოსავლეთში. ისინი გეხედება შავი ზღვის სანაპიროდან საკმაოდ მოშორებითაც. მარტილის მონასტრის მთავარ ეკლესიაში მარმარილოს ორ მეტრამდე სიმაღლის მსუბუქი სვეტი დგას საკურთხეველის მარჯვენა კუთხეში, ხოლო მეორე ასეთივე სვეტი მის გვერდით სამხრეთი აფსიდის მხარეშია ჩაშენებული (სურ. 245, 246). სვეტების სედა ნაწილი რვაწახნაგაა, ქვედა – ოთხწახნაგა. ორსავე ნაწილს დეკორაციული დარები აქვთ. მარმარილოს ორი პატარა პროფილირებული ბოძი გულათის მონასტრის მთავარ ტაძარშიც მოხდა (სურ. 244). ისინი სიმეტრიულად არის წართული ეპისკოპოსის დასაჯდომ ბაღდახინიან ტახტში, რომელიც 1760 წელს მიტროპოლიტ (შემდგომში კათალიკოს) იოსების ბრძანებით მიაშენეს ჩრდილოეთი გუმბათქვეშა ბურჯის აღმოსავლეთ წახნაგზე. ეს დეტალები V-VI საუკუნეებში თარიღდება.



ბისანტიური მარმარილოს ხისლია გამოყენებული იყო აფხაზეთის კვლე სიუბშიც: ხეუტები დრანდაში (დაკარგულია)⁶⁵, ორი კაპიტელი მოქქეში (აღბათ კანკელისა, ახლა დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში)⁶⁶, ხეუტები, კაპიტელები, ორნამენტირებული ფილები და სხვა ფრაგმენტები ბიჭვინტაში (გვიან შუა საუკუნეებში მათგან კანკელი ააწვეს სახელდახლოდ, ახლა უმეტესობა დაკარგულია)⁶⁷ და სხვა. მარმარილოს დეტალების არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს ასიუბეაში მდებარე პატარა დარბაზული ეკლესიის სახელწოდება მარმალ-აბაა (აფხაზურად „მარმარილოს ხახლი“), მაგრამ იხინი ადრევე დაიკარგა⁶⁸.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში საქართველოში მრავლად იდგებოდა ქვაჯვარები მემორიალური სტელები, რომლებიც შედგებოდა კეარცხლბეკისაგან, წახნაგოქანი ხეუტისა და სვედ აღმართული ჯვრისაგან. მათზე ხეუტეებრივ გამოკეთილი იყო ფოჯურული რელიეფები და წუქურთმები, იშვიათად – წარწერები. ქვაჯვარებს გარკვეული მოვლენების შემახსენებლად დგამდნენ, თუმცა შეხადლია მათთვის უფრო ფართო ფუნქციაც: მიენიჭებიანთ, ზოგ შემთხვევაში – ეკლესიისაც კი⁶⁹ VIII-IX საუკუნეებიდან (ზოგ რევიონში მთავალითად ჯაეახეთში XI საუკუნიდან) ქვაჯვარების აღმართვის ტრადიცია დავიწყებას ეძლევა და იმავე ხანებიდან იწყება მათი

სურ. 247.
ფილდაურის
ეკლესია,
აღმოსავლეთ
სარკელში
ჩადგმული სივლა

სურ. 248.
ქვეშის ეკლესია,
პილასკრად
გამოიხრებელი
სივლა



სურ. 249.
კიანეთის ეკლესია.
კუკულში
ჩადგმული სტელა

მეორადი გამოყენება ეკლესიების საშენ მასალად. სოგჯერ კვარცხლბუქები და ქვასვეტები მშენებელთათვის, პირველ რიგში, შსა გათლილი ქვებია, მაგრამ უფრო ხშირად მათ მიმართ გარკვეული მოკმაძღვება იგრძნობა, რაც ადრინდელი „თაყვანისცემის ანარეკლი“⁷⁰ უნდა იყოს. საფიქრელია, რომ ფუნქციონალ-კარგული სტელების ჩაშენება საკრალური გამოსახულებების შენახვასაც ემსახურებოდა. დავათის ეკლესიაში (VIII-IX საუკუნეები) ნაგების გამოყოფი ბურჯი შეიცავდა VI საუკუნის რამდენიმე ქვასვეტის ფრაგმენტებს⁷¹, მათ შორის სტელას წვილელი ღმრთისმშობლის გამოსახულებით, რომელიც ეკლესიის ინტერიერში ხატვით ადიქმებოდა. სტელის მოპირდაპირე წახნაგზე გამოკვეთილი ამალღების ხეცა ორი ანგულოზით, ბუნებრივია, კედელში იყო ჩამალული და გამოსნდა მხოლოდ 1986 წელს, როცა ის ბურჯიდან გამოიღეს⁷². მშენებლობებზე ქვასვეტების გამოყენებისას გამოსახულების ასეთი „დანაკარგები“ გარდაუვალი იყო – კედელში ჩაშენებული სტელა მხოლოდ ერთი პირთ ჩანდა (საკირეს ქიხიდ ქელისა, აბუღბუელი, შინღლარი⁷³). ამიტომ ხშირად ქვასვეტებს კოიხეებში სეამდნენ, რათა ორი წახნაგით მაინც გამოეჩინათ. ორსაყდრებში სტელების ბაზისებს ადგილი ეკლესიის შენობის გარე კუთხეებში მიუჩინეს⁷⁴. დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ეკლესიაში VI-VII საუკუნეთა სტელა კარის წირთხლის როლს ასრულებდა. ეკლესიაში მიმსულელს ის ხედებოდა მთავარი წახნაგით, რომელსაც წმ. ევსტათეს ნაფირობაა გამოსახული⁷⁵. ფოლადაურის ეკლესიის საკურთხეულის სარკმლის წირთხლში პირიქით, სტელა ისეა ჩადგმული, რომ ფასადზე გლეგი წახნაგი გამოდის, ხოლო სახიანი (მამაკაცის რელიეფური ფიგურა) პირი სარკმლის დიობში იყურება (სურ. 247). კველაზე მოიგებანი ქვასვეტის პილასტრად გამოყენება იყო – ამ შემთხვევაში სრულად მხოლოდ ერთი წახნაგი იმაღლებოდა. ქვეშის წმ. ნინოს ეკლესიაში (ციხის პირში) წრდილოეთი კედლის ორივე პილასტრის ქვედა ნაწილებს დიდი სტელები შეადგენს, ერთი 2,2 მ და მეორე 1,5 მ სიმაღლისა




(სურ. 248). მათი გაყვარება ხუცტად ერთხანთა, რაც კ. მსიაბდის სამართლიანი შენიშნით, მოწმობს, რომ ეს ერთი უსარმს'ხარო ქვახეუტის ორი ნატეხია⁷⁶.

როგორც ხეშითომობანიო მგაღლითუბიდანაც ჩანს, განსაკუთრებით ფართოდ გაყრცელდა სტელების მშენებლობაში გამოყენების პრაქტიკა ქვემო ქართლში. დამატებით აღენიშნავ ხოლორნის ეკლესიას, რომლის ინტერიერშიც X საუკუნეში, თავდაპირველი მშენებლობის დროს, სხვადასხვა ადგილას ნაუდგამო VI-VIII საუკუნეების თურთმეტი ქვახეუტის მეტნაკლებად მოხრდილი ნაწილები⁷⁷ სტელებთან ერთად, ქვემო ქართლში აქტიურად მოხმარდნენ ძველი ეკლესიების რეკონსტრუქციის და ფიგურულრელიეფთან ქველსაც, ერთ-ერთ ეველასე დამახასიათებელ მგაღლის წარმოადგენს კიანეთის X საუკუნის II ნახეურის ეკლესია, რომლის ამოთავარი მორთულობა ამ ძველხათის უცხო ფრეგმენტები, აქ-იქ ნაღბმული აღმოსაუღეთის და სამსრუთის ეკლესიაში⁷⁸ ეს აუცხო ფრეგმენტები⁷⁹ მოიცავს ადრეული შუა საუკუნეების სტელის ნატეხსა და კვარცხლბეკს და კანკელის ფილებს (სურ. 249, 250). არანაკლებ მრეკადფეროვანია ხოლია ხათხის ეკლესიაში, მის წრდილოეთ ნაწილში აფხიდის მხრები მოლიანად სტელებითაა გამოყვანილი (სურ. 251), მათი ფრეგმენტები ნართულია ფახაღბშიც, როგორც ჩანს, ეს გვიანდელი – შესახლოა 1662 წლის – აღდაგების შედეგი უნდა იყოს⁸⁰ სხვა შესახეუტებში კვიან შუა საუკუნეებში ხოლით გამოყენებას უფრო უხისტეში ხათხათი აქვს. ბაღიჭის

სურ. 250.
კიანეთის ეკლესია,
კარის წრდილში
ხატეხული ფილა

სურ. 251.
ხათხის ეკლესია,
აფხიდის მხრში
ხატეხული სტელი





„სომხის ეკლესიაში“ ძველი ქვები მხოლოდ ხაშენი მხარეა, VI-VII საუკუნეების ქვასეპტეზხა და მათ ბაზისებთან ერთად აქ XVIII საუკუნის ხოვლავის ქვაც არის მოხმარებული – ის არქიტრავედ უდევს სამხრეთ კარს”²⁰

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც იყო შემთხვევები, როცა ერთი აღმსარებლობის ხალოცაიდან წამოღებულ ქვებს სხვა აღმსარებლობის თემი იყენებდა. დმანისში, შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ ეკლესიებში მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ ქალაქში, ხოანის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდგარ წმ. მარინეს ეკლესიის (1702 წელი) ეკლესიაში ჩართულია ქაფურწარწერებიანი ქვები – ალბათ რომელიმე დანგრეული მუხლიძეური ნაგებობიდან²¹ (სურ. 254). ახალციხეში გაბატონებულმა ოსმალებმა XVIII საუკუნეში დიდწილად ქართული ეკლესიების ქვებით ააგეს რაბათის აბანი და ციხეაღლის შესახეღელი (სურ. 252). იულიტას კათოლიკური ეკლესიის (1782 წელი) მშენებლობისას გამოყენებითა არა მხოლოდ ადრინდელი ეკლესიების ნუქურთმიანი და წარწერიანი ფრაგმენტები, არამედ საოვლავის ქვაც, რომლის წარწერაშიც (თარიღი 1766 წელია) გარდაცვლილი მოხსენიებულია, როგორც „მართლმადიდებელი“ (თუმცა ასე საკუთარ თავს შეიძლება კათოლიკემაც უწოდოს).

ცალკე უნდა ვახსენოთ ეკლესიებში პრეისტორიული ძეგლების გამოყენების ფაქტები. ამ შემთხვევაში გამოყენება გულისხმობს არა კვდლის წიბოში ჩართვას, არამედ აღმართვას ინტერიერში. სხელებად ან ჯკრებად გადაკეთებულ მენიურებს ეხედებით მეგალითური ძეგლებით მდიდარ მხარეებში (ჯავახეთი, თრიალეთი, ქვემო ქართლი)²². გვიანი შუა საუკუნეების მომცრო, უხეიროდ ნაგებ დარბაზულ ეკლესიაში თუჯისში (თრიალეთი) საკურთხეღლის წინ, ჩრდილოეთ მხარეს, ბრინჯაოს ხანის უსარმაზარი მენიური დგას (სურ. 255). მის პირთა მხარეს, მოღლ ხიმღლეზე, ჩაკეთილი კონტურით გამოყვანილია კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი, რისი წყალობითაც მენიური არსებითად ქვაჯვარად იქცევა. სამშვიდის ღმრთისმშობლის მიძინების ხომხურ ეკლესიაში

სურ. 254.
დმანისის
წმ. მარინეს ეკლესია.
ქაფურწარწერა
ქვედა ეკლესიის წიბოში

სურ. 255.
თუჯისის ეკლესია.
მენიური
საკურთხეღლის წინ

მომრდაობზე
მხარეს
სურ. 252.
ახალციხის
რაბათის აბანის
ეკლესიების ქვების
მუორანი გამოყენება
კვდლის წიბოში

სურ. 253.
აჭურის ტაძარი,
ნუქურთმიანი ქვების
ახაღკვები კვდლის
გულზე

დახლოებით იმავე ადგილას მდგარი მენიორი შედარებით პატარაა. 1621 წელს მასზე განედლებული ჯვრის სქემატურ გამოსახულებასთან ერთად დიდი წარწერაც დატანილია²².

აქ ვრცლად აღარ შევჩებოვები დანგრეული ეკლესიების თავიანთივე ქვებით აღდგენის ურიცხვ შემთხვევას. ბუნებრივია, საშენი მასალის შეორაფი გამოყენება ასეთ დროს განსაკუთრებით აქტიურად ხდებოდა. როგორც წესი, აღმდგენლები ცდილობდნენ რაც შეიძლება სრულად მოეხმარათ ჩამოცვენილი ქვები. ამისი ყველაზე თვალსაშინო მაგალითი თემურლენგის მიერ დაქცეული სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენის დროს ხდება. დასაგლეთი ფასადი XV საუკუნეში თითქმის მთლიანად თავიდან უნდა იყოს აწყობილი ძველი ელემენტების გამოყენებით და, ალბათ, დიდწილად მათი ძველი განლაგებით. თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთი რელიეფი თავის თავდაპირველ ადგილზე არ მოხვდა²³. წილკნის ტაძრის ინტერიერის მოპირკეთებაში (განსაკუთრებით გუმბათქვეშა პურჯუბზე) გამოყენებულია ადრინდელი საფასადო შემკულობის ნუქურთმიანი ფრაგმენტები. ზოგჯერ ძველ მასალას უფრო უდიერადაც ექცოდნენ. აწყურის კათედრალის გვიანდელი აღდგენისას უამრავი თავდაპირველი ქვა წყობაში შეუღმა – ნუქურთმიანი პირით კედლის გულისკენ – ჩასვეს. ახლა, როცა წყობა აღდგენილ კედლებზეც ჩამოცვენილია, დუღაბზე ბევრგან ჩანს ნუქურთმის არაბუქვები (ხურ. 253).

საოლიის მოხმარება გრძელდებოდა XIX და XX საუკუნეებშიც. ერთი დამახასიათებელი გვიანდელი მაგალითი ზემოთ იყო ნახსენები – სხვათა შორის სამების ეკლესიის მშენებლებმა X-XI საუკუნეთა მიჯნის რელიეფიანი ფილა უბრალო ქვად გამოიყენეს და კედელში სახიანი პირით დუღაბისაკენ ჩასვეს. რელიეფი მხოლოდ 1991 წელს გამოჩნდა, როცა ეკლესია მიწისქვეშა დაანგრიდა. ქვემო ქართლის სოფელ ორომაშენში (გვიანდელი გერმანული კოლონია ვალდამიში, საბჭოთა ხანის კიროვისი) 1929 წელს პურის ბეღლის შენობის შესასვლელში ჩადგეს ეკლესიის კარის ზღუდარის ორად გაჭრილი ქვა იოანე კათალიკოსის (1033-1048 წლები) წარწერით²⁴. ანალოგიური ვითარებაა სხვა ქვეყნებშიც. საბერძნეთში ანტიკურ საოლიას ეკლესიებსა და საცხოვრებელ სახლებში XX საუკუნემდე იყენებდნენ²⁵. ტაო-კლარჯეთის სოფლების მუსლიმმა მოსახლეობამ უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ქართული ეკლესიების ქვებით ააგო უამრავი შენობა – მეთეთებით დაწყებული და ბოსლებითა თუ საბძელებით დამთავრებული.

დანართი

შუა საუკუნეების მშენებელ ოსტატთა ანოტირებული ნუსხა

წინმდებარე ნუსხაში შეყიდა შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია დღესდღეობით ცნობილი ყველა ხუროთმოძღვრის, მშენებელი ოსტატის და მშენებლობის სუბსტრუქტურის შესახებ, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში IV საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ნუსხა მომზადდა სხვადასხვა სახის წერილობით წყაროთა (მატიანეები, პაგიოგრაფიული თხზულებები, შენობათა წარწერები) ცნობებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე.

შუა საუკუნეების ქართველი ხუროთმოძღვრებისა და მშენებლები ოსტატების შესახებ არსებული ცნობების თავმოყრის პირველი და აქამდე ერთადერთი ცდა ვახტანგ ბერიძის ეკუთვნის. მის ნაშრომში ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები (თბ., 1956), ხუროთმოძღვართა სახელები ანბანურ რიგზეა დალაგებული და ყოველ მათგანს ეთმობა ცალკე პატარა ნარკვევი, რომელშიც მოტანილია წერილობითი ცნობები და მოკლედ დახასიათებულია მათ მიერ აგებული შენობები. მოგვიანებით ეს ნარკვევები სრულად შევიდა ვახტანგ ბერიძის მეორე წიგნში ძველი ქართველი ოსტატები (თბ., 1967).

ამ წიგნის პუბლიკაციის შემდეგ გასული ორმოცზე მეტი წლის მანძილზე არაერთი მანამდე უცნობი მშენებლისა თუ არქიტექტორის სახელი გახდა ცნობილი, რამაც განაპირობა ახალი მონაცემების შეგროვება-შეჯამების საჭიროება.

სიის შედგენისას გათვალისწინებულია, რომ წარწერებში მითითებული „აღაშენა“ თუ „აღვაშენე“ შეიძლება გულისხმობდეს როგორც მშენებელ ოსტატს, ასე ქტიტორ-მომცემელს. შესაბამისად, ნუსხაში შევიდნენ მხოლოდ ის პირები, რომელთა სახელებს თან ახლავს მათი ხელობისა თუ საქმიანობის მიმანიშნებელი სიტყვები (ხუროთმოძღვარი, ხუროთმოძღვართყუცვისი, გალატოზი, ხურო, მუშათა სუდამდგომი და ა. შ.). უტყუარი ცნობების არქონის ან არაზუსტი განსაზღვრის გამო ნუსხაში არ შევიდა ადრე მშენებელ ოსტატებად მიჩნეული ზოგი პირი (მაგალითად, ბეშთაშნის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებული გურგენისძენი, შუაიკის წარწერის ქველი, ფთახა და ვარგვანის ეკლესიების ფახადებზე გაბრუნულ წარწერებში ნახსენები სახელები და სხვა).

შემოკლებები:

ზ. აღექსიძე, ატენის სამხური წარწერები - ზ. აღექსიძე, ატენის სიონის სამხური წარწერები, თბ., 1978.

ჟ. ბერძე, XVI-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება - ჟ. ბერძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართველი საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994.

- ვ. ბერიძე, *ისტორიები - ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ისტორიკები*, თბ., 1967.
- ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება - ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება*, XIII-XVI საუკუნეები, თბ., 1955.
- ვ. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები - ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრება*, თბ., 1956.
- დ. ბერძენიშვილი, *ნარკვევები - დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები*, თბ., 2005.
- დ. ბერძენიშვილი და სხვანი, *ჯავახეთი - დ. ბერძენიშვილი, ი. ელიშბარაშვილი, ნ. ვანიშვილი, ც. ნახუნაშვილი, ჯავახეთი. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი*, თბ., 2000.
- გ. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუმი - გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, თბ., 1994.
- გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, ნაკვ. II - გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVII, ნაკვეთი II, გამოასაცემად მოამზადეს დ. ლომიძემ, მ. გუმბურიძემ და ს. სხირტლაძემ, თბ., 2011.
- გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება - [გიორგი შერქულუ], შრომა და მიღწევა ღირსად ცხოვრებისა წმიდისა და ნეტარისა მამისა ნუნენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა, ხანძთისა და შატბერდის აღმაშენებლისა და მისთანა ქსენებას მრავალთა მამათა ნეტართა, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1963.
- ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლენხუმ-სვანეთში 1910 წელს*, პარიზი, 1937.
- ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, 1919 და 1920 წლები*, თბ., 1963.
- ე. თაყაიშვილი, *არხეოლოგიური მოგზაურობანი - ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშენანი*, წ. 1, ტყ., 1907; წ. 2, ტყ., 1914.
- ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში - ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში*, თბ., 1960.
- ე. თაყაიშვილი, *ექსპედიცია კოდალეთისში - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოდალეთისში და ჩანგლში 1907 წელს*, პარიზი, 1938.
- ს. კაკაბაძე, გეგუთის ეპიგრაფიკული მასალები - ს. კაკაბაძე, გეგუთის ეპიგრაფიკული მასალები, *საისტორიო კრებული*, წ. III, ტყ., 1928.
- ს. კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, წ. V - ს. კაკაბაძე, *ისტორიული საბუთები*, წიგნი V, ტყ., 1913.
- კახეთის ისტორიული ძეგლები - კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაყელმა, თბ., 1962.
- ლაჰიდარული წარწერები, I - ლაჰიდარული წარწერები I: აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოასაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.
- ლაჰიდარული წარწერები, II - ლაჰიდარული წარწერები II: დასავლეთ საქართველოს წარწერები, (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოასაცემად მოამზადა ე. სიღოვაჯამ, თბ., 1980.
- მასალები - მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1938.
- საქართველოს სიძველენი, III - საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, III, ტყ., 1910.
- სერაპიონ ზარსმელის ცხოვრება - [ბასილი ზარსმელი], ცხოვრება და მოქალაქობი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ნუნენისა სერაპიონისი, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1963.
- ვ. სიღოვაჯა, *სამცხე-ჯავახეთი - ვ. სიღოვაჯა, სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები*, ახალციხე, 2000.
- ქართული სამართლის ძეგლები, IV - ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საიხებლები დაურთო ი. დლოძემ, თბ., 1972.
- ვ. ცისკარიშვილი, *ჯავახეთის ეპიგრაფიკა - ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო*, თბ., 1959.
- დ. ხოშტარია, *კლარჯეთი - დ. ხოშტარია, კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები*, თბ., 2005.

ე. ჯობაძე, *მონასტრები* – ე. ჯობაძე, *ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში*, თბ., 2007.

H. Mapp, Диевник – H. Mapp, Диевник поездки в Шавинию и Кларажию, წიგნები: Георгий Меркуц, Житие св. Григория Ханадзтийского, Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра. *Тексты и размышления юо армяно-грузинской филологии*, кн. VII, С.-Петербург, 1911.

E. Takahashi, *АЭРЗ* – E. Takahashi, *Археологические экскурсии, размышления и заметки*, вып. 1, 1905; вып. II, 1905; вып. III, 1907; вып. IV, 1913; вып. V, 1915.

M. Brosset, *Rapports* – M. Brosset, *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848*, 1er livraison, St.-Petersbourg, 1849; 2e livraison, St.-Petersbourg, 1850; 3e livraison, St.-Petersbourg, 1851.

F. Dubois de Montpéroux, *Atlas* – F. Dubois de Montpéroux, *Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhazes, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée. Atlas, série d'architecture*, III, Neuchatel, 1840.

აბესაღმა კლდელი – ხანძთის სამრეკლოს მამულებელი, უყვროსი გაღაბაში (1540-იანი წლები). იხსენიება სამრეკლოს ფანიატურის წარწერაში.

H. Mapp, Диевник, გვ. 144, ტაბ. 51; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 11; დ. ხომარია, *კლარჯეთი*, გვ. 109-110; ე. ჯობაძე, *მონასტრები*, გვ. 55.

აბუსერისძე ტბელი – ზემოკარელი ერისთავი, ავტორი თხზულებისა, *საქაყენის წმინდა მთავარმწაქრისა გიორგისნი და ანდრეას მისისა სასოებით შუკედრებულისა და ამათ საქვეუთა შესაქადრებლად ღირსებისაებრ მოქუმულისა*, რომელთანაც ჩანს, რომ იგი ხელმძღვანელობდა სიხათა წმ. გიორგის ეკლესიის აღდგენას 1230-იან წლებში. თხზულებაში ასევე მოთხრობილია ბილაოკ-ბასილის (იხ.) მიერ შუარტყლის ეკლესიის აგების ისტორია.

ბილაოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საკვარეულო მკვიანე გამოსცა დ. მუხხუ დიმიტრი, თბ., 1941, გვ. 66; წინადა გიორგი ტყელ ქართულ მწერლობაში, ე. ჯობაძის წყობის გამოსცა, თბ., 1991, გვ. 265; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 12.

ავთანდილ შულავერელი – ბარაკონის დმრთისმშობლის ეკლესიის მამულებელი (XVIII საუკუნე), მოხსენიებულია ავთოსავლეთი და სამხრეთი ფასადების წარწერებში.

ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მუხუხარება რაჭაში*, გვ. 110-111; ე. ბოჭორიძე, *რაჭის ისტორიული ძეგლები, საქართველოს მუხუხარების მოამბე*, ტ. VII, 1933, გვ. 248; ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრება*, გვ. 21; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 17-18; ე. ბერიძე, *XVI-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება*, გვ. 196; ე. ბოჭორიძე, *რაჭა-ლეჩხუბი*, გვ. 174.

აერელი აქოლისი, აერელიოს აქოლისი – (მცხეთის) მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი IV-V საუკუნეებში. იხსენიება მცხეთაში ნაპოუნ ორ ბერძნულ წარწერაში (ერთი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მეორე – დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუხუხარში).

ს. ჟაფხინიძელი, *მცხეთა-სამთავრის ახლად აღმართილი ბერძნული წარწერა, საქ. სსრ მეც. აკადემიის მოამბე*, ტ. IV, №6, 1943, გვ. 577; ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები*, გვ. 21-22; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 18; თ. ჟაფხინიძელი, *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*, თბ., 2004, გვ. 230, 256.

ამონა – ხანძთის ეკლესიის (910-920-იანი წლები) ხუროთმოძღვარი, „სამბრისიო სრულიად მამულებელი“. მოხსენიებულია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 277; ა. ინგოროვა, *გორგი მტრეველი*, თბ., 1954, გვ. 311-314, 318-322; ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები*, გვ. 22-23; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 21; დ. ხომარია, *კლარჯეთი*, გვ. 97; ე. ჯობაძე, *მონასტრები*, გვ. 47.

არსენ ოსტატი – მანგლელი ეპისკოპოსი, მანგლასის ეკლესიის გაღაბის ბჭის მშენებელი. მოხსენიებულია გაღაბანში ჩატანებულ წარწერაში (1667 წელი).

E. Takahashi, *АЭРЗ*, IV, გვ. 140; ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები*, გვ. 24; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 27.

არსუკისძე – სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი (1010-1029 წლები). მისი სახელი იხსენიება ტაძრის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ფასადების წარწერებში.

დ. მუხხელიშვილი, *მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მუღიქისუკუ კათალიკოსის ანდრეასთან, ქართული ხელაწერება*, I, 1942, გვ. 136-137, 142; ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრება*, გვ. 24-25, სურ. 1; ე. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 28-31; ე. თხიშველი, *სვეტიცხოვლის ეპოგრაფიკა, წყნარ. სვეტიცხოველი*, თბ., 2010, გვ. 139.

აფრიაშა (აფარიაშა?) – დავითგარეჯის ლავრის გალაგნის მშენებლობაზე (1690-იანი წლები) მომუშავე ერთ-ერთი ქვისმჭრელი. იხსენიება ბურთუბნის ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის წარწერაში. *Г. Чыңнашын, Пещерные монастыри Даши Гарджин, Тб., 1948, გვ. 100; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 196-197.*

აქილევსი – IV-V საუკუნეების მცხეთელი ხურო, შესაძლოა ხუროთა უფროსი. იხსენიება მცხეთის ანტიოქიის ეკლესიაში ნაპოვნ ბერძნულ წარწერაში ავერელი აქოლისთან (იხ.) ერთად. *თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2004, გვ. 230.*

ახევრდა კალატოზი – მარტყოფის მონასტრის სამრევლოს მაშენებელი (1699 წელი). იხსენიება სამხრეთი კედლის წარწერაში.

M. Brosset, Rapports, 2e livraison, 1er rapport, გვ. 55; ვ. ბერიძე, ხუროთმოძღვრები, გვ. 26; კახეთის ისტორიული ძეგლები, გვ. 112; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 32.

ბაგრატი – ლაშქს ღმრთისმშობლის ეკლესიის „კარის მოქმედი“, რაც აღბათ ხის კარის შემქმნელ ოსტატს გულისხმობს. წარწერა მისი სახელით ამოკვეთილია კარის ბუდეზე. *ღაბიძარეული წარწერები, II, გვ. 94.*

ბაგრული – ფოკას დარბაზული ეკლესიის მშენებლობის ხელმძღვანელი (1031-1053 წლები). იხსენიება ეკლესიის სამხრეთი ფასადის წარწერაში.

ბ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბჭოთა XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის შიშველი, VI, 1932, გვ. 258; ვ. ბერიძე, ხუროთმოძღვრები, გვ. 26-27; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 33; ი. გაგოშიძე, ე. გაგოშიძე, ქართლის ხუროთმოძღვრათ-უხუცესი, ლიტერატურა და ხელოვნება, №3, 1992, გვ. 173.

ბაჩვაძე დავითა – „შინაოილი“, ანუ, სავარაუდოდ, მუშათა უფროსი გეგუთის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობაზე (XVII-XVIII საუკუნეები). მოხსენიებულია აფსიდის ხარკმლის თავზე ამოკვეთილ წარწერაში.

ს. კაკაბაძე, გეგუთის ეპიგრაფიკული მასალები, გვ. 115; ვ. ბერიძე, ხუროთმოძღვრები, გვ. 33; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 75.

ბასილა კალატოზი – სეფიდაბადის ბაღის ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი ოსტატი. იხსენიება ბაღის მშენებლობის ხარჯის ნუსხაში (1757 წელი).

ბასილები, I, გვ. 40.

ბაღსარაშვილი ქაიხოსრო – სარქარი, ანანურის დიდი ტაძრის (1689 წელი) მშენებლობის ხელმძღვანელი. იხსენიება სამხრეთი კედლის წარწერაში.

პ. ზაქარაია, ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953, გვ. 11-13; ვ. ბერიძე, ხუროთმოძღვრები, გვ. 52; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 37.

ბერუა კალატოზი – სეფიდაბადის ბაღის ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი ოსტატი. იხსენიება ბაღის მშენებლობის ხარჯის ნუსხაში (1757 წელი).

ბასილები, I, გვ. 40.

ბეჟან კალატოზი – გეგუთის წმ. გიორგის ეკლესიის (XVII-XVIII საუკუნეები) ერთ-ერთი მაშენებელი. მოხსენიებულია აფსიდის ხარკმლის თავზე ამოკვეთილ წარწერაში.

ს. კაკაბაძე, გეგუთის ეპიგრაფიკული მასალები, გვ. 115; ვ. ბერიძე, ხუროთმოძღვრები, გვ. 33; ვ. ბერიძე, ოსტატები, თბ., 1967, გვ. 75.

ბილოკ-ბასილი – XII საუკუნის შუახანების ან II ნახევრის ქვითხურო ზემო აჭარადან. მის შიერ შუარტყლის ეკლესიის აფაბის ოსტატობა მოთხრობილია ტბელ აბუსერისძის თხზულებაში.

აბუსერისძე ტბელი, ბილოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყელში და აბუსერისძეთა სავარაუდო მატანა, გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941, გვ. 56-62; ვ. ბერიძე, ოსტატები, გვ. 50-51; წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, ვ. გაბიაშვილის გამოცემა, თბ., 1991, გვ. 257-262.

გაბრა (?) – ქუთაისის მწვანეკვავილის ეკლესიის (სავარაუდოდ 1113 ან 1117 წელი) მაშენებელი. სამშენებლო წარწერები ქვა ინახება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

F. Dubois de Montpéroux, Atlas, ტაბ. XVIII, სურ. 12; ღაბიძარეული წარწერები, II, გვ. 149-150, სურ. 137-138.

გაბრიელ გალატოზი – ლაბკინის ეკლესიის (XI-XII საუკუნეები) ერთ-ერთი მაშენებელი ოსტატი. ქვა სამშენებლო წარწერით ნასმულია ჩრდილოეთ კედელში.

ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, გვ. 15; ღაბიძარეული წარწერები, II, გვ. 167.

გაბრიელ დიკონი (ან დეკანოზი) – მოქანდაკე, რომელმაც 950-იან წლებში შეასრულა დიდის-კანის ეკლესიის ქვაზე კეთილი შემკულობის ნაწილი, მათ შორის სამხრეთი ფასადის რელიეფები. იხსენიება იქვე ამოკვეთილ წარწერაში.

ე. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები*, გვ. 29-30; ვ. ბერძენი, *ოსტატები*, გვ. 59; *ლაპიდარული წარწერები*, I, გვ. 292-293; ვ. ჯობაძე, *მონასტრები*, გვ. 81-84.

გაბრანელი – ზარზმის პირველი ეკლესიის მაშენებელი (VI ან IX საუკუნე). „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია როგორც ხუროთმოძღვარი და „სუქამდგომელ საქმისა“.

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 334-335; *ადრინდელი ყოფილადური ქართული ლიტერატურა*, კ. კაკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1935, გვ. 161-163, 167; ვ. ბერძენი, *სამცხის ხუროთმოძღვრება*, გვ. 118-120; ვ. ბერიძე, *ხუროთმოძღვრები*, გვ. 30-31; ვ. ბერიძე, *ოსტატები*, გვ. 64.

გურგიუმ ერპასანის ძე – ზ. ალექსიძის მიხედვით, მოქანდაკე, რომელმაც 980-იან წლებში ატენის სიონში მიმდინარე ადღგენითი სამუშაოებისას შეასრულა რამდენიმე რელიეფი. იხსენიება დასავლეთი ფასადის შუა წახნაგზე ამოკვეთილ სომხურ წარწერაში.

ზ. ალექსიძე, *ატენის სომხური წარწერები*, გვ. 50-61.

გიორგი – ეპისკოპოსის სამრეკლოს (XIV საუკუნე) მაშენებელი. ქვა სამშენებლო წარწერითა და ოსტატის რელიეფური გამოსახულებით 1959 წლიდან სოფლის წყაროს კედელშია ჩასმული.

